

K 9322  
2



9(47-922)

შვ. 2016-13447

ივ. ჯავახიშვილი


ქართველ ერის

ისტორია

9322  
R

წიგნი პირველი.

თ. შ. ი. თუქანიშვილის გამოცემა.



თბილისი.  
ელექტრო-მბეჭდავი ანბ. „სრომა“. რუსის ქუჩა, № 3.  
1908 წ.

## წინასიტყვაობა.

8 წლის განმავლობაში ვცდილობდი ქართული საისტორიო წყაროები კრიტიკულად შეემსწავლა და თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებს საშუალებათ ჩვენი ერის წარსული გამოემკვლეა. ამგვარმა კვლევამ დაიბამ დამარწმუნა, რომ მამაბუნელი შეხედულება ქართველ ხალხს მრავალ საუკუნოების ისტორიაზე, რომელიც ჩვენს მწერლობაში წინადაცა და ესლაც გაბატონებულია, მხოლოდ საისტორიო წყაროებსა და მეთოდების უცოდინარობაზე იყო დამყარებული. 8 წლის მუშაობამ არსებითად შესცვალა ჩემი შეხედულება და დამანახვა, რომ ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საუკუნადღებო და საკუთარსმთავრო ეფუძლავს, ვიდრე ჩვეულებრივ ეკონომიკურ ხელში.

უკანასკნელა ოცა, მეტადრე ათი წლის განმავლობაში ბევრი დიდ მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, ბევრი ხელნაწერის აღწერა და არის დაბეჭდილი; საჭირო იყო და ესლაც საჭირო არას, რომ ყველა მასალები მეცნიერულად, საისტორიო მეთოდებს მხედვით შესწავლილი და დაფასებული ეფუძლიყო; ამ მხრივ ჩვენი საისტორიო მწერლობა ჯერაც დიდ ფხვს ვერ იჩენს. ზოგს ამას გამოა ჭკონა კიდევ, რომ ვიდრე ამგვარი კვლევამ დაიბამ და მთავრებული არ იქნება, ვითომც მანამდის არც ისტორიის დაწერა შეიძლებოდა. ამგვარა აზრი შემდგომად და საქმისთვის მანებულად მაინანა. რასაკვირველია, თუ რომ ისტორიკოსი გარკვეულსა და გამოკვლევულს ერთი-ერთმანეთში დომხალივით არავს, მანამ ამგვარს ნაწარმოებს არავითარი მნიშვნელობა. არ ექნება, მაგრამ თუ მეცნიერი იმას, რაც უკვე კრიტიკულად გამოკვლეული და შესწავლილია, თავს მოუყრის და ჩაუვირდება, ამნაირი შრომა სასარგებლოც არას და დროგამომშვებით ამ ხანათის თხზულებების წერა აუვალელებიდა საჭირო და მეცნიერების წარმატებას ხელს უწყობს. სწორედ ამ მოსახრებით ვხელმძღვანელობდი, როცა ქართველ ერის ისტორიის წერას შეუდეგა: მე ვცდილობდი ამ თხზულებაში მხოლოდ ისეთი ცნობები შეიტანა, რომელიც თანამედრო-

ვე მწერლობაში უკვე გამოჩნეული არის, ან რვა წლის განმავლობაში თვითონ მე შესწავლადი მქონდა. ამიტომ „ქართველ ერის ისტორიაში“. უკვლა ჩვენი წარსულის დიდმნიშვნელოვან საკითხებს შესახებ არ მიახვეჭება ცნობები, არამედ შეტანილია ის, რაც თანამედროვე ცოდნისა და ავლევადობის მიხედვით გამოჩნეულად უნდა ჩანოდალათ. შემდეგში, როცა ქართველ ხალხის წარსულის შესწავლა დაწინაურდება, ჩვენ ისტორიასაც ამ მხრივ მეტა სისრულე დატოვება. „ისტორია“ ოთხ წიგნად მაქვს განზრახული: პირველი წიგნი უპყლეს ხანას შეიცავს ვიდრე VII საუკ. პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე; მეორე—VII—XIII საუკ., მესამე—XIII—XV საუკ., მეოთხე—XVI—XVIII საუკუნის დასასრულამდე. რაი „ისტორია“ ქართველ მკითხველ საზოგადოებისათვის უნდა უოფილიყო დაწერილი და მარტოაღენ შეცნიერებისათვის არა უოფილა განუოფინილი, ისე უნდა დამეწერა, რომ წვრილმანი და დაწვრილებათი დასაბუთებით წიგნის კითხვა მეტად არ გამეხნელებინა; მაგრამ სამწესაროდ ამ მოთხონილების აღსრულება უოველგან და უოველთვის არ შეიძლება: იქ, სადაც „ისტორიაში“ მე ჩემს ჯერედ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიულ გამოკვლევაზე ვამარებ ჩემს შეხედულებასა და დასკვნას, როგორც მაგ. ქართველ ტომების უუჭველეს დროს გეოგრაფიულ მიმართებაში (თავი I), ქართველების კულტურის შესახებ (თავი II და VI) და ქართველების წარმართობის შესახებ (თავი III), მე ისელებული ვიყავ. რომ ჩემი არი და მსჯელობა დაუსაბუთებელი არა უოფილიყო, „ისტორიაში“ მონოგრაფია თითქმის მთლად შემეტანა. ამის გამო მოთხრობის ხასიათი „ისტორიაში“ ერთნაირი არ არის. შემდეგ წიგნების ბეჭედის დროს, მე ვგონებ, ეს ნაკლი თავიდან ავიცილო, იმიტომ რომ VII—XIII საუკ. შესახებ ორი მონოგრაფიული გამოკვლევა— „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I“ უკვე დაბეჭდილი მაქვს, მესამე „ქართულ სამართლის ისტორია, წიგნი I“ დამთავრებული და დასაბეჭდავად დამზადებულია. ამნაირადვე საჭიროდ მიმაჩნია, ვიდრე ისტორიის მე-III და მე-IV წიგნება გამოვიდოდეს ზემოთხმოთვლილ მონოგრაფიების ცაკრძელება გამოკვლევა.

„ქართველ ერის ისტორია“ ხშირად ისეთ წყაროებზე მაქვს დაშვარებული, რომლებითაც წინადა არა სარკებლობდენ სოდრე, და

სამაგიეროდ ბევრ შემთხვევაში მე არ მისარგებლნია და არ მისულ-  
მძღვანელია ისეთ წყაროებით, რომლებსაც განსაკუთრებით და-  
შვარბული იყო წინად საქარაველის უძველესი ისტორია; თვით  
თხზულებაც სულ სხვა გეგმაზეა აშენებული და ამის გამო არც  
გასაკვირველია, თუ რომ ჩემი შეხედულება ჩვენი ერის წარსულზე  
ჩვეულებრივ შეხედულებისაგან არსებითად განიჩევა. სამწუხაროდ  
რუსეთის შემთხვევაში „ისტორიის“ საზოგადო ხასიათი ნებას არ  
შეძლევდა ჯეროვანად და დაწვრილებით დამკისბუთებინა, თუ რომ  
შეიძლება თხზულებაში ესა თუ ის ცვლილება შეეტანა. რაც შეე-  
ნება ქართულ საისტორიო წყაროების ღირსებასა და იმ გარემოე-  
ბას, თუ რა მანერით არ გხელმძღვანელობდი ჩვენი ერის უძველეს  
ისტორიის გამორკვევის დროს „ქართლის ცხოვრებით“, ამის შესახებ  
ამ წიგნის შესავალში იმიტომ არაფერია ნათქვამი, რომ ცალკე  
გამოკვლევა მაქვს დამზადებული — „ისტორიის მიზანი და მეთოდე-  
ბი წინად და ესა“, სადაც ამ საგნის შესახებ უფელა ცნობები  
შეიძლება. როცა ეს წიგნი დაიბეჭდება, იქ იპოვნის მკითხველი  
ქართულ წყაროების კრიტიკულ მიმოხილვასაც. „ქართველ ერის  
ისტორია“ ამ სამი წლის წინად არის დაწერილი და მხოლოდ  
უნდა ედირსა მას დაბეჭდვა. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე,  
რომ ჩემდა ცდის მიუხედავად წიგნს მაინც კორექტურული შეცდო-  
მები შეეპარა: ჩვენი სტამბები სამწუხაროდ სამეცნიერო წიგნების  
დასაბეჭდავად მოწოდებული არ არიან. მე აზრდა მაქვს, ისტორიი-  
სათვის ძველ ნაშთებისა და მოღვაწეების სურათები და საგოგრა-  
ფიო რუკები დამერთა, მაგრამ ამ წიგნისათვის ვერ მოხერხდა,  
იშეღია, შემდეგში ამ დანაკლისსაც შევამსებ.

ჩემ მოვალეობად ვთვლი, გუფითადი მადლობა ვუძღვანა ამ  
ისტორიის გამომცემელს თ. ზ. ი. თუმანიშვილს და ბბ. ა. მდი-  
ანსა და ზ. სურგულაძეს, რომელთაც ჩემ თხზულების გამომცემს  
ხული შეუწყვეს, განსაკუთრებით უკანასკნელმა დამავალა მით, რომ  
ბეჭდვის დროს სტამბას თვალურს აღვენებდა და წიგნის გამომცე-  
მას აჩვენებდა. ვისაც ერთი წიგნი მაინც დაუბეჭდია ჩვენებურ  
სტამბებში, ის აღვილად მიხვდება რამდენი დრო და მოცალეობა  
უნდა დაჭარბოს აღამიანმა, ვიდრე წიგნის ბეჭდვას დაამთარებს.

ივ. ჯავახიშვილი.

ქარაგმთან ანუ შემოკლებულ სიტყვების მნიშვნელობა:

KB==Keilinschriftliche Bibliothek.

Латышевъ | Латышевъ. Извѣстiя древнихъ писате-  
Латышевъ, Извѣстiя. | лей, греческихъ и римскихъ, о Скиѣи  
и Кавказѣ.

დესტუნის | პროფ. დესტუნისის რუსული თარგმანი პროკოპი კესარი-  
დესტუნისის | ელის О войнѣ персовъ съ римлянами, 2 წიგნი.

## შინაარსი:

გვერდი:

წინასიტყვაობა

შესავალი

3—9

ისტორია და შეცნობების სხვა დარგები: არქეოლოგია 3—5, ენათმეცნიერება 6, თქმულებათა მეცნიერება 6—9. უმთავრესი წყაროები 9.

თავი პირველი. ქართველების ჩამომავლობა, სამშობლო და უძველესი ბინადრობა 11—62.

ქართული და მისი მონათესავე ენათა ჯგუფი 11—12: ქართული და ინდო-გერმანული 12, ქართული და თურანული 12, ქართული განცალკევებულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისთ 12—13, ქართული და ელამიტური 13, ქართული აღარადიულ ჯგუფს ეკუთვნისთ 13—14, ზროფ. ჰ. შეხარდოტის აზრი 14—15, ქართული და სემიურ-ქამიური ენათა ჯგუფი 15—16, ზროფ. ნ. მარსის აზრი—ქართული სემიურ ენათა ჯგუფის მონათესავეა 16—19.

ქართველების სამი შტო: ქართული, მეგრული, სვანური 19—20.

ქართულების სხვა-დასხვა სახელები: ერაყების აღმნიშვნელი საეპიტი „ხი“ 21—22; მუსკები 22; ტაბალი 22, ტიბარნი 23, ჰიბერი, იბერი, ვირქ, იმერი, სპერ, ისპინი, ეგერი, მეგრული 23, გურია 25; მოსსინიკი 24, ჭანიკი, ჭანიკი, ჭანი, სანი ანუ ზანი 25, ლაზიკა 26.

ქართველების თავდაპირველი სამშობლო 26—28.

ცნობები ქართველ ტომების შესახებ: I. ასურელების ცნობები—ტაბალი მე-IX ე საუკ. 28—30, მუსკები მე-XI-ე საუკ. 30, კოლხები 30—31; II. ბერძენ მწერლების ცნობები: 1) ჰეროდოტესი 31, 2) ქსენოფონტეს ცნობები: კარდუსები, ტიბარნი, ხალიბები; მოსსინიკები, კოლხები, დრილები, მაკრონი, სკვითინები 32—33.

შე-IV-ე სუკ. ქართველება გაცალებით უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, ვიდრე შე-XI—VII-ე სუკ. 33—34, კომპირელთა შემოსევა და ქართველების მიწა-წყლის დაპყრობა 34—35, ქართულ ენის კვალი მცირე აზიაში მცხოვრებ ხალხების ენაში 35—36. 3) სტრახანის ცნობები 36—39: ჰემბტაკომეტები — შვიდ სოფელელები 37—39, სკჯდისა — შკჯდისი 38; ქართველების ბინადრობის სივრცის შემცირება 39, კარინისა და ქსერქსინის ხალიბების გასომხება 39, სომეხ-ხალიბები 40. 4) არიანეს ცნობები 40; ქართველი ტომები და ჭანები შე-VI-ე სუკ. ქრ. შ. 40; შე-VIII-ე სუკ. შავი ზღვის სამხრეთი ნაპირი ბიზანტიელებს ეჭირათ 40—41, შე-XII-ე სუკ. ქართველები იპერობენ და ტრანზიზონის სამეფოს აარსებენ 41, ლაზები და ჭანები ესლა 41—42; შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირს მცხოვრებთა ენა უეჭველია ქართული იყო, მეგრულ-ლაზურ-ჭანურ შტოთა 42.

ამიერ-კავკასია 42: კოლხიდა I სუკ. 43, კოლხიდა შე-VI-ე სუკ. 43, კოლხიდის მცხოვრებნი 43—44, კოლხიდის მოსახლეობა 44, კოლხიდა მეგრელებისა იყო 45, გურასა და იმერეთში თავდაპირველად მეგრელები ეოფილან 45, სტეპოგრაფია სსელები 45—46, იმერლები და გურულები გაქართველებული მეგრელები არიან 46; მესხეთი 46; სვანეთი 46, სვან-კოლხები 47; იბერია 47—48, იბერიას სომხებმა მარბები ჩამოაჭრეს 48; ამ მარბების ბედი-იბაღი 49, იბერიის მცხოვრებნი 49—50.

როდის დაბინადრდნენ ქართველები კავკასიაში 50—52, ქვის ხანის დროს კავკასიაში მოსახლეობა არა ეოფილა 52, რა ხანს ეგურენის კავკასიის საარქეოლოგიო ნაშთები 53—54, კავკასიის უძველესი მკვდრნი თავგრძელები ეოფილან 54, ქართველები და სომხები მერე მოსულან კავკასიაში 54, ქართველების უძველესი კვალი კავკასიაში არ უნდა ვეძიოთ 55. ურარტელები 55—56, ვანის წარწერები 56—60. ხეტელები 60—61. უმთავრესი წყაროები 61—62.

**თავი მეორე.** ქართველების უძველესი კულტურა . 63—82.

ქართველების მდგომარეობა XI—VII სუკ. 64; მუსკები 65—60, ტაბალი 66, ტაბალისა და მუსკის მადნეულობის



დახელოვნებული წარმოება 66—69. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირის მცხოვრები ქართველები V—I სსუკ. ქრ. წ. 69—70: ბარელების მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობა 70—71, იმათი თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა 71—72; იქაურ მთიელების ეკონომიური მდგომარეობა 72; მადნეულობის შემუშავება 73; მოსახლეობის წესი 73 ციხე-ქალაქები 73—74; ზნე-ჩვეულებანი 74—75, საომარი და სამხედრო იარაღები 75; ქართველი ტომები დაქვეითებულან 75—66.

კოლხიდა 76—77, ჰენიოხები 77—78, სვანები 78, აღმოსავლეთი საქართველო 78—80; ვის ეკუთვნის კავკასიაში ნაპოვნი უძველესი მადნეულობის იარაღები 80—82. უმთავრესი წყაროები 82.

**თავი მესამე.** ქართველების ეროვნული წარმართობა 83—117  
წინანდელი აზრი ამის შესახებ და მისი დარღვევა 83. ქართულ სახალხო თქმულებებში შერჩენილი უძველეს დროინდელ სარწმუნოებრივ შეხედულობის კვალი: დგთაებათა უფროს-უმცროსობა ქართულ სახალხო ჰაე'ხიაში 84, ქართული თქმულება იესო ქრისტესი, ელია წინასწარმეტყველას და წმ. გიორგის შესახებ 84—86, ამ თქმულების შინაარსის მნიშვნელობა და აზრი 86—89; დმერთის დასურათება ქართლურსა და სვანურს თქმულებებში ქვეყნის შესაქმნის შესახებ 89—91; წმიდა გიორგის ძლიერება, გამოსატული იმერულ თქმულებაში 91, წმ. გიორგის ამგვარივე თვისებები ხვანურ თქმულების თანახმად 92—93 დგთაებათა უფროს-უმცროსობა უკვლავ განხილულ თქმულებათა მიხედვით 93—94; საქართველოში წმ. გიორგის განსაკუთრებითა სცემენ თავსნა 94, მის სახელობაზე მრავალი ეკლესიაა აშენებული 94—96; წმ. გიორგის ქართველების წარმართობის დროინდელ მთავარ დგთაების ადგილი უკავია: თეთრი გიორგობა და მთვარის ხატობა სტრანონის აღწერილობის თანახმად 98—103, მთვარის მსახურების კვალი ფშავ-ხევსურეთში 103—104, ქართლში 104—105, დასავლეთ საქართველოში 105—109; ორშაბათი ეოფილა ქართველების უქმე დღე 110; მთვარე მამრობითი სქესისაა ქართველების შეხედულობის თანახმად

110—111; ვუელჯან, სდაც წინად ქართველები ბინა დრობდნენ, მავარის თაყვანისცემა გავრცელებული უოფილა 111—112. დრუბელთა ბატონი და ღასარეობა 112—114. ქართულ მხათობთა თაყვანისცემის შედარება სხვა ერთა ამგვარსავე სარწმუნოებასთან 115—117, უმთავრესი წყაროები 117.

თავი მეოთხე. ქართველების პოლიტიკური მდგომარეობა XI—I საუკ. ქრ. წ. 118—124.

ბრძოლა ქართველებს და ასურელებს შორის 118, ასურელების გამარჯვება 119—120; ბრძოლა უნარტულებს და ასურელებს შორის 120—121; ქართველების დაუძლეობა და დაქვეითება 122 ახემენელთა ბატონობის ხანა 122—123. ქართველი ტომები მე-IV-ე საუკ. ქრ. წ. დამოუკიდებელი უოფილან 223. ქართველ ტომების მდგომარეობა II—I საუკ. 124. უმთავრესი წყაროები 124.

თავი მესამე. საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I—VII საუკ. ქრ. შ. 125.

რომაელების შემოსევა საქართველოში და გამარჯვება 66 წ. ქრ. წ. მეფე არტაგის დროს 125—127, ღასიების მეფე არისტარხი 127, რომაელების დამკვიდრება იბერიაში 127. იბერიის სხელმწიფო წეს-წესობილება 128—129 ზრთელ-რომაელების რმი სომხეთის გამო, იბერიის მეფე ფარსმანი და მისი ძმა მიჭრდატი მონაწილეობას იღებენ 129—130, ქართველებმა გამარჯვებ 130, მიჭრდატის გამოეება სომხეთში 131, ფარსმან მეფე და მისი შვიდი რადამისტი მიჭრდატის ებრძვიან და სომხეთის დაპყრობა სწადიანთ 132—133, რადამისტი იმარჯვებს 133—134, რადამისტის სიმკაცრე და სომხეთიდან განდევნა 134.

მიჭრდატ ქართველთა მეფისა და რამის სხელმისიფოს მეგობრობა 134, მცხეთის წარწერა 73 წ. ქრ. შ. 134, მავობრული განწესობილება იბერიისა და რამის შორის 114—117 წლებს ში 135, მეგობრული განწესობილება იბერიის მეფის ფარსმანისა და ადრიანე და ანტონინე კეისრებს შორის 135—136.

სასახელთა გვარის გამოეება სპარსეთში 136. სკვითების შემოსევა დასავლეთ საქართველოში 225—260 წ. 137.

იბერიის ეპისკოპოსობა მე-IV-ე სუკ. 137. იბერიის ორად გაყოფა 368 წ. მეფე სურმაგის დროს, თავიანთ ნაწილში სხარსელებმა შეუდგ ასოგური დანიშნეს 138—139; იესიდგერდ II-ის მოქმედება იბერიასა და სომხეთში 140—141.

ლაზიკის მდგომარეობა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ 141—142, ლაზიკის მეფის გუბაზის აჯანყება 456 წელს 142—143.

სხარსელების შემოსევა ამიერკავკასიაში 143, ვასტანგ მეფის ამბოხება სხარსეთის წინააღმდეგ 484 წ. 143—145. ბაზღაგი და მისი მოძღვრება 146. იბერიის ამბოხება სხარსეთის წინააღმდეგ მეფე გურგენის დროს 147—148, 532 წლის „სასუგუნო ზავი“ ბიზანტიელებსა და სხარსელებს შორის 149, მეფობის მოსპობა იბერიაში 532 წელს 149—150.

ბიზანტიელების მოქმედება ლაზიკაში 150—151, ლაზიკის სეპარატიზმი 151, მონაზონია 151—152; ლაზიკის აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ და სხარსელების მოწვევა 152; სხარსელებისა და ბიზანტიელების ბრძოლა ლაზიკის გამო 153, სხარსელების გამარჯვება 154; სხარსელების ვერცხული განზრახვა 154—155, ვერცხობის გამოაპარაგება და მეფე გუბაზის განდგომა სხარსელებისგან 155; ბიზანტიელების მეშველი ჯარი 156—156; სხარსელების თავგამოდებული ბრძოლა ბიზანტიელების წინააღმდეგ 156—157 სხარსელების დამარცხება და ლაზიკიდან განდევნა 549 წელს 157—159. აფხაზების აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ 160, ამბოხების ჩაქრება 166. ბრძოლა ბიზანტიელებსა და სხარსელებს შორის ლაზიკაში 551 წელს 160—163. მეფე გუბაზის მოკვლა 554 წელს 163—164, აღშოთოთებულ ლაზიკის თავბირი ქვეყნის ბედი-ღბ-ღვ 164—169, წათეს გამეფება ლაზიკაში 165—166. მისიმიელების აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ 166; ბიზანტიელებმა ლაზიკაში სხარსელები საშინლად დამარცხეს 554 წელს 166—167. მეფე გუბაზის მკვლელების გასამართლება და დასჯა 167. მისიმიელთა დასჯა 167. ჭანების დამორჩილება ბიზანტიელების მიერ 556 წელს 168. 563 წლის ზავი ბიზანტიელებსა და სხარსელებს შორის 168, სუანეთის მდგომარეობა 168—169. უმთავრესი წყაროები 169—170.

თავი მეექვსე. საქართველოს კულტურა I—VII საუკ. 171—19.

ბრძოლა ორ სსხელმწიფოსა და ორ კულტურას შორის საქართველოში 171, ქართველების მისწრაფება და წადილი 171—172.

ლაზიკის სსხელმწიფო წეს-წეობალება 172—173, მწერლობა და სსხელმწიფო დაფთარსნები 173; ლაზიკის მთ-სსხლება 173, სავაჭრო გზები 173.

იბერიის სივრცე 173—174; ჭერეთის ჭავა 174, იბერიის მთავრობა და მოხელენი 174—176, სკამგეო ოლქები და ერთეულები 176; იბერიის მართვა-გამგეობა სპარსეთის ბატონობის დროს 176; წოდებანი 177—178; მაშინდელი ოჯახობა 178; ქალის უფლებრივი მდგომარეობა 179, ქალების ჩაცმა-დახურვა 179; სსხლა და ბინა 179; სსწოლი იარაღი 180; ჭურის ჭამის წეს-რიგი 180.

სარწმუნოება: 1) ტეცხლთაუჯანისმცემლობა 180-182-, ტეცხლთაუჯანისმცეილობის კვალი ჩვენი ერის თანამედროვე სწიქეულებებში 182-183; 2) ქრისტიანობა 183; ნესტორიანობა 183-184; ქართულ ეკლესიის წეს-წეობილება 184; დუთის მსახურება 184-185; მიტვალებულის დასაფლავების წესი 185; იმდროინდელი ქართული სკელესიო მწერლობა 185-186; მონთეიზიტიობა 186-187, ქართულ და სომხურ ეკლესიათა განსეთქილება 187-188. უმთავრესი წყაროები 189.

ქართულ ერის ისტორია.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი .

თვითოვეულ ერის ისტორია დამყარებულია ხოლმე განსაკუთრებით წერილობითს საბუთებსა და ნაშთებზე; მეცნიერების სხვა დარგები მხოლოდ დამატებითს მასალებს აწვდიან მას; მაგრამ უძველესს ხანაში, როცა ხალხს ჯერ მწერლობა შექმნილი არა აქვს, ისტორია თავის მასალებს მხოლოდ არქეოლოგიასა, ენათმეცნიერებასა და სარწმუნოებათა-მეცნიერებაში ჰპოვებს. ამ შემთხვევაში მათ დამატებითი-კი არა, არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

მართალია, მეცნიერების საბედნიეროდ ზოგჯერ მეზობელ ერების საისტორიო თხზულებებში ცნობები მოსამზღვრე ხალხის შესახებაც აღმოჩნდება ხოლმე და მკვლევარი ამ გვარ ცნობებს ზურგს არ შეაქცევს, მაგრამ მაინც არქეოლოგია, ენათა-მეცნიერება და სარწმუნოებათა მეცნიერება რომ არ ეშველებოდეს, მართა უცხო ერთა ცნობებით ისტორიკოსი რას გახდებოდა.

თვითოვეულ ხალხის ცხოვრების უუძველეს დროიდან ჩვენამდის იარაღისა, ჭურჭლისა და სხვა ამგვარ ნივთების გარდა არაფერს არ მიუღწევია. ეს ნაშთები ჯერ არქეოლოგიამ უნდა ააღაპარაკოს, ხოლო მერე ისტორიკოსსაც შეუძლიან თავისთვის გამოიყენოს. მართალია არქეოლოგიის კვლევის თვისება საისტორიო კვლევა-ძიებისაგან არსებითად განი-რჩევა: არქეოლოგია თავის ცნობებს უსახელო და უბიროვნო ნაშთებზე ამყარებს,—თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ჭურჭლისა და იარაღის სხვადასხვა ახალი ნიმუშები რომელიმე ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანების ნაწარმოები უნდა იყოს, მაგრამ რაკი მეცნიერებას არ შეუძლიან გამოარკვიოს, ვინ იყვნენ სახელდობრ ეს ნიჭით დაჯილდოვებული პირები,

არქეო-  
ლოგია-

თვით საგნებს აქცევს ყურადღებას და მათს წარმატებასა და განვითარებას საზოგადოების განვითარებადა სთვლის, ანუ საზოგადო ნაწარმოებად მიიჩნია.

ვინ მიაგნო პირველად ცეცხლს, ვინ მოიგონა ქვის იარაღის მომზადება, ლითონის შემუშავება, ეს, ყოველთვის და ყველასათვის საიდუმლოდ დარჩება; ხოლო როდის გაიცნეს ადამიანებმა იარაღისა და ჭურჭლის მომზადება, სხვისგან შეიტყუა ამა თუ იმ ერმა, თუ თითონ მოიგონა, არქეოლოგიას ამის გამორკვევა შეუძლიან და ბევრგან გამორკვეული აქვს კიდევ.

ამ უქანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში არქეოლოგიამ ისეთი მტკიცე სამეცნიერო კვლევის მეთოდები შეიმუშავა, რომ მას შეუძლიან ქრონოლოგიურად სწორე, ან შედარებით, ან დაახლოვებით განსაზღვრული, სრულებით სანდო ცნობები მოაწოდოს ხოლმე ისტორიკოსს. მას ბევრჯელ შეუძლიან გამოარკვიოს, ადგილობრივ არის გაკეთებული და გამოგონილი ნივთი, თუ უცხოეთიდან არის შემოტანილი და შეთვისებული. ცხადია, არქეოლოგია ისტორიის უძველეს ხანისათვის მთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს.

მავრამ შემდეგ დროისათვისაც, მაშინაც, როცა წერილობითი საბუთები ბლომად მოიპოვება ხოლმე, ამ მეცნიერების დარგს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებლადაა საჭირო; იმიტომ რომ რაც უნდა უხვი წერილობითი საბუთები გვექონდეს შეკრებილი და ენათმეცნიერებისა და სარწმუნოებათა მეცნიერების ცნობები მხედველობაში იყოს მიღებული, მაინც თვითოეულ ეროვნების ყოფაცხოვრებას ნათლად ვერ წარმოვიდგენთ, თუ კი იმ ერის ნაწარმოებისა და ცხოვრების ნაშთი თვალწინ არ გვექმნება. რაც უნდა იყოს, მაინც ცალიერი სიტყვა საგნის ვითარებას ვერას გზით ვერ დავვისურათებს; როგორც მაგ., სიტყვა „ჯამი“ საკმარისი არ არის, რომ წარმოვიდგინოთ, რანაირი იყო იგი, იმიტომ რომ ჯამი შეიძლება უბრალო თიხისაც იყოს, მინანქრითა და ფერადი წამლებით დასურათებულიც, ან არა და თუჯისა, ან ვერცხლისა ან ოქროსი (ხოლო ამ გარემოებას, თუ რა მასალიდან და როგორ არის გაკეთებული ნივთი, დი-

დი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსისათვის, როცა მას ერის კულტურის შესწავლა ჰსურს),—ამგვარადვე მთელ მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას მხოლოდ მაშინ წარმოვიდგენთ, როცა იმ დროინდელი ნაშთები, ნივთები და საგნები თვალწინ გვექნება და საფუძვლიანად შევისწავლით.

ნივთიერ ნაშთების შემდეგ ერის პირვანდელ ყოფაცხოვრებისა და მის თანდათან განვითარების შესახებ ყველაზე უფრო მეტს ცნობებს ადამიანის ენა და ის მეცნიერება გვაძლევს, რომელიც მას იკვლევს; იმიტომ რომ ენას, რაც უნდა განვითარებული და წარმატებული იყოს იგი, ყოველთვის ისეთი სიტყვები და ანდაზებიც ბლომად შერჩება ხოლმე, რომელიც ეროვნების ცხოვრების უძველესს, თავდაპირველ ხანას ეკუთვნის და მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებასა და აზროვნებას გვიჩვენებს.

ენის აგებულება ერის სულიერ თვისებების შესწავლას გვიადვილებს; ენის ნათესაობა სხვა ენათა ჯგუფთან ერის მონათესავე და მახლობელ ხალხებსა და მათს თავდაპირველ სამშობლოს შესახებ ცნობებს გვაწვდის; უცხოეთიდან შემოტანილ სიტყვების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომელ ხალხთანა ჰქონია ამ ერს დამოკიდებულება, ვისა და რაგვარი გავლენა ჰქონია მასზე; საგეოგრაფიო სახელების შესწავლა ერის თავდაპირველ მოსახლეობის ალაგისა, მის თანდათან მოძრაობისა და გარდიგადმოსახლების შესახებ ცნობებს გვაძლევს; ხოლო სიტყვების მნიშვნელობის დაკვირვება ერის კულტურის წარმატებასა და განვითარებას გვიჩვენებს. მაგალითად, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართულად უძველესს დროს სიტყვა „მღერა“ მარტო ხმით სიმღერას, გალობას კი არ ნიშნავდა, არამედ ცეკვასაც, თამაშობასაც, მაშინ შეგვიძლიან დავასკვნად, რომ ქართველების თავდაპირველი ცეკვა და სიმღერა ერთი-ერთმანეთისაგან განუშორებელი, განუყრელი იყო და მხოლოდ შემდეგ სიმღერა ცეკვას მოშორდა და საკუთარ განვითარების გზას დაადგა; ამგვარადვე სიტყვა „მამასახლისი“-ს სხვა და სხვა მნიშვნელობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს მთელი უძველესი სახელმწიფო წესწყობილება გვარრვნობითს ნიადაგზე აღმოცენებული და სხვა.

ენათ-  
მეცნიერება.



**თქმულე-  
ბათა-მე-  
ცნაობა.**

ერის უძველესს რწმენისა და ღვთაებათა შესახებ თქმუ-  
ლებების შესწავლაში ისტორიას თქმულებათა მეცნიერება  
ეხმარება. ეს ისეთი დარგია, რომ უამისოდ ერის თავდა-  
პირველ ისტორიის წარმოდგენა შეუძლებელია. რანაირი  
უძველესი სარწმუნოებაც უნდა იყოს, ყველას ერთი საზო-  
გადო თვისება აქვს—ყველაში კეთილ და ავ სულების რწმე-  
ნას უმთავრესი აღვლილი უკავია; სარწმუნოება არ მოიძე-  
ბნება, რომელსაც კეთილ და ავ სულების არსებობა ეჭვ-  
მიუტანელ ჭეშმარიტებად არ შიაჩნდეს. ან კი რა გასა-  
კვირველია! განა ადამიანს ძილსა და სიზმარში რომ თა-  
ვის ცოცხალი, ან მკვდარი ნათესავი და ნაცნობი მოეჩვენ-  
ებოდა ხოლმე, არ უნდა ეფიქრა, რომ კაცს ორნაირი არ-  
სება და თვისება უნდა ჰქონდეს: ერთი ხორციელი, ნივთი-  
ერი, მეორე—სულიერი, რომელსაც შეუძლიან სურვილისა-  
მებრ ხორციელ ბუნებას განშორდეს და სხვას მოეჩვენოს.  
რომ ადამიანს ნივთიერ ბუნების გარდა სულიერი არსებაცა  
ჰქონდა, ამის საბუთს ველური ადამიანი ხშირად ხედავდა  
ხოლმე: განა ადამიანის სიკვდილი ამას ცხადად არ ამტკი-  
ცებდა? საკმარისი იყო მომაკვდავს უკანასკნელი სულთქმა  
ამოეშვა, სული განეტევა, რომ მაშინვე წუთისოფელს გამო-  
სალმებოდა, — უძრავი გვამი დარჩენილიყო. ალბად, სწორედ ის  
სული იყო ადამიანის მაცოცხლებელი, რომელიც „სულთ-  
მობრძანება“ სიკვდილის წინ განუტევა; ალბად, ეს ის ადამი-  
ანის სულიერი ბუნებაა; რომელიც სიცოცხლის დროს კაცს  
სიზმარში აჩრდილით მოვლანდებოდა, ასე უნდა ეფიქრა  
ველურ ადამიანს; ამაზე დაწყარებული თვითოველი უძვე-  
ლესი სარწმუნოებაც.

ყოველ სარწმუნოებას, რასაკვირველია, თან ახლავს ხოლ-  
მე სხვა და სხვა თქმულებები ღმერთებისა და მათ მოქმედების  
შესახებ, რომელთაც მითებს ეძახიან. თუმცა თვითეული  
ამგვარი თქმულება ერთ რომელიმე ნიჭით დაჯილდოვებულ  
მგონის შეთხზული იყო ხოლმე, მაგრამ გარდმოცემითა  
და თაობითთაობამდე იმდენად შეცვლილი და გადაკეთე-  
ბული არის ხოლმე, რომ იგი ჩვენთვის სახალხო ნაწარმოე-  
ბია, მთელ ერის შეთხზული. იქ გამოიხატება მთელ ხალხის

რწმენა, აზროვნობა, ზნეობა და საზოგადოებრივი წეს-წყობილება. ამ თქმულებების ხასიათი სხვა-და-სხვა პირობებზეა დამოკიდებული: ჯერ ერთი რომ გარეგან ბუნებას და მის მრავალგვარ მოვლენასა და მეორე თვით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეზე. ცხადია, მაგ., რომ მზე ისეთ ქვეყნის მცხოვრებლებს შეეძლოთ კეთილ ღვთაებად აღეარებინათ და თაყვანი ეცათ, სადაც უმზეოდ საშინელი სიცივე იცის, სადაც მხოლოდ მზის შუქი ათბობს ადამიანს და ყინვისაგან იფარავს, და არა იქ, სადაც მზის პაპანაქება ყველაფერს ხრუკავს და აშრობს; ასეთ ცხელ ქვეყნებში მბრწყინავი მზე ადამიანს მკაცრ, უღმობელ და გულქვა ღვთაებად, ხოლო მთვარე გულკეთილ და ადამიანის მფარველ ღვთაებად უნდა აღეარებინა და გაედმერთებინა, იმიტომ რომ ცხელ ქვეყნებში მხოლოდ მთვარიან ღამეს ისვენებდა სულდგმული მზის საშინელ სიცხოვლისაგან, მხოლოდ მაშინ შეეძლო ადამიანს გრილად და არხინად გზას გასდგომოდა, იმიტომ რომ ადამიანის ცხოვრებას აქ მხოლოდ მთვარე უწყობდა ხელს. ცხადია აგრედვე, რომ წყალს, ვითარცა ბედნიერების მომანიჭებელ ღმერთს, ისეთს ქვეყანაში დაუწყებდნენ თაყვანისცემას, სადაც იგი ნაკლებათ იყო და სადაც მისი თვითოეული წვეთიც კი ძვირფასია, სადაც სიცხისაგან დამაშვრალ ადამიანს წყალი ძალ-ღონეს უბრუნებდა და არა იქ, სადაც წყალი ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ჰხვდებოდა ადამიანს, სადაც იგი უზვად მოიპოვებოდა და ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რასაკვირველია, უბინადრო, მეცხვარეობის მიმყოფი ხალხი თავის ღმერთებსაც მეცხვარის სახით წარმოიდგენდა, ხოლო მეომარ ერის წარმოდგენით ღვთაება სისხლის ღვრისა და ომიანობის მფარველი უნდა იყოს.

თქმულებების ხასიათსა და მიმართულებაზე ზემოაღნიშნულ პირობებს გავლენა, რასაკვირველია, პირვანდელ დროს, მათს შეთხზვის დროსა ჰქონდა. ერთხელ შექმნილ თქმულებას ღვთაების შესახებ მრავალ საუკუნოების განმავლობაში ერთი თაობა მეორე თაობას უნდერძებდა ხოლმე; რასაკვირველია, ამის გამო თვით თქმულებაც შეუმჩნეველად იცვლებოდა, ხან ემატებოდა, ხან აკლდებოდა ხოლმე; დროთა განმავლობაში

თვითოველ ერის ცხოვრების პირობები იცვლებოდნენ ხოლმე: უბინადრო მიწაზე ფეხს მოიკიდებდა, ჯერ მარტო მიწის-მოქმედებას, ჩერე ალებ-მიცემობასაც შეუდგებოდა ხოლმე; ზოგჯერ იგი თავის თავდაპირველ სამშობლოდგან დაიძვრებოდა და სხვა ქვეყანაში გადასახლდებოდა ხოლმე, ისეთ ქვეყანაში, სადაც ბუნებაცა და ცხოვრების პირობებიც სულ სხვანაირი იყო. როცა გადასახლებული ხალხი თავის ახალ მიწა-წყალს შეეჩვეოდა და თავის წინანდელ სამშობლოს დაივიწყებდა, მაშინ მომავალ, ახალ-ახალ თაობისათვის ღვთაებების შესახებ თქმულებებში ბევრი რამ გაუგებარი ხდებოდა და ანის-გამო ხალხი ახალ პირობების მიხედვით თავის ძველ თქმულებებს შეუმჩნევლად სცვლიდა. ამის გარდა, ერი არ მოიპოვებდა დედამიწის ზურგზე, რომელსაც მეზობელ ხალხებთან რაიმე დამოკიდებულება არა ჰქონოდა; ყოველთვის ასე ყოფილა, რომ ერებს ერთი-ერთმანეთზე გავლენა ჰქონიათ; მაგრამ ზოგჯერ ერთი ხალხი მეორეს სჯობნიდა ხოლმე, სხვებზე უფრო ძლიერი იყო მკლავ-იარაღით, თუ შეძლებით, თუ გონება-მახვილობითა და ნიჭით და ამისდაგვარად სხვებზეც მეტი გავლენა ჰქონდა; ეს გავლენა რასაკვირველია ხალხის თქმულებებზედაც კვალს ამჩნევდა ხოლმე: ზოგჯერ ერი მეზობლებთან თქმულებებს ითვისებდა, ან არადა თავის თქმულებებს მეზობლების თქმულებების ზეგავლენით შეუმჩნევლად ამახინჯებდა და ასწავფერებდო ხოლმე.

ამიტომ თვითოველ ხალხის თქმულებების პირვანდელ სახის აღდგენა, თუ არ განსაკუთრებულ სამეცნიერო კვლევების საშუალებით, სხვაფორივ შეუძლებელია. იმისდა-მიხედვით თუ როგორ და რანაირ გარემოების გავლენით იბადებოდა და იცვლებოდა ხოლმე თქმულებები ღვთაებათა შესახებ, თქმულებათა მეცნიერება შემდეგ უმთავრეს გარემოების გამოიკვევას აქცევს ხოლმე ყურადღებას: 1) ადგილობრივია თქმულება, თუ უცხო ხალხისაგან შეთვისებული? შესაძლებელია თქმულება ბევრ სხვა ქვეყნებშიაც იყოს გავრცელებული და ვგრედ წოდებულ „მოარულ“ თქმულებათა ჯგუფს ეკუთვნოდეს, ან მეზობელ ხალხისაგან ყოფილიყოს შეთვისებული; 2) თუ თქმულება ადგილობრივია, ზოგიერთი

მისი ნაწილები ხომ დამახინჯებული არ არის? აქაც შესაძლებელია ზოგიერთი ნაწილები მეზობელ ერების თქმულებებიდან ყოფილიყოს შეთვისებული, ან არადა ცხოვრების პირობების შეცვლისა და შთამომავლობით გარდმოცემის გამო შეუმჩნევლად დამახინჯებულიყოს. მეცნიერება რასაკვირველია თვითოველ ხალხის უძველეს რწმენისა და მითოლოგიის აღდგენასა ცდილობს, და თუმცა ეს ძნელი და რთული საქმეა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც თავის მიზანს პირიანად ასრულებს ხოლმე.

ამ სამ მეცნიერების დარგის დახმარებით მეცნიერს უძველეს ხანის ისტორიის აღდგენა შეუძლიან: იქ სადაც ისტორიკოსს არქეოლოგია უმტყუნებს, ენათმეცნიერება და თქმულებათა მეცნიერება მოეხმარება და ნაკლს ავსებს ხოლმე.



#### შეთავსების წყაროები:

O. Montelius. Die älteren Kulturperioden in Orient und in Europa. Die Methode. 1903.

O. Schrader. Sprachvergleichung und Urgeschichte. Zur geschichte und Methode der linguistisch-historischen Forschung 1906.

Wundt. Uölkerypsychologie II, 1. Theil. Mytus und Religion, 1905.



## თავი პირველი.

ქართველების სამშობლო და უძველესი ბინადრობა.

თუმცა ქართველ ერის უძველეს ისტორიის დაწერა მეტათ ძნელი საქმეა იმიტომ, რომ არც ენათმეცნიერებას, არც სარწმუნოებათა მეცნიერებას, არც არქეოლოგიას ჯერ საკმარისი ცნობები არ მოუწოდებია ისტორიისათვის, — ჩვენი ხალხის წარსული ამ მხრივ ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი, — მაგრამ მაინც შემოაღნიშნულ მეცნიერების სამ დარგის მიერ გამოკვეული მცირეოდენი მასალებიცა და ასურულ, ბერძნულ და რომაულ საისტორიო წყაროების ცნობები ბევრ შემთხვევაში ქართველების ისტორიის უძველეს ხანას სრულებით ახალს და საგულისხმიერო შუქსა ჰყენენ. ამიტომ ისტორიკოსი მოვალეა იმ მცირეოდენითაც, რაც უკვე გამოკვეულია მეცნიერებაში, ისარგებლოს და თავის მიზნისთვის გამოიყენოს.

თვითეულ ერის უფძველეს ხანის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ მონათესაეობას. იყო დრო, როცა ერთა ნათესაობის ერთად ერთ საბუთად მხოლოდ ენა ითვლებოდა: თუ ორი სხვა-დასხვა ხალხი ერთს მონათესაე ენას ლაპარაკობდა, მაშინ მათ მოძმე ერადა სთვლიდნენ ხოლმე. მაგრამ დიდი ხანია უკვე რაც დამტკიცებულია, რომ ბევრჯელ ენათა ნათესაობა ანთროპოლოგიურ მონათესაეობას არ ამტკიცებს; შეიძლება, მაგალითად, რომელიმე ერი ანთროპოლოგიურად მონალოებს ეკუთვნოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში საკუთარი დედა ენა დაევიწყოს და უცხო ენა დედა ენად დააჰტკეოდეს. ამიტომ ეხლა ერის მონათესაეობის გამოსარკვევად მეცნიერება ორგვარ საშუალებასა ხმარობს: ენათმეცნიერულსა და ანთროპოლოგიურს. თუ რომელ ანთროპო-

**ქართული  
და მისი  
მონათესა-  
ვე ენათა  
ჯგუფი.**

ლოგიურ ჯგუფს ეკუთვნიან ქართველები, ამის შესახებ ჰვე-  
მოდ იქნება ლაპარაკი, ეხლა კი ქართულ ენის მონათესავეო-  
ბას უნდა შევეხეთ. რა აზრისა იყო ქართულ ენის აგებუ-  
ლობის შესახებ მე XI-ე საუკ. ქართველი მეცნიერი და ფი-  
ლოლოგი იოანე პეტრიწი, ჩვენ არ ვიცით იმიტომ, რომ  
არც იმისი, არც სხვა ქართველ ლრამატიკოსების თხზულებე-  
ბი ჯერ აღმოჩენილი არ არის; მაინც და მაინც ქართულ  
ენის სხვა ენათა ჯგუფთან მონათესავეობაზე, არა მგონია, იქ  
რაიმე ცნობები ყოფილიყოს იმიტომ, რომ მაშინ შედარები-  
თი ენათა მეცნიერება არ არსებობდა. არც ანტონ კათალი-  
კოზი ეხება ამ საკითხს.

ქართულ ენას ამ მხრივ პირველად ევროპეელმა მეცნიე-  
რებმა მიაქციეს ყურადღება. ბევრი სხვა-და-სხვა აზრი გამო-  
თქმულა ქართულ ენის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ მეცნი-  
ერთა უმეტესს ნაწილს, რომელნიც კი ამ საგანზე სწერდნენ  
ხოლომე, ქართულისა არა გაეგებოდათ რა.

**ქართული  
და ინდო-  
გერმანუ-  
ლი.**

იყო დრო, როცა ზოგიერთი მეცნიერები ამტიციებდ-  
ნენ, ქართული ინდო-გერმანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო.  
ამ აზრისა იყო მაგ. ლეიბნიცი, ბროსე და ფ. ბოპპი (იხ.  
A. Пагарели. О грамматической литературѣ грузин-  
скаго языка; გვ. 67, 69 და 71—73). მაგრამ უკვე ცნო-  
ბილმა ფრანგმა მეცნიერმა ბიურნუფმა აღნიშნა, რომ ეს აზ-  
რი სწორე არ არის (იხ. 69—70); ეხლა ხომ ამ შეხედულო-  
ბას აღარავინ ემხრობა.

**ქართული  
და  
თურანუ-  
ლი.**

სხვები კიდევ ფიქრობდნენ, ვითომც ქართულ ენას თუ-  
რანის ენათა ჯგუფთან რაიმე ნათესავეობა ჰქონდეს. პირვე-  
ლად ეს აზრი მაქსმა მიულერმა გამოსთქვა (იხ. 73). ეხლა  
ამავე აზრს ემხრობა ფრანგი მეცნიერი დე მორგანი (De  
Morgan. Recherches anthropologiques sur les populations primi-  
tives du Caucase); მაგრამ არც ამ შეხედულობას მოუტანი-  
ა რაიმე ნაყოფი.

**ქართული  
განცალ-  
კმევებულ  
ენათა  
ჯგუფს  
ეკუთვნის.**

ამის გარდა ბევრ მკვლევარს ქართულ ენის სხვა ენებ-  
თან შედარება უნაყოფო შრომად მიაჩნდა იმიტომ, რომ  
ისინი ქართულს თავის ენაკილოკავებიითურთ და ზოგიერთ  
„კავკასიურ“ ენებს ერთ განცალკევებულ ენათა ჯგუფად

სთვლიდნენ, რომელსაც არც ერთ სხვა ენათა ჯგუფთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. პირველად ეს აზრი კლავროტმა გამოსთქვა (A. Парбели. О грам. лит. груз. яз. 75); მას მიემხრნენ პოტუი, ლეჰსიუსი, ფრ. მიულერი, ბენფეი და შპიგელი (ib. 75—6); ამავე შეხედულებას ემხრობა აგრედვე აღ. ცაგარელიც (ib. 76—77); ბარ. უსლარმა და ერკერტმა აზრი ქართულისა და სხვა კავკასიურ ენების მონათესაეობის შესახებ უფრო მკაფიოდ გამოსთქვეს.

ამ გვარად შედარებითი ენათმეცნიერების საშუალებით ქართულ ენის ნათესაეობის გამოკვლევის იმედი თითქოს გადიწყვიტეს. მაგრამ ამის მიუხედავად ზოგიერთ მეცნიერებს შედარებისთვის მაინც თავი არ დაუნებებიათ. 1884 წელს ფრიც ჰომმელმა ერთი წერილი დაბეჭდა; სადაც იგი ამტკიცებდა, ვითომც ქართულს განსაკუთრებით ელამიტელთა ენასთანა ჰქონდეს ნათესაობა (Oesterr. Monatschrift für den Orient № 2, Febr. S. 60). შემდეგ მან თავისი აზრი უფრო მეტად გააფართოვა და ამტკიცებდა, რომ ქართულს სუზისა, ელამიტელთა, კოსსეიელთა, ხეტელთა, კაპადუკიელთა და ბასკების ენასთანა აქვს ნათესაეობაო. ყველა ამ ენებს იგი ენათა ერთ ჯგუფადა სთვლიდა და ლენორმანსავეთ „ალაროდელუს“ ეძახის (Zeitschrift für Keilschriftforschung II, s. 330 ff. და Litterat. Centralbl 1890 წ. Spaete 1288 f.) ეს აზრი ამ ბოლოს დროსაც გაიმეორა და ამბობდა, რომ მთელი მცირე აზიისა, მიდიისა, სომხეთისა და ჩრდილოეთ ასურეთის მიწა-წყალი ამ ალაროდელებს ეკირათო (Prof. Dr. F. Hommel, Grundriss d. Geographie u. Geschichte d. alten Orients. 1904 წ. I. § 33, 34).

აზრი ქართულისა და ვანურ ლურსმულ წარწერების ენის მონათესაეობის შესახებ პირველად ფ. ლენორმანმა გამოსთქვა, შემდეგ სეისი და სხვა მეცნიერებიც მიემხრნენ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ხოლო წერილი ქართულისა და ელამიტელთა ენის მონათესაეობის შესახებ პირველად, როგორც აღნიშნული იყო, ფრიცმა ჰომმელმა გამოაქვეყნა. პრ. ფ. ჰომმელის აზრს ბევრნი დაეთანხმენ და თითონაც სხვა და სხვა მხრივ დამამტკიცებელი საბუთებიც მოიყვანეს; მაგა-

**ქართული  
და ელამიტური.**

**ქართული  
ალაროდელუს  
ჯგუფის  
ეკუთვნის**

ლითად ქართულისა — „კავკასიურისა“ და ელამიტელთა ენის ნათესავობის შესახებ შემდეგი წერილებია დაბეჭდილი ჰ. ვინკლერისა *Die sprache der zweiten Kolumne der dreispr. Inschriften u. das Altäische* (Breslau, 1896 წ. ს. 65) გ. ჰიუსინგისა (იხ. *Orientalistische Litteratur-Zeitung*, Sept. s. 385). ფ. ბორკისა *Für elamischen Iteration*“ (იხ. *Orientalistische Litteratur-Zeitung*, 1900 წ. Januar, s. 8—12. და ჰ. ვინკლერისა *Elamisch und Kankasisch*“ (იხ. *Orientalistische Literatur-Zeitung*, 1907 წ. Novem. s. 566—573).

ქართულისა და ფრიგიულის მონათესავობის შესახებ არსებობს გ. ჰიუსინგის „Phrygisches I და II“ (იხ. *Orientalistische Litter.-Zeitung*, 1901 წ. Juni, s. 229—232 და 1902 წ. Novem. s. 422—424) წერილები ქართულისა და მიტანურის მონათესავობის შესახებ დაბეჭდილი აქვს ფ. ბორკს ერთი წერილი „Mitani-Namen aus Nippur“ (იხ. *Orientalistische Litter.-Zeitung* 1906 წ. Novem. s. 588—591) ქართულისა და სუსის ენის ნათესავობას ფ. ჰომმელის გარდა ამ ბოლოს დროს *De Charencey* ამტკიცებს თავის პატარა წერილში *Le pronom de la 1-re personne en Géorgien et en Susien* (იხ. *journal asiatique* 1907 წ. Juillet-août, p. 179—181).

პრ. ჰ. შუ.  
ხარდტის  
აზრი.

მაგრამ უკვე 1895 წელს ჰუგო შუხარდტმა, ერთად ერთმა ევროპიელმა მეცნიერმა, რომელსაც მაშინ ქართული ენა შესწავლილი ჰქონდა, სამართლიანად აღნიშნა, რომ ვისაც ჰსურს ქართული რომელსამე ენას შეადაროს, ქართული მაინც ხეირიანად უნდა იცოდესო, არც ერთს მათგანს-კი, რომელიც ქართული ენისა და ზემოაღნიშნულ ენების შესახებ ლაპარაკობენ, ქართულ ენის არც აგებულება ესმით, არც ის ახსოვთ, რომ ქართულს მრავალ საუკუნოების განმავლობაში მწერლობა ჰქონდა და ამ ენის საუნჯის ცოდნაა საჭირო (იხ. *Über das Georgische*, von Hugo Schuchardt. Wien 1895 წ. §. 6—7).

ამის გარდა ზემოჩამოთვლილი მკვლევარნი ქართულსა და „კავკასიურ“ ენებს ერთი ერთმანეთში დომხალივითა რევენ და თვითან აზრის დასამტკიცებლად ერთი მავალითი ქართუ-



ლიდან მოჰყავთ, მეორე ჩაჩნურიდან, მესამე ავარულიდან, მეოთხე ჩერქეზულიდან და სხვა; ამ გვარად თავიანთ შექმნილ ენას „კავკასიურს“ ეძახიან. მართალია, წინადაც თქმულა და ეხლაც ბევრი საბუთები მოიპოვება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთს ენებს (მაგ. აბხაზურს, ჩერქეზულს, დიდოურს) ქართულთან ნათესაობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ აზრს ჯერ კიდევ მეცნიერულად დამტკიცება უნდა და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ მეცნიერებამ თეორიულად ერთი თავდაპირველი ენა აღადგინოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება „კავკასიურ“-ზე ლაპარაკი. რაკი ზემოდასახელებული მკვლევარნი თავიანთ მოვალეობას ასე ზედპირულად უყურებდნენ, გასაკვირველიც არაფერია, რომ მათ მედგარს ცდას დიდი არაფერი შეუქმნია. თუმცა პროფ. შუხარდტმა სხვა მეცნიერების შედარებას ღირსეული მსჯავრი დასდო და ეკვის თვალთ შეხედდა, მაგრამ მაინც გაკვირებით ქართულ ენის შესახებ თავისი საკუთარი აზრიც გამოსთქვა: „ქართულისა და იბერულის (ესპანიაში) ენის შორის ზოგიერთში მჭიდრო ერთობა არსებობს, ხოლო ბასკური ენაც თვალსაჩინო საბუთების გამოისობით ქამიურ ენათა ჯგუფს დაუკავშირეს: ამიტომ შესაძლებელია ყველა ამ ენებს ერთი ფესო ჰქონდეთო, სთქვა ბატ. შუხარდტმა თავის ზემოაღნიშნულ წერილში (H. Schuchardt. Ueber das Georgische, §. 7.

როგორც ეტყობა პრ. შუხარდტის ამ აზრის ზეგავლენით იტალიელი მეცნიერი ალფრედო ტრომპეტი შესდგომია „კავკასიურისა“ და განსაკუთრებით ქართულ ენის მონათესაეობის გამოკვევას. 1902 წელს მან უკვე იტალიურ საზოგადოების ჟურნალში თავისი პროფ. პ. შუხარდტისადმი მიმართული წერილი დაბეჭდა, Della relazione delle lingue caucasiche con le lingue camitosemitiche e con altri gruppi linguistici. Lettera al Professore H. Schuchardt“ (იხ. Giornale della societa asiatica italiana, vol. guindicesimo e sedicesimo, parte prima). დაწვრილებითმა შედარებამ პროფ. ალფ. ტრომპეტი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: 1) კავკასიურ ენებს ძველ ქვეყნიერების ბევრ ენათა ჯგუფთან ჰქონია

**ქართული  
და სემი-  
ურ-ქამიურ  
ენათა  
ჯგუფი.**

დამოკიდებულება, მაგრამ ყველაზე უძველესი, ღრმა და არსებითი დამოკიდებულება ქამიურ-სემიურ ენებთანაა ჰქონდა, განსაკუთრებით კი აფრიკეთის \*<sup>1</sup>) ენებთანაა. 2) ბასკური თავდაპირველად კავკასიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდა და ყველაზე უფრო აფხაზურ-ჩერქეზულსა და ქართულს ემხრობა“-ო (Giornale della società asiatica italiana 1903 წ. vol. sedicesimo, parte prima. გვ. 146 (28) ).

პროფ. ნიკო მარრის გამოკვლევა, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, გვიჩვენებს, რომ თუმცა იტალიელი მეცნიერი სიმართლეს უახლოვდებოდა, მაგრამ მაინც ქე-შმარიტებას ვერ მიაგნო. ბ. ტრომპეტის ნაკლსაც ქართულ ენის უცოდინარობა შეადგენს, განსაკუთრებით მრავალ საუკუნოების მწერლობის ენისა: მას ქართულ წმინს აგებულობა ვერ გაუგია ხერიიანად და არსებითი შემთხვევით მოვლენისაგან ვერ გაურჩევია. შემდეგ სხვებსავით ისიც „კავკასიურ“ ენებზე ლაპარაკობს და თავისი მგალითები სხვადასხვა ენებიდანა აქვს ამოკრებილი. ისიც უნდა სთქვას კაცმა, რომ ქამიურ ენების ქართულთან შედარება მეცნიერებას შეურყვეველ დასკვნას ვერ შესძენს იმიტომ, რომ თვით ქამიურ ენების აგებულობა საკმაოდ შესწავლილი არ არის, არც საბოლოოდ გადაწყვეტილია ის საკითხი, თუ რა მიზეზზეა დამოკიდებული სემიურ ენათა ჯგუფისა და ქამიურ ენათა ჯგუფის ზოგიერთში მსგავსება, სემიელების ზეგავლენაზე, თუ ენათა-მონათესაეობაზე? ალფ. ტრომპეტის ამას გარდა დიდი შეცდომა მოუვიდა, რომ ქართულისა, ბასკურისა, „კავკასიურისა“ და ქამიურ სემიურ ენების მონათესაეობის დამტკიცება ერთბაშად მოინდომა და ამით ისედაც რთული საგანი უფრო გაართულა, — ასე მოჰხიზლა და გაიტაცა პროფ. ჰ. შუხარდტის გაკვრით ნათქვამმა აზრმა.

დასასრულ პროფ. ნიკო მარრის გამოკვლევის შესახებ.

\*<sup>1</sup>) ასე იწოდება ქართულად „აფრიკა“ უკვე ძველ მწერლობაში.

1886 წელს გაზეთ „ივერიის“ № 86-ში ნ. მარშა დაბეჭდა პატარა წერილი „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ ქართულს სემიურ ენათა ჯგუფთანა აქვს ნათესაობა. ამ პირველ წერილის შემდეგ ნ. მარშს თავის სხვა და სხვა თხზულებებში ხშირად გაუყოფიერებია ეს აზრი და აქაქ ამის დამამტკიცებელი საბუთებიც დაუსახელებია 1899 წელს პროფ. ნ. მარშმა პირველად წაიკითხა უნივერსიტეტში სრულებით დამთავრებული შედარებითი ქართულ-სემიური გრამატიკა, რომელიც შედარებითი ბგერათა-მეცნიერებასა და სიტყვათა წარმოებას შეეცადა, ხოლო გრამატიკის შემდგომ მრავალ ქართულ სიტყვების ფესვებს სემიურ ჯგუფის ენებში თანასწორი და მონათესავე ფესვები მოუძებნა და მათი იგივეობა შედარებითი ბგერათა-კანონებით დამტკიცა. ამ სტრიქონების ავტორი მაშინ ჯერ უნივერსიტეტში იყო და ყველა ეს ლექციები მოსმინა. წრეულს პროფ. ნ. მარშმა უკვე გამოაქვეყნა — „Основные таблицы къ грамматикѣ древне-грузинскаго языка съ предварительнымъ сообщеніемъ о родствѣ грузинскаго языка съ семитическими, 1907 წ., სადაც ავტორს ქართულისა და სემიურ ენათა ჯგუფის მონათესაობის უმთავრესი დამამტკიცებელი საბუთება მოყვანილი აქვს: ქართული ენის ბგერათა კანონები სემიურ ენებისას ემსგავსება და იმათსავით ქართულსაც ყანყრატოსნ ერი ბგერათი უზედ აბადია; სიტყვთა წარმოებაში მონათესაეობა იმითი მტკიცდება, რომ სემიურსავით ქართულმაც ბოლოსართების გარდა თავსართებიც ხშირად იცის; ზმნაში ქართულიც იმგვარსავე ნაცვალსახელების ნიშნებს ხმარობს ხოლმე, რო ორსაც სემიური ენები; მიმღეობაც ქართულში სემიურსავით ორგვარა მოიპოვება; ერთი სიტყვიერ, როგორც სიტყვათა წარმოებაში, ისე ზმნის აგებულობაში ქართულისა და სემიურ ჯგუფს ენათა შორის არსებითი მსგავსება არსებობს. ამ ენების ნათესაობას ფესვების შედარებაც ამტკიცებს; მოვიყვანთ პროფ. ნ. მარშს ზემოაღნიშნულ თხზულებიდან ორიოდ მაგალითს:

სახლი=არაბულს „აჰლუ“ (ოჯახსა ნიშნავს) ებრაულს „ოხელ“ (კარავსა ნიშნავს).

ქართული  
სემიურ  
ენათა მონათესაეობა.  
პროფ. ნ. მარშის აზრი.

სრბა==არაბულს „ჰარაბა“ (გაიქცა). „ჰარაბუ“ (გაქცევა, რბენა).

სრისა==არაბულს „ჰარასა“ (დანაყა, ჭასრისა).

გა-სვარა==არაბულს „გაჰარა“ (გასკარა, გაამტვრიანა).

სმენა==არაბულს „სამიგა“ (ისმენდა, ისმინა), სირიულს „შმაგ“ (იგივე მნიშვნელობა აქვს).

ყოველი, ყველა==არაბულს „კულლუ“ (ყველაფერი), სირიულს, „კულ“ (იგივე მნიშვნელობა აქვს).

ჰური==სირიულს „გაბურ“

მო-უკიდა, იკიდა==არაბულს „ვაკადა“, „იაკიდუ“ (ცეცხლი მოუკიდა).

ბილი-კი, სვლა==არაბულს „სებალუ“ (გზა), სირიულს „შებილ“ (იგივე მნიშვნელობა აქვს).

დანარჩენ მაგალითებს მსურველი თვით პროფ. ნ. მარის თხზულებაში იპოვნის.

ეს ნათესავობა სიტყვების გარეკან მსგავსებაზე კი არ არის დამყარებული, როგორც წინა დროს ხოლმე და როგორც უმეტეს შემთხვევაში ბ. ტრომბეტის იტყევოდა, არამედ ქართულ-სემიურ ბგერათა ცვლილების კანონებზე.

ნ. მარის ზემოდასახელებულ თხზულებაში ჯერ მხოლოდ რამდენიმე ნიმუში აქვს მოყვანილი, მთლად-კი მას 1000-მდე ქართული ძარათაღი ფესო აქვს შესწავლილი და თვითეულთათვის სემიურ ენებში შესაფერისი და თანასწორი ფესო არსებობს; მაშასადამე ნაწარმოებია სიტყვება ხომ ერთი ათადა და ერთი ოცად უფრო მეტი იქნება.

ამგვარად ქართულისა და სემიურ ჯგუფის ენათა ნათესავობა საფუძვლიანად დამტკიცებულია. მაგრამ რაკი ქართულ ენას თავისებური დამახასიათებელი თვისებებაც მოეპოვება, რომელთაც ქართულს სემიურ ენებს აშორებს, აქიტომ პროფ. ნ. მარის ქართულს სემიურ ენად-კი არა სთვლის, არამედ სემიურ ჯგუფის ენათა მონათესავედ; ქართული თავის ენაკალოკავებითურთ, სუზის ენა, ვანის ლურსმულ წარწერების ენა და თავდაპირველი სომხური, ავტორის აზრით, უუძველეს დროს ერთს ერცელს ენათა ჯგუფს შეადგენდნენ. საწყობად ნ. მარის ეს დიდი გამოკვლევა ქართულის ენის აგებულობი-

ბასა და ფესოებს შესახებ, რომელიც ქართულს ენასა და მთელ ქართულ-სემაურს შედარებათს ენათა მეცნიერების ბრწყინვალე მომავალს უქადის, ჯერჯერობათ მაღალ დაბეჭდული არ არას. სასურველია, რომ ავტორმა იგი რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოს. მაგრამ ჩვენ, ქართველებსაც, ვალადა გვდევს, რომ ჩვენ ნიჭიერ თანამემამულეს ბრწყინვალე გამოკვლევა ჩვენვე განვაგრძოთ და ეს საპატიო სამეცნიერო ასპარეზი ჩვენის დედაენის კვლევა-ძაგბისა უცხოელებს არ დაუეთმოთ.

ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდა ქართველი-  
ზყოფს: ერთ შტოს ქართულურად მოსაუბრენი შეადგენენ **ზის სამი**  
(ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი **შტო.**  
იმერლები და გურულები); მეორეს იბერელნი ეკუთვნიან, ანუ  
მეგრელ-ლაზ-ქანები; ხოლო მესამეს სვანები.

ამას გარდა, ვგონებ, აფხაზურიცა, ჩერქეზულიცა და დიდოურიც, იქნებ ზოგიერთი სხვა კავკასიის ენებიც, ქართულ ენის მონათესავედ უნდა ჩაითვალოს და ცალკე მეოთხე შტოს უნდა შეადგენდეს, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი საკმაოდ გამორკვეული არ არას. ქართველების სამ უმთავრეს შტოდ დაყოფა და განაწილება ცხადს ენათმეცნიერების პრინციპზეა დამყარებული; თუმცა ქართულ ენაკილოკავებს ერთგვარი აგებულება აქვთ, მათი სიტყვებისა და ფესოების საუნჯეც ერთნაირია, მაგრამ მაინც ქართულ ენის სამ შტოს კილოკავების სიტყვათა-წარმოების ზოგიერთი კანონები იმდენად განსხვავდებიან, რომ მეცნიერი ბევრს ქართულ სიტყვას ხშირად მარტოდდენ აგებულობის მხრივაც აღვიღად შეატყობს, ქართველების რომელ შტოსის ტომს ეკუთვნის იგი. ხოლო ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის უქველეს ხანის შესწავლისათვის, იმიტომ რომ თვითოეულ შტოს დამახასიათებელ თვისებების ცოდნა მკვლევარს საგეოგრაფიო სახელების (მთებისა, მდინარეებისა, სოფელ-ქალაქების) შესწავლასა და გამოცნობას გაუადვილებს; მეცნიერს შეუძლიან გამოარკვიოს, ქართველების სახელდობრ რომელ შტოსის ტომს უნდა დაერქმია სახელი ამა თუ იმ მთისა, ან მდინარისა, ან არადა დაბა-ქალაქისათვის. ხოლო ამ საშუალებ-

ბით მკვლევარს შეუძლიან ქართველ სხვადა სხვა ტომთა უძველესი ბინადრობის ადგილი გამოარკვიოს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სხვაფორივადაც ქართულ ენის სამ შტოდ დანაწილებასა და თვითოეული შტოს კილოკავების კერძო დამახასიათებელ თვისებების გამოარკვევას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებულ ქართულ მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველ ხალხის უძველეს ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინადაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურსა, ან სვანურს შტოს. ამის გამო ქართულ ენაკილოკავების შესწავლას ჩვენის ერის უძველეს წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ ყოველთვის.

#### მეგრული.

ქართლურთან შედარებით მეგრულ სიტყვათა წარმოებას შემდეგი დამახასიათებელი თვისებები აქვს: იქ, სადაც თავსართი „სა“ იხმარება, მეგრულში ხშირად „ო“-ნი ზის ზოლმე, მაგალითად: საჩიტეს. მეგრელები მჩიტოლს ეძახიან, სართულს—მრთუმელს, სადარაჯოს—მდარაჯუმა (Цагарели. Этимол. II, 13), საცხენეს—მცხენე (პ. ჰარაია), მდ. ენგურის ნაპირას მდებარე სოფელს მკალმახე ჰქვიათ და საკალმახეს უდრის, მტობაჟა (სოფელია)—სატბეს (ტობატბა), მკრიბე—საკრავეს, მჩხამური—სათევზეს (ჩხამი თევზსა ნიშნავს) და სხვა. ადგილი გამოსარჩევია აგრეთვე ყველა საგეოგრაფიო სახელი; რომელთაც ბოლოში საკვეცი „იში“ უზის და არა „ისი“, როგორცა ჩვეულებრივ ქართულშია ხოლმე. ყველა ამგვარ საკვეციანი სიტყვები მეგრელების შეთხუზულია, როგორც, მაგ., ცაიში, ფოკეში, ოდიში და სხვა.

#### სვანური

სვანურ სიტყვათა წარმოებას უფრო თვალსაჩინო და გარკვეული დამახასიათებელი თვისებები აქვს: ადგილის აღმნიშვნელ თავსართად ქართლურ „სა“ და მეგრულ „ო“-ნის მაგიერ „ლა“ იხმარება, მაგალითად: მეგრელს სვანურად

ჰქვია „ზან“, ხოლო სამეგრელოს „ლაზან“; იგივე თავსართი სვანეთის შემდეგ სოფლების სახელებში გვხვდება: ლატალ, ლაისკალდ, ლაშხრახში და ლადრერ — ორივე ეწერის საზოგადოებას ეკუთვნის, ლახოშტ, ლაშხვერი, ლატფარ, ლალხარ, ლენჯერი. მართალია, თავსართა „ლე“ სწორედ კუთვნილების ნიშნად მეგრულშიც იხმარება, მაგ., ლეზაჩილე საბაჩილაფოსა ნიშნავს, ლეზაინდრე — სახაინდრაფოს, ლედგებიე — სადგებუაქეოს, ლაშამულე — საშამულოს (Сагарели, Этюды II, 50), მაგრამ, ვგონებ მეგრულს იგი სვანურიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული. პიროვნების აღმნიშვნელ თავსართად „მუ“ იხმარება, მაგალითად: სვანურად მეგრელს მუშხუ ჰქვიან, სვანს — მუშვან, უშგულელს — მუშგვილ და სხვა. კუთვნილების თავსართად ჩვეულებრივ სვანურში „ლუ“, იხმარება ხოლმე: მაგ., მეგრულს სვანურად ჰქვიან ლუშხუ, სვანურს — ლუშხუ, ოსურს — ლუსუ და სხვა.

ერთი სიტყვით ქართველ ერის სამ უმთავრეს შტოდ დაყოფა მტკიცე ენათმეცნიერების კანონებზეა დამყარებული.

ამ სამ უმთავრეს შტოს მრავალი სხვა და სხვა წვრილი ტომები ეკუთვნოდნენ. ასურულ, ბერძნულ და რომაულ წყაროებიდანა ჩანს, რომ ქართველები უძველეს დროიდანვე მოყოლებული მრავალ ტომებად განაწილებული ყოფილან; თითქმის ყველა ის ტომები, რომელთა სახელები, ქრისტეს შემდეგ საუკუნოებში ქართულ საისტორიო წყაროებიდან ცნობილნი არიან და დღევანდლამდეც არსებობენ, უკვე მრავალ საუკუნოების განმავლობაში ქრისტეს წინადა საისტორიო ასპარეზზე მოქმედობდნენ. ჩვენი ხალხის ხანგრძლივ კულტურულ ცხოვრების დროს ხან ერთი ტომი დაწინაურდებოდა ხოლმე, ხან მეორე, ხან მესამე, თვითოეულს მათგანს ერთ დროს, რასაკვირველია, მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა.

ქართულ ტომების სახელებს ერთი საზოგადო დამახასიათებელი საკვეცი უზით ხოლმე ბოლოში. ეს საკვეცი არის მარცვალი „ნი“, მაგ., კოლხნი, მესხნი, კახნი, ტაოხნი, ჰენოხნი.

იგივე დაბოლოება გვიჩვენებს, რომ „კარლუხი“ და „სომეხი“ — ც ქართველ ტომების სახელებია\*); ამის დამამტკიცებელი

\*) ჩვეულებრივ კარლუხები ქართველის წინაპრებადა და ინდოგერმანელებად მიაჩნიათ (E. Meyer, Geschichte Alterthums, I, 297).

საბუთები სხვაც მოიპოვება. რაკი ქართველ ტომების შესახებ უძველესი ცნობები მხოლოდ უცხო მწერლობაში მოიპოვება, ხოლო ყოველი ერი განსაკუთრებით თავის მოსამზღვრე და მახლობელ ტომს იცნობს ხოლმე, ამიტომ ზოგ ქართველ ტომების სახელები, რომელნიც ასურეთზე უფრო მახლობ- ლადა ცხოვრობდნენ, უკვე უუძველეს დროინდელ ასურულ წყაროებშია მოხსენებული, ზოგ ტომების სახელები კი, — განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირას მოსახლე ტომების სახე- ლები, — მხოლოდ ბერძნების მწერლების თხზულებებში გვხვდე- ბა, მე VI—V საუკ. (ქრ. წ.) მოყოლებული.

**მუსკები.** ყველაზე პირველად ასურულ წყაროებში მესხები, ანუ როგორც მათ ასურელები ეძახდნენ ხოლმე, „მუშკები“, „მუსკები“ არიან მოხსენებულნი. თავის შესანიშნავ წარწე- რაში 1100 წ. ქრ. წ. ტიგლათ-პილესარ I გვიამბობს: „ჩემ მეფობის დროს თავიანთ ძლიერებით მოქადული 20000 მუს- კი და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერც ერთს მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო.“

**ტაბალი.** მეორე ქართველი ტომი „ტაბალი“ პირველად საღმწა- ნასარ II-ეს (860—825 წ.) წარწერაშია მოხსენებული; „ქრონიკონსა მეფობისა ჩვენისასა ოცდამეორესა მეოცდაერ- თჯერ ეფურატი გადავიარე, ჩავედი ტაბალად და ტაბალის 24 მეფისაგან საჩუქრები მივიღეო“, მოგვითხრობს ძლიერი ასურეთის ბატონი. ეს ორი, როგორც ასურულ წყაროები- დანა ჩანს, ძლიერი ქართველი ტომი შემდეგ დროინდელ წარწერებშიაც ხშირად არის ხოლმე მოხსენებული. „მუსკი“ ანუ „მუშკი“ დაბადებაში „მეშხად“ იწოდება (მოსე I, თ. 10,2; ეზეკიელი XXVII, 13; XXX, 26; XXXVIII, 2; XXXIX, 1); ბერძნების ისტორიკოსები-კი მათ მე-VI-ე სა- უკუნიდან მოყოლებული „მოსხებს“ — *Mόσχοι* ეძახიან; ეს სა- ხელი ეხლაც შენახულია და ამ ტომის მცირედს ნაშთს ეხ- ლაც წინანდებურად „მესხები“ ჰქვიან. ამ სახელწოდებას ბოლოში ჩვეულებრივი ქართული ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცი „ხი“ უზის. რომ ყველა ეს სახელები: მუსკი, მოსხი, მუშკი, მეშხი ერთნა და იმავე ქართველ ტომის მესხების საკუთარი სახელია, ეს ისედაც სრულებით ცხადია.



ასურულ წყაროებში ტაბალი და მუსკი ყოველთვის ერთად არიან ხოლმე მოხსენებულნი; დაბადებაშიაც ასე ტყუპად არიან დასახელებული; ხოლო ჰეროდოტეს თხზულებიდანაცა სჩანს, რომ მოსხები და ტიბარენნი მეზობლები ყოფილან (Historia, II, 94); ბერძნული სახელწოდება ტიბარენი ასურულ წარწერების „ტაბალ“-ს, ხოლო დაბადების „ტუბალს“ უდრის; „ენი“ დაბოლოებაა, „ტიბარ“ ფესო არის, ამ ტიბარს, ანუ „თიბარს“ უდრის „ჰიბერ“-ი, რომელიც რომაელების Hiberes-შია შენახული, ანუ „იბერ“ ი; მეგრულში სიტყვის თავში მყოფ „თ“-ანის მოვარდნა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგ. „თის“ მაგიერ „ი“, „თიშ“-ს მაგიერ „ში“, „თენა“-ს მაგიერ „ენა“, „თეფერი“-ს მაგიერ „ეფერი“ და სხვა (Цагарели, Этюды II, 39). უკვე ებრაელი მეცნიერი იოსები ფლავიოსი ამბობდა, რომ „იბერი“ თუბალიდან არის წარმომდგარი; ამავე აზრს იმეორებდა ესტატე ანტიოქელი არქიეპ-სკოპოზი (მე-IV საუკ. პირვ. ნახევარი) და თეოდორიტე კვიპრელი ეპისკოპოზი (მე-IV საუკ.), რომელნიც ამტკიცებდნენ „თუბალი ეხლა იბერად იწოდებაო“ (Латышевъ I, 700 და 773). „იბერი“-საგან არის წარმომდგარი „ივერი, რომლის ნაშთად ქართველების სომხური სახელი „ვირქ“ უნდა ჩაითვალოს, და „იმერი“, იმერელი, იმერეთი. ფორმისაგან „ჰიბერ“ არის წარმომდგარი „ჰპერ“, ხოლო აქედგან „სპერ“, ესე იგი „ჰ“-აე „ს“-ანად, „ბ“-ანი „პ“-არად არის შეცვლილი, მაშასადამე მფშინავი თანახმოვანი მშტინავად, ხოლო ხმიანი ბრჯგულ გადატყულა. სპერის გარდა კიდევ შემდეგი ფორმები არსებობს: ისპირი, რომელიც ბერძნების სახელ „ჰესპირიტის“-შია შენახული, და სისპირითი ბერძნების მწერლების „სესპირიტის“-ს უდრის.

ტიბარენი.

ჰიბერი იბერი.

ვირქ, იმერი. სპერ.

ისპირი.

„ჰბერ“, ანუ „ჰვერ“-მა კიდევ ორგვარი ცვლილება გამოიარა: ჯერ მფშინავი „ჰ“-აე „ბ“-ანად შეიცვალა \*) და წარმოსდგა „გვერ“; სწორედ ამ ფორმისგან არის ნაწარმოები

მგერ, მგერელი.

\*) „ბ“-ანნ „ჰ“-აედ მეგრულში ეხლაც იცვლება, მაგ. ჯგვერ-ჯგვეჰ Цагарели Этюды, II, 39).

მეგრელების სახელი „ეგვერ“, „ევერ“, წინ მხოლოდ თავსართი „მ“-ნი აქვს მიმატებული; იგი შენახულია სომხურად — „ევერ“ „ევერაცი“. ქართულად „ეგრისი“, „მეგრელი“, „მარგალი“, ბერძნულად „მაკრონეს“, „ჰე ეკრეკტიკე ხორა“ (ბტოლომე V, 4). „ეგვერი“-საგანვე წარმოსდგა საქართველოს ერთ კუთხის და მის მცხოვრებლების სახელი „გურია“, „გურული“; მხოლოდ „ვე“ „უ“-ნად არის შეცვლილი. მაშასადამე „ტაბალის“-სა და „თუბალი“-საგან შემდეგი ფორმები წარმომდგარა: ჰიბერი, ივერი, „იბერეს“, ვირქ, იმერი, იმერთი, იმერელი, ევერი, ევერაცი, ჰე ეკრეკტიკე ხორა“, ეგრისი, მეგრელი, „მაკრონეს“ და გურია. მაშასადამე ტაბალი, ანუ თუბალი და იბერი მეგრულ-ლაზურ ჯგუფთა სახელწოდება ყოფილა; რასაკვირველია, აქ უძველეს ხანაზეა ლაპარაკი, ხოლო რა მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგში ასეთ სახელებს, როგორც იბერი, იმერი და გურული, ან არა და სადა მდებარეობდა იბერთი, ანუ იმერეთი, ამაზედ განსაკუთრებით ქვემოდ იქნება ლაპარაკი.

ზემოგანხილულ სახელების გარდა ბერძნულ მწერლობაში კიდევ ერთი სხვა საინტერესო სახელი გვხვდება — „მოსსუნოაკოა“ — მოსსუნკი. ბერძნების სწავლულნი ამ ტომის სახელის მნიშვნელობას თავიანთ დედაენის საშუალებით ხსნიდნენ: პირველი ნახევარი „მოსსუნე“ კოშკსა ნიშნავსო, ხოლო მეორე (ოაკა) მოსახლეს, ვითომც ხის კოშკებში მოსახლე ხალხიო. მაგრამ ბერძნების მეცნიერები სცდებოდნენ<sup>\*)</sup>. მოსსუნკი ბერძნების გადაკეთებული უნდა იყოს და ადგილობრივ იქნებოდა „მასსანიკი“; „მოსსუნკიკა“ და „მასსანიკიკ“ ნამდვილი ქართულ აგებულობის სიტყვაა: თავსართად ჩვეულებრივი თავსართი „მო“ ანუ „მა“ უზის, ბერძნულად შენახული ფორმა რომ ავიღოთ რჩება, „სსუნკი“, ძირითად ფორმად უნდა „სსანიკი“ ჩაითვალოს. ამ სიტყვის ბერძნული მართლ-წერა გვიჩვენებს, რომ აქ არაჩვეულებრივი „ს“-ანი უნდა ყოფი-

<sup>\*)</sup> რომ მოსსუნკი ბერძნული სიტყვა და სახელწოდება არ არის. უნდა იხითაც მტკიცდება, რომ იგი უკვე ასურულ წყაროებშია მოხსენებული (Kiepert, Lehrbuch d. alten Geographie 1877 წ. S. 95). Masnaka „მასნაკა“ Masnaka (Maspero, Histoire ancienne 1905 წ. p. 219).

ლიყო, იმიტომ რომ ერთი „ს“-ანის მაგიერ ორია—„სსკ-ნიკი“. მართლაც ევსტათი თესლონიკელი ამბობს: „მაკრონები (მეგრელები)... მათ ჩვენ ესლა სანებს, ანუ მდაბიურად ტძანებს ვეძახით... სანების ქვეყანასაც ტძანნიკეს უძახიანო“. (Латышевъ I, 208). უკვე პროფ. დესტუნისმა აღნიშნა, რომ ყოველთვის, როცა ბერძნები „ტძ“ ერთადა ხმარობენ, მათ უცხოელების თანახმოვნების „ც“, „ჩ“, „ჯ“ გამოსახვა სურდათო“ (Прокопій Кесарійскій, Исторія воинъ римлянъ съ персами I, 197): ამ შემთხვევაში „ტძ“ ქართულ ბგერას „ქ“ანს უდრის,—მაშასადამე ბერძნული ტძანნიკი ქართულს „ჭანიკ“ს, ჭანეთს უდრის. ეს ფორმა ოსმალეთშიაც შენახულია: ტრაპიზონის ოლქის მესამე მაზრას ეხლაც „ჯანიკ“ს უძახიან (Джидффордъ, об. Извѣст. Кавказ. отд. Географ. Общ. 1881 წ., წიგნი VII, № 1 დამატება, გვ. 19). ამგვარად „სსკნიკი“ „სსანიკი“, უდრის სომხურს „კი“, შასქ, ძასქ, ბერძნულს „ტძანიკ“, ოსმალურს ჯანიკს და ქართულს ჭანეთს. ამ შემთხვევაში საკვეცი ჯე ჩვეულებრივი ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცია ისეთივე, როგორც შემოაღნიშნული „ხი“ არის; რჩება სსანი ანუ ჭანი და სანი. მაშასადამე „მოსსკნიკი“-ს სახელში ჭანების სახელის უძველესი ფორმა ყოფილა შენახული. მაგრამ „სანი“, ანუ „ზანი“-ც არის ჩვენ დრომდღე შერჩენილი. სვანები ესლაცკი მეგრელებს „ზანარს“ უძახიან; „არ“ სვანური მრავლობითი რიცხვის ნიშანი და საკვეცი არის; მაშასადამე წინად მხოლობითი რიცხვი უნდა ყოფილიყო „ზან“; ესლა ამ ფორმას მხოლოდ ქვეყნის მნიშვნელობა აქვს მითვისებული, მაგრამ ძველად სიტყვა „ზანი“ უეჭველია მეგრელსა ნიშნავდა. ეს სურაბონის სიტყვითაც მტკიცდება: იგი ამბობს, რომ ხალდებს და სანებს (ანუ ზანებს) წინად მაკრონებს (ე. ი. მეგრელებს) ეძახდნენო (Strabo, Geographica, lib XII, cap. III, 18), ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრელებს „სანი“, ანუ „ზანი“ ჰრქმევია. თვით სახელი ლაზიკა ლაზნიკას მაგიერ (სრული ფორმა იქნებოდა ლაზანიკა) სწორედ „ზანი“-სა, ანუ „ზანიკი“-საგან უნდა იყოს ნაწარმოები; მხოლოდ თავში სვა-

ჭანიკი,  
ჯანიკი.

ჭანი.

სანი ანუ  
ზანი.

**ლაზიკა.** ნური ქვეყნიერების აღმნიშვნელი თავსართი „ლა“ უზის; მაშასადამე ლაზიკა „საზანოს“ ანუ სამეგრელოსა ნიშნავს; თვით ტომებრივი სახელწოდება „ლაზი“ აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი. ამგვარად ბერძნული „მოსსენიკი“ ადგილობრივ ქართველ ტომის სახელი ყოფილა; ეს ტომი მეგრულ-ლაზთა შტოს ეკუთვნოდა.

გამოკვლევამ მაშასადამე დაგვანახა, რომ ტაბალ-თუბალის მონათესავე ტომიც მასნაკა-მოსსენიკი იმავე შტოს, სახელდობრ მეგრულ-ქანურ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა; მათ შორის მხოლოდ მცირედი განსხვავება იყო: ტაბალი მეგრულ ჯგუფს ეკუთვნის, მასნაკა-მოსსენიკი კიღვე ქანურ ლაზურს.

ქართლურ შტოს მუსკები ანუ მესხები, ტაოხები ანუ ტაოელნი, ჯავახები, კახნი, სომეხნი და ის პატარა ტომები ეკუთვნიან, რომელნიც ეხლა ქართველ მთიულებად ითვლებიან.

სვანურ შტოს წარმომადგენლად ჯერჯერობით მარტო თვით სვანები არიან, მაგრამ ძველად უეჭველია ამ შტოსაც ბევრი სხვა ტომები უნდა ჰკუთვნებოდა. მხოლოდ რაკი ქართული ენაქილოკავეები ჯეროვანად შესწავლილი არ არის, ამიტომ ეხლა მათი კვალისა და ნაშთის აღმოჩენა შეუძლებელია.

**ქართველების თავდაპირველი სამშობლო.**

ამ გვარად საკუთარ სახელების შესწავლამ დაგვანახვა, რომ ვითომც მრავალი სხვა-და-სხვა ქართველ ტომების სახელები სულ რამდენიმე ძირითად სახელისაგან არიან წარმომდგარნი.

ერთი ცხადი და შეურყეველი სამეცნიერო საბუთი, რომლის შესახებაც დაწერილებით ქვემოდ იქნება ლაპარაკი, გვიჩვენებს, რომ კავკასია ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო არა ყოფილა, რომ უუძველეს დროს ქართველებს კავკასიაში არ უცხოვრნიათ. სად იყო ქართველ ერის თავდაპირველი სამშობლო, ამის შესახებ საისტორიო საბუთებში, რასაკვირველია, ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ამ საყურადღებო საგნის გამორკვევას თვით ენა გეშველის. ჩვენის ეროვნების სხვა და სხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უუძველეს

ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შენახული. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „ქართუელი“; „ელი“ სადაურობის ანუ ჩამომავლობის აღმნიშვნელი საკვეცია, როგორც, მაგ, გორელი, თელაველი, ჯიხაიშელი, ოკრიბელი და სხვა; ყველა ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ საკვეცი „ელი“ ქვეყნის ანუ ადგილის სახელს ემატება ხოლმე (გორი, თელავი, ჯიხაიში, ოკრიბა); მაშასადამე სიტყვა „ქართუელის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს. განვიხილოთ ესლა კარდუხების სახელი, რომელთა ქვეყანაშიაც მდ. კინტრიტი, კინტრიშის მოსახლეა, დიოდა. სიტყვა „კარდუხი“-ც ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელ საკვეც „ხი“-თ ბოლოვდება; ამ სიტყვის პირველი ნაწილიც უნდა ქვეყანასა ნიშნავდეს; ავიღოთ, მაგალითად, სახელი ტაოხი, კოლხი; ორივეს რომ საკვეცი მოვაშოროთ, რჩება ტაო—იმ ქვეყნის სახელი, რომელსაც სომხები „ტაიქს“ ეძახდნენ და ქოროხისა და თორთუმის წყლის შორის მდებარეობდა. მაშასადამე ტაოხი უდრის ტაოელ ტაოს. სიტყვა „კოლხი“-საც რომ საკვეცი მოვაცალოთ, დაგვრჩება „კოლ“, იგივე კოლა, იმ ქვეყნის სახელი, საცა მტკვარის სათავეა\*). მაშასადამე ზემომოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სიტყვა „კარდუ“-ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს და „ქართუ“-ს უდრის; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე სიტყვაში მფშინავი თანახმოვანები ზის: „კ“-ანის მაგიერ „ქ“-ანი, ხოლო „დ“-ონის მაგიერ „თ“-ანი. კარდუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთ მეგრულ-ქანურ შტოს ტომის სახელია.\*\*)

ამგვარად დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართლურ-

**ქალაქი**

\*) ქართველ ტომის ხალდების Χαλბაისი სახელი სხვანიარად არის აგებული იხ. ამის შესახებ Н. Марр, Грамматика древне-арм. языка, გვ. 98.

\*\*) რომ კოლ და კოლა ერთი და იგივე არის იქიდანა ჩანს, რომ ჰეკატეს სიტყვით კოლხების ერთ ტომს Καραი კორაქი ერქვა (Πατρυшев I, 2); აქ „ქი“ უდრის საკვეცს „ხი“-ს, სომხურ „ქ“-ანს, რჩება კორა, ანუ კოლა. იგივე ისტორიკოსი ერთს კოლხების ტომს კიდევ იხსენებს, რომლის სახელი ყოფილა Κελα—კოლები; მაშასადამე აქაც ქვეყნის სახელს „კოლა“-ს „ა“-ნი მოკვეცილი აქვს.

შეგორულ შტოს ტომების საკუთარ სახელეუბოში (ქართული, კარდუხი) ერთი-და-იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელ-წოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.

ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაცა აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „კალდე“ ანუ ხალდე ჰქვიათ. ერთი სიტყვით ხალდე, ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს კარდუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის: ტუკლატ-ადარ I-ის 1275 წლის (ქრ. წ.) წარწერაში იგი „ქვეყანა კარდუ“-დ იწოდება (K.B. I, 11) სწორედ ისე, როგორც ამ ქვეყნის სახელი კარდუხების საკუთარ სახელწოდებაშია შენახული.

რასაკვირველია, ქართველებს ქალდეში უფუძველეს დროს უნდა ეცხოვრათ. ჯერჯერობით დაახლოვებითაც-კი ვერ ვიტყვით, როდის ჰქონდათ იქ ქართველებს მოსახლეობა და რა დროს აყრილან იქიდან. ქართველ ტომების სხვადასხვა დროინდელ ბინადრობის ადგილის გამოკვლევა შეიძლება ჯერჯერობით მხოლოდ მე-XI საუკ. (ქრ. წ.) მოყოლებული; ისიც იმიტომ რომ ასურული წყაროები ამ მხრივ ძვირფასს და უხვს ცნობებს გვაძლევენ; ამ მასალების საშუალებით მკვლევარს ადვილად შეუძლიან განსაზღვროს, თუ სადა ცხოვრობდნენ ძველად უმთავრესი ქართველი ტომები. გერმანელმა მეცნიერებმა პ. გელცერმა და ე. შრადერმა ქართულ ისტორიის დიდი სამსახური გაუწიეს მით, რომ ასურულ წყაროებთან ტაბლისა და მუსკების შესახებ ცნობები ამოჰკრიბეს და შეისწავლეს.

**ტაბალი**  
**მე-IX ს.**

ტაბალი და მუსკი, ანუ ტიბარენი და მოსხები, ესე იგი შეგორულ-ქანურ და ქართლურ შტოების ტომები მე XI-VII-ე საუკ. ქრ. წ. გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე მე IV-საუკ. ქრ. წინადა. სალმანასარ II თავის 860—825 წ. (ქრ. წ.) წარწერაში ამბობს, ტაბლის ქვეყანაში მი-

მავალმა ეფვრათი გავიარეო (KB. I, 143); მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეფვრათის იქითა ნაპირას კუმმუხი მდებარეობდა; რაკი ტაბალის სამფლობელო იმავე მდინარის იქითა ნაპირას-იდო, ამიტომ უეჭველია იგი კუმმუხის ცოტა ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო; ამ დასკვნას ჩინებულად სარგონ მეფის-სიტყვებიც აბტკიცებს: ტაბლელებმა რომ ტაბალელ ამრი-თავის მამის ჰვლის ტახტზე დასვეს, მეც იმას ჩემი ქალი მივა-თხოვე და (მზითვად) გავაყოლე კილიკია, რომელიც იმის მამას არას დროს არა სჭერია, და ამით საბძანებელი გავუდიდეო (KB. II. 57). ცხადია, რაკი შესაძლებელი ყოფილა, რომ კილიკია ტაბალის სამფლობელოსათვის მიემატებინათ, აღ-ბათ კილიკია და ტაბალის ქვეყანა ერთმანეთის მოსაზღვრე-ნი ყოფილან; მართლაც მეფე ასარბადონიც ტაბალელებს-კილიკიელების მფობლებადა სთვლის. ამის გამო კილიკია-ტაბალელების ქვეყნის სამხრეთ საზღვრად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად ტაბალის სამფლობელოს აღმოსავლეთით ეფ-ვრათი ჰსაზღვრავდა, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით—კუმმუ-ხი, ხოლო სამხრეთით კილიკია, ანუ, როგორც მას ასურე-ლები ეძახდნენ, ჰილაკუ; ერთი სიტყვით ტაბალეს სწორედ-ის მიწები ეკირათ, რომელსაც შემდეგ დიდ კაბადოკიას ეძა-ხდნენ ხოლმე.

ტაბალის ქვეყანა დიდი უნდა ყოფილიყო: მეფე სალმა-ნასარის სიტყვით მას 21 ტაბალერი მეფე აძლევდა ხარკსა; ამის გამო უეჭველია, რომ ზემოხსენებულ მეფე ამრის სამ-ფლობელო მთელი ქვეყნის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებო-და; იგი სახელდობრ ბიტ-ბურუტას მფლობელი უნდა ყოფი-ლიყო; იმიტომ რომ თუმცა მატიანეებში მეფე ამბარისი ტა-ბალის მეფედ იწოდება, მაგრამ სარგონის ცილინდრის წარ-წერაში მას ბიტ-ბურუტას მეფედა სთვლიან (KB. II, 43), აღ-ბად ბიტბურუტა ტაბალის ერთერთი მთავარი სამფლობელო-იყო. ბიტ-ბურუტას გარდა ასურულ წყაროებში კიდევ ერთ ტაბალის სამთავროს სახელია მოხსენებული. ამ სამთავროს „მილიდლუ“-ს ეძახდნენ და მის დედაქალაქსაც მილიდლუ, ბერძნულად მელიტენე, ერქვა. ამ სამთავროს მეორე დედა-ქალაქს ტულგარიმში ერქვა. რომ იგი ტაბალს ეკუთვნოდა-

ეს სანჰერობის წარწერიდანა ჩანს; იგი თათონვე ამბობს: „ტაბალის ქვეყნის ქალაქი ტულგარიმჟუ ავიღე და მიწასთან გავასწორეო“.

**მუსკები**  
**მე-XI-ს.**

ტიგლათ-პილესარ I-ის 1100 წ. (ქრ. წ.) წარწერიდანა ჩანს, რომ მუსკებს (მესხებს) ბინადრობა კუმმუხის მახლობლად უნდა ჰქონოდათ. მეფე მოგვითხრობს, მუსკები ჩამოვიდნენ და კუმმუხი დაიპყრეს (K.B. I, 19); ხოლო ჩვენ ვიცით, რომ კუმმუხის დასავლეთით, ანუ ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ტაბალის ქვეყანა მდებარეობდა, სამხრეთ-დასავლეთით-კი ჰილოაკუ, ანუ კილიკია. მაშასადამე მუსკების ქვეყანა ტაბალის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო, ალბად სამთავრო მილიდდუს ზევით. ტიგლათ-პილესარ I-ის სიტყვებიდანა ჩანს, რომ მუსკები ძლიერი ხალხი ყოფილა და ვერც ერთ წინანდელ ასურეთის მეფეს მათი დამარცხება ვერ მოუხერხებია, პირიქით, თურმე მესხები იპყრობდნენ ასურეთის მოხარკე ქვეყნებს. ალბად მუსკებს დიდი ადგილი სჭერიათ; მარტო კუმმუხის ასაღებად ხუთი მეფე წამოსულა და თვითოეულ მეფეს რასაკვირველია თავისი საბრძანებელი ექნებოდა. ზოგიერთს მათგანს რაჰდენიმე ქვეყანა სჭერია. სარგონ მეფის (722—705) ხორსადაბადის დიდ წარწერიდანა ჩანს, რომ მარტო ერთს მუსკების მეფეს მიტას სამი ქვეყანა ჰქონია სამფლობელოდ (K.B. წიგნი II, 75, 151); ამ მიტას ბერძნების მწერლები ფრიგიის მეფე მიდასს ეძახდნენ, ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ერთ დროს ფრიგიის მიწა-წყალიც მუსკებს უნდა ჰკუთნებოდათ. თუ მესხებს ამაზე დასავლეთით არ უცხოვრნიათ, მაშინ მუსკების მონაპირე დასავლეთის სამფლობელოდ ფრიგია უნდა ჩაითვალოს.

**კოლხები**

კოლხები, ანუ „კასკები“ (კასკი, კასკაჰა), როგორც მათ ასურელები ეძახდნენ ხოლმე, პირველად ტიგლათ-პილესარ I-ის 1100 წ. წარწერაში არიან მოხსენებულნი; მაგრამ მათ ბინადრობის ადგილის გამორკვევა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება. ტიგლათ-პილესარ III-ის (745—727) მატიანიდანა ჩანს, რომ კასკებს ტაბალის მახლობლად უცხოვრნიათ, სახელდობრ მილიდდუს მეზობლად (K.B. II, 31, 53—53 სტრიქ.); სარგონ მეფის (722—705) ცილინდრის წარწერაში-



კი „კასკუ“ ურარტუსა და ტაბალის შუა აღნიშნული (KB. II, 4 I, 15 სტრიქ.); ამიტომ კასკების ქვეყანა მუსკების და მილიდელუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ უნდა დებულყო; აღმოსავლეთით-კი ურარტუსს ანუ ვანის სამეფო იქნებოდა სამზღვრად, ხოლო სამხრეთით შუაგულ ადგილას ნაირის ქვეყანა იქნებოდა.

ჰეკატეს გარდა ბერძნების მწერლებს შორის ქართველების შესახებ ყველაზე წინად ჰეროდოტეს (484—425 წ.) მოეპოვება ცნობები. სამწუხაროდ მას ქართველ ტომების ბინადრობის სამზღვრები გარკვეულად არა აქვს აღწერილი. ჰეროდოტე ამბობს: სპარსნი ცხოვრობდნენ ვიდრე სამხრეთის ზღვამდე, მეწაშულს რომ ეძახიანო; ხოლო მათ ზევით ჩრდილოეთით მიდელნი ბინადრობენ, მიდელებს ზევით სასპირები, სასპირებს ზევით კიდევ კოლხები იმ ჩრდილოეთ ზღვამდე, რომელსაც მდინარე ფაზისი შეერთვის. ეს ოთხი ხალხი ამ ორ-ზღვას შუა ბინადრობსო (Πατύшев, I, 20). ჰეროდოტეს სიტყვიდანა ჩანს, რომ კოლხებს შავი ზღვის ნაპირას უცხოვრით, იმ ადგილის მიდამოებში, საცა მას ფაზისი შეერთვის; კოლხების სამხრეთით სასპირები ბინადრობდნენ; კოლხებას გვერდითვე უნდა მაკრონებს ანუ მეგრელებს ეცხოვრათ; იმიტომ, რომ ჰეროდოტე მაკრონებს კოლხების მეზობლებადა სთვლის (Historia. II, 104, Πατύшев, 8—9). უეჭველია მაკრონების მახლობლადვე უნდა ჰქონოდათ ბინადრობა მოსხებს, ტიბარენებს და მოსსინიკებს; იმიტომ, რომ მაკრონები და ყველა ეს ტომები ჰეროდოტეს თქმით ერთს (მეცხრამეტე) სპარსეთის საგამგეო ოლქს ეკუთვნოდნენ (ibid III, 94). ჰეროდოტეს ცნობებას დახმარებათ მხოლოდ ასე დაახლოვებით ბუნდოვანად შეიძლება განისაზღვროს ქართველ ტომების ბინადრობის ალავი, მაგრამ ამ ბუნდოვან ცნობებსაც მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ჰეროდოტეს აღწერიდან ცხადადა ჩანს, რომ მე-V-ე საუკუნეში ქრ. წ. მოსხები, ტიბარენები, კოლხები და დანარჩენი ქართველი ტომები შავი ზღვის ნაპირას და ზღვის მახლობლად ბინადრობდნენ. ხოლო ეს გარემოება დიდ ყურადღების ღირსია და ქვემოთ დაწვრილებით განხილული იქნება.

ბერძნების  
მწერლები  
ის ცნობები.

**ქსენო-  
ფონტეს  
ცნობები.**

ჰეროდოტეს შემდეგ ქართველ ტომების მოსახლეობის ვრცელი აღწერილობა ბერძნების ისტორიკოსმა ქსენოფონტემ დაგვიტოვა. 401 წელს ქრ. წ. მან 10000 ბერძენ ჯარის კაციტურთ სწორედ იმ ქვეყნებზე გამოიარა, სედაც ქართველების სხვა და სხვა ტომები ცხოვრობდნენ. მართალია, ქსენოფონტე მხოლოდ იმ ტომებზე ლაპარაკობს, რომელთა ქვეყანაც გავლილი ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი ვრცელსა და ძვირფასს ცნობებს გვაწვდის.

**კარლუსი.**

ყველაზე სამხრეთით კარლუსები ცხოვრობდნენ (*Anabasis III. V, 15*); იმათ ქვეყანაში იღოდა მდ. კინტრიტი\*), რომელიც კარლუსების ქვეყანას სომხებისაგან ჰსაზღვრავდა (*ib. IV, 3*). სხვა ქართველ ტომებს ამ დროს განსაკუთრებით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირები და მისი მოსამზღვრე ადგილები სჭერიათ: ზოგს ზღვის კიდეები ეკუთვნოდა, ზოგს კიდევ მთა-ადგილები. ყველაზე დასავლეთით ტიბარენნი ცხოვრობდნენ; იმათ ის ქვეყანა ეჭირათ, სადაც ქ. კოტიორა იყო. ამ ქალაქის აღმოსავლეთით ორი დღის სავალზე ტიბარენნი ბინდრობდნენ (*ib. V, 5, § 3*), არც დასავლეთისა, არც სამხრეთის სამზღვრები ქრენოფონტეს აღნიშნული არა აქვს. ჩრდილოეთით, რასაკვირველია, შავი ზღვა იყო.

**ციბარენნი.**

ტიბარენების აღმოსავლეთით ხალიბები ცხოვრობდნენ (*ib. V, 5, § 3*); იმათი პატარა ქვეყანა უმეტეს ნაწილად მთიანი იყო და რკინის მადანათ განთქმული (*ib. V, 5, § 1*). ხალიბების აღმოსავლეთით მოსსინიკები ბინდრობდნენ; მოსსინიკების ქვეყნის აღმოსავლეთი სამზღვარი ქ. კოტიორის აღმოსავლეთით 7 დღისა და 8 განდასავალის მანძილზე იღო. დასავლეთის სამზღვარი აღმოსავლეთის სამზღვარს 7 გადასავალით ჰშორავდა; ამგვარად სიგანით მთელი ეს ქვეყანა 8 გადასავალზე მეტი არა ყოფილა. თუმცა ქსენოფონტე სამხრეთის სამზღვარზე არაფერს ამბობს, მაგრამ სიგრძით იგი უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ იგი ორ ნაწილისაგან შესდგებოდა — ერთი ზღვის პირას იღო, მეორეს კიდევ მთიანი ადგილები ეჭირა. მოსსინიკების აღმოსავლეთით კოლხე-

**ხალიბები.**

ტიბარენების აღმოსავლეთით ხალიბები ცხოვრობდნენ (*ib. V, 5, § 3*); იმათი პატარა ქვეყანა უმეტეს ნაწილად მთიანი იყო და რკინის მადანათ განთქმული (*ib. V, 5, § 1*). ხალიბების აღმოსავლეთით მოსსინიკები ბინდრობდნენ; მოსსინიკების ქვეყნის აღმოსავლეთი სამზღვარი ქ. კოტიორის აღმოსავლეთით 7 დღისა და 8 განდასავალის მანძილზე იღო. დასავლეთის სამზღვარი აღმოსავლეთის სამზღვარს 7 გადასავალით ჰშორავდა; ამგვარად სიგანით მთელი ეს ქვეყანა 8 გადასავალზე მეტი არა ყოფილა. თუმცა ქსენოფონტე სამხრეთის სამზღვარზე არაფერს ამბობს, მაგრამ სიგრძით იგი უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ იგი ორ ნაწილისაგან შესდგებოდა — ერთი ზღვის პირას იღო, მეორეს კიდევ მთიანი ადგილები ეჭირა. მოსსინიკების აღმოსავლეთით კოლხე-

**მოსსინიკე-  
ბი.**

ტიბარენების აღმოსავლეთით ხალიბები ცხოვრობდნენ (*ib. V, 5, § 3*); იმათი პატარა ქვეყანა უმეტეს ნაწილად მთიანი იყო და რკინის მადანათ განთქმული (*ib. V, 5, § 1*). ხალიბების აღმოსავლეთით მოსსინიკები ბინდრობდნენ; მოსსინიკების ქვეყნის აღმოსავლეთი სამზღვარი ქ. კოტიორის აღმოსავლეთით 7 დღისა და 8 განდასავალის მანძილზე იღო. დასავლეთის სამზღვარი აღმოსავლეთის სამზღვარს 7 გადასავალით ჰშორავდა; ამგვარად სიგანით მთელი ეს ქვეყანა 8 გადასავალზე მეტი არა ყოფილა. თუმცა ქსენოფონტე სამხრეთის სამზღვარზე არაფერს ამბობს, მაგრამ სიგრძით იგი უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ იგი ორ ნაწილისაგან შესდგებოდა — ერთი ზღვის პირას იღო, მეორეს კიდევ მთიანი ადგილები ეჭირა. მოსსინიკების აღმოსავლეთით კოლხე-

**კოლხე-  
ბი.**

\*) ბერძნული კინტრიტეს უიპველია ქართულ „კინტრიშს“ უდრის.

ბი ცხოვრობდნენ. მათს დასავლეთს სამზღვარს, რასაკვირველია, მოსსინიკების ქვეყანა შეადგენდა. კოლხების ქვეყნის აღმოსავლეთის სამზღვარი ქსენოფონტეს მოხსენებული არა აქვს. ქალაქები ტრაპიზონი და ფარნაკია კოლხების ქვეყანაში იყო (*ibid.* IV, 8, § 22 და V, 3 § 1). კოლხების სამხრეთით დრიღები ცხოვრობდნენ; სამზღვარი ქ. ტრაპიზონისაგან ერთი დღის სავალზე ცოტა მეტზე მდებარეობდა (*ib.* V, 2 § 2). სამხრეთ-აღმოსავლეთით კიდევ მაკრონები ცხოვრობდნენ; სამზღვარი იმავე ქალაქიდან 2 გადასავლისა და 7 პარასანგის მანძილზე ჰშორავდა (*ib.* IV, 22 და IV. § 9). მაკრონებს დაბუზულ ტყით შემოსილი მთიანი ადგილები ეჭირათ. ამ ქვეყნის სამხრეთის სამზღვრად ის მთა ტეხოსი იყო, საიდანაც პირველად ბერძნებმა ზღვა დაინახეს; იგი ჩრდილოეთ სამზღვრიდან სამი დღისა, 3 გადასავლისა და 10 პარასანგის მანძილზე იყო (*ib.* IV, 8, § 1, 8). მაკრონების აღმოსავლეთით სკვთინები ბინადრობდნენ; სამზღვრად ერთი რომელიღაც მდინარე იყო (*ib.* IV, 8, § 1-3). ქსენოფონტეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ ყველა ქართველი ტომები მე-IV ს. გაცილებით უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ, ვიდრე XI-VIII საუკუნოების განმავლობაში: ტიბარენნი, მაგალითად, რომელთაც ტაბალის სახელით კილიკიის ზემოთა ჰქონდათ ბინა და მცირე აზიის შუაგული ადგილი ეკავათ, მე-IV-ე საუკ. შავიზღვის ნაპირას ცხოვრობდნენ; მესხები კიდევ, რომელთაც მუსკების სახელით ასურელ მეფეების დროს ის ადგილები ეჭირათ, შემდეგ რომ პონტოს სამეფოს ეკუთვნოდა, პირველ საუკუნეს ქრ. წ. კოლხიდის, იბერიისა და სომხეთის შორის მდებარეობდა (*Strabo, geographica, XI, cap. II, 18*) დაახლოვებით იმ ადგილას, საცა შემდეგ-დროინდელი სამცხე-საათაბეგო იყო. მართალია, ასურული წყაროები არავითარ ცნობებს არ გვაძლევენ იმის შესახებ, თუ ვინა ცხოვრობდა შავი ზღვის ნაპირას, რქაც ქართველი ტომები ბინადრობდნენ, თუ არა, მაგრამ მაინც ცხადად ჩანს, რომ ქართველებს თავიანთ ბინადრობის ადგილი მოუცვლიათ: იმ ქვეყნებში, რომელიც წინაღ ტაბალებსა და მუსკებს ეჭირათ, მე IV-ე საუკ. უკვე სხვა ერო-

დრიღები.

მაკრონები

სკვთინები.

მე IV-ს ქართველები გაცილებით უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, ვიდრე მე-XI — VII ს.

ენების წარმომადგენელი ცხოვრობდნენ. ტაბაღების ერთი ნაწილი ასურბანიშალის (668-625 ქრ. წ.) და ციცერონის დროს (epist. ad famil. 15,4) მხოლოდ კილიკიის მახლობლად იყო შერჩენილი (სამცილინდრის მატიაე KB, II, 173, 70-77 სტრიქ.). თუ არ იძულებით, უმიზეზოდ ერი თავის მიწაწყალსა და ბინადრობას არას დროს არ მოჰშორდებოდა და უეჭველია, რამე გარეშე მიზეზის გამო უნდა მომხდარიყო. მართლაც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ ასარჰადონ მეფის დროდნ მოყოლებული მცარე აზია თან-და-თან კომმერციელებით აივსო და წალეკილი იყო. ჩრდილოეთიდან მოსული კომმერციელი, ანუ ასურელების გამოთქმით „კომმირაჲ“, ჯერ ლიდეოვებს მიაღწენ და საქმე გაუჭირეს (ასარჰადონის მატიაე KB, II, 174-5, სტრიქ. 95-111), მერე ტაბაღებსა და დანარჩენ ქართველ ტომებს; მთელი ის ადგილი, რომელიც ტაბაღებსა, მუსკებსა და კასკებს ეჭირათ, დაიპყრეს; ქართველ ტომების უმეტესი ნაწილი, როგორც ეტყობა, იძულებული იყო ან დამორჩილებოდა და გადაგვარებულიყო, ან არა და ჩრდილოეთისკენ გაეწია და შავი ზღვის ნაპირას დასახლებულიყო. ამ მიზეზის გამო აღმოიფხვრა ქართველ ტომების სახელი კაპადუკიასა და პონტოში. ეს აზრი პირველად პ. გელცერმა გამოსთქვა და საისტორიო საბუთებითაც დაამტკიცა. მერე ე. შრადერმა მხარი დაუჭირა. შეიძლება, ქართველ ტომებს შავი ზღვის სამხრეთ ნაპირას წინადაც ეცხოვრათ, მაგრამ ქართველების მოსახლეობა კომმერციელთა შემოსევის შემდეგ შავი ზღვის ნაპირას კაპადუკიითა და პონტოთ დაძრულ ქართველებს უნდა გაეძლიერებინათ. საზოგადოდ კი კომმერციელთა შემოსევამ ქართველ ტომებს საშინელი ზარალი მისცა და შესამჩნევად შეამცირა. დაბადების პირველ წიგნისა და ასურულ წყაროების მოწმობით ტაბაღსა და მუსკს (თუბაღსა და მეშებს) ორ ძლიერ ერის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, ეზეკიელ წინასწარმეტყველის დროს-კი ისინი გოგისა და მგოგის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, ხოლო ჰეროდოტესა და განსაკუთრებით ქსენოფონტეს დროს პატარა და უმნიშვნელო ტომებად იყვნენ. ასეთი საშინელი გავლენა ჰქონდა კომმერციელთა და სხვა

კომმერცი-  
ელთა შემ-  
ოსევა.

ინდოგერმანელ ტომების შემოსევას მცირე აზიაში ქართველების ძლიერებასა და ზედიზბალზე.

ის მიწები, რომელიც წინა ქართველ ტომებს ეკუთვნოდათ, მერე სხვა და სხვა ინდოგერმანელ მოდგმის ტომებმა დაიჭირეს და დაისაკუთრეს. ამგვარად კაპადოკიისა და პონტოს, ლიდიისა და ფრიგიის ბერძნების-დროინდელი და ეხლანდელი მცხოვრებნი სამ-ოთხ სხვა და სხვა ერის აღრევისაგან არიან წარმომდგარნი; მათი ენა, რამდენადაც ბერძნულ წყაროებიდანა ჩანს, ნარევი ენაა და მეცნიერს იქ შეუძლიან ბევრი ისეთი სიტყვა იპოვნოს, რომელიც არც ინდოგერმანულს, არც სემიურ ენათა ჯგუფს არ ეკუთვნის; ეს ჩინებულადა აქვს გამოკვლეული ბერძნულ ენის ისტორიის ცნობილ მკვლევარს P. Kretschmer ს (Einleitung in die geschichte der griechischen Sprache, 1896, Kapitel X). მის საინტერესო წიგნში ბევრი საგულისხმეო ცნობებია შეკრებილი ამ ენების შესახებ. რასაკვირველია, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რომელ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდა ამ ენების ძირითადი ნიშაღვი, მეტად ძნელია და მხოლოდ დიდის ხნის დაკვრებებისა და შესწავლის შემდეგ შეიძლება. ჯერ-ჯერობით აქ მხოლოდ ორიოდ იხეთა მაგალითი მომყავს, რომელსაც უნებლიეთ ყურადღება მივაქციე.

მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილას ხალხში უცნაური საკუთარი სახელები ყოფილა გავრცელებული და სწორედ ეს უცნაური სახელები ჩვეულებრივ ქართულ სახელებს საკვირვლადა ჰგვანან, მაგალითად: ბაბა (ფრიგიაში), ბაბოა (ლაოდიკიაში) Βαβα, Βαβῶα; (იხ. P. Kretschmer, Einleitung, 336) შეადარე „ბაბუა“-ს; „მამა“, „მამია“ Μάμα, Μάμια (ლიკონიასა, ლაოდიკიასა და ისავრიაში, ibid. 338-9) შეადარე ქართულს „მამას“-ს და „მამია“-ს; „ნანნო Ναννῶ (კლიკიაში, ib. 342) შეადარე ქართულს „ნანო“-ს; „ნონნე“ Νόννη (ფრიგიასა და ლაოდიკიაში, ib. 343) შეადარე „ნონნე“-ს; „ნინნის“, „ნინნიოს“ Νιννις, Νιννιῶς (ისავრიაში, ib. 343) შეადარე „ნინია“-ს; „დულო“ Δουλῶ (ib. 388) შეადარე დოდო“-ს; „კაკკას“; „კაკკის“ Κάκκας, Κάκκῆς (ისავრიაში და ლიკონიაში, ib. 351) შეადარე „კაკა“, „კა-

ქართული-  
კვალი მცირე  
რე აზიის  
ხალხის  
ენაში.

კის“-ს, ერთს ტაბაღელ მეფეს „კი-აკ-კი“ ერქო (KB. II. 38-9); „ლალა“, „ლალა“-ს *Λάλλα, Λάλλας* (ლიკიაში, ib. 351) შეადარე „ლალა“-ს, ერთს მუსკების მეფესაც *Aalla* მელიდელი ერქვა (KB. I, 143, 171) „სუსუ“ *Σουσου* (ფრიგიასა და ლიკაონიაში, ib. 352) შეადარე „სოსო“-ს; „ტატეს“, „ტატეს“ *Τατης, Τατης* (ლიკიაში, ib. 352) შეადარე „ტატე“-ს; „ტატია“ *Tatia* (ყველაგან მცირე აზიაში, ib. 348, 349). შეადარე „ტატია“-ს; „გვგეს“ *Γυγης*, ასურულად *Gygu* ლიდელ მეფის სახელია (ib. 388), შეადარე „გიგო“-ს; „ზიპოიტეს“- (მცირე აზიის ჩრდილოეთს ნაწილში, ib. 346) შეადარე „ზიპუ“-ს; მართალია, ზოგიერთი ზემოთხსენილი ქართული სახელები, როგორც, მაგალითად, გიგო, ტატე, სოსო ქრისტიანულ გრიგოლის, ესტატეს და იოსების სახელების შემოკლებად ითვლება ხოლმე, მაგრამ, როგორცა ჩანს, ეს სახელები ქრისტიანობის წინადაც ყოფილა ქართველობაში გავრცელებული, მხოლოდ როცა ჩვენ ხალხს ქრისტიანობა მიუღია, მაშინ გარეგან მსგავსების გამო შემოკლებულ სახელებად ჩაუთვლიათ. რასაკვირველია, მართო ეს მასლა არა კმარა, მაგრამ მაინც საყურადღებო მსგავსებაა ქართულსა და იქაურ სახელების შორის და შესაძლებელია ეს ტაბაღ-მუსკების ანუ ქართულ ენის კვალს ეკუთვნოდეს.

ქსენოფონტეს შემდგომ სამ საუკუნის განმავლობაში ბერძნების მწერლობაში ქართველ ტომების შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება. მხოლოდ პირველ საუკუნის დამდეგს ქრისტ. შემდ. სტრაბონმა ასწერა სხვათა შორის ის ქვეყნებიც, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ამ აღწერილობის დახმარებით მკვლევარს შეუძლიან მიხვდეს, რა უნდა მომხდარიყო იმ სამ საუკუნის განმავლობაში. სტრაბონი ძვირფასს და ვრცელს ცნობებს გვაწვდის, საზოგადოდ კავკასიისა, იბერიისა და ალბანიის აღწერა ხომ პირველად მის თხზულებაში გვხვდება და ეს ქვეყნები იმაზე წინად არავის აღწერია. ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ სტრაბონის თხზულებაში შავიზღვის აღმოსავლეთი ნაპირები და ამიერ კავკასია გაცილებით უფრო უკეთესად არის აწერილი,

სტრაბონის ცნობები.

ვიდრე შავი ზღვის სამხრეთი ნაპირებზე; ალბად, ეს ადგილები თითონ სტრაბონს ნანახი არ უნდა ჰქონდეს.

ესლანდელ ხალდებს ძველად ხალვებს ეძახდნენო, ამბობს სტრაბონი, სწორედ იმათ ქვეყანაში ძვეს ფარნაკია, რომელსაც ხმელეთზე მადანის მალაროები აქვს და ზღვაც მის კეთილდღეობას ხელს უწყობსო (Geographica lib. XII, cap. 3, 19). ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზევით ტიბარენნი, ხალდები და ზანები ცხოვრობენო, რომელთაც წინად მაკრონებს ეძახდნენ, ხოლო შემდეგ მცირე სომხეთი მდებარეობსო, სწერს იგივე ავტორი (ib. lib. XII, cap. 3, 18). მაშასადამე ტრაპიზონისა და ფარნაკიის დასავლეთით ჯერ ტიბარენნი ბინადრობდნენ, მერე ხალდები, ანუ ხალიბები და მაკრონები, რომელთაც სტრაბონის დროს ზანებს (ან ქანებს) ეძახდნენ. აღმოსავლეთით ქართველ ტომების მიწებს მცირე სომხეთი ჰსაზღვრავდა; სტრაბონი ამბობს: ფარნაკიისა და ტრაპიზონის მიდამოების ზევით ვიდრე მცირე სომხეთამდე ტიბარენნი და ხალდები ბინადრობდნენო (ib. lib. XII, cap. 3, 28). მაგრამ სტრაბონის თხზულებას ერთ სხვა ადგილიდანა ჩანს, რომ მცირე სომხეთი ქართველ ტომებს მოსახლეობის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრად უნდა ჩაითვალოს. ტიბარენებისა და ხალდების, ფარნაკიისა და ტრაპიზონის მფლობელად ვიდრე კოლხიდანდე პუთოდორა იყოო (ib. lib. XII, cap. 3, 29). ჩვენ ვიცით, რომ კოლხიდა მცირე სომხეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა; ამიტომ კოლხიდა ხალიბების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სამზღვრად, ხოლო მცირე სომხეთი აღმოსავლეთის სამზღვრად უნდა ჩაითვალოს. ჩრდილოეთით ხალდების ქვეყანას შავი ზღვა ჰსაზღვრავდა. ამ ადგილას ნაპირი მეტად ვიწროა, ტყით შემოსილი და მადანით საესე მთები იქვე ზღვას დაჰყურებს, ხოლო სახნავი მიწა ძალიან ცოტააო (ib. lib. XII, cap. 3, 19). ხალიბების ქვეყნის სამხრეთის სამზღვრად ერთი მეტად ციცაბო მთა სკვდისი ითვლებოდა, რომელიც მესხეთის მთებს უერთდებოდა... და წვერზე ჰვებტაკომეტებით არის დასახლებული; მერე მდის პარიადორ სიდენისა და თემისკირიდან მოყოლებული ვიდრე მცირე სომხეთამდე (ib. lib. XII, cap. 3, 18). უკვლა ამ

ქვეყნობები, შვიდ  
სოფლები.

ადგილების მკვიდრნი მეტად ველურები არიანო, ამბობს სტრაბონი, განსაკუთრებით-კი ჰებტაკომეტებიო. ზოგი მათგანი ხის კოშკებში ცხოვრობს; ამის გამო ძველად მათ მოსსვნიკებს ეძახდნენ, რადგან ამგვარ კოშკებს მოსსვნიკებს ეძახებო; ზოგიერთნი ამ ველურებს ვეზირებსაც ეძახიან (ib. lib. XII, cap. 3, 18). მაშასადამე ამ ტომებს სახელად მოსსინიკები რქმევიანო. ხოლო იმაო, რომელნიც სკვდისის მთის მწვერვალზე ბინადრობდნენ, თურმე ჰებტაკომეტებს ეძახდნენ. ცხადია, ეს სიტყვა ხალხის სახელი არ უნდა ყოფილიყო. ბერძნულად იგი „შვიდ სოფლის მცხოვრებლებსა“ ნიშნავს. არსებობდა მართლა ასეთი სახელწოდება თუ არა? უეჭველია არსებობდა. ოცი საუკუნის შემდგომ, ეხლაც-კი შენახულია ეს სახელი. ინგლისის კონსული ბ. ჯიფფორდი თავის ანგარიშში მოგვითხრობს, რომ ტრაპიზონის სანჯაკის (ოლქის) მეორე მაზრას (ნაჰია), რომელსაც სახელად „კურასეზბაა“, ანუ „შვიდი სოფელი“ ჰქვიან, რიზეს მახლობლად, ამ ქვეყნის შუაგულ მთებში მდებარეობსო (იხ, Известія Кавказ. О. Р. Геогр. Общ. 1881 წ., წიგნი VII, დამატება, გვ. 50). „კურა სეზბაა“ იგივე „ჰებტაკომე“ა და შვიდ სოფელსა ნიშნავს; იგი მხოლოდ ამ სიტყვის არაბული თარგმანია (კურა სოფელი, სეზბაა-შვიდი); ხოლო არაბულად იმიტომ არის ნათარგმნი, რომ წინად ოფიციალურ მიწერ-მოწერის დროს ოსმალეთში არაბულ ენას ხმარობდნენ ხოლმე. „კურა სეზბა“ც სწორედ იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ჰებტაკომეტები ცხოვრობდნენ. ცხადია მაშასადამე „კურა სეზბაა“ც და ჰებტაკომე“ც ადგილობრივ სახელის თარგმანი უნდა იყოს. იქნებ იმ მთის სახელში, რომლის მწვერვალზედაც „შვიდსოფელეები“ ცხოვრობდნენ, ადგილობრივი სახელწოდება იყოს კიდევც შენახული; „სკვდისის“ (σ. Σκιδισιός) იქნებ ბერძნულად გარდმოცემული „შკვიდიში“ იყოს, რაც (შკვითი) მეგრულად შვიდსა ნიშნავს; „შ“ინის მაგიერ ბერძნულად „ს“ანი იმიტომა ზის, რომ ბერძნებს ბგერა „შ“ინი არ მოეპოვებათ. თუ ეს სწორე გამოდგა, მაშინ ამ სიტყვის მხოლოდ პირველი ნაწილი ყოფილა შერჩენილი; ხოლო ამ ადგილს „შვიდისოფელი“ს სახელი იმიტომ დაერქმეოდა, რომ მოსახლეობა იქ

შკვდისის  
შკვდიში.



აღბად შეიღ სოფლად ყოფილა დანაწილებული. ეს ჰეპტაკომეტები, ანუ შეიდსოფლები მოსსინიკები, ანუ მეგრულ-ქანურ შტოს წარმომადგენელ ტომის ხალხი ყოფილან.

ქართველების პოლიტიკური და ეროვნული მდგომარეობა შავი ზღვის სამხრეთის ნაპირას სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტეს დაბედებამდე შესამჩნევად შეცვლილა. ის ადგილები, რომელიც წინად კოლხებსა და მოსსინიკებს ეჭირათ, სტრაბონის დროს ხალდების ხელში ყოფილა; მაშასადამე სამ საუკუნის განმავლობაში კოლხები მათ აღმოსავლეთისაკენ, მოსსინიკები კიდევ სამხრეთისაკენ მთებში გაურყენიათ.

ქსენოფონტეს დროსთან შედარებით ქართველების ბინადრობის სივრცე შესამჩნევად შემცირებულა. სტრაბონი მოგვითხრობს: ამბობენ, რომ სომხეთი, რომელიც თავდაპირველად პატარა სამფლობელო იყო, არტაქსიმ და ზარიადრმა გაადიდესო... პირველი რომ სოფენში, აკილისენში და ოდომანტში გამეფდა, ხოლო მეორე არტაშატის (არტაქსატის) მახლობლად, მათ სომხეთი გააფართოვეს და ის მიწები მიუმატეს, რომელიც მეზობელ ერებს ჩამოაჭრესო... ხალიბგბსა და მოსსინიკებს — მცირე სომხეთის მოსამზღვრე კარინი და ქერქსინი, ეხლა ყველა ეს ხალხები ერთ ენას ლაპარაკობენო (Geographica lib. XI, cap. XIV, 5). სტრაბონის სიტყვით, არტაქსიცა და ზარიადრიც ანტიოქოზ დიდის (227—187) სარდლებად ყოფილან და მხოლოდ იმათ ბატონის დამარცხების შემდგომ გამეფებულან. მაშასადამე მათ ხალიბებისა და მოსსინიკებისათვის მხოლოდ 191 ანუ 190 წ. შემდგომ ქრ. წ. ანუ მეორე საუკ. დასაწყისს ქრ. წ. წაურთმევიათ მიწები; ისინი აღბად მცირე სომხეთის მხრით შემოესეოდნენ ხალიბებს და ამ შემოსევის დროს ორი მაზრა ჩამოუცლიათ კიდევ; მაგრამ პოლიტიკურ დაპყრობის გარდა ახალ შემოერთებულ ქვეყნებში სომხეთიდან, როგორც ჩანს, ხალხიც გადასახლებულა: სტრაბონის სიტყვით იმის დროს კარინსა და ქსერქრინაში ხალხი უკვე სომხურსა ლაპარაკობდა; ეტყობა ერთი საუკუნის განმავლობაში ქართული ენა დაჩაგრულა და სომხური გაბატონებულა; მაშასადამე ამ ორ მაზრის მცხოვრებნი სომეხნარევი ხალიბები უნდა ყოფილიყვნენ; ბართლაც პლინიუს სეკუნდუსი ამბობს, რომ იქ

ქართველების ბინადრობის შემცირება.

კარინისა და ქსერქრინის ხალიბების გასომხება.

სომეხ-ხალხობები.

„gens Armenochalybes“ — სომეხ-ხალხობების ტომი მოსახლეობდა (Naturalis Historia, VI, §. 12, Латышев, II, 178) ე. ი. გასომხებული ქანება ყოფილან. იქნებ სწორედ იმ დროს, როცა არტაქსიმ და ზარიადრმა ხალიბებს მიწები ჩამოუქრეს, გადაჩენილ ხალხის ერთი ნაწილი დასავლეთისაკენ გაიხიზნა და ერთის მხრით კოლხებს მიაწვა და ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მისწია. მეორეს მხრით მოსსინიკებს და ისინც სამხრეთისაკენ მთებში მიაგდეს. სტრაბონის ცნობებიდან მაინც ცხადადა ჩანს, რომ შავი ზღვის სამხრეთის ნაპირებზე ქართველ ტომების მოსახლეობა თანდათან შესამჩნევად მცირდებოდა.

არჩიანის ცნობები.

არჩიანის მოწმობით მეორე საუკუნეში ქრ. შ. მთელი ეს ქვეყანა რომის ხელმწიფის ან მჟარველობას, ან არა და ბატონობას ემორჩილებოდა. წვილ-წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებული ქართველი ტომები ზოგი შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი იყო, ზოგს კიდევ იმპერატორის დანიშნული მოხელე განაგებდა (Латышев, I, 219—222). შემდგ ხომ თითქმის ყველანი ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდნენ; ყველას მოუხარეს ქედი იმ ქანებს გარდა, რომელნიც მთა ადგილებში ბინადრობდნენ. მალოდ იმათი სახელი და ისმის საისტორიო თხუხულებებში, მაგრამ ისიც იმიტომ, რომ მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდნენ. პრაკობი კესარიელი მოგვითხრობს, ქანები თავიანთ მაღალ-მთიან ადგილებიდან მინდვრად ჩამოდიან და ბარის მცხოვრებ ბერძნებს სცარცვავენო; კეისარი ყოველ წლავ მათ ოქროს უგზავნის, ეგებ ავით მაინც ჩემი სამფლობელო თავდასხმასა და ტყვევანს ავადცინოო. მაგრამ ქანებს ოქრო მიჰქონდათ, ფიცსაც სდებდნენ ეხლა-კი ხელს არ გახლებთო, დრო-გამომწეებით-კი მაინც ფიცს ივიწყებდნენ და მთელ ზღვის ნაპირას ცარცვა-გლეჯით იკლებდნენ ხოლმე (Bell. Goth. VI, 1; პრ. დესტუნისის რუსული თარგმანი I, 190—196). ქრისტიანობის საშუალებით ბიზანტიელებმა ბევრი ლაზები და ქანები გააბერძნეს და ქართველებს საბოლოოდ მოსწყვიტეს. ჩვენ წყაროებში, თუ არა ვცდები, მხოლოდ სამჯერა გვხვდება ხალიბების სახელი; პირველად ამო თბილელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია:

მე-VIII-ს შავი ზღვის

ქალდია ქ. ტრაპეზუნტიურთ ქრისტიანებით სავსეა და

იონთა, ანუ ბერძნების მეფეთა საბრძანებელს ეკუთვნისო (საეკლესიო მუზ. გამოც. გვ. 19). მეორედ სუმბატის ქრონიკაში, სადაც აღნიშნულია: ბასილი კეისარმა, რომელიც გიორგი მეფეს ებრძოლებოდა, დაიზამთრა ქვეყანასა ხალდიასა \*). მაშლობლად ქალაქსა ტრაპიზონთასა (სამი ისტ. ქრონ. გვ. 69). მაშასადამე მე VIII—XI საუკუნოებშიც ეს ქვეყანა კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრის ხელში ყოფილა. ქართველებმა მხოლოდ მე-XIII ე საუკუნის დასაწყისს ჩაიგდეს მთელი ეს ქვეყანა ხელში; როცა ბიზანტიის კეისარმა ალექსი III (1195-1203) ბერებს თამარ მეფის ნაჩუქარი ოქრო წაართვა, მაშინ თამარმა ანგაარ კეისრის დასასჯელად ჯარი გაგზავნა და „წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამისონი, კერასუნდი, კიტორა (კოტიორას), ამასტია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონიისა და პონტოსანი“ (ქარ. ცხ. ზ. ჭიქინაძის გამოც. გვ. 473). მაგრამ იმის მაგიერად, რომ მრავალ საუკუნოების განმავლობაში ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ლეიძლი ძმები ლაზები და ქანები ქართველობისაკენ მოებრუნებინა და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შეიღოს უბოძა. როცა შემდეგში ეს სამეფო ოსმალებმა დაიპყრეს, მაჰმადიანობამ ლაზებს შორის ფეხი მოიკიდა და გადაგვარებას ხელი შეუწყო. ამისდა მიუხედავად ბევრს მათგანს ებლაც.კი თავისი დედაენა არ დაუკარგავს და ლაზურად ლაპარაკობს. ინგლისის კონსული ე. ჯიფფორდი პალჭერი თავის 1868 წელს ტრაპიზონში დაწერილ მოხსენებაში ამბობს: ტრაპიზონის ვილაეტში, რომელიც შეკვეთილიდან იწყება და ყიზილ ირმაყამდის (ძველი ლალისი) გასტანს, ოფიციალურის ცნობებით 850000-მდე მცხოვრებია, მათ შორის 56000 ქრისტიანია (ორი მესამედი თავს თავს ბერძნებს ეძახის, ხოლო დანარჩენნი სომხები არიან); მაჰმადიანები განსაკუთრებით ლაზები არიან, ხოლო თვით ლაზისტანში ლაზების მეტი არაიენა ცხოვრობს, თერევას კაიმაკანში (ოლქი) ქ. კერასუნ-

საზნეოის ნაპირი ში-  
ყანციე-  
ლებს ეჭი-  
რაო.

XIII. ქარ-  
თველები  
იპეროპენ  
და ტრაპი-  
ზონის სა-  
მეფოს  
აარსებენ.

ლაზები და  
ქანები ეს-  
ლა.

\*) იქ შეკლომით სწერია „ხალდასა“.

ტისაკენ ერთს მახრაში (კაზა) განსაკუთრებით ლაზები ცხოვრობდნენ (Извѣстія Кавказ. отд. Геог. Общ. 1881 წ. წიგნი VII, № 1, დამატება, გვ. 15, 17, 59-60 და 68). ამგვარად თუმცა ლაზურ-ქანურ შტოს ერთმა წილმა დედანა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველ ტომების საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყდა და ამისაგამო საქართველოს მერმინდელ ისტორიისათვის მათ არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია. მე-VII საუკუნიდან ქრ. წ. მოყოლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებისა და მისი მოსამზღვრე ქვეყანაში არას დროს, თამარ მეფის დაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ფეხი არ შეუდგამს და არ მოუკიდნია; მაშასადამე ქართველებს არც შეეძლოთ, რომ აქ თავიანთი ენაკლოკავები რაიმე გზით გაეფრცელებინათ; პირიქით, სპარსების, ბერძნებისა, რომაელებისა, ბიზანტიელებისა, სელჯუკებისა და ოსმალების ზანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა ადგილობრივ მკვიდრთა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დაევიწყნათ. თუ მრავალ უცხოელთა ზანგრძლივ ბატონობის მიუხედავად აქ ზაინც ლაზურ-ქანური დაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი საბუთია და მომასწავებელი, რომ ლაზურ-ქანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსკვიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-ქანურს დაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ.

ამიერ კავ-  
კასია.

შავიზღვის აღმოსავლეთის მხარე და კავკასია, როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, სტრაბონზე ადრე არავის არ აუწერია. ურარტის სამეფოს გარდა, მთელ ამ ქვეყნისა და მცხოვრებთა ვრცელი, დალაგებული აღწერილობა ქრისტეს წინად სრულებით არ მოიპოვებოდა. მაშინდელი ამიერ კავკასია ოთხ უმთავრეს ნაწილად იყო დაყოფილი. შავი ზღვის პირას კოლხიდა მდებარეობდა, მერე იბერია იყო, რომელსაც აღბანია მისდევდა კასპის ზღვამდე, სამხრეთი სომხეთს ექირა. ზემოდ გამოჩვენებული იყო, ოუ სადა

ცხოვრობდნენ კოლხები მე IX—VII ს. და V—IV საუკ. ქრ. წ., სტრაბონის დროსკი, ესეიგი პირველ საუკუნის დამდეგს ქრ. წ. კოლხიდა დიდ სამეფოდ ითვლებოდა და შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები ეპყრა. სტრაბონის თხზულების სხვა და სხვა ცნობების საშუალებით შეიძლება გამოვარკვიოთ, რა სამზღვრები ჰქონდა მაშინ კოლხიდას. „ჰენიოხების იქით, კავკასიისა და მესხეთის მთების შორის, ამბობს შესანიშნავი გეოგრაფი. კოლხიდა მდებარეობსო“ (Geographica lib. XI, cap. 2, 1.) მაშასადამე კოლხიდის ჩრდილოეთ სამზღვრად კავკასიონის უღელტეხილი ყოფილა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მესხების მთები. ეს დასკვნა სტრაბონის მეორე ცნობითაც მტკიცდება. „ზღვის ნაპირი, ამბობს იგი, პიტეუნისა და დიოსკურიადასთანა თედვება; კოლხიდის ეს ადგილიც ხომ აპვე ზღვის ნაპირს ეკუთვნის. დიოსკურიადას მისდევს ზღვისპირას დანარჩენი კოლხიდის მიწები და მისი მოსამზღვრე ტრაპიზონიო“ (ib. lib. XI, cap. II, 14). ქ. ბაქენთან და დიოსკურიდა კოლხიდაში ყოფილა მაშასადამე. ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მებოზლად ტრაპიზონი ჰქონია; ცხადია ეს ქალაქი კოლხიდას არ ჰკუთვნებია. აღმოსავლეთით კოლხიდას იბერია ჰსამზღვრავდა, მიჯნად კოლხიდის ციხე შორაპანი იყო (ib. lib. XI, cap. III, 4.) დასავლეთით ხომ შავიზღვა ერტყა.

კოლხიდა  
I საუკ.

პროკოპი კესარიელის თხუზულებიდანა ჩანს, რომ მე V—VI-ე ქრ. შემდეგაც კოლხიდას, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ ხოლმე ლაზიკას, იგივე სამზღვრები ჰქონია, რაც სტრაბონის დროს: აღმოსავლეთით ისევ შორაპანთან თედვებოდა სამზღვარი (De bello persico II, თავი 29, პრ. დესტუნისის თარგმანის II გვ. 225-6). სამხრეთით კოლხიდის მიჯნა ქ. პეტრასთან იდო და იქვე ბიზანტიის კისრის საბრძანებელი იწყებოდა (ib. II, თავი 29, გვ. 229). ჩრდილოეთის სამზღვარიც იგივე დარჩენილა: პიტეუნი და სებასტოპოლი წინანდებურად ლაზებს ეკუთვნოდათ თურმე (ib. II, თ. 29, გვ. 225).

კოლხიდა  
მე-VI-ს.

სტრაბონის, პლინიუსისა და პტოლომეს თხზულებებში კოლხიდის შემდეგი მდინარეებია მოხსენებული: რიონი,

კოლხიდას  
მცხოვრე-  
ნი.

რომელსაც სტრაბონი ფაზისის ეძახის, პლინიუსი-კი როანს (Rhoan Rhion-ის მაგიერ). ერთსაცა და მეორესაც რიონის სათავე სამხრეთით ჰგონიათ (სტრაბონს სომხეთში Geogr. lib. XI, cap. II, 17; პლინიუსს მესხეთში-პლინიუსი კოროსხსა და რიონს ერთმანერთში რევს, Naturalis historia, lib. VI, § 11) მაგრამ სტრაბონი ერთს ალაგას თავის შეცდომას ასწორებს და ამბობს, ფაზისის იბერიის ზემოდ მდებარე მთებში აქვს სათავეო (Geogr. lib. XI, cap. III, 4). რიონს ერთვის ყვირალა (Γλαυκιδ) და ეხენის წყალი (Ιππος). პლინიუსი ზოფის წყალსაც იხსენიებს, კავკასიის მთებიდან ჩამოდის და სათავე სვანეთში აქვსო (Natur. hist. lib. VI, § 11). სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ფაზისის ზღვაში შესართავთან ამავე სახელის ქალაქი და ნავთსადგური ძევს; მას ერთის მხრით ზღვა აკრავს, მეორეს მხრით მდინარე, მესამე მხრით ტბაო (Geogr. lib. XI, cap. II, 17). აღწერილობა იმდენად ცხადაა, რომ შეუძლებელია იგი ეზლანდელ ფოთად არ აღვიაროთ, რომელსაც პალეოსტომი, რიონი და ზღვა არტყია. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კოლხებს მესხების ერთი რომელიღაც ქვეყანა ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ სამწუხაროდ სახელს არ იხსენიებს (ib. lib. XI, cap. II, 18).

**კოლხიდის  
მოსახლე-  
ობა.**

კოლხიდის მოსახლეობა მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნის და პლინიუსი ამბობს: „ზღვის პირას ჰენიოხები (რომელთაც იგი სანების ანუ ზანების ტომადა სთვლის—gens Sannorum Heniochorum), ამპრეტები (Ampreutae), ლაზები. . და შემდეგ კოლხების ტომები ცხოვრობენო“ (Natur. historia lib. V, § 11). პტოლომეს სიტყვით ზღვის პირას კოლხიდაში ლაზები ცხოვრობდნენ, იმათ ზემოდ მეგრელები (Μαγραισι) და ეგრისში (? Εγραζικαί Χῆρα) მოსახლე ტომებია (Geogr., lib. III, cap. IX, 5). პირველ საუკუნეს ქრ. შემდეგ კოლხიდაში ლაზებისა და მეგრელების ტომები ცხოვრობდნენ; ძველად, როგორც ვიცობა, უპირატესობა და ძალა კოლხების ხელში ყოფილა,--ეს იქიდანა ჩანს, რომ მათ მთელ ამ ქვეყანას თავიანთ ტომის სახელი—კოლხიდა—მიანიჭეს; მერე ლაზები გაძლიერებულან და ამავე ქვეყანას ლაზიკა დაერქვა.

პლინიუსისა და პტოლომეს ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლხიდაში მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს წარმომადგენელი ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას ცოტა არ იყოს ის გარემოება არღვევს, რომ ესლა იმ ადგილებში, სახელდობრ გურიასა და იმერეთში მეგრული-კი არა, ქართულიაგაბატონებული. გურულები და იმერლები მეგრულ-ლაზების მიწაწყლის შიგ შუაგულში არიან შექრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთიერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მთელ კოლხიდის მიწაწყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზებს ეკუთვნოდათ, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელეზის დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ესლა გურულები ცხოვრობენ, წინად მეგრულიდ მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგალითად: ჯიხანჯირი (ჯიხა-ციხე), ჯუმათი, ქყონგვარი [ქყონი-მუხა (რკონ)], მდ. მჩხამური (ოჩხამური), ჩხომი-თევზი, როგორც მკალმახე (А. Чагарели Этюдс, II, 71), მკილაური (ოჩკილაური=საქალაო) ქყვიში, ქყვიშაური, ზანეთი, მდ. გუბაზეული, მდ. კინტრიში, მნკიკეთი და სხვა. ამგვარ სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის ცხადია მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს შეეძლოთ, მაშასადამე ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო გურიაში-კი არა. ესლა ცხენის წყალი მეგრულის აღმოსავლეთის სამხლვრად ითვლება (Чагарели, Этюдс); საგეოგრაფიო სახელებიკი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად: სოფ. ჯიხანიში (ჯიხა=ციხე), ჩენიში, კულაში, ნაჯინხევი (=ნაციხევეს). ქუთაისის ჩრდილოეთითაც მდ. რიონის მიდამოებრც ძველად მეგრელებს უნდა სქვროდათ; იქაც ასეთი საგეოგრაფიო სახელები გვხვდება, როგორც მაგალითად: ჯიმასხარა

კოლხიდა  
მეგრული-  
ბისა იყო.

გურიასა  
და იმერეთ-  
ში თავდა-  
პირველად  
მეგრელები  
ყოფილან.

საგეოგრა-  
ფიო სახე-  
ლები.

(ჯიმა==ძმა), ოფურჩხეთი, ვანკეიში, ტყვიში, ნაკრო-  
 ლაში, გვერიში, სურპუში, კორენიში, ოკრიბა და  
 სხვა. თვით პლინიუსიც ამბობს: რიონი მეგრელების  
 მიწაზე დიოდოროს (Rhion regio Egritice, Natur. hist. lib.  
 VI, § 11, Платушевъ, Извѣстія II, 179) ასე უნდა იყოს,  
 შეცდომით სწერია Rhoan regio Cegritice). საგეოგრაფიო  
 სახელების შესწავლა მაშასადამე უეჭველ ჰყოფს, რომ მთელი  
 ის მიწა-წყალი, რომელიც კოლხიდის სამზღვრებს შუა იყო  
 მოქცეული, თავდაპირველად მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს  
 ტომებს ეკუთვნოდა. ასე იყო, როგორც სჩანს, სტრაბონისა,  
 პლინიუსისა და პტოლემეს თხუზულებებიდან, პირველს ორს  
 საუკუნეში. შემდეგ, — დაახლოვებით დროს განსაზღვრა ჯერ-  
 ჯერობით შეუძლებელია, — ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი,  
 ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ აღმოსავლეთით შიგ.  
 შუაგულში შექრილა და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთ-  
 მანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილების მცხო-  
 ვრებლებს ქართული შეუფიცებიათ. ამისგანაშობილი  
 გურულები და იმერლები გაქართლევებულ მეგრულ-ლაზებად  
 უნდა ჩაეთვალოს.

იმერლები  
 და გურუ-  
 ლები გა-  
 ქართველი  
 ბუდი მე-  
 გრელები-  
 არიან.

იბერიისა და კოლხიდის გარდა მესხეთიც ანუ სამცხეც  
 იყო, მაგრამ პირველ საუკ. ქრ. წ. მათი მიწა-წყალი სტრა-  
 ბონის სიტყვით რამდენიმე ნაწილად იყო დაქუცმაცებული:  
 ერთი კოლხებსა ჰქონდათ დაპყრობილი, მეორე იბერლებს,  
 მესამე კიდე სომხებს (Geogr. lib. XI, cap. II, 18).

კოლხიდის ჩრდილოეთით სვანეთი მდებარეობდა, სვა-  
 ნებს ეპყრათ კავკასიის უღელტეხილი დიოსკურიადისაგან  
 მოყოლებული (ib. eib. XI, cap. 19), აღმოსავლეთისა და  
 სამხრეთის სამზღვრები ბერძნებისა და რომაელების მწერლებს  
 ნაჩვენები არა აქვთ, მაგრამ უეჭველია ძველად სვანები გა-  
 ცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა  
 ცხოვრობენ; პლინიუსი მაგალითად მოგვითხრობს, მდი-  
 ნარე ხობი კავკასიის მთიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის  
 მიწაზე დისო (Flumen Chobum e Caucasum per Suanos  
 fluens, Natur. hist. lib. VI, § 11); ამასვე ამტკიცებს  
 საგეოგრაფიო სახელების დაკვირვებაც, მაგ. ლაჩხუმი, ლე-



ბაჩილედ და სხვა. შემდეგ სვანებს მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ, ისინი-კი კავკასიის უღელტეხილზე მოუშეწყდევიათ; დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ; მათსადამე მეგრელებსა და სვანებს შორისაც ნარევი ტომი უნდა გაჩენილიყო. ამას პტოლომეს ცნობაც ატყობებს; თავის გეოგრაფიაში იგი სვან-კოლხების (Σθαυαυαχῆλα) ტომს ასახელებს (Geogr. lib V, cap. VIII, 25); ამავე ნარევ ტომს სომხების ისტორიკოსი ფაუსტი ბიზანტიელიც იხსენიებს (III, 7).

სვან-კოლხები.

კოლხიდის აღმოსავლეთით სტრაბონისა და პტოლომეს სიტყვით იბერია, ანუ ივერია მდებარეობდა. ჩრდილოეთით კავკასიის უღელტეხელი უდარაჯებდა ამ ქვეყანას. იმიერკავკასიასა და იბერიას ერთიერთმანეთთან ერთი უღელტეხილზე მიშავალი გზა აერთებდა. „ჯერ სამი დღის სავალი საქმელო გზა არისო, ამბობს სტრაბონი, მერე აზაგვის ვიწრო ხეობაზე ერთი კაცისთვის ოთხი დღის სავალი გზაა, რომელსაც ბოლოში ცხენე უდარაჯებსო“ (Geogr. lib. XI, III, 5). ეს გზა ისე ნიშანდობლივ არას აწეჩილა, რომ შეუძლებელია ადამიანი ვერ მიხედეს, რომ სტრაბონს ძველასაშედრო საქართველოს გზა აქვს მხედველობაში. აღმოსავლეთით იბერიას ალბანია ჰსაზღვრავდა; მოიხსენიებენ, როგორც სტრაბონი სწერს, კამბუზენე იყო, იგი ქართულს კამბეზონს უდრის (ვახუშტი, ჯანაშვილის გამოც. 155), ლოლო სომეხის „ქამბეჰან“-ს (VII ს. სომეხ. უსახელო გეოგრაფია პრ. პატკანოვის გამოც. სომხ. ტექსტის გვ. 17). იბერიიდან ალბანიაში მიმავალი გზა უწყალო და უსწორ-მასწორო კამბეზონზე ძვესო (ib. lib. XI, cap. IV, 5). შესაძლებელია ეს ადგილი ეხლანდელა შირაქის მანდრეზა იყოს. კამბეზონს დადი სივრცე ჰქონია და სამადა ყოფილა დანაწილებული: ერთი იბერლებსა სქერაათ, მეორე ალბანელებს, მესამე კიდეც სომხებს. იბერიის აღმოსავლეთის სამზღვარი პლანიუსს უჭრო ნიშანდობლივ აქვს აღნიშნული: მდინარე მტკვრადან მოყოლებული (ავტორი კასპის ზღვიდან იწყებს) მთელ მანდრეზებზე ალბანელები მოსახლეობენ; შემდეგ-კი იბერულნი; ალბანელებსა და იბერელებს მდინარე ალბანნი ჰყოფს, რა-

იბერია.

მელიც კავკასიის მთებიდან ჩამოდის და მდინარე მტკვარს ერთვის“ო, მოგვითხრობს პლინიუსი (Natur. hist. lib. VI, § 26, Латышевъ II, 181, იქ შეცდომით, Planitiem omnem a Cyro usque Albanorum gens tenet mox Hiberum disereta ab his amne Ocazone in Cyrum Caucasiis montibus defluente—Ocazone სწერია Alazone-ს ოკა ზონე ლაზონეს მაგიერ), მაშასადამე იბერიისა და ალბანიის აღმოსავლეთის სამზღვრად მდ. ალაზანი და კამბეჩოანი ყოფილა. სამხრეთ-აღმოსავლეთით სომხეთი ილა; სამხრეთის სამზღვრი არც სტრაბონს, არც პლინიუსს გარკვეულად აღნიშნული არა აქვთ, მხოლოდ პტოლომეს 67° და 44° 40' შორის აქვს ნაჩვენები. სამხრეთ-დასავლეთით მესხების ქვეყანა, კოლხიდის ერთი ნაწილი და მცირე სომხეთი იყო. სტრაბონი ამბობს, მტკვარს სათავე სომხეთში აქვსო (Geogr. lib. IX, cap. III, 2), მაგრამ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მტკვრის სათავე იყო; იქნება ეს ადგილი სამცხის სწორედ იმ ნაწილს ეკუთვნოდეს, რომელიც სტრაბონის სიტყვით სომხებმა დაიპყრეს.

იბერიას  
სომხებმა  
შაზრები  
წამოუჭრეს

იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ იბერიას თავდაპირველად გაცილებით უფრო მეტი ადგილი სჭერია: პარიადრის მთები, ხორძინა და გუგარკი მის ჰყუთნებია. მერე ეს სამივე მაზრა იბერლებს სომხებმა წაართვეს და თავიათი ენა გაავრცელესო (ibid. lib. XI, cap. 14, 5). ეს ამბავი 191 წლის შემდეგ (ქრ. წ.) მომხდარა, ანტიოქოს დიდის დამარცხების შემდეგ, როცა მისმა ორმა სარდალმა არტაქსიმ და ზარიადრმა სომხეთი დაიპყრეს და თავიანთ სამფლობელოს გადიდებას შეუდგნენ. პარიადრის ბედილბლის შესახებ, რამდენადაც ვიცით, არავითარი საისტორიო ცნობები არ მოიპოვება, ხორძინა-კი სომხებს შერჩათ და სომხურ მე-VII-ე საუკუნე გეოგრაფიის სიტყვით მეოთხე სომხეთის ერთ-ერთ მაზრად ითვლებოდა (იხ. პრ. პატკანოვის გამოც. სომხ. ტექს. გვ. 18), ხოლო გუგარკი იბერლებს თავიანთთვის დაუბრუნებიათ; იმავე გეოგრაფიის მოწმობით იგი ქართველებს ეკუთვნოდა. „გუგარკი უტის მახლობლადა დეეს და ცხრა ხეობას შეიცავს, რომელნიც ქართველებს უჭირავთ: ძოროფორი, კოლ-

ამ მაზრების ბედ-იღბმლი.

ფისკევი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, არტანი, ჯავახეთი და კლარჯეთი“ (ibid. გვ. 20), მაგრამ მე-IX-ე საუკუნეში კოლფაქარი და ტაშირი ისევ სომხეთის ხეცებად ითვლებოდნენ (გობრონის ცხოვრება, Раѣ Грүзїи, 394). პლინიუსის სიტყვებიდან მგონი იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ თეზი და თრიალეთი (regio Thasie et Thriarie) პირველ საუკუნეშიც ქრ. შ. იბერეთ ეკუთვნოდა (Natur. his. cap. VI, § 26). მხოლოდ სტრაბონის დროს, როგორც ეტყობა, გუგარკი ისეთი დადი არა ყოფილა და იმდენი ხეობა არ ჰქუთნებია, როგორც შემდეგ.

იბერიის ხალხს სტრაბონი ორ ნაწილად ჰყოფს: ერთს ბარის მცხოვრებნი ეკუთვნოდნენ, მეორეს—მთიელნი; ყოფა-ცხოვრებითაცა და ზნე-ჩვეულებითაც ერთიერთმანერთისაგან ისინი იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ სტრაბონს მთიელები სკვითებისა და სარმატების მონათესავედ, ე. ი. სხვა ეროვნების ჩამომავლობის ტომად მიაჩნია. ბარის მცხოვრებნი მიწის მოქმედებას მისდევდნენ, მთიელნი—კი უფრო ომსა და ნაჟარლობასაო. სანწუხაროდ სტრაბონი არას ამბობს, რა და რა ტომები ბინადრობდნენ მაშინ იბერიაში; პლინიუსი მხოლოდ მთიულებს იხსენიებს (gens Silverun, Natur. his. lib. VI, § 26), მაგრამ მათი ბინადრობა სწორედ ვერა აქვს ნაჩვენები. რასაკვირველია ბარად სხვების გარდა საში უმთავრესი ტომი უნდა ყოფილიყო: კახნი, ქართლელნი, რომელთა ენაც შემდეგ ყველა ქართველ მოდგმის ტომების საზოგადო და სამწერლობო ენად გადიქა, და იბერნი, ანუ იმერნი, რომელთა სატომო სახელით პირველ საუკუნეში ქრ. წ. მთელი ეს ქვეყანა იწოდებოდა. ჩვენ ვიცით რომ იბერელნი, ანუ იმერელნი მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ, მაგრამ შემდეგ, როგორც ზემოთ იყო გამოკვეული. რომელთაც ქართლით შემოსეულმა ტომმა ქართული შეათვისებინა. ცხადია იბერლებს ანუ იმერლებს მეგრელებსა და ქართველებს შორის უნდა ეცხოვრნათ. სწორედ ამ იბერელ ტომს ეკუთვნოდა პირველ საუკუნეში ქრ. წ. და შ. უპირატესობა: მან მიანიჭა თავისი სახელი მთელ ამ ქვეყანას; შესაძლებელია მხოლოდ რომ ეს იბერელნი ამ დროს გაქართველებულნი

იბერიის  
მცხოვრებნი.

არა ყოფილიყვნენ. შემდეგ ქართლელნი გაძლიერდნენ და ყველა თანამომხე ტომების მწერლობისა და ცხოვრების სათავეში ჩადგნენ.

ზემოდ აღნიშნული იყო, რომ კავკასიის მკვიდრთა შესახებ ცნობები პირველ საუკუნეზე წინად თითქმის სრულებით სრ მოიპოვება; განსაკუთრებით იბერიისა და ალბანიის შესახებ ხომ არც ერთს გეოგრაფს კრინტი არ დაუძრავს, ეს გარემოება რასაკვირველია სამეცნიერო კვლევის საგანს მეტად ართულებს და ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხის გამორკვევას აძნელებს. იმთავითვე ქართველები კავკასიაში ცხოვრობდნენ, თუ შემდეგ დროს გადმოსახლდნენ საიდგანმე? აი ერთი ასეთ უმთავრეს საკითხთაგანი. ჰეროდოტეს ცნობებიდანა სჩანს, რომ მე-V-ე საუკუნეში ქრ. წ. კოლხები კავკასიაში ცხოვრობდნენ. მეოტიდის ტბიდან მოყოლებული მდინარე ფასისისა და კოლხების სამფლობელომდე ოცდაათი დღის სავალი გზაა კარგ მოსიარულესთვისაო, ამბობს ოგი (Historia, I, 104). თუნდაც რომ ფაზისი ამ შემთხვევაში ქორხისა ნიშნავდეს, ცხადია მაინც, რომ ჰეროდოტეს დროს კოლხებს შავი ზღვის აღმოსავლეთს ნაზირას უცხოვრიათ.

როდის  
დაბნა-  
დნენ ქარ-  
თველები  
კავკასიაში

ყველა ქართველ ტომების სამშობლო, როგორც ვიცით, ქალღია იყო; მაშასადამე კავკასიაში ქართველები იქიდან უნდა მოსულიყვნენ, ეს რასაკვირველია ისედაც ცხადია; მაგრამ საქმე ისაა, თუ როდის დაიძვრნენ ისინი იქიდან, ან როდის დაბნავდნენ კავკასიაში. იქნებ ქართველები უუძველეს დროსვე წამოსულიყვნენ და კავკასიაში ისეთ დროს დასახლებულიყვნენ, როცა იქ ჯერ სხვა არავინ მოსახლეობდა; მაშინ ქართველები კავკასიის თვუდაპირველი მცხოვრებნი და მკვიდრნი იქნებოდნენ. მაგრამ შესაძლებელია ქართველებს კავკასია უკვე დასახლებულიც დახვედროდათ; მაშინ მათ კავკასიის პირენდელი მკვიდრნი ან უნდა დაემორჩილებინათ და გაექართველებინათ ან არა და კავკასიის ქედს იქით გაერეკნათ. რასაკვირველია მთელი ეს მოძრაობა ისეთ დროს უნდა მომხდარიყო, რომლის შესახებაც საისტორიო საბუთების აღმოჩენა შეუძლებელია; მხოლოდ არქეოლოგიას შეუძლიან ამ ხანის და ზემოაღნიშნულ საკითხის შესახებ ცნობები მოგვაწოდოს.

თუმცა არქეოლოგებს კავკასია ჯერ ძალიან ნაკლებად აქვთ შესწავლილი, მაგრამ ის მცირეოდენიც, რაც უკვე გამოჩვენებულია, ძვირფასს მასალებს გვაძლევს. ერთ დროს კავკასია კაცობრიობის კულტურის აკვნად ითვლებოდა, მაგრამ საარქეოლოგო გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წინანდელი შეხედულება სწორე არ იყო. რაკი კაცობრიობის პრეანდელ ისტორიის შესახებ არავითარი ქრონოლოგიური ცნობები არ მოიპოვება, ამიტომ, როცა მეცნიერს თარღის გამოჩვენება სურს, იგი დაახლოებით ქრონოლოგიით ხელმძღვანელობს. ხოლმე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ხანას ეკუთვნის ნაპოვნი ან აღმოჩენილი ნაშთი. ხანგრძლივმა და მრავალრიცხოვანმა დაკვირვებამ და მთელ ქვეყნიერობის დედამიწის გულიდან ამოთხრილ ნაშთების შესწავლამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ კაცობრიობას დიდ მანძილზე ჰქონდა განვლილი, სანამ იგი იმ საფეხურს მიღწევდა, რომლის შესწავლაც ისტორიულ საბუთების საშუალებით შეიძლება. ყველგან ადამიანი ნელის ნაბიჯით და თანდათანობით მიდიოდა. წარმატების გზით. თავდაპირველად ადამიანს, როგორც ეს საფლავების შესწავლამ აღმოაჩინა, ქვისა და ქვისნატეხებიდან გაკეთებულ იარაღის მეტი არა ებადა რა; მერე მრავალ საუკუნოების შემდგომ კაცობრიობამ ქვის ვასიზა ისწავლა და კარგად გაკეთებულ, გამოყვანილ ქვის იარაღების ხმარება დაიწყო. მეცნიერებაში ამ ორ ხანას ქვის ხანას ეძახიან: პირველს—ქვის უძველესი ხანა ჰქვიან, ანუ ბერძნულად პალეოლითის ხანა (პალეოლს—ძველი, ლითოს—ქვა), ფრანგულად *l'état paléolithique, époque de la pierre taillé*, გერმანულად *die älteste Steinzeit, Paleolithische Periode*, მეორეს გასიზულ ქვის ხანა, ანუ ნეოლითისა, ფრანგ. *époque de la pierre polie*, გერმან. *die jungere Steinzeit, Neolithische Periode*.

ბევრმა კოცა წყალმა ჩაიარა, მრავალმა საუკუნემ განვლო ვიღრე ადამიანი მანდულობის შემუშავებას ისწავლიდა. კაცობრიობის წარმატებისათვის მანდის გამოყენებას დიადი მნიშვნელობა ჰქონდა; ამ გარემოებამ ადამიანის მთელი ყოფა ცხოვრების მიმდინარეობა და თვისება შესცვალა და

კაცობრიობის განვითარება გაადვილა. ყველაზე წინად ადამიანმა თითბრისა და სპილენძის შემუშავება გამოიგონა, მერე ბრინჯაოსი, დასასრულ რკინისა. რკინის აღმოჩენამ კაცობრიობას ბრწყინვალე მომავალი მიანიჭა და აწინდელ საისტორიო კულტურის საძირკველი ჩაუყარა. მთელ ამ ხანას მეცნიერებაში მადნეულობის ხანა ჰქვიათ; ხოლო იმისდა მიხედვით, თუ რომელ მადნის იარაღსა ხმარობდა ადამიანი, პირველს-თითბრისას და სპილენძისას, მეორეს ბრინჯაოს ხანას, უკანასკნელს კიდევ რკინის ხანას ეძახიან.

კავკასიაში  
ქვის ხანის  
დროს მონათეობა  
არა უოფი-  
ლა.

თუმცა კავკასიაში უძველეს ხანის სპილოსი (*Elephas antiquus*) და მამონტის (*Elephas primigenius*) ძვლები აღმოჩნდა, ხოლო ამიერკავკასიაში *Hippopotamus majoris* ნაშთები მოიპოვება და ამით ცხადდა მტკიცდება, რომ სულდგმულებს ამ ქვეყნებში უკვე ყინულის ხანას დროსვე უცხოვრიათ, მაგრამ მაინც ჯერჯერობით მთელ კავკასიაში არც ერთი საყურადღებო და ექვემოტანელი ქვის უძველესისა და გასიპულ ქვის ხანების დროინდელი ნაშთებია ნაპოვნი არ არის. რამდენიმე ქვის იარაღი კავკასიაშიც არის ნაპოვნი, მაგრამ რაკი ეს საგნებია პირდაპირ მიწიდან არ არის ამოთხრილი, ამიტომ მეცნიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მკვლევარს არ შეუძლიან დანამდილებით გაიგოს, მართო ქვის იარაღები იყო იმ საფლავეში, საიდანაც ეს ნივთებია ამოღებული, თუ ბრინჯაოს და რკინის საგნებს შორის ეწყობა. ამ გარემოებას-კი მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დამტკიცებულია, რომ ადამიანი ზოგიერთს იარაღებს ბრინჯაოსა და რკინის ხანას დროსაც ხმარობდა ხოლმე; ზოგ საგნებს ჩვენ დროშიც ეხლაც ვხმარობთ. არც კალზენის (კულბის) ქვის ურობებია დიდ ყურადღების ღირსი, არც ეს ურობები ეკუთვნიან უძველეს დროს. ერთი სიტყვით საარქეოლოგია ნაშთების შესწავლა ამტკიცებს, რომ ქვის ხანას დროს ადამიანს კავკასიაში არ უცხოვრია. როცა იქ ადამიანს პირველად ფეხი შეუდგამს, მას უკვე მადნის შემუშავება სცოდნია. მაშასადამე უძველესი და თავდაპირველი მოსახლეობა კავკასიაში მადნეულობის ხანის დროს გაჩენილა. ამ აზრს მისდევნენ ქვე-

რახანას

ლა მეცნიერები; ხოლო მადნეულობის რომელ ხანას ეკუთვნის სახელდობრ, ბრინჯაოსა თუ რკინის ხანას, ამის შესახებ მეცნიერები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან: ბაერნი ფიქრობს, ამიერკავკასიაში ადამიანი პირველად ბრინჯაოს ხანას, ან ბრინჯაოს ხანა რომ რკინის ხანად იცვლებოდა იმ დროს გაჩნდაო; ამავე აზრს პროფ. ჰიორნესი (Hörnes) და როგორც ეტყობა პროფ. დ. ანუზინიცი ემხრობა. განსვენებული პროფეს. ვირხოვი-კი ამტკიცებდა, კავკასიაში ყველა აღმოჩენილი საარქეოლოგიო ნაშთები მხოლოდ რკინის ხანას დასაწყისს ეკუთვნიანო. რაკი ყველგან სასაფლაოებში, საცა-კი ბრინჯაოს იარაღი დანივთები მრავლად არის ნაპოვნი, ისე არ იქნება, რომ თითო-ორჯო რკინის საგანი მაინც არ შეგვხვდესო,—რიცხვს იმისთანა შემთხვევაში, სამართლიანადა ფიქრობს პრ. ვირხოვი, დიდი და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ რკინა მიწაში წყლისა და სინეტისაგან ადვილად ჟანგდება, იშლება და მტკრად იქცევა ხოლმეო,—ამიტომ უეჭველია რომ კავკასიის უუძველესი მოსახლეობა რკინის ხანას ეკუთვნისო. თუნდაც რომ თითოეულ საფლაოში თითო რკინის ნივთის მეტი არ აღმოჩენილიყო, მაინც ცხადია, იმ დროს უკვე რკინის შემუშავება უნდა სცოდნოდათ; ამ საგნების სიმცირე მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამ დროს ჯერ კიდევ რკინის ხანას დასაწყისი იყო. მაშასადამე იმ ერს, რომელიც კავკასიაში თავდაპირველად მოსულა და დაბინავებულა, ქვის ორივე ხანა და თითქმითს ბრინჯაოსიც განვლილი და მოქმეული უნდა ჰქონოდა და რკინის შემუშავების შესწავლას შესდგომია.

კავკასიაში ნაპოვნი უძველესი საფლავები და საგნები ვირხოვის აზრით მეთერთმეტე, ან მეათე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. დარწმუნებული რომ ეყოფილიყავით, რომ იმ საფლავებში სწორედ ქართველები იყვნენ დამარხულნი, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა: ქართველები კავკასიაში მე-XI-ე საუკუნეზე ადრე მოსულან და ამ დროს უკვე ქვისა და ბრინჯაოს ხანა განვლილი ჰქონდათ, ხოლო რკინის შემუშავებას ის-ის-იყო შესდგომოდნენო. ამ გვარად საკი

ეკუთვნის  
გვერდის  
საარქეო-  
ლოგიო  
ნაშთები.

თხი გადაწყდებოდა და ქართველები კავკასიის თავდაპირველ მკვიდრებად უნდა აღგვეთვა. მაგრამ ჯერ უნდა მეცნიერულად დამტკიცდეს, რომ სამთავროს უუძველეს სახელავეებში მართლა ქართველები იყვნენ დამარბული და არა სხვა რომელიმე მოდგმის ხალხის შვილები, ხოლო ამის შემდეგ შემოაღნიშნული დასკვნა ქვეშარიტი იქნებოდა. ამ საკითხის გამორკვევა-კი მხოლოდ ადამიანის თავის ქალების გაზომის შემდეგ შეიძლება: სხვა რაიმე სამეცნიერო საშუალება არ არსებობს. ანთროპოლოგია სხვა-და-სხვა ერების თავის აგებულების მიხედვით კაცობრიობას რამდენიმე შტოდა ჰყოფს: სხვათა შორის ერთ შტოს თავმოკლენი ანუ ბრახიკეფალები, მეორეს თავგრძელები, ანუ დოლიხოკეფალები შეადგენენ.

კავკასიის უძველესი მკვიდრნი თავგრძელები უოფილან.

კავკასიის ყველა უუძველეს სახელავეებში ნაპოვენ თავების გაზომამ დამტკიცა, რომ თავდაპირველად ჩვენ ქვეყანაში თავგრძელები ანუ დოლიხოკეფალები ცხოვრობდნენ. ხოლო უკვე განსვენებულმა პროფ. ვირხოვმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართველები და სომხები განსაკუთრებით თავმოკლენი ანუ ბრახიკეფალები არიან. ამიტომ ქართველებსა და სომხებს კავკასიის უძველეს და თავდაპირველ მცხოვრებლებთან საერთო არაფერი ჰქონიათ; მათსადამე ქართველნი და სომეხნი კავკასიის თავდაპირველი მკვედრნი არა ყოფილან; როცა ისინი ამ ქვეყანაში მოსულან, იქ სხვა მოდგმის ხალხი დაჰხვედრიათ დაბინავებული. მკვიდრთა ერთი წილი, როგორც ეტყობა, ქართველებს ჩრდილოეთისაკენ გადურეკნიათ: ზოგიერთი კავკასიელი მთიელები, მაგ. ნატუხელები და ავარელნი, სწორედ თავგრძელები ანუ დოლიხოკეფალები არიან (იხ. Д. Анучинъ. Доисторич. археология Кавказа. Жур. Мин. Нар. Прос. 1884 წ. იანვარი, გვ. 236). რასაკვირველია კავკასიის თავდაპირველ მცხოვრებთა და შემოსეულ ერებს ერთმანეთში გამწვავებული ბრძოლა უნდა მოსვლოდათ და ბევრი ძლეული მკვიდრი გამოესალმებოდა წუთისოფელს. ეს კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი პროფ. ვირხოვს წმინდა არიელ ხალხად მიაჩნია, მაგრამ იქნებ ამაში გამოჩენილთ გერმანელი მეცნიერი სცდებოდეს. თუ-კი შემოაღნიშნული ვირხოვის მოსაზრება, რომ

ქართველები და სომხები მერე მოსუდლან კავკასიაში.



კავკასიის უძველესი საფლავები მე-XI—X-ე ს. ეკუთვნის, მართალი გამოდგა, მაშინ ქართველები რასაკვირველია მე-IX-ე ს. შემდეგ უნდა მოსდგომოდნენ კავკასიას, ჩაეგდოთ იგი ხელში და დაბინავებულყვნენ. ეს დასკვნა შეურყეველი ქვემარტივბაა; შეიძლება მხოლოდ თარიღი სწორე არ იყოს: იქნებ მომავალში, როცა კავკასიის უძველესი ნაშთები უკეთესად იქნება შესწავლილი, დამტკიცდეს, რომ სამთავროს სასაფლავო მე-XI—X-ე ს. კი არ ეკუთვნის, არამედ ფურო წინა დროს. თავდაპირველად კავკასიაში ქართველებს, როგორც ეტყობა, თითო-ოროდ ას დაუწყევით შემოიხიზნეა; ეს იქაღანა სჩანს, რომ უკვე უძველეს საფლავებში აქა-იქ რამდენიმე თავმოკლის ანუ ბრახიკფადის თავებიც აღმოჩნდა.

რასაკვირველია ამ დასკვნას, რომელსაც ეხლა მეცნიერები ადგიან, თავის-თავადაც დიდი საისტორიო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქართველების უძველეს კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლას ხომ მომავალში ახალი მიმართულება უნდა მისცეს: თუ აქამდისინ ჩვენ გვეგონა, ვითომც ქართველების არსებობის უძველესი ნაშთები საქართველოს მიწის გულშია დამარხული, ეხლა ეს შეცდომა უნდა თავედან მოეშორათ. ამისდა მიხედვით როცა ჩვენ ჩვენი ხალხის თავდაპირველ ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის შესწავლა გესურს, ამისი კვალი კავკასიაში კი არა, ამიერკავკასიის სამხრეთით უნდა ვეძიოთ, — თუნდ იმ ადგილებში მანც, სადაც ქართველები მე-XI—VIII-ე ს. ქრ. წ. ცხოვრობდნენ.

ცნობები ქართველ ტომებს უძველეს ბანადრობის შესახებ სრული არ იქნებოდა, თუ რომ ურარტელებისა და ხეტელების ვინაობას არ შეეხეთ. კასკების ანუ კოლხების აღმოსავლეთით, მდ. ეფრატისა და ტიგროსის სათავეებზე, ვანის ტბის, მდ. არაქსისა და არარატის მიდამოების ქვეყნებში ნაირისა, ვანისა და ურარტუს საღეფოები იყო. ამ სამ სახელმწიფოთა შორის ყველაზე სამხრეთი ნაწილი ნაირის ქვეყანას ეკირა, მე-ე ვანი, ანუ ბიანა მისდევდა, შევდეკ კიდევ ყველაზე ჩრდილოეთით ურარტუს სამეფო ძევდა. გერვე საუკუნეში ქრ. წ., იმ დროს, როცა ასურეთი თავის თავს აღმოსავლეთის უმეტეს ნაწილის ბატონადა სთვლიდა, ზემო-

ქართველების უძველესი კვალია არ უნდა ვეძიოთ.

ურარტელები.

აღნიშნული სამეფოები ურარტუს მეჩაურობით ძლიერ მეტოქეობას უწევდნენ.

სიტყვები ნაირი, ბიანა და ურარტუ მხოლოდ ქვეყნებსა საკუთარი სახელდება, თითონ ხალხი—კი თავის თავს ქალდის ანუ ხალდის უძახდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი ქართველ ტომების საზოგადო სახელწოდება იყო (ქართუ-ელი, კარლუხი); ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ. მართლაც, თათქმის ყველა თანამედროვე მეცნიერებს ურარტულები ან ქართველების წინაბრებად, ან ზონათესავე ერად მიაჩნიათ (ლენორმანი, სეისი, მასპერო, ფ. ჰომმელი); მაგრამ მათი რწმენა ამ ხალხის წარწერების ენის თვისებაზე დამყარებული. ურარტულები ისეთსავე ლურსმულ ანბანსა ხმარობდნენ, რომელიც ნინეფიაში მეცხრე საუკუნეში იყო გავრცელებული, მაგრამ ეს ანბანი მათ თავიანთი ენის ბგერათა თვისებების შესაფერისად შეუცვლიათ. ენათ ხანს ამ წარწერებს სრულებით ვერ არჩევდნენ; თუმცა ცალ-ცალკე თვითოეულ ასოს წაკითხვა შეეძლოთ, მაგრამ რაკი უცხო, უცნობ ენით იყო ნაწერი, აზრს ვერ მიმხვდარიყვნენ; არც იცოდნენ რა ენას ეკუთვნოდა ამ წარწერებს ენა. მხოლოდ 1880 წლის შემდგომ, როცა ფრანგი მეცნიერი მასტ. გვარამა (S. Guyard) ფრანგულ სააზრო ყურნალში თავისი პატარა. მაგრამ საყურადღებო წერილი დაბეჭდა, ვანის წარწერების ამოკითხვა ცოტა არ იყოს გაადვილდა; მან გაჩვენებული გზა უჩვენა მკვლევარებს, რომლის საშუალებათაც დაახლოვებით მაინც წარწერების შინაარსის გაგება შეიძლებოდა. სტ. გვარამა იფიქრა, რომ რაკი ვანის წარწერებში გადაკეთებული ლურსმული ანბანია ნახმარი, შესაძლებელია იდიოგრაფებიც, — ე. ი. ისეთი ასოები, რომელიც მთელ სიტყვასა ნიშნავენ მაგ. ხალხს, ღმერთს, მეფეს და სხვა, — ასურული იყოს, ან არა და ასურულს მიაგავდესო. იმისი აზრი მართალი გამოდგა. ხოლო ამ იდიოგრაფების საშუალებით, სამართლიანად ფიქრობდა გვარი, მკვლევარი შეატყობდა, რომ ვანის წარწერებიც ასურულ წარწერების მსგავსად არის შეთხუზული და ამ საშუალებით თვით ძეგლის შინაარსსა და აზრს მიუხვდებოდა. ასურული სისიტორიო წარწერები ჩვეუ-

ვანის წარწერები.

ლებრივ ღვთაების სახელის ხსენებით იწყობა, მერე მეფე თავის სახელს ამჟღავნებს და ქვეყნებისა და ქალაქების სახელებს, რომელიც-კი მას დაუპყრია, ჩამოსთვლის ხოლმე; ესა და ეს დავანგრიე და გადავწვიო, ან იხსენიებს ვის რამდენი წაართვა ოქროდ თუ ვერცხლად, რამდენი წამოიყვანა ტყვოდ, ხარის და ცხვრის ჯოგები წამოასხა და სხვა და სხვა; დასასრულ მეფე სწყევლის და ჰკრულავს ყველას, ვინც-კი გასტეხავს, დააქცევს, წაიღებს, წყალში ან ცეცხლში ჩააგდებს, ან არა და მიწაში ჩაჰფლავს იმის წარწერას: ღმერთმა საშვილიშვილოდ აღზოცოს სახსენებელი მისი და ნათესაეობითურთ აღმოჰფხრას დედამიწის ზურგიდანაო. ამგვარ წარწერებში ღვთაებისა, მეფეებისა, ადამიანებისა და სხვა სახელები უოველთვის ერთისა და იმავე იდიოგრამით არის ხოლმე აღნიშნული. ვანის წარწერების შესწავლამ გვარი მართლაც დაარწმუნა, რომ იქაც იდიოგრამები ერთი-ერთმანეთს, იმავე რიგზე მისდევდნენ, რა რიგზედაც ისინი ასურულ წარწერებშია ხოლმე დალაგებული. მაგალითად ქალაქების იდიოგრამას მისდევს ის იდიოგრამა, რომელიც ზმნა „გადაწვა“-სა ნიშნავს; ამ იდიოგრამას მიმატებული აქვს საკვეცი „ბი“, რაც გვარის აზრით წარსულ დროს მხოლოდობითი რიცხვის პირველ პირის ნიშანი უნდა იყოს. ამ მეთოდის საშუალებით წარწერების მნიშვნელობის გამოაკვევას შეუდგნენ. ვანის წარწერების წაითხვაში განსაკუთრებული ღვაწლი გვარისა და ლენორმანის გარდა ინგლისელ მეცნიერს ა.ჰ. სეისს (A. H. Sayce) მიუძღვის, რომელმაც ასურულ წყაროებისა და ვანის წარწერების ცნობების საშუალებით ამ ქვეყნის გეოგრაფია, ისტორია და სარწმუნოება გამოარკვია, ეცადა აგრედვე ამ ენის გრამატიკა და ლექსიკონი შეედგინა. ვანის წარწერების ენა ყველაზე წინად ქართულს ფ. ლენორმანმა შეადარა და თავის გამოკვლევაში „Lettres assyriologiques sur l'histoire et les antiquités de l'Asie anterieure“ ამტკიცებდა ურარტელების ენა ძველი ქართული ენააო; თავის აზრს იგი სახელარსებითის, ბრუნვებისა და ნაკვალისახელის შედარებასა და მსგავსებაზე ამყარებდა.

პირუთენელი მეცნიერი მოვალეა აღიაროს, რომ იდიო-

ოგრამების გარდა ნამდვილ ქალღურ ანუ ურატულად დაწერილ სიტყვების წაკითხვასა და მნიშვნელობის ახსნას, ისე როგორც ეხლა ზემოაღნიშნული მეცნიერები კითხულობენ და ხსნიან, შეუძლებელია ადამიანი ენდოს. რომ სიტყვების მნიშვნელობის ახსნაში მათ შეცდომები უნდა მოსდიოდეთ, ამას ის ურატული წარწერაც ამტკიცებს, რომელსაც ასურული თარგმანი თანახლავს: ის ზმნა *nunabi* ნუნაბი, რომელსაც წინად სთარგმნიდნენ „მე თავს დავეცი, დავესხიო“, თურმე „მე მოვედი“სა ნიშნავდა. ვინ დაიფიქსავს, რომ ვანის წარწერების მკვლევარებს დანარჩენ წარწერების წაკითხვის დროს ამნაირი და უფრო სხვილი შეცდომები არ მოსჭიდოდათ? ესეც რომ არ იყოს თვით შედარების მეთოდით, რომლის საშუალებითაც ისინი თავიანთ აზრს ამტკიცებენ, მეცნიერებებს მკაცრს მოთხოვნისგან ვერ აკმაყოფილებს; ლენორმანიცა და სხვებაც ამ წარწერების ენას თანამედროვე ქართულს ადარებენ, თითქოს ქართული გეგურნი ენა იყოს და მრავალ საუკუნოების განმავლობაში მწერლობა არა ჰქონოდა, თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ ქართველებს მერვე საუკუნეში ქრ. წ. ისე ელაპარაკნათ, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ქრ. შ. ლაპარაკობენ. შეუძლებელია რომელსამე ენას ორი ათას შეიდასის (2700) წლის განმავლობაში დიდი ცვლილება არ გამოეაროს. ამიტომ შესაძარებელ მასალად თანამედროვე ენა არა ძველი ქართული უნდა აიღონ ხოლმე; ამ ბოლოს დროს ბევრი ძველი ქართული სიტყვიერების ძველი დაიბეჭდა და ამ თხზულებათა ენის შესწავლა ამტკიცებს, რომ ქართულს საუკუნეთა განმავლობაში ბევრი ძველი სიტყვა და ზოგიერთი საგრამატიკო ფორმებიც დაუკარგავს; ამნაირი მაგალითები უფრო მეტი იქნებოდა ძველი მწერლობის ნაშთები რომ ზლომად უოფილიყო გამოქვეყნებული და შესწავლილი. ხოლო ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ქართულთან ურატულ წარწერების ენის შედარება არ შეიძლება. თავდაპირველად ძველ ქართულ მწერლობას ენისა და ყველა ქართულ ენა-კილოკავების მიხედვითა და **სამიველ** ჯგუფის ენებთან შედარებას საშუალებით ქართულ ენის უძველესი სახე

უნდა აღდგენილ იქმნეს, და, თუ ამის შემდეგ ვანის წარწერებს: ენას მკვლევარი ქართულს შეადარებს, მხოლოდ მაშინ შესაძლებელია გამოკვლევამ ნაყოფიერი შედეგი მოიტანოს. ერთი სიტყვით ვანის წარწერებას ენის გამოსარკვევად ასურულის გარდა მეცნიერმა ძველი ქართული და საზოგადოდ ქართული ენათმეცნიერებაც ზედმიწევნით უნდა იცოდეს. მაგრამ საქმე ის არის; სწორედ კითხულობენ მკვლევარნი ვანის წარწერებს თუ არა? ჩვენ ექვს უფრო შემდეგი გარემოება აცხოველებს: სეისის სიტყვით ვანის წარწერების ენაში ზმნის უღელილება ამ ნაირად სწარმოებს: მხოლოდითი რიცხვის პირველ პირის წარმოებისათვის ზმნის თემის ბოლოს საკვეცი „ბი“ ემატება ხოლმე, მაგალითად: ზადუ-ბი—გააკეთე, ზასგუ-ბი—მოკალი; მესამე პირის წარმოებისათვის თემის ბოლოს საკვეცი „ნი“ ემატება, მაგ. ზადუნი—გააკეთა, ტონი—მოჰკლა. მარტო ზმნის პირველ პირის წარმოებას რომ დავაკვირდეთ, ქართულსა და ვანის წარწერების ზმნის აგებულების შორის არსებითი განსხვავებაა. ქართულ ზმნის წარმოების დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ პირიველების აღმნიშნველი მარცვლები ბოლოში-კი არ ემატება ხოლმე, როგორც ინდოგერმანულ ჯგუფის ენებმა იციან, არამედ თავში, მაგ. ვწერ, ჰწერ, ვაწერ, ვიწერ, ვუწერ, მწერ, ბწერ, ბმწერ, მაწერ, მიწერ და სხვა. ეს საკვირველი თვისება ყველა ქართულ ენა-კილოკავებსა აქვს: მებრულსაც, ლაზურსაც, სვანურსაც—და ქართულ ზმნის ცხადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. ვანურ წარწერების ზმნას-კი პირიველების ნიშნები ვითომც თემის ბოლოს უნდა ემატებოდეს ე. ი. ქართულ თავსართის მაგიერ ვანურს ბოლოსართი აქვს; ამ გვარად ვანურ ენის ზმნის აგებულობა ქართულისაგან იმდენად განსხვავდება, რომ ან წარწერების წამკითხველები უნდა სცდებოდნენ, ან არა და, თუ ისინი სწორედ კითხულობენ, მაშინ ვანის წარწერების ენა ქართულის მონათესავე ენა არა ყოფილა. ზემოთხსენილი მაგალითები უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ვგონებ უფრო წამკითხველები უნდა სცდებოდნენ. ერთის სიტყვით პირუთენელს მეცნიერს ჯერჯერობით არ შეუძლიან ვანის წარწერების ენის აგებულებასა და

ნათესაობაზე გადაჭრილი აზრი გამოსთქვას. ამ ძეგლების შესწავლა სულ ახალი საკმეა და მიუდგომელობა გვაკლებდა აღგენიშნა, რომ იმ გზით, რომლითაც ვანის წარწერების წამკითხველებს ამ საკითხვის გამორკვევა სურთ, შეუძლებელია ნაყოფიერს დასასრულს მიაღწიონ.

#### შეჯამება.

ურარტელებსა და ტაბალ-მუსკებზე გაცილებით უფრო ადრე, უუძველეს დროიდანვე მოყოლებული შუამდინარესა და მცირე აზიაში მამაცობით, განათლებითა და საკუთარ მწერლობით განთქმული იყო ხეტელთა ერი, რომელსაც ეგვიპტელები „ხეტა“ს, ხოლო ასურელები „ხატტი“ს ეძახდნენ; ეს ხალხის სახელი კი არა, ქვეყნის სახელია; რასახელს ატარებდნენ თითონ ისინი ჯერ გამორკვეული არ არის. თითქმის ყველა მეცნიერებს (იენსენის გარდა), რომელნიც-კი ხეტელების ენის შესწავლას შესდგომიან (მასპერო, სეისი, ჰომელი), ხეტელები ტაბალისა და მუსკების ანუ ქართველების მონათესავე ერად მიაჩნიათ. სამწუხაროდ, რიცხვ-მრავალი ხეტელების წარწერები ჯერ წაკითხული არ არის; ეს წარწერები ხატოვან, ანუ იეროგლიფიან ანბანით არის ნაწერი, მაგრამ ამ ხატოვან ანბანს გვიპატელების ხატოვან ანბანთან საერთო არაფერი აქვს. მეცნიერებს ხეტელების წარწერების წაკითხვა ჯერ იმიტომ ვერ მოუხერხებიათ, რომ მეფე ტარკულიმმეს ბექდის გარდა, რომელზედაც წარწერა ხეტურად და ასურულად არის ამოჭრილი, სხვა ამ ორ ენაზე ნაწერი ძეგლი ჯერ არსად არ აღმოჩენილა; ხოლო ტარკულიმმეს ბექდის წარწერა იმდენად მოკლეა, რომ იმის საშუალებით რთულ ხატოვან ანბანის გამოცნობა შეუძლებელია, თუმცა-კი გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი სეისი თითონ დააწმუნებელია, რომ იმის ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ხეტელების ენის ნიმუშები ასურულ ანბანითაც არის ნაწერი, სახელდობრ ორი ტელ-ამარნას ნაპოვნი ხეტელ მეფის ტუშრატისა და ტარშუადარამის წერილები, და ამ ორ საბუთის საშუალებით ხეტელების ენის გარეგან აგებულობის შეტყობა შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით გარკვეულ აზრის გამოთქმა ძალიან ძნელია. ყურადღების ღირსია, რომ ანთროპოლოგიურად ხეტელები, როგორც ე. შანტრი აღნიშნავს

ქართველებსავეთ თავმოკლენი, ანუ ბრაზიკეფალები ყოფილან, მაშასადამე ამ მხრივ ქართველებისა და ხეტელების ნათესაობას წინ არაფერი არ ელობება; მაგრამ მართო ეს გარემოება, რასაკვირველია, არა კმარა.

თუ შემდეგში ურარტელებისა და ხეტელების ენის შესწავლამ გაამართლა მეცნიერების აზრი, რომ მათი ენა ქართულს ან მონათესავე ენათა ჯგუფს ეკუთვნის, მაშინ უეჭველი გახდება, რომ მთელი შუამდინარე, ერანი და მცირე აზია მთლად ქართველებისა და მათ მონათესავე მოდგმის ეროვნებასა ჰქონია დაპყრობილი უკვე 2000 წ. (ქრ. წ.) მოყოლებული; თავდაპირველად ძლიერება და უპირატესობა ამათა ჰქონიათ, მაგრამ თანდათან ამ ადგილებს ახალ-ახალი ჯერ სემიელთა, ხოლმე მერე არიელთა მოდგმის ერები შემოესივნენ და ქართველთა მოდგმის ერები ჩრდილოეთისაკენ განდევნეს; უცხო ერები კვალდაკვალ მისდევდნენ ქართველების წინაპრებსა და მათ მიწა-წყალს იპყრობდნენ, სანამ ისინი კავკასიაში არ შეიხიზნენ და იქ ზურგი არ გაიმგრეს. რომ უუძველეს დროს მცირე აზიაშიც და შუამდინარეში ერთი მოდგმის ხალხები ბინადრობდნენ, ამას თავის მეცნიერებების მხრივ მეცნიერი ათროპოლოგები ცნობილი პრ. ფონ-ლუშანი (*Reisen in Lykien, Archiv. f. Anthropol. XIX, 31* და სხვა) და ამ ახლო ხანში გ. ა. ჯავახიშვილი (*Къ вопросу объ этнологіи Малой Азии и Закавказья*) ამტკიცებენ.

დასასრულ თუ ურარტელების ენა მართლა ქართულ ჯგუფის ენა გამოდგა, მაშინ პრ. ვირხოვის თარიღი, ვითომც ქართველები მე-X-ე საუკ. შემდეგ უნდა მოსულიყვნენ კავკასიაში, ცრუვდება; ასურულ წყაროებიდანა სჩანს, რომ ურარტელებს უკვე IX—VIII-ს. ძლიერი სახელმწიფო ჰქონიათ, მაშასადამე ადგილობრივ ბინადრობა დიდი ხანია მოკიდებული უნდა ჰქონოდათ და მე-X-ეზე გაცილებით ადრე უნდა მოსულიყვნენ.

#### უმთავრესი წყაროები:

Н. Марръ. Крещеніе армянъ, грузинъ, абхазовъ и алановъ св. Григоріемъ (Записки Вост. отд. рус. археол. общ. Т. XVI, 1905 წ. გვ. 165—170).

А. Цагарели. О грамматической литературѣ грузинскаго языка.

И. Джаваховъ. Обзоръ теорій и литературы о происхожденіи грузинскаго языка (Журн. Мин. Нар. Просв. 1908 г. № 10)

Von Gelzer. Kappadocien und seine Bewohner, Zeitschrift für Aegyptische Sprache 1875 г. 33. 14—17.

Ed. Schrader. Keilinschriften und Geschichtsforschung, 1878 г., 33. 157—162.

Keilinschriftliche Bibliothek № 86 I 10 II.

В. Латышевъ. Извѣстія древнихъ писателей греческихъ и римскихъ о Скиѣи и Кавказѣ, № 86 I 10 II.

R. Virchow. Das Gräberfeld von Koban. Berlin. 1883 г. 33. 13—21.

А. Н. Sayce. The cuneiform Inscriptions of Van, The Journal of the royal asiatic Society, New Series, XIV, 33. 377—732.

М. В. Никольскій. Клинообразныя надписи Закавказья (Матеріалы по археологій Кавказа, № 86 V).

А. Н. Sayce. The Monuments of the Hittites (Transactions of the Society of biblical Archaeology, vol. VII, 248—293).

ამის ვაზდა აღმოსავლეთის ისტორიის საზოგადო სახელმძღვანელოები:

G. Maspero. Histoire ancienne des peuples de l'Orient, 7 éd. 1905 г.

Prof. F. Hommel. Geschichte des alten Morgenlandes (Sammlung Göschen, 3 Aufl. 1904 г.)



## თ ა გ ი მ კ ო რ ე

### ქართველთა უძველესი კულტურა.

თვითვეულ ერის უძველეს კულტურის შესწავლა რასაკვირველია მხოლოდ არქეოლოგიის და ენათ-მეცნიერების საშუალებით შეიძლება. სამწუხაროდ სწორედ იმ ადგილებში, სადაც თავდაპირველად ქართველები სცხოვრობდნენ, სახელდობრ ქალდეასა და კაპადუკიას, დედა-მიწის გულიდან ჯერ ჯერობით ძალიან ცოტა ნივთებია ამოთხრილი. ამის გარდა რაკი აქამდისინ არაეინ არ იცოდა, რომ ქართველების თავდაპირველ სამშობლოდ ქალდეა იყო, ამიტომ იმ ნაშთებშიაც, რომელიც უკვე ნაპოვნია, ქართველ ტომების წინაპრების ნაწარმოები არაეის უძებნია. ქალდეასა, კაპადუკიასა, პონტო-ში და მცირე აზიის იმ ქვეყნებში, სადაც მე-XI—VII-ე საუკ. ქართველ ტომებს ბინადრობა ჰქონდათ სხვა მოდგმის ხალხებიც ცხოვრობდნენ და ეხლა იმის გამოცნობა, თუ რომელი ნაშთი რომელ ერს ეკუთვნის, მეტად ძნელი საქმეა. რაკი ქალდეას ნაშთები ჯერ არც ერთ მეცნიერს არ განუხილავს ისე, რომ იქ ჩვენი ერის უძველეს ნაშთების კვალი ეძებნოს, ამიტომ აქ მხოლოდ ქალდეას პირვანდელ კულტურის საზოგადო სურათი იქნება წარმოდგენილი.

მიწიდან ამოთხრილი საგნები გვიჩვენებენ, რომ უძველეს დროიდანვე ქალდეაში მდნეულობის შემუშავება ძალიან გავრცელებული ყოფილა: ყველა უუძველეს საფლავებში მოიპოვება ბრინჯაოს, ოქროს ნივთები და ზოგჯერ რკინისაც-კი; განსაკუთრებით ბრინჯაო ყოფილა გავრცელებული. ყველა იარაღები ბრინჯაოსაგან არის გაკათებული. რაკი იგი იშვიათად გვხვდება საფლავებში. იმ დროს რკინა როგორც ეტყუაბა ძვირფას მდნად ითვლებოდა; ეს იქიდანა სჩანს, რომ რკინისა მაშინ მხოლოდ სამაჯურები, ზეპქლები და სხვა ამგვარივე სამკაულები უკეთებიათ; ალბად იმიტომ, რომ ახალი

აღმოჩენილი იქნებოდა. მადნეულობის გაა და ქალღეაში ქსოვნა და მეჭურქლეობაც გაერცლებული ყოფილა. ეს საგნები და სასაფლაოები, რომელზედაც ეხლა საუბარი გვაქვს, არქეოლოგების აზრით 2500—1000 წ. ქრ. წ. უნდა გყუთენოდეს.

ძველი კაპადუკიის ნიადაგი, რომელზედაც XI—VII საუკუნოებში ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, ვრცელს ვულკანურ ვაკეს წარმოადგენს; სამხრეთით ორპირი განმარტოებული არგას მწვერვალია აღმართული, ცოტა მოშორებით იმავე მხრით ტავრისა და ანტიტავრის ქედები მოსხანს. ეს მთები კაპადუკიას სამხრეთითა და სამხრეთ დასავლეთით ზღუდავენ. კაპადუკია დაღარულია ღრმა და ვიწრო ხევებითა; ამ ხეო'ებზე მიდის ხოლმე მეტად სახიფათო საუალი გზები. წვიმები იქ ხშირად იცის და ჰაერიც ნოტიოა, ხოლო მთის მდინარეები უხვად არის. ამის გამო მცენარეც საკმა არისა. კაპადუკიის შუაგული-კი საზოგადოდ უწყლო ქვეყანაა. ერთად ერთი წყალი, რომელიც მდინარის სახელის ღირსია, დალისი ანუ ყიზილ ირმაყია. ნიადაგი და ჰაერი ამის გამო ზაფხულობით აქ მეტად ცხელი და მშრალია, ხოლო ზამთარი ცივი და მკაცრი იცის ხოლმე. მხოლოდ ზეიპუნის წყლის შიღამოვებში უხვი მცენარეულობაა, მწვანე ბალახიანი მინდვრები, თვალგაღუწვდენელი დაბურული ტყიანი მთები არის; ეხლა კაპადუკიაში ხენა-თესვას ისე არ მისდევენ, როგორც მეცხვარეობასა: ცხენების, სახედრების, ცხვრებისა და თხებისა ჯოგების და სხვა საქონელის მოშენებას.

ასურულ წყაროების საშუალებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში იყვნენ ქართველი ტომები მეXI—VII-ე ს., მაშინ როცა ისინი კაპადუკიასა და პონტოს ცხოვრობდნენ. რასაკვირველია ასურელები მხოლოდ მაშინ იხსენებენ უცხოელებს, როცა ვისმეს დაამარცხებდნენ, ან არა და უფრო აშეხათად როცა თითონ ენეცბოდათ ხოლმე რამე; ამიტომ ასურული ცნობები მეტად მოკლე და ერთნაირია; განსაკუთრებით ომიანობისა და ცარცვა-გლეჯის შესახებ გვიამბობენ; ჩვენთვის კი რასაკვირველია სხვა ნაირი ცნობებია საქირო; მაგრამ სულ უარარობას ესეც დიდი წყალობაა, მიო

ქართულენა  
ბას მდგო-  
მარეობა  
მე-XI-VII  
საუკ.

უმეტეს, რომ იმ წყაროებშიაც აქა-იქ გავკრით თითო-ორი-  
ლა გამოსადეგარი ცნობა მოიპოვება.

როცა ასურეთის ბატონი ტიგლატ-პილასარ I თავის  
1100 წ. წარწერაში ჰირველად მუსკებს ანუ მესხებს იხსენი-  
ებს, მაშინ ისინი იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ასურე-  
თის სებრძანებელის დაპყრობასაც-კი ბედადნენ და ასურე-  
ლებს თავგამოდებით ეცილებოდნენ. მესხების სამფლობელო  
რამდენადმე სამეფოდ იყო გაყოფილი, მაგრამ როგორც ამ  
წარწერიდანა სჩანს, როცა კი აკირო იყო ხოლმე, მესხები  
ერთობლივ მოქმედობდნენ; ასე მოიქცნენ ისინი მაგალითად  
როცა ასურეთის მოყმე ქვეყნების ალზი და პურუკუცის და-  
საპყრობლად გაემგზავრნენ.

როგორც ეტყობა მესხებას სამოქალაქო ცხოვრება სა-  
კმაოდ დაწინაურებული ყოფილა და ქალაქებიც ბოლოდა  
ჰქონიათ. ტიგლატ-პალასარ I (1100 წ. ქრ. წ.) და შემდეგ  
სარგონ მეფე (722-705 წ. ქრ. წ.) თავიანთ წარწერებში დიდ  
კვანძაში არიან, მესხების ქალაქები დაეპყრეთ და გადაეუ-  
გეთო (ibid. I, 19 და II, 75). მცხოვრებნი შეძლებული  
ყოფილან: ორივე ზემოდასახელებული ასურეთის ბატონები  
გაიძახიან აუარებელი ქონება და სიმდიდრე წამოვიდეთ დაფ-  
ლადო. მესხები ამ დროს ვაზის და მსხვილ და წყრილ-  
ფება საქონლის მოშენებას მისდევდნენ; ღვინის დაყენებაც  
ხომა სცოდნიათ. სასოფლო მეურნეობის გარდა მრეწვე-  
ლობა და ხელობაც გავრცელებული ყოფილა, განსაკუთ-  
რებით თითბრის ქურქელს თურმე აკეთებდნენ მუსკე-  
ბა იქიდანა სჩანს, რომ აშურ-ნასირ-აბალ მეფის (884—860  
ქრ. წ.) დროს მესხები ასურეთის ხელმწიფეს ხარკად თი-  
თბრის ქურქელს, ხარებს, ცხვრებს და ღვინოს აძლევდნენ  
ხოლმე (id. I, 65). მადნეულობას შემუშავებისა და ღვინის  
დაყენების ცოდნა, განსაკუთრებით-კი ქალაქების არსებობა  
ამტკიცებს, რომ იმ დროს მესხებს დაწინაურებული მოქალა-  
ქობრივი ცხოვრება ჰქონდათ. ხალხი ძლიერი იყო და ასუ-  
რეთის ღირსეულ მეტოქედ ითვლებოდა. ტიგლატ-პალასარი  
ცა და სარგონიც მოწმობენ, ვერც ერთ მეფეს ჩვენზე წი-  
ნად მუსკები ვერ დემარცხებინათ და ჩვენ წინაპრება არ

მუსკები.

ემორჩილებოდნენო; ასურეთის ორსავე ბატონს თავიანთი გამარჯვება დიდ საკვეთურ საქმედ და ღვაწლად მიაჩნდათ (ib. I, 19 და II, 75).

**ტაბალი.**

ტაბალებს სამფლობელოში სალმანასარ II (860—825 ქრ წ.) სიტყვით ოცდა-ოთხი სამეფო ითვლებოდა. ესენიც როცა საქირო იყო ხოლმე ერთმანეთს მხარს უჭერდნენ (ib. I, 143). მათი ქვეყანა მთიანი იყო; სწორედ აშურ ბანი-პალის თქმით (ib. II, 171) ტაბალები მაღალ და მიუვალ ადგილებში ცხოვრობდნენ. მეფეებს სატახტო ქალაქები და ციხე-სიმაგრე ბი ქონდათ. ტარჭუნასი მეფე მაგალითად თავის დედა-ქალაქად მილიდუსა სთვლიდა; იქ იყო მისი სასახლე და იქაც ცხოვრობდა ხოლმე თავის ცოლითა და შვილებითა.

ამ დროს ტაბალებში საზოგადოებრივი განსხვავება და უსწორ-მასწორობა ვგონებ უკვე არსებობდა: სარგონი მოგვითხრობს ტაბალების ქვეყნის დიდებულება (Prunkinschrift, K. B. II, 57)—ტყვედ წაიყვანეთ. მილიდუსს საშეფოს უმთავრეს სიმაგრედ ტულგარიმში ყოფილა; ამ ციხეს იმდენი ჯარი იცავდა, რომ მარტო აქედან სარგონ მეფემ 5000 მეომარი წამოიყვანა ტყვედ და მათს ადგილას ასურელი ჯარისკაცები დასახლა (ib. II, 63). სალმანასარ II დროდან (860—825 ქრ. წ.) მოყოლებული ტაბალი ასურეთის მოხარკედ რამდენჯერმე ყოფილა. ამ მეფის წარწერიდანა სჩანს, რომ ხარკს ყოველ წლიურად იხდიდნენ, მაგრამ ხალხი ისე ადვილად არ იხრიდა ქედსა: სანჭერბ მეფე (705—681) იძულებული იყო სარგონის მიერ დანგრეული და გადაბუგული ციხე ტულგარიმში ხელშეორედ აედო. ამ მცირე ხნის განმელობაში ტაბალებს აღბად იგი განუახლებიათ, რადგან სანჭერბი ამბობს, მე ტულგარიმში ავიღე და მიწასთან გავა-სწორეთ (ib. II, 119).

ტაბალები თავიანთ საუკეთესო ჯინშის მაღალ ცხენებით იყვნენ განთქმულნი: აშურბანიპალი ამბობს, ტაბალს ხარკად მათ ქვეყნის სასიქადულო მაღალი ცხენები დაუწესეთო (ib. I, 171). ბერძენ და რომაელ მწერლებს მოწმობილიც ეს ქვეყანა განთქმული იყო თავის ცხენებით (Bochart, Phateg III, 11).

**ტაბალისა**

ცხენების გარდა ტაბალი, რასაკვირველია, მაღნეულო-

ბითაც იყო განთქმული; თუმცა ასურულ წყაროებში ტაბალისა და სხვა ერების ხარკი: ვერცხლი, ოქრო, ტყვია, და თითბერი სალმანასარ II-ის დროს (ib. I, 172—2), ხოლო ვერცხლი, ტყვია, რკინა, ღვინო ტანისამოსი, მიწის ნოსავალი, ცხენები და სახეურები, ხარკები და წვრილფეხა საქონელი ტიგლატ-პილასარ III დროს (ib. II, 21 და 31) ერთად არის მოხსენებული, ისე რომ ადაშიანი ვერ გაიგებს, რომელ ხალხს ელო ხარკად, მაგრამ მინც ტაბალების მადნეულობას ყველგან სახელი ჰქონდა გაფარდნილი. მათ ვერცხლისა და ძვირფასი ქვების მალაროები ჰქონდათ და სალმანასარ II ემ 837 წელს სწორედ ეს ტაბალებს ვერცხლისა და ძვირფას ქვების მალაროები დაიპყრა (K. B. I, 143).

და მუსკის  
და სხვა  
ნებული  
მადნეუ-  
ლობის  
წარმოება.

ტაბალისა და მუსკის მადნეულობის დახელოვნებულ ნაწარმოებას ქებას ებრაელებამდისაც მიუღწევია. დაბადების პირველ წიგნის ავტორი დარწმუნებულია კიდევ, რომ მქედლობა ტაბალის მოგონილი ხელობაა: „თბელი ესე იყო კვერთხ ხურთა, ნათქვამია შესაქმეში (თავი IV, 22), მქედელი რვალისა და რკინისა“-ო. ებრაელები კიდევ ტვიროსის გოდებაში აწბობს: იავანი, თბალი და მოსოხ ვაქრობდნენ შენ შორის სულეებსა კაცთასა და ქურქელნი რვალისანი მისცნეს სავაქროდ შენდა (XXVII, 13). ხოლო ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ ქართველ ცომებს მართო თავიანთვას კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყანაშიაც კი მოქმუნდათ ზოდნე გასაყიდათ როგორც იყო ცვიროსი. მრეწველობასთან ერთად მაშასადამე აღნებმცემობაც გავრცელებული და დაწინაურებული ყოფილა. ხალიბებასა და ტიბარენებას სპილენძისა და რკინის ნაწარმოები საბერძნეთსაც განთქმული იყო. იქ ხმა დადიოდა კიდევ, რომ მოსსინიკები რაღაც მიწას ურევენ მადანში და იპიტომ გამოდის ა'ე კარგიო. უმიზნოდ კი არ ექნებოდათ ქარაველებს ასეთ შორეულ ქვეყნებში მქედლობის ხელოვნებაში საუკეთესო სახელი მოხვეჭილი. უეჭველია, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვოთ ძველ განაოლებულ კაცობრეობის წინაშე საყურადღებოა, რომ „კალის“ ვარდა ძველს ქართულსა და მის ენა კილოკავებში

არც ერთი მადანის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხო ენებიდან ყოფილიყოს შეთვისებული: ოქრო, მევრ. მოქრო, სვან. ოქერ, დიდოურად უქრუ, უნწორ. უქრო; ვერცხლი, მევრ. ვარჩხილი, კვარჩხილი, დიდოურ. მიცხის, უნწორ. მიცხირ, სვან. ვერცხლე; თითბერი, სპილენძი, მევრ. ლინჯი, სვან. სპინლენძ, სომხ. პლინძ; რკინა, ლაზურ. ერკინა: ტყვივი (გიორგი მთაწმ. ცა 301 საეკლესიო მუზ. გამ.) ტყვია და ბრპენი, ანუ პრპენი (საბა ორბელიანის ლექსიკონი). მხოლოდ „კალა“ არ არის ქართული სიტყვა; აგი მალაკას ქალაქ „კალაჰ“ის სახელისაგან წარმოსდგა, იმიტომ რომ საშუალო საჯუნოებში ეს მადანი იქიდან გამოჰქოდათ ხოლმე (O. Schrader. Die Metalle, 1906, გვ. 98). მაგრამ ძველ ქართულ მწერლობაში ეს სიტყვა არა გვხვდება. იმ დროს ხმარობდნენ „ბრპენს“, ანუ „პრპენს“. ამ გვარად ყველა მადნების სახელები ნამდვილი ქართულია, უცხო ენიდან ნასესხები არ არის.

პირიქით შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველ ტომებისაგან შეუთვითსებათ. თვით ცნობილი ენათმეცნიერი ო. შრადერი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს. ევროპიული ბრინჯაოს სახელი Bronze წარმომდგარია სპარსულ „ბირინჯ“-ისაგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართულ რნა-კილოკავეზის საზოგადო სახელისაგან სპილენძი, სვან. სპილენძ, მევრ. ლინჯ, სომხ. პლინძ, რაც უდრის „სპილ-ენძ“-ს სპირ ენძს, და სპერის ანუ ისპირის მადანსა ნიშნავს. \*)

ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათო. თვით ელლადაში ხომ სპილენძი ცოტა იყო და უფრო აზიიდან შემოტანილ მადნით მიდიოდნენ იოლას. თითბრის სახელები კი ზოგიერთ ევროპიულ ენებში—მაგალითად გერმანულად messinc ანგოოსაჰს. mästling, ძველნორ. messing, პოლონ. mosiandz ჰქვიან,—მოსსუნგ ანუ მოსსინიკ სტოის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინი-

\*) ეს ახსნა პრ. ნ. მარტის ნეკუთვის.

ნიკები იყვნენ თითბრის ხელობაში განთქმული. ამ მადნის მეორე სახელიც „თითბერი“ ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთ-ფერი“, ე. ი. შთვარის (მეგრ. თუთა, ქართ თუთუ) ფერის მადანს.

რკინის, განსაკუთრებით ფოლადის მომზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველ ტომებისაგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნულ სახელიდანა სჩანს: „ხალვუს, ხილვბდიკოს“ ხალიბების ტომის სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო.

ერთი სიტყვით უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველ ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათ სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საბ ტაო ღვაწლი მიუძღვით.

კიმერიელთა და სხვა ინდო-გერმანულ მოდგმის ტომების შემოსევამ ქართველი ტომება, როგორც ამ თხზულების პირველ თავში გამორკვეული იყო, ჩრდილოეთისაკენ წასწია და შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებზე მოამწყვდია. ამ დროინდელ საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებისა და ვითარების წარმოდგენა უფრო ადვილია იმიტომ, რომ ბერძნების მწერლებმა, განსაკუთრებით კი ქსენოფონტემ, ძვირფასი და ვრცელი ცნობება შევვიანა ამ ქართველ ტომების შესახებ. რასაკვირველია ამ ხანის ცნობებიც უნაკლებლო არ არის: ზოგიერთ ტომებას შესახებ მასალები უკვე მეოთხე საუკუნედან მოყოლებული (ქრ. წ.) მოიპოვება, ზოგის შესახებ-კი, როგორც მაგალითად ამიერ-კავკასიაზე, მხოლოდ პირველ საუკუნიდან (ქრ. წ.) მოყოლებული. ამის გამო ქართველ ტომებას საზოგადო და ერთდროულ ყოფა ცხოვრებას სურათის დახატვა შეუძლებელია. იმიტომ მკვლევარი იძულებულია ნაწილ-ნაწილ შეუდგეს აღწერას.

იმ ქართველ ტომების მიწა-წყალი, რომელნიც შავი ზღვის სამხრეთითა ცხოვრობდნენ, ბუნებრივ თვისებების მიხედვით ორ ნაწილად იყოფებოდა: ერთი ზღვის ნაპირი იყო, მეორე

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირას მცხოვრებნი ქართველები V—I ს. ქრ. წ.

კიდევ მთა ადგილები. ზღვის ნაპირი სტრაბონის სიტყვით მეტის მეტად ვიწრო იყო: ზღვას თითქმის ზედ დაჰყურებს მაღალი მადანის მალარობით საესე და ტყით დაბურული მთება, სახნავი მიწა-კი ძალიან ცოტათაო. ქსენოფონტეს თქმით მოსინიკების ადგილებიც მეტის-მეტი მთიანი, ღრმა თვალაწუწვდენელ ხეობებით დაღარული ქვეყანა იყო (*Anab. lib. V, cap. 4, 1*). მხოლოდ ტიბარენებს მიწა წყალი შედარებით უფრო ვაკე ადგილს წარმოადგენდა (*ib. lib. V, cap. 5, 2*). მეორე ნაწილი მთლად მაღალ, თითქმის მიუვალ უღელტეხილით იყო მოფენილი; ზოგან ისეთ დაბურულ ტყით მოცული, რომ ადამიანი ძლივს ძლიობით გაივლიდა ხოლმე, ზოგან კიდევ სრულებით მოტიტელებული, მწირი ნიადაგის მეტი არა მოიპოვებოდა-რა, თანაც უფსკრულსავით ღრმა ხეობებით ღა გიჟმაე მდინარეებითა და წყლებით დაღარული იყო (*Strabo, Geogr. lib. XII, cap. III, 19 და 28*). ქსენოფონტე მოგვითხრობს, ტაუხები, ანუ ტაოეონი მეტად მაგარ, თითქმის მიუვალ ადგილას ცხოვრობდნენო. სადაც ისინი შიშინანობის დროს შეუხიზნებოდნენ ხოლმე გარშემო მდინარე დიოდა, ახლო-მახლო ადგილები-კი მაღალ ტყით იყო დაბურულიო. (*ibid. lib. IV, cap. 7*). მაკრონებასა და შკვითინების ანუ შვიდსოფლეუთა შუა მდებარე ადგილიც თითქმის მიუვალ ზღუდესა ჰგავდა. ძირს წყალი დიოდა და მდინარეს ორთავე ნაპირას ხშირი ტყე უღარაჯებდა (*ib. lib. IV, cap. 8, 2*).

მაშინდელი  
ეკონომიური  
მდგომარეობა.

რასაკვირველია ისინი, ვინც ზღვის ნაპირას ცხოვრობდნენ, უკეთესს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ. აქ ხალხი თევზს იჭერდა, ნაჭერ-ნაჭარადა სჭრიდა და ამარილებდა, თევზის ქონს-კი ყველაფერში ბლომდა ხმარობდნენ ხოლმე. *Strabo, Geogr. lib. XII, cap. III, 19*). ქსენოფონტეს უკვე მე-IV-ე საუკუნეში ქრ. წ. მოსინიკების სახლებში დიდ ქილებში ჩადებული, დაჭრილი და დამარილებული დელფინების (ზღვის ღორის) ხორცი დახვდა; დოქებში კიდევ დელფინის ქონი იყო შენახული, რომელსაც მცხოვრებნი ძროხის ვრბუს მაგივრად ხმარობდნენ. (*Anab. lib. V, cap. 4, 28*). თუმცა სახნავი მიწა სამყოფი არა ჰქონიათ, იმიტომ რომ ვაკე



ადგილი ძალიან ცოტა იყო, მაგრამ რა-კი იქ ნიადაგი ნა-  
ყოფიერი და ღონიერი, ქსენოფონტეს და მისს ამხანაგებს  
სახლებში დიდძალი განაივებული პური დახვდათ, რომელიც  
მოსინიკების სიტყვით შარშანდელი გამოსავლისა ყოფილა, და  
ახალი ჯერ კიდევ გაულეწავა პური სდგმიით (ib. lib. V,  
cap. 4 27). კოლხების სოფლებში ბერძნების ჯარის კაცებმა  
დიდძალი სურსათი იპოვნეს და აუარებელი ფუტკრის სკვბი  
ნახეს (ib. lib. IV, cap. VIII, 19-20). ერთი სიტყვით აქ  
ხალხი ძალიან მისდევდა მიწის-მოქმედებას და კარგი მოსავა-  
ლიც ჰქონდა, მაგრამ მცხოვრებნი ბევრი იყვნენ და პური სა-  
მყოფი ყველგან არა ჰქონდათ: კაკლითა და წაბლით ივსებ-  
დნენ დანაკლისს ახლო-მახლო მთება საცხე იყო ხოლმე ამ  
ხეებით. ქსენოფონტე მოგვითხრობს, რომ მოსინიკები წაბლს  
განსაკუთრებით ან მოხარშულსა სკამენ ან არა და პურად  
გამომცხვარსო. (ib. lib. V, cap. 4, 29 და 32). მიწის  
მოქმედებას გარდა აქ ღვინის დაყენებასაც მისდევდნენ. იქაუ-  
რი ღვინო, (ქსენოფონტეს სიტყვით, უწყლოდ მეტად ცხარე  
იყო და გემოთი მწკლაცე წყალ-ნარევი კი სურნელოვანი და  
სასიამოვნო სამელიო (ib. lib. V, cap. 4, 29). ჯერ ჰერო-  
დოტეს დროსვე შავი ზღვის ნაპირი, სახელდ-ბრ მაშინ-  
დელი კოლხიდა, თავის სელის ქსოვ-ლებით იყო განთქმული.  
ელლინები ამ ქსოვილებს სარდონის ტილოებს ეძახდნენ. (II.  
105).

ყველა ეს ადგილება მრავალ საუკუნოების შემდეგ, ებ-  
ლაძე-კი წინანდებურად იმავე ჰირნახულითა და მოსავლით  
არის განთქმული, რომელიც იქ თავის დროს ქსენოფონტემა და  
სტრაბონმა ნახეს. ინგლისის კონსული ბ. ჯიფფორდი წარსულ  
საუკუნის მე 70 ე წლებში ამბობდა, რომ ტრაპიზონის ოლ-  
ქიდან ქალაქ ტრაპიზონს უცხოეთში დასატანად შემოაქვთ:  
სელი, რომელიც საუკეთესო ღირსებისა, განსაკუთრებით  
როზენდენ მოდის, ხოლო უფრო მდარე ტირებოლისა და  
ფატსიდანა (იხ. მისი ანგარიში, Запис. Кавказск. от.  
Геогр. Обш. VII, გვ. 27). დელფინების ქონი (იხ. გვ.  
29); მთელ ტრაპიზონის ოლქის ზღვის პირას ბევრი დელფი-  
ნებია სათევზაოდ, ამიტომ აქედან თევზის ქონი ბლომად გა-

თანამედ-  
როვმ ეკო-  
ნომიური  
მდგომარე-  
ობა.

მოაქვთ (ib. 48) და იქაური მცხოვრებნი ეთევზეობით ირჩენდნენ თავსაო. (ib. 47, 53, 60, 61). ამის გარდა ბოლოს დროს ამ ადგილებიდან ჰური, ნიგოზი, ლეინო და ფიქაც გამოაქვთ ხოლმე (ib. 28 29).

იქაურ  
მოთვლების  
ეკონომიკური  
მდგომარეობა.

რასაკვირველია მთა ადგილებში მოზნადრე ქართველი ტომები უფრო ცუდს მდგომარეობაში იქნებოდნენ; ბუნება, ცხადია, მათ ისე ხელს არ შეუწყობდა, როგორც ბარის მცხოვრებლებს, პირიქით ბევრიგად დააბკოლებდა კიდევ: მწირი მიწა. მკაცრა ჰაეა მთა ადგილას, საჭირო სახნავ მიწების უქონლობა, ამა რა ხერს დააყრიდა ადამიანს! ამის გამო აქ კაცი ბუნების ყურმოკრილი ყმა უნდა გაზნადრიყო და იმისთვისაც ვადღობა უნდა ეთქვა, რასაც მას თვით ბუნება უწყობდა. მაყრუებულ და ყველაზე რზე მოწყვეტალ მადალ მთიან ადგილებში ხალხი სტრახინის სიტყვით „ნადირის ხორცი და ნიგვზით იყებებოდა“ (Gengr. lib. XII, cap. III, 18). მაშასადამე მენადირეობას მისდაედა და ტყის ბილეულობით ირჩენდა თავსა. დროგაშოშვებთ კიდევ მთებდან დაეშვებოდნენ, მგზავრებს სტარკადნენ ხოლმე (ib) და ამათ ივსებდნენ თავის დანაკლისს; ასე იქცეოდნენ, მაგალითად, შვიდსოფელელები ანუ ჰეტაკომელები. მთა ადგილების მცხოვრებ ტომებს არჩიანის და პროკოპი კესარიელის სიტყვით ბაზანტიის სამფლობელოს მწევებს ცარცვა-გლეჯა შემდეგ დროსაც, მაგ. მე-VI ესაუე. ქრ. შ., ხელო ბადა ჰქონდათ. რაკი კესარმა იცოდა, რომ მათ მეტად უნაყოფო და მშიერი მიწები ექირათ, ამიტომ ყოველწლიურად შესაწე არს ოქროს უგზავნიდა ხოლმე. ევებ აჰან მანც ყაბლობა დააშლევინოს და ჰემ სამფლობელოს თავი დაანებონო, მაგრამ ამაოდ (დესტუნისის თარგმანი *История воигов I*, 15 გვ. 193.). დანარჩენს, უფრო ნაყოფიერ ადგილებში მცხოვრებნი მიწის მოქმედებას გარდა საქონლის მოშენებასაც ძალიან მისდევენ. ქსენოფონტეს, მალოთად, ტაოხების ქვეყანაში ბევრი ხარი, ცხვარი და ვირი დახვდა (Anab. lib. IV, cap. 7, 14). დრილების ქვეყანაში კიდევ მრავალი ცხვარი, ღორი და ხარი (ib. lib. V, cap. 2, 3, 4). ერთისიტყვით მეოთხე საუკუნეშიაც ქართველ ტომებს ყველა შინაური საქონელი ჰყავდათ—ცხენები, ბარები, ცხვრები, ღორი და ვირი.

მაგარამ ბევრი ისეთი ადკლებიც მოიპოვებოდა, სადაც არც ხეირიანი სახნავი მიწები იყო, არც ბუნება უწყობდა ხელსა ადამიანს; იქ კაცი კვლავინდებურად მდნეულობის შემუშავებას მისდევდა და სხვა-და-სხვა ქუჩქელსა და იარაღს აკეთებდა და ასხამდა ხოლმე. ქსენოფონტე მოგვითხრობს, ხალობთა უმეტესი ნაწილი რკინის მადნის შემუშავებით ირჩენს თავსაო (ib. lib. V, cap. 5, 1) სამოთხი საუკუნის შედეგ სტრაბონი აშობდა, წინად ხალობები ვერცხლის მალარობსაც აშუშავებდნენ, ჩემს დროს კი აღარაო (Geog. lib. XII, cap. III, 19) მდნეულობასა და იარაღის გაკეთებით ხალობები ძალიან იყვნენ განთქმულნი და მათი ნამუშავარი ძალიან ფასობდა კიდევ. ყალბი არასტოტელი ამტიკებს, ხალობური რკინა მეტად კარგი იმიტომ იყო, რომ რკინის გაკეთება მათ როგორც სხვანაირად იკოდნენო (Латышевъ. Извѣстія I, 380). მოსინიკების თითბერის, იპავე ბერძნების მეციხეის თქმით, ლაბლაპა გაქონდა და მეტი-ს-მეტად თეთრი ყოფილა თურმე. მოსინიკებო სპილენძს ტყვიას კი არ ურევენ, არამედ ერთგვარ იქაურ მიწას, რომელსაც სპილენძთან ერთად ადნობენ ხოლმე... მოსინიკებს ძველი ქუჩქელი საუკეთესო იყო, ეხლანდელი-კი ისე კარგი აღარ არისო. (ib. I, 380).

მადნეულობის შემუშავება.

მეოთხე საუკუნეში ქრ. წ., როგორც ქსენოფონტე სიტყვებიდან სჩანს, სოფლები მინდვრებსა და მთის კალთაზე ყოფილა გაშენებული (იხ. ჩემი Государственный строй в Грузии и др. Арменіи 48-49). სახლები და სხვა შენობები, კოშკები და ზღუდებები-კი ხისა უშენებოთ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ იქ ტყე ბლომად აყო, უფრო იაფადა ჯდებოდა და მარადაც შენდებოდა. სახლები ოცსართულიანი სკოდნით, ზეით სანოვაგესა და სუხსის ინაბადნენ, ძირს-კი თითონ მდგარან.

მოსახლეობის წესი.

ქსენოფონტეს დროს (VI ს.) ამ ქვეყანაში ქალაქება ძალიან ცოტა ყოფილა; ისიც რაც ზღვის პირას იდო და აღებშიც-მობისთვის მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ბერძნების ახალშენებსა სჭერიათ. ქართველ ტომების ქალაქები-კი უფრო ციხეებს ჰვადნენ, ვიდრე სავაჭრო და საზრეწველო ცენტრებს.

ციხე-ქალაქები.

ხშირად მუდმივ იქ არცაჲ ცხოვრობდა ვინმე; ციხე-ქალაქი მაღალ, მიუყვალ გორებსა და კლდეებზე იყო ხოლმე აშენებული და ხშირად გალაფნის გარდა სხვა შენობა არა იყო რა; ხალხი თავის ცოლ-შვილითა და ავლადიდებით მხოლოდ მაშინ შეეხიზნებოდა ხოლმე იქ, როცა მტრის შიში იყო და განსაცდელისაგან თავი უნდა დაეხწია; თუ ციხე-ქალაქს გარშემო მდინარე არ უვლიდა, მაშინ დიდ თხრილს აკეთებდნენ ხოლმე და თხრილის თავზე მარგილები ჰქოდათ ჩარქობილი და ხის კოშკები იყო დადგმული.

**ზნე-ჩეუ-  
ლება.**

ამ მცხოვრებთა ზნე ჩეულების შესახებ ცნობები ძალიან ცოტაა შენახული. არც გასაკვირველია: ქსენოფონტეს მხოლოდ იმის აწერა შეეძლო, რასაც თავის მოგზაურობის დროს ნახავდა; ხოლო რასა ნახავს ადამიანი ხანმოკლე დაკვირვების დროს? ქსენოფონტე განსკუთრებით მოსინიკების ჰცევას გაუკვირებია: როცა ისინი მარტოკა იყვნენ ხოლმე თავი ისე ეკირათ, თითქოს საზოგადოებაში ყოფილიყვნენ: თავიანთთვის მაღლა ხმივ ღაპარაკობდნენ თურმე, ხაჩხარებდნენ, ადგებოდნენ და ცეკვა დაიწყებდნენო. (Anab. lib. V, cap. 4-34). მამაკაცებს ზურგისა და წინა-ტანის კანი ფერადი წამლებით დახატული ჰქონიათ (ib. lib. V cap. 4-32). ეტყობა ტანისამოსი ძალიან მოკლე ან წაოსსხამის შავგარი რამ უნდა ჰქონოდათ, თორემ სხეული რომ ტანისამოსით დაფარული ჰქონოდათ მაშინ ტანის მიხატვას რაღა აზრი ექნებოდა. ქსენოფონტეს სიტყვით მოსინიკები ყველა ტომებზე უფრო ელურები ყოფილან. (ib. lib. V cap. 4-34). მოსინიკებს თურმე დაურიცხებლად სქესებრივად შეუღლება სწადდათ იმ როსკივებთან, რომელნიც ელლინებს თან შიჰყავდათ— ასეთი ზნე ჰქონიათო, დასძენს ბერძენი ისტორიკოსი (Anab. lib. V, cap. 4-33). ეტყობა ამ მოსინიკებს სქესებრივი სირცხვილისა არა სცოდნიათ რა და მართლაც ძალიან ჩამოქვეითებული ყოფილან. ჰეროდოტეს სიტყვით კოლხებსა და მაკრონებს წინადაცეთა ჩეულებად ჰქონიათ და მაკრონები ამტკიცებდნენ თურმე, ვითომც მათ ეს ჩეულება კოლხებისაგან ესწავლოთ (Historia II, 104). ქსენოფონტე არაფერს აშობს ამის შესახებ; არ ვიცით, იმ ტომ რომ მეოთხე საუკუნეში ამ ჩეულებას

აღარ მისდევდნენ, თუ იმიტომ, რომ ქსენოფონტემ ვერ შეამცნია. შექმნილია ეს ძველ ზნის ნაშთი ყოფილი-ყოს. საყურადღებოა, რომ სტრაბონის სიტყვით წინადაცვთა კაპედუკიელებსაც ჰქონიათ აღაჯად (Kretschmer, Einleitung). განსაკუთრებით კარგადა აქვს აწერილი ბერძნების ისტორიკოსს ამ ტომების ისრაელი და საჩხედრო საჩქაული, — ან რა გასაკვირვებელია: ქსენოფონტეს თუ უნახავს ყინმე, ყველა თავით-ფეხამდე შეიარაღებული იქნებოდა, იმიტომ რომ ყველანი საომრად იყვნენ მომზადებული, როცა-კი 10000 ბერძნების ჯარი იმათ მიწა-წყალს მი ახლოვდებოდა ხოლმე. ჰეროდოტეს დროს ტიბაქნებს, მაკრონებსა და მოსინიკებს თავზე ხის ჩაფხუტები ეხურათ, იარაღად კიდევ პატარა შუბებს და ფარსა ხმარობდნენ ხოლმე. შუბები დიდ-წვეტებიანი იყო (Hist. VII, 78 და 79). კოლხებს კიდევ ტყავგადაკრული ფარები და ხანჯლები ჰქონდათ. (ib. VII, 78).

საომარი  
და სამხედ-  
რო იარა-  
ღები.

ქსენოფონტეს დროს ხალხებს სელას ჩაჩქანი ეცვათ, პაიჭები ჰქონდათ და თავზე ჩაფხუტი ეხურათ, წვლზე ხან-ჯალი ვრტყათ ხოლმე. შუბები სიგრძით 15 წყრთიანი ექი-რათ ხელში. მაკრონებს დაწნული ხ ს ფარება და შუბებუ ჰქონ-დათ, პერანგს ნაბდისას ხმარობდნენ; დრილებსაც ამ ნაირად-ვე ეცვათ. ყველაზე უკეთესად მოსინიკები იყვნენ შეიარაღე-ბულნი: თვითველს ტყავგადაკრული დაწნული ფარი ჰქონ-და, ხელში 15-წყრთიანი შუბი ექირა, რომელსაც თავზე ჯერ ბუშტი ჰქონდა გაკეთებული მერე შუბი; ყველას პაფლაღონი-ური რკინის ცულები ჰქონდა, ტანზე პატარა ნაკსოვი პერან-გები ეცვა, რომელიც მუხლებამდნისა სწვდებოდა, ხოლო თავ-ზე ტყავის ჩაფხუტები ეხურათ.

თუმცა ასურულ წყაროებში ჩვენი ერის მაშინდელი მდგომარეობა დაწვრილებით არ არის აწერილი, მაგრამ თუ მე-IV-ე საუკუნის ქართველ ტომების ყოფა-ცხოვრებას იმ დროინდელ მდგომარეობას შევადარებთ, შეუძლებელია მაინც ვერ შეგაჩნოთ, რომ ჩრდილოეთისაკენ წაწეულ ქართვე-ლებს ცხადი დაქვეითება ეტყობათ. ვაზის მოვლასა, ღვინის დაყენებას, საქონლის მოხრებას, მანქნულობის დაბუშავებასა და იარაღ-ჭურჭლის გაკეთებას მართალია წინანდებურად მის-

ქართველი  
ტომები და  
ქვეითებუ-  
ლან.

დედღენ, მაგრამ სად იყო წინანდელი სიმდიდრე. სასახლე-ები, აუარებელი განძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასურეთის ბატონები კეზულობდნენ ხოლმე. წინად მათ ქალაქები ჰქონდათ, მეოთხე საუკუნეში-კი სალა-პარაკოდაც არა ღირდა, რაც იყო ისიც ციხეებს უფრო მია-გავდა, ვიდრე ქალაქს. წინად ქართველები ძლიერ და მდი-დარ ერად ითვლებოდნენ, აღებშიცემობისათვის შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ და ყველგან სახელი გავარდნილი ჰქონდათ; მე-IV-ე საუკუნეში-კი ისინი პატარ-პატარა ტომე-ბად იყვნენ დანაწილებულნი, მამაკობის პატავი მეზობლებ-ში-ლა ჰქონდათ შერჩენილი; მსოფლოში-კი მათი სახელი აღარ ისმოდა. ერთ დროს ისინი თავიანთ გაცემე მტრებს ასუ-რელებს ერთობლივ და თანხმობათ ებრძოდნენ ხოლმე, მე-ოხე საუკუნეში-კი იმათ ერთიერთმანეთის ქიშპობაში ელე-ოდათ ძალა: თვითოეული მათგანი სულ იმის ცდაში იყო, თავის მეზობელ და მოქმე ტომისათვის ბერძნებს დახმარებით რო-გორ ევნო რავე. ან-კი რა გასაკვირველია: ახალსაქმობლოს მკაცრი და მწირი ბუნება, ინდო-გერმანელ ტომების შემო-სევა, ხელს უწყობდა ქართველ ტომების თან-და თან დაქვე-ობას.

**კოლხიდა.**

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას და კავკასიაში მცხოვ-რებ ქართველების შესახებ ცნობები მხოლოდ პირველ საუ-კუნის (ქრ. წ.) დასასრულიდან იწყება; სტრაბონის თქმით კოლხიდა ხილეთულობათ მდადარი იყო; სელი, კანაფი, ფი-ქა და ფისიც უხვად იყო; იქაურს სელის ქსოვილებს ხომ დი-დი სახელი ჰქონდა და უცხო ქვეყნებშიაც გაჰქონდათ ხოლმე (Geographica, Lib. XI, cap. 2, 17). გეგების ასაშენებელი ტყეც ბლომად მოაზოვებოდა ადგილობრივაც და უცხოეთი-დანაც შემოჰქონდათ. ერთი სიტყვით ხალხი აქ როგორც სჩანს მეუწნეობასა და მრეწველობას მისდევდა და მაჩტო თავის-თვის სახმარებ რად-კი არ აკეთებდა, არამედ უცხოეთში გასა-სყიდადაც; ეტყობა აღებშიცემობას ფეხი მაგრადა ჰქონია მოკი-დებული. კოლხიდაში რამდენიმე განთქმული საკაქრო ადგილი იყო, სადაც ხალხი ახლო-მახლო ადგილებიდან თავს იყრიდა ხოლმე. ერთ ასეე ადგილად კოლხიდის ჩრდილოეთ ნაწილ-

ში დიოსკურია ითვლებოდა (ib. lib. XI, cap. 2, 16); რიონზე კიდევ „კოლხების საეპრო ნავთსადგური“ ფაზისი იყო; რომელიც სწორედ იქ იღო, სადაც მდინარე რიონი ზღვას ერთვის და სადაც ეხლა ფოთია (ibid.) იმ განთქმულ საეპრო გზასაც, რომლითაც ირკანიის ზღვით, მერე აღბანით, იბერიით მტკვრით და რიონით შავ ზღვამდე საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებს ინდოეთიდან საქონელი მიჰქონდათ ხოლმე, სწორედ კოლხიდაში ეღო ბოლო (ib. lib. XII, cap. 2, 3); მაშინ გემები მდინარე რიონიზე ციხე შორაპნამდე დადიოდნენ (ib. lib. XII, cap. 2, 17). რასაკვირველია ამისათვის ყოველთვის მდინარე უნდა გაეწმინდათ და უწმენდათ კიდევ. კოლხებს სხვა გვარ გზებზედაც უზრუნვიათ: რიონს რომ მიმოსცლა არ შეეფერებინა სტრაბონის სიტყვით მდინარეზე 120 ხიდი ყოფილ გაკეთებული (ib. lib. XI, cap. 3, 4). ხოლო შორაპნიდან მოყოლებული იბერიის სამზღვრამდე ოთხი დღის სავალი ურმის გზა იყო ჩაყვანილი (ib. XI, cap. 2, 17). ერთი სიტყვით ქვეყანა და ხალხი განვითარებული და დაწინაურებული ყოფილა. მაგრამ იმეც დროს კოლხებს ს თანამომეც და მეზობელი ჰენიოხები და სვანები საშინლად დაქვეითებულ და უკან ჩამორჩენილ ხალხებადა ჰყაქს აწერილი სტრაბონს. პიტინის ჩრდილოეთ-დასავლეთისაჲენ ზღვის პირას იქ, სადაც თითქმის არც ერთი ნავთსადგური არ მოიპოვებოდა, ქვეყანა შეჭაჲ მთიანია, რადგან კავკასიონის ქედის ნაწილს შეადგენს (ib. lib. XI, cap. 2, 12); ჰენიოხები სახლობდნენ. სტრაბონის თქმით სხვა მეზობლებსავით ისინიც ზღვაზე ყაჩაღობით ირჩენდნენ თავსა. თავიანთ პატარა და ვიწრო ნაევებში ასე ოცდა ხუთ-ხუთ კაცამდე ჩასხდებოდნენ. და გზას გაუღებოდნენ ხოლმე; ხან ხომალდს დაეცემოდნენ და გასტარცვამდნენ, ხან რომელსამე ქალაქს ან დაბას; ზღვაზე ისინი თავისუფლად ბატონობდნენ. შინ რაბუნებისას ნავს მარცხე გაიდებდნენ და ტყეში შეიჭაჲდნენ ხოლმე. თავიანთ ქვეყანაში ისინი ტყეებში ცხოვრობდნენ და მწირ მიწის შემუშაებას მისდევდნენ, მაგრამ ნავოსნობს ს დრო მოაწევდათუ არა, მაშინვე თავიანთ ხელობასა და ნაევებს მოიგონებ-

ჰენიოხები და სვანები.

დნენ ხოლმე. როცა რომელსაჲ ადგილზე დაცემას განიზრახავდნენ, ჯერ თავიანთ ნავებს ტყეებში მიმალავდნენ ხოლმე, მერე-კი დღე და ღამ დაწრწოდნენ, ვისაც-კი მოსწრობდნენ და მარტოკას მოახელებდნენ, მაშინვე ტყვედ მიჰყავდათ; მაგრამ, თუ ტყვე სასკიდლოთ თავს გამოუსყიდდა, დიდის სიხარულით აწიავსუფლებდნენ ხოლმე (იხ. XI, cap. 2, 12). ამ გვარად ჰენიოხები ნახევრად ცარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავსა, ნახევრად მწიჯ მიწის მოსაკლით. არც სვანები იყვნენ უკეთეს მდოჰარეობაში. ამათ კავკასიონის ქედის დასავლეთის ნაწილი და სამხრეთის ფერდობი ეკრათ. დიოსკურიაზე ახლო იყვნენ (იხ. იხ. XI, cap. 2, 19) და იქ უფრო მარალის სასკიდლოდ ჩადიოდნენ ხოლმე. (იხ. იხ. XI, cap. 5, 6). სტრაბონის სიტყვით სვანებმა საშინლად ბანქურად ცხოვრობდნენ და განსაკუთრებით ნანადირევ-ხორცი-თა და ტყის ხრლეულობათა და რძით მიდიოდნენ იოლადა (იხ. იხ. XI, cap. 5, 6). როგორც ვტყუბა მარტო მონადირეობასა და საქონლის მოშენებას მისდევდნენ; მიწს-მოქმედებას მაგრე რიგად არა სწყალობდნენ. მაგრამ ესეც-კი უნდა სთქვას ვაც-მა, რომ სვანეთის მკაცრი ბუნება და ჰავა მიწის-მოქმედებას არც თუ ძალიან ხელს უწყობს; ზამთარში სვანეთი მიუვალა და მიმოსვლა სწყუდება, გაზაფხულზეც-კი (სტრაბონი შეცდომით ზაფხულზე ლაპარაკობს), ადამიანი თხილამურებს იკეთებს ფეხებზე, რომ თოვლში არ ჩაიფლას, მთიდან-კი ტყავზე დაჯდომლი ჩაოცურდებოდნენ ხოლმე. თორემ სხვაფრივ მოგზაურობა საშიში იყო (იხ. იხ. XI, cap. 5, 6). ასეთ პირობებში ან რა გასაკვირვებელია, რომ სვანებმა დაქვეითებულნი იყვნენ. სტრაბონი მოკვთხარობს, რომ ხმა არისო, ვითომც სვანეთში წყლებს ოქროს ჭვიშა ჩამოაქვს და ადგილობრივი მკვიდრნი დაჩვიულ ქურქლოთა და ზანჯგვლან ტყავებთ ოქროსა ჰკრებენო (იხ. იხ. XI cap. 2, 19).

**აღმოსავ-  
დეთი ხა-  
ქართვე-  
ლო.**

აღმოსავლეთი საქართველო, რომელსაც სტრაბონის დროს იბერია ერქვა, ძალ ან მკიდროდ იყო დასახლებული სოფლებითა და ქალაქებით იყო სავსე. უურადლებას ღირსი ეს არის, რომ სტრაბონის თქმით იბერიაში კრავიტანნი საბრძოლვეთ ანუ ქერები სცოდნათ, ხოლო სახლებს ხუროთმოძღვრების



რიგზე თურმე აშენებდნენ. საბაზროად გილებიც ჰქონიათ, ხოლო მოედნებზე საზოგადო დაწესებულებათა შენობები ჰქონდათ ხოლმე აგებული. აღმოსავლეთი საქართველო მაშასადამე პირველ საუკუნის დამდევს მდიდარი, განვითარებული ქვეყანა ყოფილა. აღმშობილობა და საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებული და დაწინაურებული უნდა ყოფილაყო, თორემ ვის რად უნდოდა ან მოედნები და ბაზრები, ან შენობები საზოგადო დაწესებულებისაჟვის? ან დროს სტრაბონის სიტყვით მტკვარში და ალაზანში გემები დაცურავდნენ.

მაგრამ იბერიაში განსაკუთრებით მიწ. ს-მოქმედებას მისდევდნენ, მეტადრე ბარის მცხოვრებნი; მთიელებს-კი უფრო სამამაკო საქმეებსა და ომიანობაზე ექირათ თვალი; თუმცა ისინიც ხვანათესავით ირჩენდნენ ხოლმე თავსა, მაგრამ ოღონდ-კი ომიანობის ხმისათვის ყური მოეკრათ და ფაცხლავ მაწას თასს მიანებდნენ და იარაღს აიღებდნენ ხელში. ბარელები-კი მშვიდობიანი ხალხი იყო. სტრაბონის თქმით ბარის მცხოვრებლებს სოჭხურად და მიდურადა სცოდნიათ ჩაქმა-დაურვა. (ib. XI. cap. III, 3); სამწუხაროდ იგი არას ამბობს, რა რიგ ტანისაოსს ხმარობდნენ ხოლმე თვით სოჭხვა, რომ ქართველებსა სპიკაული წარმოგვედგინა, მიდელებს მაგიერ-კი სტრაბონს სპახსელები ექნებოდა მხედველობაში. მთიელები სარმატებსა და სკვითებს ს ხნე-ჩვეულებას უფრო მისდევნენ (ibid.). ომიანობის დროს ქართველები დიდ ტყავ-გადაკრულს ფარებსა და ჩაფხუტებსა ხმარობდნენ ხოლმე (ib. lib. XI, cap. IV, 5). იბერიის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესწყობალებზე განსაკუთრებით მებუთე თავში იქნება საუბარი, ამიტომ აქ ვხლბა შევეხებით მხოლოდ იმას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა და სხვა დროს თვითეულ ქართველ ტომს. რაკი ამ სამეფოს დედაქალაქს მცხეთა ერქვა, უეჭველია უძველეს დროს, მაშინ, როცა ქართველი ტომები კავკასიაში შეხიზნულან, უმთავრესი პოლიტიკური მნიშვნელობა მესხების ტომს უნდა ჰქონოდა, იმიტომ რომ საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქის სახლი **მცხეთი** ანუ **მცხ.თა** მესხეთს ანუ მესხების ბანასა ნიშნავს, მესხების სახე-

ლის ამგვარივე ფორმა „მცხე“, იმ ქვეყანის სახელწოდებაშია შერჩენილი, სადაც შემდეგ მესხების მცირედი ნაწილი ცხოვრობდა; „სამცხე“ში (სა-მცხე): აქაც, როგორც სიტყვა „მცხეთა“-ში „მცხე“ მესხებსა ნიშნავს. შემდეგ მესხებს პოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგავთ და იმერელნი ანუ იმერელნი გაბატონებულან და მთელ სამეფოსათვის თავიანთი სახელი მიუნიჭებიათ. ეს უეჭველია პირველ საუკუნეებზე გაცილებით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ სტრაბონის დროს პირველ საუკუნის დასასრულს ქრ. წ. იმერია უკვე ჩვეულებრივი და როგორც ეტყობა დიდისხნითგან განმტკიცებულა სახელი იყო. დასასრულ პირველი ადგილი ქართლებმა დაიჭირეს; ცნობები იმის შესახებ, თუ როდის გაბატონდნ ისანი, არ მოიპოვება, მაგრამ დაახლოვებთ II-III საუკუნეში უნდა მომხდარიყო ეს ანბაკი.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველები კავკასიის თავდაპირველი მკვიდრნი არა ყოფილან, იმიტომ რასაკვირველია კავკასიაში ნაპოვნი უძველესი ნივთები და იარაღები ქართველების ნაშუშვარი არ იქნება. ხოლო შემდეგ დროინდელ ნაშთებში, რასა ვირველია, თან და თან ქართული ხელოვნების ძეგლებიც უნდა აღმოჩნდეს.

მაგრამ უძველესი ნაშთებიც, რომელიც თავგრძელ ხალხს ეკუთვნის, შეიძლება ან მათი საკუთარ შემოქმედებებთ ნიჭის ნაწარმოები იყოს, ან სხვებისაგან შეთვისებულია. ამ საკითხის გამოარკვევად ბევრი თხუზულება დაწერილი (ბაერნი, ვირხოვი, შანტრი, უვარვი, ფილემონოვი, დემორგანი, ჰიორნესი და ვილკი), მაგრამ ჯერაც საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. პრ. ვირხოვა საფუძველიანად შეისწავლა კავკასიის ნაშთები და საკითხის გადასაწყვეტად შემდეგ საშუალებას მიჰპართა: მან გამოარკვეა რა და რა პირუტყვის და ნადირების სურათები არის ხოლმე დახატული იქაურ ნივთებზე და აღმოჩნდა, რომ არც ერთი მხეცი, ან შინაური პირუტყვი არ არის, რომელიც თვით კავკასიაში არ მოიპოვებოდეს.

შემდეგ ვირხოვა ყურადღება იმ გარემოებასაც მიაქცია, რომ კავკასიის უძველეს მადნეულ ნივთებსა და იარაღებზე არც

ლომი, არც ფრთოსანი სფინქსი დახატული არ არის; ხოლო სწორედ ეს ორი მხეცი აუცილებელი და დამახასიათებელი სურათია ხოლმე ასურულ ხელოვნურ ნაწარმოებში (Über die kulturgeschichtliche Stellung des Kaukasus unter bes. Berücksichtigung der ornament. Bronzegürtel aus transkauk. Gräbern, Berlin, 1895, 137): რაკი არც ლომი და არც სფინქსი კავკასიის უძველეს ხელოვნებაში არ მოიპოვება, ამიტომ ასურეთის გაეღენაზე შანტრის აზრის მიუხედავად ლაპარაკი არ შეიძლებაო (ib. 137). ხოლო რადგან პირიქით ყველა დახატული პირუტყვები და ნადირები კავკასიაში ადგილობრივ ზლომად მოიპოვება, ამის გამო ვირხოვმა დაასკვნა, რომ კავკასიის მადნეული ხელოვნება ადგილობრივი უნდა იყოსო, დიდ ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ კავკასიის ნივთებში ხარის სურათი არ მოიპოვება (Das Gräberfeld von Koban). მაგრამ 1904 წელს დრ. ვილკემ კავკასიის უძველესი ნივთები და იარაღები სხვა ქვეყნის ნაშთებს დაწვრილებით შეადარა, ბევრ შემთხვევაში შეურყვევლად დაამტკიცა, რომ კავკასიის ნივთები დუნაის-პირელ ჩრდილოეთ ქვეყნების ნაშთებს გასაოცრად ჰგვანან [(Archäologische Parallelen aus dem Kaukasus und den unteren Donauländern, Zeitschrift für Ethnologie, იხ. სურათები 23 და 24 (გვ. 48) 25 და 26 (გვ. 49), სურ. 49 და 50 (გვ. 58), 51 და 52 (გვ. 59), 55 და 56 (გვ. 60), 57 და 58 (გვ. 61), 61-62 (გვ. 63) და 64 (გვ. 64)]. ამ გვარად ბ. ვილკემ ამტკიცებს, რომ კავკასიის ხელოვნებასა და დუნაის-პირის ქვეყნების ხელოვნებას შორის უეჭველი და მჭიდრო დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. მას ჰგონია რომ ეს ხელოვნება სწორედ კავკასიელებს უნდა შეეთვისებინათ დუნაელებისაგან, იმიტომ რომ კავკასიის მადნეულ ნივთების პირვანდელი სახე დუნაის ქვის ხანის ნივთებში მოიპოვება, კავკასიაში-კი არა სჩანსო (ib. 1904. I Heft. გვ. 39-104).

ე. შანტრი-კი პირიქით ამტკიცებს. რომ კავკასიის უძველეს ხელოვნებას მზგავსება აქვს მცირე აზიისა და ზეტელბას ხელოვნებასთანო.

ამ გვარად ჯერჯერობით საკითხი გამოურკვეველად რჩე-

ბა. ცხადია მხოლოდ, რომ კავკასიის ხელოვნებას, ვიზოვისა არ იყოს, ასურულ ხელოვნებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ ბევრ საგნებში დუნაის-პირის ქვეყნების ხელოვნებას ემსგავსება. უეკველია მკირე აზიის ხელოვნებასაც, რომელიც მდნეულობის ხელობის დედაბუდედ ითვლებოდა, კავკასიის ხელოვნებაზე გავლენა უნდა ჰქონოდა. ჯერ ძალიან ცოტა ნაშთებია შესწავლილი, რომ მკვლევარს საბოლოოდ შეეძლოს გადაკრითა სთქვას, რომელ გზით საგელდობრ ვცრე-ლდებოდა კავკასიაში ეს ხელობა თავდაპირველად. საქწუხა-როდ შემდეგ დროინდელ ქართველების ბინადრობის ხანის ნაშთები ჯერჯერობით სრულებით ამოთხრილი და შესწავ-ლილი არ არის.

უმახერესი წყაროები:

Ern. Ghantré. Mission en Gappadoce.

Keilinschriftliche Bibliothek II და I წიგნი.

O. Schrader. Die Metalle 1907 წ. (Sprachfor-  
schung und Urgeschichte).

В. Латышевъ. Извѣстія др. писателей греч. и  
римскихъ о Скиѣи и Кавказѣ I და II წ.

И. Джаваховъ. Государственный строй древ.  
Грузіи и др. Арменіи წიგნი I.

Prof. Virchow. Das Gräberfeld in Koban.

Dr. Wilke. Archäologische Parallelen ausdem Kauka-  
sus und den unteren Donauländern (Zeitschr. f. Ethno-  
logie. 1904 წ., I Heft).

## თ ა გ ი მ ე ს ა მ ე .

### ქართველების ეროვნული წარმართობა.

ვიდრე 1901 წელს პროფესორ ნიკო მარის გამოკვლევა „Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам“ (З. В. О. Арх. Общ. წიგნი XIV) არ დიბეკდებოდა, ჩვენი წარსულის მკვლევარნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „ქართლის ცხოვრება“-ში კერპთაყვანისმცემლობასა და წარმართობის შესახებ ჭეშმარიტი ცნობებია შენახული: არმაზი, ჯადენი, გა, გაცი, აინინა და ითრუჯანი — ქართველ ხალხის ღვთაებებად ითვლებოდნენ. მაგრამ ნ. მარამ დაამტკიცა, რომ ქართულ საისტორიო წყაროების ცნობები ეროვნულ კერპთაყვანისმცემლობის გამომხატველი არ არის და არაბების ბატონობის დროინდელ რომელიღაც ქართველ სასულიერო მწერლის მიერ შეთხზული უნდა იყოს. ნ. მარაზე წინადაც პრ. მაქსიმე კავალევსკიმ თავის საყურადღებო გამოკვლევაში „Законъ и обычаи на Кавказъ“ ჩვენი ხალხის მრავალი ზნე-ჩვეულებანი და სარწმუნოებრივი თქმულებები განიხილა და სპარსულ მახდებიანობის, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის მოძღვრების ნაშთად აღიარა. ამ უკანასკნელ დროს დასასრულ ბ. კ. ინოსტრატევა დაამტკიცა, რომ ახალწლის დღესასწაულის ზოგიერთი თანამედროვე ჩვეულება იმავე სარწმუნოებრივ მოძღვრების ვაგლენის ნაშთს წარმოადგენს (იხ. Древнѣйшія арабскія извѣстія о празднованіи Науруза въ сасанидской Персіи, З. В. О. Арх. Общ. წიგნი XVI). სხვა მკვლევარებს ახალი არაფერი არ უთქვამთ, პირიქით იმიტაც-კი. რაც უკვე გამოჩვენებული იყო, ვერ ისარგებლეს ნათ (იხ ამის შესახებ ჩემი ბიბლიოგრაფია საქართველოს შესახებ „Визант. Времени.“ 1904 წ. წიგნი XI, № 3 და 4). ამგვარად ნ. მარის, მ. კავალევსკისა და კ. ინოსტრატევის გამოკვლევებ ძველი წარმოდგენა ქართველ ხალხის წარმართობისა და

**ქეთევან**  
**უფო-უმე-**  
**როსოზა**  
**ქართულ**  
**სახალხო**  
**პეზიაში.**

კერპთაყვანისმცემლობის შესახებ ძირიანად შეარყია. თუმცა კვლევის ასპარეზი მოსუფთავედა, მაგრამ ამასთანავე ძირითადი საკითხი ქართველ ხალხის წარმართობის შესახებ გამოურკვეველი დარჩა. ის რაც წინად გვწამდა დარღვეულია, ახალი ცნობები-კი არ მოიპოვება. ერთ დროს თითქმის იმედი დაკარგული მქონდა, რომ ეს საყურადღებო საგანი ახლო მომავალში, ვიდრე ახალი წყაროები აღმოჩნდებოდა, გამორკვეულიყო. მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენ აწინდელ თქმულებებსა და ზნე-ჩვეულებებშია-კი წარმართობის საყურადღებო ნაშთია შერჩენილი. გამოსაკვლევი საგანი რომ უფრო გაადვილებულიყო და მარტივი გამხდარიყო, უნდა ავღაპირგვლად გამოვჩერკვია, თუ როგორ იბატება ჩვენი ხალხის აზროვნებაში უზენაესი ღვთაება. ამ საკითხის შესწავლა, რასაკვირველია ზღაპრებისა და სხვა და სხვა თქმულებების განხილვის საშუალებით შეიძლებოდა. ჩვენი თემისათვის ფაქტად საყურადღებოა ერთი ს. ბარალეთის მასწავლებლის მიერ ჩაწერილი თქმულება „იესო ქრისტესი, ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა გიორგის“ შესახებ\*). სამწუხაროდ თქმულება ქართულად არ არის დაბეჭდილი, მხოლოდ რუსული თარგმანია მოყვანილი. „ერთხელ იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი ერთად გზად მიდიოდნენ. ბევრი რომ გაიარეს, მოიღალნენ და ერთ ადგილას დასასვენებლად და პურის საკმელად დასხდნენ. იქვე მგზავრების მახლობლად ერთი მცხვარე ცხერის ფარას აძოვებდა. მიუგზავნეს ელია მცხვარეს, სადილად ერთი ბატკანი მოგვეცყო. მივიდა ელია მცხვარესთან და უთხრა: „გულკეთილო მცხვარე, ერთი ბატკანი მაჩუქე“-ო.

„თუნდ ნახევარი ფარა მიირთვი, ოღონდ-კი მითხარ, ვინა ხარო“ უპასუხა ნეცხვარემ. „მე ელია წინასწარმეტყველი ვარო. პურის მოსავალს გაძლევთ, თქვენ ყანას წვიმას ვუგზავნი ხოლმე. და გღვებკაცის ქირნახულს მფარველობას ვუწევო“, უთხრა ელიამ.

\* ) Сборн. мат. для опис. мѣст. и плем. Кавказа, XIX, 83. 152—154.

—ვაჰმე! ჩემი ღმერთისა რომ არ შეშინოდეს, აი ამ კომპლით თავს გაგიტეხამდიო“ უპასუხა მეცხვარემ.

—რათა, რაზე ხარ ჩემზე გულმოსულიო“, ჰკითხა ელიამ.

—რაზედა და: დასთესავს ჰურს ერთ დღიურ მიწას საწყალი ქერივ-ოხერი ან ვინმე ლარიბ-ლატაკი შენ მისდგები, არც აცივებ, არც აცხელებ, და იმ უნას სულ სეტყვით ჩაულეწავა“.

დაბრუნდა ელია წინასწარმეტყველი ხელცარიელი თავის ამხანაგებთან და უამბო ყველაფერი, რაც მეცხვარემ უთხრა. ახლა თითონ იესო ქრისტე წავიდა მეცხვარესთან და ბატკანი სთხოვა.

— „თუნდა ნახევარი ფარა ინებე, ოღონდ-კი მითხარ ვინა ხარო“ უთხრა მეცხვარემ.

— „მე შენი უფალი ვარ, ქვეყნის შემოქმედიო“.

— ვაჰმე! მიუგო მეცხვარემ, ჩემი ღმერთისა რომ არ შეშინოდეს, აი ამ კომპლით თავს გაგიტეხავდიო“.

— „ისეთი რა დაგიშავე მერე?“ ჰკითხა იესო ქრისტემ მეცხვარეს.

— „რა და ის, რომ ქაბუჯს წუთისოფელს გამოასალმებ ხოლმე, ბევრ ისეთ მოხუცებულ ადამიანს-კი, რომელსაც ცხოვრება მოჰბეზრებია, ცოცხალს ატარებ ხოლმე დედამიწის ზურგზედაო, მიუგო მეცხვარემ.

ასე დაბრუნდა იესო ქრისტეც ცარიელ-ტარიელი. ახლა ადგა და წმინდა გიორგი წავიდა მეცხვარესთან. მეცხვარე რომ შეეკითხა წმინდა გიორგის, ვინა ხარო, უპასუხა:

— „მე წმინდა გიორგი ვარ, გაქირვების დროს რომ შემეხვეწებით ხოლმეო. მე გიფარავთ ავ-სულელებისა და ეშმაკებისაგან და თქვენის მტანჯველის ხელისაგან გიხსნით ხოლმეო“.

მეცხვარემ რომ წმინდა გიორგის სიტყვები მოისმინა შესძახა:

„მთელი ფარა მომირთმევიო“ და მის წინ მუხლი მოიყარა. ჰურის ქამას რომ მორჩნენ, იესო ქრისტემ კალთა დაიბერტყა და სთქვა: „ამ მინდორზე საუკეთესო მოსავალი მოვიდეს: თითო ძნას ასი კოდი გამოსაკალი ჰქონდესო“.

წმინდა გიორგიმ იესო ქრისტეს ნათქვამი მეცხვარეს უამბო და ურჩია მინდორი მოხანო. მეცხვარეც ისე მოიქცა. რამდენმა ხანმა გაიარა და ამ საკვირველმა მგზავრებმა

შემთხვევით იმ ადგილზე გამოიარეს, სადაც ერთ დროს ისა-  
დილეს და საცა ეხლა ხშირი ყანა იდგა. როცა წმინდა გი-  
ორგიმ იესო ქრისტეს შეატყობინა, რომ ეს ყანა სწორედ  
იმ მეცხვარეს ეკუთვნოდა, რომელმაც მას ერთხელ ბატკანი  
დაუჭირა, ილია წინასწარმეტყველს უთხრა, ერთი ამ მეცხვა-  
რის ყანას სეტყვა აწვიე და ჩაუღყწეო. წმინდა გიორგიმ მა-  
შინვე მეცხვარეს შეატყობინა და გააფრთხილა, შენს ყანას  
განსაცდელი მოეღოსო. მეცხვარემ საჩქაროდ თავის ყანა ორ  
ხარის ფასად ერთ ქვრივ დედაკაცს მიჰყიდა. მოვიდა სეტყვა  
და ისე მირეგ-მორეგვა ეს ქვრივის ყანა, რომ ნათესის ნა-  
აღაგევიც-კი აღარა სჩანდა. როცა იესო ქრისტემ მეცხვარის  
ოინები შეიტყო, მაშინვე ილია წინასწარმეტყველს უბრძანა  
ქვრივის ყანა წინანდებურად აღადგინეო. ილია წინასწარ-  
მეტყველს იესო ქრისტეს ბრძანება ჯერ არ აესრულებინა,  
რომ მეცხვარემ წმინდა გიორგის ჩაგონებით ქვრივ დედაკა-  
ცისაგან ყანა შეისყიდა; ილიამ რომ წინანდებურად მოსავა-  
ლი აღადგინა, მეცხვარემ პურის მკას მიჰყო ხელი და თითო  
ძნისაგან ას-ასი კოდი გამოსავალი აიღო“.

ეს თქმულება ფრიად საყურადღებოა, იმიტომ რომ იქ  
მოქმედობს და ერთი ერთმანეთს ეჯიბრება სამი წმინდა არ-  
სება: ერთი იესო ქრისტედ არის დასახელებული, მაგრამ რა-  
კი იგი თვით თავის თავს ქვეყნის შემოქმედს ეძახის, იმიტომ  
ამ შემთხვევაში იესო ქრისტეს მაგიერ **ჯმერთი შემოქმედი** უნდა  
ვიგულისხმოთ, მის ხელშია აღამიანთა სიკვდილი-სიცოცხლე;  
მეორე პირი ილია წინასწარმეტყველია, რომელიც, როგორც  
თქმულებიდანაც ჩანს, ტაროსისა და ავდრის, წვიმა-სეტყვის  
მბრძანებელია; მესამე—წმინდა გიორგი არის; იგი, როგორც  
თქმულებიდანაც ჩანს, აღამიანის მფარველია, მეტადრე გაჭირ-  
ვების დროს, და ვაცს ყოველგვარ ბოროტებისა და უბედუ-  
რებისაგან იხსნის ხელმე.

თუმცა ჩვეულებრივ საქრისტიანო მოძღვრების მიხედ-  
ვით ამ სამ პირთა შორის ყველაზე მაღლა ღმერთი-შემო-  
ქმედი უნდა იდგეს, მერე ილია წინასწარმეტყველი, შემ-  
დედ კიდევ წმინდა გიორგი, მაგრამ ამ ხალხურ თქმულება-  
ში უფროს უმცროსობა სულ სხვანაირად არის დასურათე-



ბული; ღმერთი შემოქმედი ისეთ შესაბრალოს მდგომარეობაშია, რომ მეცხვარესაგან ერთი ბატკანიც-კი ვერ მიუღია სადილად; პირიქით იგი ემუქრება კიდევ ღმერთს: „ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი ამ კომბლით თავს გაგიტყავდიო“. ცხადია, მთავარ ღვთაებას მეცხვარე ასეთ თავხედობას ვერ გაუბედვლავდა; ხოლო მისივე ნათქვამი— „ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს“— უფრო ცხადად გვიჩვენებს, რომ მეცხვარეს ამ ღმერთისა, ქვეყნის შემოქმედისა, არ ეშინიან, იმიტომ რომ იგი „იშისი ღმერთი“ არ არის. მეცხვარეს ღმერთი სულ სხვა ღვთაებაა. ღმერთი შემოქმედი შურის მძიებელია და მეცხვარეს დასჯას უპირებს. მაგრამ ამასთანავე არ იცის რა ხდება ქვეყანაზე, ისიც-კი ვერ გაუგია, რომ წმინდა გიორგიმ ორჯერვე მისი განზრახვა გასცა და მეცხვარემ პირველად თავისი ყანა ქვრივ დედაკაცს მიჰყიდა და ამით ღვთის რისხვა თითონ თავიდან აიცილია და და ღმერთმა და ილიამ უცოდინარობით მეცხვარის მაგიერ ქვრივი დასაჯეს, ხოლო მეორედ მეცხვარემ ღვთის წყალობა, რომელიც ღმერთმა ქვრივს უბოძა, ყანის ყიდვით თავის თავს მოუხვეჭა. ერთი სიტყვით თქმულებაში ღმერთი უძლურ არსებად არის გამოხატული: მას არ შეუძლიან წმინდა გიორგის მეცხვარის ქომავობა დაუშალოს, საიდუმლოების გამომჟღავნების აკრძალვა ვერ მოუხერხებია და ისიც-კი არ იცის, თუ რა ხდება ქვეყნიერობაზე, ან როგორ და რას ახერხებენ ადამიანები მის სასჯელის თავიდან აცდენად. ამ გვარად ჩვენა ვხედავთ, რომ ამ თქმულების ღმერთს ქრისტიანობის მოძღვრების ძლიერ, ერთ-არსება, ყოვლის-მცოდნე და ყოვლის-მხილველ შემოქმედ ღმერთთან არაფერი აქვს საერთო. არც ილია წინასწარმეტყველება მიიღო თავაზიანი პასუხი მეცხვარისაგან: ბატკანს ვილა სჩივის, მეცხვარე პირიქით იმასაც დაემუქრა „ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, თავს გაგიტყავდიო.“ მაგრამ თქმულებიდან ცხადადა სჩანს, რომ ილია მანაც შემოქმედ ღმერთზე დაბლა სდგას, იგი მას ექვემდებარება და მის ბრძანებას ასრულებს.

ამ თქმულებაში უმთავრესი მნიშვნელობა და ძალა წმინდა გიორგისა აქვს: მხოლოდ იმის წინ იყრის მუხლს ის

თავხედი მეცხვარე, რომელიც შემოქმედსა და ილია წინასწარმეტყველს თავის გატეხას უქადა. მხოლოდ მას შესთავაზა ერთი ბატკნის მაგიერ მთელი ცხვრის ფარა. წმინდა გიორგის სურვილს ვერც შემოქმედი, ვერც ილია წინ ვერ აღუდგებოდენ: რა განსაცდელი და რისხვაც უნდა მოელოდდეს შემოქმედისა და ელიასაგან მის თავყანისმცემელს, იგი ყოველთვის იხსნის სასჯელისაგან; სხვისთვის (ქვრივისთვის) ნაბოძებ წყალობასაც კი იგი მეცხვარეს არგუნებს ხოლმე, და ღმერთსა და ილიას თავხედ, მათ შეურაცხყოფელ, მეცხვარის დასჯაც-კი ვერ მოუხერხებიათ, ერთისიტყვით წმინდა გიორგი ღმერთს შემოქმედსა და ილიას ყველაფერში სჯობნის, იგი ყველაზე ძლიერია.

რით აიხსნება ეს უცნაური გარემოება? ვიდრე ამ მოვლენის ძირითად და არსებით მიზეზის გამოარკვევას შევუდგებოდეთ, თავდაპირველად უნდა ამ მიზეზის კვალი თვით თქმულების შინაარსში ვეძიოთ. როცა ილიამ და შემოქმედმა თავიანთი ვინაობა გამოამჟღავნეს, მეცხვარემ ორივეს ერთნაირი, საკვირველი პასუხი მისცა: „ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი ამ კომპლით გაგიტეხავდი თავსაო!“ ამ შესანიშნავ წინადადებიდან ცხადადა სჩანს, რომ მეცხვარეს შემოქმედი და ილია თავის ღმერთად არ შიანია, რომ მეცხვარეს უნდა ღმერთი ქუავს, რომლის ძლიერებაც უფრო მეტად სწამს, ვიდრე მათი; ეს მეცხვარეს ღმერთი შემოქმედისა და ილია წინასწარმეტყველის მტერი არ უნდა იყოს: მეცხვარეს რომ მათთვის თავი გაეტეხა, მისი ღმერთი ამ საქციელს არ მოუწონებდა, სასტაკად დასჯიდა. საყურადღებოა, რომ სწორედ იმ დროს, როცა მეცხვარე ასე უღიერად ეპყრობა შემოქმედსა და ილია წინასწარმეტყველს, მათთვის ერთი ბატკანიც ეშურება, იმავე დროს საკმაო იყო მეცხვარეს გაეგო, რომ მის წინაშე წმინდა გიორგი იდგა, რომ მაშინვე მოწიწებით პირქვე დაცემულიყო და მუხლი მოეყარა და ერთი ბატკნის მაგიერ მთელი ცხვრის ფარა ეძღვნა!.. ამ გვარი თავყანისცემა ამტკიცებს, რომ სწორედ წმინდა გიორგი უნდა იყოს მეცხვარის ის ღმერთი, რომლის ხათრის გულისათვისაც შემოქმედსა და ილიას ბატკნის მაგიერ კომპალი არ უთავაზა,

რომ წმინდა გიორგი არის ის ძლიერი ღმერთი, რომლისაც მას ეწინიან, განსაკუთრებით პატივისა სცემს და სხვას თუ ნახევარ ფარას მისცემდა, მას მთელ თავისს ქონებას, მთელ ცხერის ფარას შესწირავდა.

ამ გვარად, თქმულების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ღვთაებაში უმთავრესი ადგილი წმინდა გიორგის უკავია; იგი შემოქმედ ღმერთზედაც, ილია წინასწარმეტყველზედაც გაცილებით უთრო ძლიერი და ხერხიანია, კეთილი, ადამიანის მფარველი და ყოველნაირ ბოროტებისა და განსაცდელისაგან მხსნელი.

მეორე ადგილი შემოქმედ ღმერთს უკავია: იგი სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელია, შურის მძიებელი, მაგრამ წმინდა გიორგისთან შედარებით უძლური; იგი არც ყოვლის-მკოდნეა და არც ყველაფრის-მხილველი, მან ხერიანიანად არ იცის ქვეყნიერებაზე რა ხდება, ან როგორ ამქლავნებს მის საიდუმლოებას წმინდა გიორგი.

მესამე ადგილი ილიას უკავია; წვიმა-სეტყვისა, მებისა, ტაროსისა და ავდრის ბატონი, იგი შემოქმედს ექვემდებარება და მის სურვილს ასრულებს ხოლმე.

ასეთ დასკვნას უნდა დავადგეთ ზემომოყვანილ საყურადღებო თქმულების განხილვის შემდეგ. მაგრამ ერთ ქართლურ თქმულების შესწავლა სრულებით საკმარისი არ არის, რომ აღნიშნულ დასკვნას წმინდა გიორგის, შემოქმედისა და ილიას შედარებითი უფროს-უმცროსობისა და უფლებათა შესახებ ქართველ ხალხის საერთო რწმენად აღვიაროთ. ამისთვის, რასაკვირველია, საჭიროა, რომ საქართველოს დანარჩენ კუთხეების თქმულებითაც მტკიცდებოდეს ზემომოყვანილი დასკვნა თვითოეულ სამ ღვთაების შესახებ.

ასეთივე უძლური და უსახსროა ღმერთი შემოქმედი ქართლურ და სვანურ თქმულებებშიც: ღმერთი იქ ხაში ადამიანისავეთ იქცევა, ჩავარდება—სიცივისაგან არ იცის რა ქნას, წყალში სძირავს და ანგელოზები რომ არ მიეშველნენ, დაიხრჩობოდა წყალშიც. დადის და არ იცის ხოლმე რა განსაცდელი მოელის მას: მიჰყვება ვილაცის ფეხის კვალს, მივა ლურჯ ქვასთან, ასწევს მას და იქიდან საშოგელ ეშმაკი

გამოხტება, ღმერთს ყაყრანტოში ხელსა სტაცებს და დახ-  
რჩობას უპირებს. დალონდება ღმერთი და ანგელოზებს შეე-  
ხვეწება როგორმე მიშველეთო. მაგრამ ვერც იმით ვააწყებს რა-  
მე და ღმერთი ვერ გაანთავისუფლეს. სხვა გზა აღარ იყო  
და ღმერთმა სამოელ ეშმაკს ხვეწნა დაუწყო: „ოლონდ-კი  
გამიშვი და რაც გინდოდეს ის მომთხოვეო“. სამოელმა  
უპასუხა: „დავძმობილდეთ, სხვა არა მინდა რა შენგანაო“.   
ღმერთი დასთანხმდა. სამოელმა გაუშვა და თავის გზაზე  
წავიდა. მერმე ღმერთი და მთავარანგელოზები მიქელ და  
გაბრიელი ქვეყნის შესაქმეს შეუდგნენ; ბევრს ეწვალნენ,  
მაგრამ ვერა ვააწყებს რა. დალონდნენ, არ ეცოდნენ რო-  
გორ მოქცეულიყვნენ. მერე მიქელ მთავარანგელოზმა უთ-  
ხრა ღმერთს: „შენ ძმა სამთელთან წავალ, იქნება საქმე იმ-  
ან გვასწავლოსო“. ღმერთი დაეთანხმა. ანგელოზი გაემგზავ-  
რა და სამოელმაც მართლა ასწავლა, როგორ მოქცეული-  
ყვნენ<sup>1)</sup>. მეორე ქართლურსავე თქმულებაში ღმერთმა განი-  
ზრახა ერთ რვეალ ქვის გატეხა, რომელიც იმის წინ მოგო-  
რავდა, მაგრამ ანგელოზები უშლიდნენ: „მაგას ნუ იზამ,  
თორემ მერე ვინანებთო“. ღმერთმა ყური არ აიხოვა, ქვას  
ფეხი ჰკრა და გატეხა. უცებ ქვიდან სამოელი ამოხტა,  
ღმერთს ყელში სწვდა და დახრჩობას უპირებდა.<sup>2)</sup> ერთი  
სიტყვით ამ ორივე თქმულებაში ღმერთი გამოუცდელ,  
უცოდინარ, ჯიუტ არსებად არის დასურათებული, ყოველგვარ  
განსაცდელში მას ანგელოზები ეხმარებიან და ჰკვას ასწავლი-  
ან; სამოელ ეშმაკი ხომ მას ყველაფერში სჯობნის და ქვეყნის  
შექმნაშიაც-კი შველის. ამნაირსავე უგუნურ ჯიუტობას  
იჩენს ღმერთი სვანურ თქმულებაშიაც.<sup>3)</sup> დასასრულ ერთ  
კახურ თქმულებაში ღმერთი ისეთ გულქვავ და მრისხანე  
არსებად არის წარმოდგენილი, რომ მიქელ და გაბრიელ  
მთავარ-ანგელოზებს, ჩემის ბრძანებისაებრ რატომ ვაქრის

1) ამ თქმულების რუსული თარგმანი დაბეჭდილი იყო „Сборн. мат.  
для опис. мѣст. и плем. Кавказа, წიგნი X, გვ. LXXV-LXXX

2) *ibidem*.

3) იხ. *ibidem*-გვ. 247.

შვილს ქორწილის ღამეს სული არ ამოართვით და პურმარი-  
ლობის გულისთვის სასკვდილოდ რად შეგეცოდათო, გაბრა-  
ზებულმა ყვირილი დაუწყა, სტაცა ხელები და ორივეს შიგ-  
ნეულითგან ჯიგრები ამოჰგლიჯა, რომ ამერიტგან უჯიგ-  
როდ, დაუნდობლად და შეუბრალებლივ ამოართონ ხოლმე  
სული ადამიანს. <sup>1)</sup>

წმინდა გიორგის აღმატებული ძლიერება და ყოვლად-  
შემძლვებლობა, ხოლო ელიას სრული უსაზრობა და უღო-  
ნოება გიორგისთან შედერებით საუცხოვოდ არის დახატუ-  
ლი შემდეგ იმერულ თქმულებაში; ერთხელ ორმა ძმამ მფარ-  
ველები აიჩიეს, ერთმა წმინდა გიორგი, მეორემ კიდევ ელია  
წინასწარმეტყველი. ორივემ ნათლიებად თავიანთი მფარვე-  
ლები გაიხადეს. ერთ დღეს რძლები როგორღაც შელა-  
პარაკდნენ და ორივემ თავიანთ მფარველების ქება დაიწყეს  
და ერთი-ერთმანეთის ნათლიებს-კი აძაგებდნენ. დაღონებულ-  
მა უფროსმა რძალმა თავის ქმრის მფარველს ელიას შე-  
სჩივლა, ჩემმა რძალმა ასე და ისე დაგვინა; „აბა, წმინდა  
გიორგის როგორ შეედრებაო!“ ბარემ სამჯერ ეცადა  
ელია, რომ თავის შეურაცხყოფის გულისათვის უფროსი ძმა  
და მისი ცოლი დაესაჯა, ხან ყანა უნდა ჩაეწვა გვალვით,  
ხან დაესეტყვა, მაგრამ ამოდ: წმინდა გიორგი ისე ექომა-  
გებოდა და აფარავდა უფროს ძმას—თავის სვინას, რომ მას  
ბეწვის ოდენაც არ დაჰკლებია და, რა განსაცდელსაც მას  
ელია უმზადებდა, წმინდა გიორგის წყალობით ისევ სულ  
ელიას სვინას, უმცროსს ძმას, დაატყდებოდა ხოლმე თავზე.  
როცა ელიამ დანახა, რომ ვერა გააწყო რა, მწმინ-კი მიხვდა;  
უმცროს ძმას ვილაც უნდა ექომაგებოდესო. ბოლოს თითონ  
წმინდა გიორგი გამოუტყდა. <sup>2)</sup> იმერული თქმულება მაშასა-  
ღამე წმინდა გიორგის უპირატესობას და ძლიერებას ელია  
წინასწარმეტყველს თავისისავე პირით აღიარებინებს; თვითვე

<sup>1)</sup> ამ თქმულების რუსული თარგმანი დაბეჭდილია Сбор. мат.  
для опис. мѣст. и плем. Кавказа. წიგნი XXXV, გვ. 106—111.

<sup>2)</sup> იხ. А. Хахановъ, Очерки по исторіи груз. слов.  
გვ. 252—254.

თქმევიებს, რომ მას წმინდა გიორგის მეტოქეობა და გაჯიბრება არ შეუძლიან.

სვანების ხალხურ თქმულებებშიაც წმინდა გიორგი იმნაირადვეა დასურათებული, როგორც ქართლურ თქმულებაში; მის მფარველობის წინააღმდეგ თვით ღმერთსაც არა შეუძლიან რა. წმინდა გიორგი (ჯგრაგ), რომელიც მიქელ მთავარანგელოზისავეთ <sup>1)</sup> (მქემთარინზელ) ღმერთს გვერდით უზის, მუდმივ ადამიანზე ზრუნავს და სულ იმის ცდაშია კაცს როგორმე სიკეთე უყოს. ერთხელ ღმერთმა ერთს კაცს, რომელმაც საკმელი უკმია და სადილაჲ ბატკანი უძღვნა, საჩუქრად ძროხა უწყალობა. როცა გიორგიმ და მიქელ მთავარანგელოზმა ღვთის საჩუქარი მიუტანეს, გიორგიმ ამ კაცს შააგონა, ცოლი სთხოვე ღმერთსაო. ისიც ისე მოიქცა, როგორც გიორგიმ დაარია; მაშინ ღმერთმა გიორგის უთხრა: „სულ შენა ზრუნავ, გიორგი, იმ კაცზე, თორემ ეგ თითონ იმას სად მოაგონდებოდაო“? მეტი რაღა გაეწყობოდა, ღმერთს უარი არ უთქვამს; გიორგი და მიქელ მთავარანგელოზი გაემგზავრნენ, ცოლი უშოვნეს და რაც-კი საჭირო იყო მისთვის ყველაფერი უწყალობეს. მერე როცა წმინდა გიორგიმ იმ კაცის თხოვნა შეატყობინა ღმერთს, რამდენი შვილი მიეყოლებაო, ღმერთმა უპასუხა: „გიორგი, ეგ სულ შენი საქმია, თორემ იმ კაცს სად მოაგონდებოდაო: ეხლა რომ იმს შვილი მიეცეთ, ქვეყანაზე ადამიანები გამრავლდებიან და ვაწროობა იქნებაო! მაინც ღმერთმა გიორგის დაუთმო: „ორი შვილი მიეცეთ, მაგრამ სიცოცხლის ნახევარ გზას რომ მოიქამენ, მერე დაიხოცნენო“, სთქვა მან. გიორგიმ უპასუხა: „ეჰ, თუ მიცემაა, საბოლოოდ მიეცეთ, თორემ ტყუილად რისთვის ვაწვალოთო“? ღმერთმა აქაც დაუთმო. შემედევაც, როცა ღმერთმა ბრძანა: „ისეთ სეტყვას დავუშენთ დედამიწასა, რომ ჩვენ დასახლებულ კაცის ყანა მიწასთან გავასწოროთ“ ო;

<sup>1)</sup> ბ. ივ. ნიჟარაძე სვანურს „მქემთარინზელ“-ს, რომელიც ეთანხვორდება ქართულს „მიქელ მთავარანგელოზს“, შეცდომით „спаситель“-ად სთარგმნის (იხ. Сбор. матер. для опис. мѣст. и плем. Кавказа წიგნი X, 177).

გიორგი მაშინვე დაეშო დედამიწაზე და კაცს უთხრა: „დღეს-ვე მამითადი შეჰყარე, რაცა გაქვს სულ მომკე, თორემ ისეთი სეტყვა მოვა, რომ ერთი დღისაც არ შეგერჩებოა“. კაცმა მომკა ყანა და პური დააბინავა. ღმერთმა ნახა მერე, რომ იმ კაცს პური შინა ჰქონდა, სხვას-კი ერთი დღის საგზა-ლიც აღარ შერჩა. მაშინ ღმერთმა გიორგის უთხრა: „ეგ ხომ სულ შენი საქმეა, თორემ იმას სად მოაგონდებოდაო“. მერე გულში თქვა ღმერთმა: „მაშ თუ ეგრეა, იმ დასახლებულ-კაცს გადავწამო!“ დაეშვა გიორგი ისევ დედამიწაზე, და-არიგა კაცი და უბედურება თავიდან ააციდინა. ბოლოს ღმე-რთმა თქვა: „ეს სულ გიორგის საქმეა, თორემ ის ხომ ამას ვერ მოიგონებდაო. მეტად მოწადინებულია, რომ ეს კაცი და-სახლოს და რადგან ასეა დაეუთმოთო!“<sup>1)</sup> ამ სვანურ თქმუ-ლებამაიაც ღმერთს, რომელიც სვანურად იწოდება ღერმეთ, ანუ ღერბეთ, ადამიანისათვის ყველაფერი ჰშურს: ადამიანს რომ გიორგი არ ეშველებოდეს არც ერთ სიკეთეს არ უზამს, პირიქით იგი იმდენად გულქვაია, რომ მშობლებს შვი-ლებს აძლევს და ჭაბუკად რომ ზოღერდებიან სწორედ მაშინ უნდა როგორმე დაუხოცოს; მისთვის ადამიანის ქინახულის-განადგურება, სახლის გადაწვა, სულის ამორთმევა ჩვეულებრივ საქმეს შეადგენს. მაგრამ გიორგის წინაღმდეგ ვერას გააწყობს ხოლმე. გიორგი რასაც უნდა იმას ასრულებს და ღმერ-თი იძულებულია დაუთმოს; თუ გიორგი წინაღმდეგობას გაუ-წევს, ღმერთი ვერც ერთ თავის სასჯელს ვერ განახორციელებს ხოლმე. გიორგის მზრუნველებას და ადამიანის მფარველობას საზღვარი არა აქვს: განიზრახავს თუ არა ღმერთი ადამიანის-საწინააღმდეგოს, გიორგი მაშინვე დაეშვება დედამიწაზე და ასწავლის, კაცმა თავიდან განსაცდელი როგორ აიციდინოს. ერთი სიტყვით წმინდა გიორგი, ყოვლად-კეთილი და ძლიე-რი ღვთაებაა, უმთავრესი ადგილი უკავია და თვით ღმერთსაც-კი აღემატება.

ყველა ზემომოყვანილ ქართულ თქმულებების შესწავ-ლამ დაგვარწმუნა მაშასადამე, რომ წმინდა გიორგის პირვე-

<sup>1)</sup> ეს თქმულება დაბეჭდილია Сборн. мат. для опис. мѣст. и плем. Кавказа, წიგნი X, გვ. 176—187.

ლი ადგილი უკავია და ყველაზე უფროსად ითვლება, რომ იგი გულ-კეთილია და ადამიანის მფარველი, ძლიერებით ყველას, თვის ღმერთსაც-კი სჯობნის.

მეორე ადგილი შემოქმედ ღმერთს ეკუთვნის: იგი არც ყოვლად-ძლიერად ითვლება, არც ყოვლის-მეცნიერად, მკაცრი, თითქმის მრისხანე ბუნება აქვს კიდევ და შურის მაძიებელია.

მესამე ადგილი ელია წინასწარმეტყველს უკავია. იგი წმინდა გიორგისთან შედარებით უძლურია და შემოქმედის ბრძანებას ასრულებს ხოლმე.

მაგრამ მართო თქმულებაში ხომ არ უკუთვნის წმინდა გიორგის განსაკუთრებული პატივისცემა; თვით ცხოვრება შიაც ქართველი ერი მას ყველაზე მეტად თაყვანსა სცემს. არც ღმერთისა და იესო ქრისტეს, არც ერთ წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი საყდარი საქართველოში, რამდენიც წმინდა გიორგის სახელობაზეა აშენებული. ჯერ კიდევ 1217 წელს მოგზაური თიტმარი (Thietmar) სწერდა, რომ ქართველები წმინდა გიორგის მეტად თაყვანსა სცემენო. <sup>1)</sup> ხოლო ვახუშტი აღვნიშნავს, რომ საქართველოში „არ არიან ბორცუნი ღ მალაღნი გორანი, რომლისა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანიო“ <sup>2)</sup> აქას გარდა ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა უმთავრესი და ძლიერი საყდრები და ღვთაებები საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა: ხევსურეთში, მაგალითად, ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი და სანების ჯვარი ყველანი წმინდა გიორგის საყდრებად ითვლებიან. <sup>3)</sup> ორი, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში განთქმული, ხატი კახეთისა—თეთრი გიორგი სოფ. აწყურსა და ალავერღშიაც <sup>4)</sup> ხომ წმინდა გიორგის

<sup>1)</sup> Mag. Tietmari Peregrinatio, ed. Laurent, p. 51.

<sup>2)</sup> Description géographique de la Géorgie, p. 52.

<sup>3)</sup> დავით გორელი, რამდ. სიტყვა ფშავ-ხევსურ., „ივერია“ 1886 წ. № 243; დავით გორელი, ხახმატის ჯვარობა, „ივერია“ 1889 წ. № 271; 5. ურბნელი, ეტნოგრ., წერილები, ibid. 1887 წ. № 158.

<sup>4)</sup> ვახუშტი Description géographique და p. 318. 222.



სახელობაზეა; ფშაველებში ცნობილი ძლიერი ლაშარის ჯვარი და მთიულეების დიდებული ლომისის ჯვარიც წმინდა გიორგის ხატია; ამას გარდა კახეთში და ქიზიყში შემდეგ სოფელში იცის წმინდა გიორგის განთქმული ღლეობა: თელავში, ახმეტაში, კონდოლში, შილდაში, გრემში, ყვარელში, ველისციხეში, ვეჯინში, გურჯანში, კარდანახში, სიღნაღში, ბოდბეში, მაღაროში, მელაანში, ზიარში, ფხოველში, მანავში, ნინოწმინდაში საგარეჯოში, მარტყოფში, პატარძელში, ხაშში, ყარაბულაღში, კურმუხის წმინდა გიორგის საყდარში სოფ. კახის მახლობლად ქართლშიაც ყველა განთქმული ღლეობები: გერისთაობა სოფ. არბოში<sup>1)</sup>, უსანეთობა<sup>2)</sup>, გორის-ჯვარობა<sup>3)</sup>, დანახვისში<sup>4)</sup>, ატოცი-სა<sup>5)</sup> სოფ. ბრეძის მახლობლად—წმინდა გიორგის ღღესასწაულად ითვლება. ჩამოთვლილ სოფლებს გარდა ქართლში კიდევ შემდეგ ადგილებში იციან წმინდა გიორგის ღლეობა: ახალჯვარი კაკანაბერის ციხის ჩრდილოეთით<sup>6)</sup>, ერედვას ციხეში დაბ. ცხინვალის აღმოსავლეთით<sup>7)</sup>, ძლიერი ნიში წმინდა გიორგისას ქ. დუშეთის მახლობლად<sup>8)</sup>, სპარსის წმინდა გიორგი გერის მთის მახლობელ მთაზე<sup>9)</sup>, თელეთების ეკლესია<sup>10)</sup>, სოფ. ჩხიკეთის სამხრეთით მდებარე **სამება წმინდა გიორგის ეკლესია**<sup>11)</sup>, ს. ყორნთას ატოცის წმინდა გიორგის ჯვარის სასვენი ეკლესია<sup>12)</sup>, და სხვა კიდევ

<sup>1)</sup> Дубровинъ Исторія войны на Кавказѣ, წიგნი I, გვ. 167—8 და Грузинскія галальщины, Кавказъ, 1853 г. № 56 და 1847 г. № 3.

<sup>2)</sup> ვახუშტი, ჯანაშვილის გამ. გვ. 106.

<sup>3)</sup> ვახუშტი, გეოგრ. (ჯანაშ.) გვ. 81.

<sup>4)</sup> ვახუშტი, გეოგრ. (ჯანაშ.) 80.

<sup>5)</sup> ვახუშტი, გეოგრ. (ჯანაშ.) გვ. 117.

<sup>6)</sup> ვახუშტი, *ibid.* 81.

<sup>7)</sup> ვახუშტი, *ibid.* 111.

<sup>8)</sup> Хахановъ Экспедиція на Кавказъ, გვ. 61.

<sup>9)</sup> ვახუშტი, გეოგრ. ვახუშტი, *ibid.* 113.

<sup>10)</sup> ვახუშტი, *ibid.* 63.

<sup>11)</sup> ვახუშტი, *ib.* 61,

<sup>12)</sup> *ibid.* გვ. 50.

მრავალი. დასავლეთ საქართველოში შემდეგ ადგილას იცის განთქმული წმინდა გიორგის დღეობები: სოფ. ჩხარში სადაც მდებარეობს მთავარ მოწამის ბეჭი <sup>1)</sup>, სოფ. წევას სასწაულთ-მოქმედიანი ხატი <sup>2)</sup>, მრავალძალის წმინდა გიორგი სასწაულთ-მოქმედიანი ჯვართურთ <sup>3)</sup>, სოფელ ველიეთს მთის წვერზე სასწაულთ-მოქმედიანი ხატია <sup>4)</sup>, ნაქერალში გაქრილი წმინდა გიორგისა <sup>5)</sup> ძლიერი წმინდა გიორგის ეკლესია ს. ილორში <sup>6)</sup>; სოფ. ხინოში <sup>7)</sup>, ს. აკვის მახლობლად, სანისლობა, მთაზე <sup>8)</sup>, გუნების კარში <sup>9)</sup>, ლომის კარში და ს. ცისაში <sup>10)</sup>, გამოჩინებულის მთაზე <sup>11)</sup>, ს. ჯიხანჯირის წმ. გიორგი <sup>12)</sup>, სოფ. ნიგოთში <sup>13)</sup>, და სხვაგან კიდევ მრავალ ადგილას. ხალხში გავრცელებულია კიდევ რწმენა, რომ საქართველოში იმდენი წმინდა გიორგის ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია; ერთი სიტყვით ვახუშტის შემომოყვანილი ცნობა, რომ მთა არ მოპოვება საქართველოში, სადაც მის მწვერვალზე წმინდა გიორგის ეკლესია არ იყოსო, ძალიან გაზვიადებული არ არის და ქეშმარიტებას უახლოვდება.

ერთი სიტყვით, როგორც სახალხო თქმულებების შესწავლა, ისე დღეობებისა და ხატობის დაკვირვება ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველ ერის სარწმუნოებრივ წარმოდ-

<sup>1)</sup> ვახუშტი, იბ. 272.

<sup>2)</sup> ვახუშტი, გვ. 276.

<sup>3)</sup> ibid, 284.

<sup>4)</sup> ibid, 285.

<sup>5)</sup> ibib. 293.

<sup>6)</sup> ibid. 304.

<sup>7)</sup> Бакрадзе, Археолог. пут. по Грузии и Аджарѣ, 83 92.

<sup>8)</sup> Бакрадзе, ibid. 104.

<sup>9)</sup> Бакрадзе, ib. 201.

<sup>10)</sup> Бакрадзе, ib. 207.

<sup>11)</sup> Бакрадзе, ib. 234.

<sup>12)</sup> Бакрадзе, ib. 247.

<sup>13)</sup> Бакрадзе, ib. 252.

გენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმინდა გიორგის უკავია, მეორე ღმერთს—შემოქმედს, მესამე ელიას.

ხევსურებისა და ფშავლების ხევის-ბერები ლოცვის დროს წმინდა გიორგის პირდაპირ ღმერთად იხსენიებენ: „ღმერთო იხინკის წმინდა გიორგიე“, ასე დაიწყობენ ხოლმე ლოცვას ისინი ქადების კურთხევის დროს <sup>1)</sup>; სენაბიცი გიორგის ღმერთის მსგავსად თაყვანსა სცემენ და ღმერთზე ძლიერად მიაჩნიათ <sup>2)</sup>.

ცხადია, რომ ამ შეხედულებას და წმინდა გიორგის განსაკუთრებულ, შემოქმედზე უმეტესს, პატივისცემას ქრისტიანობასა და საეკლესიო მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო; პირიქით იგი პირდაპირ არღვევს მას. უეჭველია, მაშასადამე, რომ ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმინდა გიორგი ძველ, წარმართობის-დროინდელ, მთავარ ღვთაების ადგილი უნდა ეკავოს. რა ღვთაება უნდა ყოფილიყო მერე ის ღვთაება, რომლის ადგილიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჩვენ ხალხის წარმოდგენაში წმინდა გიორგიმ დაიკირა? ამ საკითხის გამორკვევას უკვე აკადემიკოსი ალ. ვესელოვსკი ამ ოცდა-ექვსი წლის წინად შეუდგა, მხოლოდ სულ სხვა აზრით: მას უნდოდა გამოერკვია, თუ სად დაიბადა ის წმინდა გიორგის თქმულება, რომელშიაც იგი ვეშაპის დამთრგუნველ გმირად არის გამოყვანილი; ამგვარად ბ. ა. ვესელოვსკის ძველ ქართულ წარმართობის გამორკვევა-კი არა ჰქონია ფიქრად, იგი სრულებით დარწმუნებული იყო მაშინ, რომ ეს საკითხი უკვე გამორკვეულია, — არამედ უნდოდა გაეგო, თუ რომელ წარმართობის დროინდელი თქმულებების გავლენის მიხედვით უნდა შეთხზულიყო წმინდა გიორგისა და ვეშაპის თქმულება. რასაკვირველია, ავტორს ამავე დროს უნდა უნებლიეთ გამოერკვია ის საკით-

<sup>1)</sup> დავთ გორელი. რამდენიმე სიტყვა ფშავ-ხევსურ. დღესასწაულებზე. „ივერია“ 1886 წ. № 242.

<sup>2)</sup> Свящ. Гульбiани. Краткій очеркъ религіозно-нравств. состоянія сванетовъ (Сборникъ матер. для описанія мѣст. и плем. Кавказа, წიგნი X, გვ. 89.)

ხიც, თუ რომელ ღვთაების ადგილი დაიჭირა წმინდა გიორგიმ ქართულ სახალხო თქმულებებში? რამდენადაც ბ. ა. ვესელოვსკის ცოტა არ იყოს ბუნდოვან სიტყვებიდანა სჩანს, იგი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში წმინდა გიორგის თქმულება ძველ წარმართობის-დროინდელ თქმულებიდან უნდა წარმომდგარიყოს, სახელდობრ ამ თქმულებიდან, რომელიც ერანის სარწმუნოების გავლენის გამო ქართველებს შორის გავრცელებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბ. ა. ვესელოვსკი ძალიანა სცდება. წმინდა გიორგის თაყვანისცემას საქართველოში არავითარი კავშირი არ აქვს ერანულ წარმართობასთან.

ქართველ ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველ, წარმართობის დროინდელ, ქართველების მთავარ ღვთაებაზე, მთვარის ადგილი უკავია.

ქართველებმა უზენაეს ღვთაებად მთვარეს (თუთათუთუ) სთვლიდნენ.

საკმარისია სტრაბონის აღწერილობის ერთი ნაწყვეტი, რომელიც აღბანელთა სარწმუნოებას შეეხება, კახეთის განთქმულ თეთრ-გიორგობას შევადაროთ, რომ ეს აზრი სრულებით ცხადი და ჭკემაბრძოლი გახდეს; თავის გეოგრაფიაში სტრაბონი ამბობს:

„აღბანელნი ღმერთებსაც თთაყვანსა სცემენ მზესა, ზევებს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის საყდარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება; იგი დიდსა და მკიდროდ დასახლებულს ხატს მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე; იმას, ვინც მეტად ატაცებული ტყვეებში მართოკა დახეტილობს, ქურუმები დაიქურენ, კისერზე ჯაჰვს დაადებენ და ერთის წლის განმავლობაში ზეარაკად კარგა ასუქებენ ხოლმე; მერე მას მირონცხებულს სხვა სამღვთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირვენ ხოლმე. მსხვერპლად შესწირვა ამნაირად იცინა: ადამიანის მსხვერპლად შესწირვა ჩვეულებრივ ლახვარის საშუალებით იცინა

ხოლმე. ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი აბარია, ხალხიდან გამოვა და ხერხიანად ლახვარს გვერდით შიგ გულში ჰკრავს ხოლმე. როცა ლახვარ-ნაკრავი მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, ქურუმები სხვა და სხვა ნიშნების მიხედვით მკითხავობენ და საჯაროდ ხმა-მალლა აცხადებენ ხოლმე. როცა გვამს ერთს დანიშნულს ადგილას მიიტანენ, ყველანი თავიანთ თავის განსაწმენდავად ფეხს დაადგამენ ხოლმე (*Geographica, lib. XI, cap. III, 7*).

ალბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსამზღვრე ადგილი, ქართველ მოდგმის ერთ იყო დასახლებული. სტრაბონი ამბობს, რომ ალბიიდან იბერიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორ-მასწორო კამბეჩიანზე ძვეს (*ibid. lib. XI, cap. III, 5*). ის მთვარის საყდარი, რომელიც გამოჩენილ გეოგრაფის სიტყვით იბერიას სამზღვარზე მდებარეობდა, უნდა სწორედ კახეთში ყოფილიყო. უეჭველია, ეს ტაძარი უმთავრესი, განსაკუთრებით განთქმული, საყდარი უნდა ყოფილიყო, თორემ შეუძლებელია მთელ ალბანიაში, იბერიიდან დაწყობილი კასპიის ზღვამდე, მთავარ ღვთაების ტაძარი ხალხს მხოლოდ ერთი ჰქონოდა.

შევიდაროთ ესლა ზემომოყვანილი სტრაბონის ცნობა თეორ-გიორგობას. სოფ. აწყურში 14 აგვისტოს საღამოთი ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან და თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან დიდძალი მლოცავი მოიყრის ხოლმე თავსა. მოსული ხალხი ჯერ ეკლესიის გაღავენს გარს შემოუვლის ხოლმე სამეზის, ან არა და შეიღვზის. მარჯენით დასავლეთის კარებიდან იწყებენ სიარულს და მარცხნივ მიდიან მანამ ისევ იმ კარებს არ მიადგებიან; ასე საჯერ ან შეიღვერ. წინ მულამ დედაკაცები მიუძღვიან, მათ მამაკაცთა გუნდი მისდევს. ორივე გუნდი „დიდებას“ ვალობს ხოლმე რიგ-რიგად, ხან დედაკაცთა გუნდი, ხან მამაკაცთა გუნდი: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“. საღამოს ზარს დაარისხებენ თუ არა, ხალხი ეკლესიისაკენ გაეშურება ხოლმე. ამ დროს ერთი თეთრ-გიორგის მონათავანი დაეცემა ეკლესიის დასავლეთის კარის

ბჭესთან თავით ჩრდილოეთისკენ, ისე რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდა; თუ რომ კაცი ან ზედ არ გადააბოტებს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიროს; რაც უნდა ძალიან დაადგან ფეხი იგი მაინც ცდილობს კრინტი არ დასძრას. ეკლესიას რომ შემოუვლიან გალავანში შეკრებილი ხალხი ქუდ-მოხდილი ირგვლივ დგას და მოწიწებით ერთ-ერთს თეთრებში შემოსილს მოთამაშე მონა-ქალს შესცქერის. მოცეკვავე შეუწყვეტლივ, გატაცებით უვლის. იგი თეთრი გიორგის ხატის მონაა და ხატი აცეკვავებს. დროგამოშვებით ქალს გულიდგან გმინვა ამოუყარდება ხოლმე და იკრუნჩხება<sup>1)</sup>.

საყდართან შეკრებილი ხალხი, რომელსაც აღთქმა აქვს დადებული, შეწირულ ცხვრებითურთ მღვდელს გარშემო ეხვევა. მღვდელი საღმრთოს შუბლზე მატყლს შეუტრუსავს ხოლმე და თითონაც შემდეგ ლოცვას ამბობს: „წმინდა გიორგი, შეიწირე საღმთო მონისა შენისა“ და სახელს დაუმატებს; იქვე დიაკვანიცა სდგას: დიაკვანთან მლოცვები მივლენ ხოლმე, ყელზე შანა აქვთ. შებმული და წმინდა გიორგის მონებად ითვლებიან; მათ განსაზღვრულ ვადით აღთქმა აქვთ დადებული. როცა ვადა გაივლის, მონები ხატის კარზე მიდიან სალოცავად და მონობის ასახდელად. დიაკვანო იმათ საღმრთოს მატყლს შეაქრის, მონებს შანას შეჭხნის და გაანთავისუფლებს ხოლმე. თეთრ ტანისამოსში მონა ქალები ამ დროს საყდარს ჩოქვით გარშემო უვლიან. თითოს მათგანს კისერზე თეთრი გიორგის ეკლესიის მძიმე რკინის ჯაჭვი ადევს და ყველანი ნაზის ხმითა გალობენ და თანაც ანთებულ სანთლებს კედლებზე აკრავენ. ერთი მათგანი ზამბის ძაფს ახუფვს კვირისტავით ეკლესიის გარშემო. ეკლესიის მიდამოში მთელი ღამე ცეცხლი ანთია.

საკვირველი მსგავსებაა!. . ცხრაშემეხე: საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის

<sup>1)</sup> Грузинские народные праздники „Кавказъ“ 1878 წ. №№ 229 და 230. ამაზ გარდა მე ვსარგებლობდი ბ. ილ. ზარაფი-შვილის მიერ მოწოდებულ ცნობებით, რისთვისაც დად მადლობას ვუძღვნი.

დღესასწაული, ქართველმა ხალხმა, ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა; ამ ორ სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენ ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შენახული უძველეს სარწმუნოების კვალი. სტრაბონი ამბობს: მთვარის ხატის ყმები ქადაგად დაეცემიან ხოლმე და წინასწარმეტყველებენო; ეხლაც წმინდა გიორგის მონები, ისინი ვინც ხატს თავიანთ თავის სამსახურს აღუთქვამენ ხოლმე, თეთრი გიორგის ქადაგად დაეცემიან და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ. საღამო ხანს, როცა მწუხრის ზარი დაირეკება ხოლმე, ერთი მონათაგანი ეკლესიის კარების წინ დაეკემა და საყდარში შემაჯალი ხალხი იმას ზედ აბიჯებს და რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი, მონამ უნდა მოითმინოს და ხმა არ დასძრას. ამ მონასაც, ყველა წმინდა გიორგის ყმებსავით მეფეთულის შანა აბია ყელზე. ეს შანა ჯაჭვის მაგივრად არის; ვისაც-კი სტრაბონის დროს I საუკუნის დამდეგს (ქრ. შ.) მთვარის მსხვერპლად აირჩევდნენ, ყელზე ჯაჭვს შეებადდენ და ერთი წლის განმავლობაში ჰკვებავდნენ ხოლმე. ბ. ილია ზარათიშვილის სიტყვით ეხლაც „თეთრ გიორგის ეკლესიის კარზედ არის ნახევარი ფარგალი რკინისა, რომელსაც აქეთ იქით რკინის ჯაჭვები ჰკიდია, სულ წონით ერთ ფუთზე მეტი იქნება; ამ ნახევარ ფარგალს მონები კისერზედ იდებენ, ჯაჭვებს აქეთ იქით ჩამოუშვებენ და ასე დატვირთულნი ზნეწლის ნაბიჯით ან არა და ჩოქვით ეკლესიას გარს უვლიან ხოლმე სამ-გზის.“

მონა რომ ეკლესიის კარების წინ დაეკემა ხოლმე, ეს იმას მოასწავებს, ვითომც იგი მკვდარი იყოს. ხოლო რომ ეს აზრი სწორეა, იმით მტკიცდება, რომ რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი საყდარში შემაჯალმა მლოცველებმა, მონამ მაინც არ უნდა დაიყვიროს. რათა? სწორედ იმიტომ, რომ იგი მკვდარია, შეწირულს მსხვერპლს წარმოადგენს. დასასრულ, როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძრად მისული მლოცავეები მსხვერპლად შეწირულ მონას, ფეხს დაადგამდნენ ხოლმე, რომ ამრიგად ცოდვებისაგან განწმენდილიყვნენ;

ამნაირადვე ეხლაც თეთრ გიორგის საყდარში შემავალმა ხალხმა კარების წინ დაცემულ მონას ზედ უნდა გადააბიჯოს ხოლმე და ფეხი დაადგას. ერთი სიტყვით, ეხლანდელი ჩვეულება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ სურათს წარმოადგენს. რასაკვირველია ის მონები, რომელნიც მძიმე რკინის ჯაჭვით ყელზე ჩაქვით გარშემო უვლიან ხოლმე ეკლესიას, ისინიც სიმბოლურად შესაწირავ მსხვერპლს წარმოადგენენ. ყურადღების ღირსია აგრედვე ის გარემოება, რომ როგორც სტრაბონის დროს ეხლაც თეთრ გიორგის სამღრთოს უკლავცნ ხოლმე; მხოლოდ მთვარის ტაძრის მთავარ ქურუმის მაგივრობას ეხლა, აწყურის თეთრს გიორგობას, მღვდელი და მისი დიაკვანი ასრულებენ. როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძარს გარშემო დაბურული ხელუხლებელი ტყე იყო ხოლმე, ისე ამ რამდენიმე წლის წინად აწყურის თეთრ გიორგის მახლობლად იღ. ზარაფაშვილის სიტყვით წმინდა ხეები იყო, რომლებსაც ხალხი სანთელს უნთებდა და ქადები შესაწირავად მოჰქონდა. „ეს ხეები ჩემ დროს დაფუტუროვდნენ და წაიქცნენო“, მწერს ბ. ზარაფაშვილი. თეთრი გიორგის საყდარი აშენებულია მაღალ მთაზე.

მთელი ეს თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება მაშასადამე მთვარის ძველ, წარმართობის—დროინდელ, დღესასწაულის ნაშთია. ამ გარემოებას შემდეგი მოსაზრებაც უფრო ცხადად ჰყოფს. უმთავრესი ხატობა: ყველა ჩვეულებანი, ზვარაკების შეწირვა, ქადაგად დაცემა და სხვა—**14 აგვისტოს მწუხრის დროს იწუება** და **მთელ ღამეს გასწავს** ხოლმე; თეთრ გიორგობაში ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. რატომ? **იმიტომ, რომ თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა**, მთვარე-კირასაკვირველია, მწუხრის დროს, საღამოთი გამოჩნდება და მთელ ღამეს ანათებს ხოლმე. ამის გამო მთვარის ხატობა რასაკვირველია, **ღამე უნდა იყოს სოფლზე და არა ღღისით**. ამის გარდა ყველამ კარგად იცის, რომ 15 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინებაა, სოფ. აწყურსა და საქართველოს სხვა ადგილასჟი 14—15 აგვისტოს თეთრი გიორგობა იციან ხოლმე. რაღა? იმიტომ, რომ 14—15 მთვარის აღდგებაა, მთვარე სრულია ხოლმე ყოველთვის, როცა წლისა და თვეების აღრიცხვა



მთვარის სრბაზე და მყარებული; ჩვენ ვიცით, რომ საქარ. თველოში ძველად სწორედ ასე იყო; მაშასადამე თეთრი გიორგობა 14—15 აგვისტოს და ღამით იმიტომ არის ხოლმე, რომ ეს ხატობა წარმართობის დროინდელ მთვარის ხატობის ალავას არის და თეთრ გიორგის მთავარ ღვთაების, მთვარის, მაგიერი ადგილი უკავია. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ წმინდა გიორგიმ მთელ ქართველ ხალხის სარწმუნოებრივ აზროვნებაში მთვარის ღვთაების ადგილი დაიკირა, რომ მთვარე ქართველ ხალხის საწარმართო სარწმუნოებაში უმთავრეს და უძლიერეს ღმერთად ითვლებოდა, რასაკვირველია სრულიად საკმარისი არ არის საქართველოს ერთს კუთხეში დარჩენილი ხატობის შესწავლა; საჭიროა დამტკიცდეს, რომ მთვარის თაყვანისცემის ნაშთი და კვალი ჩვენ სამშობლოს სხვა კუთხეებშიაც შერჩენილი არას. მასალები და საბუთები ბლომად მოიპოვება. მხოლოდ სხვა და სხვა ადგილას ამ თაყვანისცემის სხვა და სხვა წესი და ჩვეულებაა შენახული; საზოგადო ჩვეულებად ყველგან მხოლოდ ღამის თევა და ბავშვების ბერად შეყენება და აღთქმის იადებაა შერჩენილი.

ხევისურებსა და ფშაებს ჩინებულად აქვთ შენახული ხატის მღვდელმსახურთა წეს-წყობილება. ყველას უფროსად ხევის-ბერი ითვლება, ამას მისდევს დეკანოზი, ხეცესი, შულტა ანუ დასტური. ყველაზე მეტად ხევის-ბერსა ცემენ პატივსა; მას განუსაზღვრელი უფლება აქვს, გავლენიანი პირია. იგი ამასთანავე ხატის მამულისა, მსახურთა და ყმების მთავარ გამგედ ითვლება. როგორც ხევის ბერი, ისე მეტადრე დეკანოზი ხალხს ხატის სურვილს უცხადებს ხოლმე. მლოცავები სთხოვენ დეკანოზს, გაიგე, წმინდა გიორგისაგან რა მოელის ხალხს მომავალ წლის განმავლობაშიო. ჯერ დეკანოზი უარზე დგას ხოლმე, მერე, როცა აღარ მოეშვებიან, იგი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყელობას მოჰყვება <sup>1)</sup>. დეკანოზობის მიღება მხოლოდ მაშინ შეუძლიან კაცსა, როცა იგი ხატი-

<sup>1)</sup> Р. Эрнстовъ. О Түшино-пшаво-хевсурскомъ Округѣ (Записки Кавказ. Отд. рус. географич. Общества, книжка III, 1855 г., стр 102—3) და ნ. ურბნელი („ივერია“ 1886 წ. № 267).

საგან ავად გახდება და მოჩვენების ან სიზმრის დროს წმ. გიორგი გამოუცხადებს, თუ მოჩვენა გინდა, ჩემი ხატის სამსახურს შესწირე შენი ძალღონეო 1). დეკანოზის გარდა ჩვეულებრივ ქადაგები წინასწარმეტყველებენ ხოლმე, როგორც ქალები, ისე კაცები. ვახუშტი ფშაველების შესახებ სწერს, რომ მათ „აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცება და ვითარცა ხელქმნილი და ღალადებს მრავალსა **ზაგიერად წმიდისა გიორგისა**; და რასა იგი იტყვის, **ითნავთ ღა ჯერ იჩენენ უმეტეს ქრისტიანობისა**.“ 2) დასასრულ წმინდა გიორგის ხატს საკუთარი ტყე (ჯვარის ტყე, მიწა) და საკუთარი მამული აქვს 3).

თვალსაჩინო მსგავსება აქ იმაში ეტყობა, რომ ხატის მსახურნი, მეტადრე დეკანოზი და ხატის მონები ქადაგად დაეცემიან და წინასწარმეტყველებენ ხოლმე. სტრაბონის ცნობების მიხედვითაც მთვარეს ღვთაების სამღვდლოების შორისაც ხომ ზოგიერთი ამასვე სჩადიოდნენ. განსაკუთრებით ის გარემოებაა ყურადღების ღირსი, რომ ქადაგიცა და დეკანოზიც ორივე წმინდა გიორგის სახელობით ლაპარაკობენ და წინასწარმეტყველებენ ხოლმე. სტრაბონიც ხომ აღნიშნავს, წინასწარმეტყველება მთვარის მსახურთ შეეძლოთ. როგორც მთვარეს ისე წმინდა გიორგისაც საკუთარი მამულები აქვს და ამ მამულების მთავარი გამგეობა ხევის ბერის ხელშია. ერთი სიტყვით ხევესურეთსა და ფშავეთშიაც წმინდა გიორგის ხატობა მთვარეს ხატობის თაყვანისცემის და მსახურების ნაშთს წარმოადგენს.

ავიღოთ ეხლა ქართლი: გორის ჯვარი; ვახუშტი ამბობს „გორის პირისპირ არს ეკლესია წმინდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთ მოქმედა თავი წმინდისა გიორგისა მდებარებს ჯვარსა შინა. უწოდებენ გორის ჯვარს.“ 4) ამ საყდარში ინახება დიდი მძიმე რკინის ჯაჭვი. როცა მლო-

1) P. Эристовъ, ibid. გვ. 103.

2) გეოგრაფია. გვ. 140.

3) Радде. Хевсурія и Хевсуры. (Записки Кавказ. отд. рус. географ. общ. წიგნი X, გვ. 203).

4) გეოგრაფია, გვ. 81.

ცველი, რომელსაც წმინდა გიორგისათვის შეთქმული აქვს, ეკლესიის კარზე მივა, ამ რკინის ჯაჭვს კისერზე დაიდებს და სამჯერ გარს შემოუვლის ხოლმე. ამ შემთხვევაშიაც შენახულია ძველი ადამიანის მსხვერპლს შეწირვის სიმბოლური ჩვეულება. სოფ. არბოში გერისთობა, წმინდა გიორგის ხატობა, 14—15-ს აგვისტოს იცას, ამ დღესასწაულს **თავი გერისთობა** ჰქვიათ, **სწორი** 21—22-ს აგვისტოს არის ხოლმე, მეორე სწორი კიდევ ერთი კვირის შემდეგ 28.—29-ს. აქაც აუარებელი ხალხი იკრიბება მთელ ქართლიდან; სამღრთოს დეკეულებს, ცხერებს და მამლებს სწირავენ ხოლმე წმინდა გიორგის და, ვისაც აღთქმული აქვს, თეთრება აცვია; ზოგს შველიც ბერად შეყენებული ჰყავს. ზვარაკის დაკვლა მხოლოდ არჩეულ პირს, „ნატს“ შეუძლიან. სამღრთოების შეწირვის შემდეგ ფერხულს ჩააბამენ ხოლმე და აქა-იქ წმინდა გიორგის მონაქალი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებას დაიწყებს ხოლმე<sup>1)</sup>. აქ ყურადღების ღირსია პირველი და მეორე სწორი. რასა ნიშნავს ეს სწორზე უქმობა და რით უნდა აიხსნებოდეს იგი? 15-ს იმიტომ არის, რომ მთვარე აქ დროს სრულია, ხოლო სწორზე მთვარე მესამე მეოთხედში, ხოლო სწორის სწორზე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება იგი; ერთი სიტყვით **სწორის უქმობა მთვარის მეოთხედებზე არის დამყარებული**. რიგორც სხვაგან აქაც ქადაგები წმინდა გიორგის ნებას უცხადებენ ხალხს. შემდეგ საინტერესოა, რომ წმინდა გიორგის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში „ბერს“ ეძახიან; წმინდა გიორგის ხატ-ს მთავარ მსახურსაც ხომ „ხვეს ბერა“ ერქვა; მაშასადაე ყველა, ვისაც-კი წმინდა გიორგის — მთვარის სამსახურისა და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა.

დასაველეთ საქართველოშიაც მთვარის თაყვანისცემისა და მსახურების კვალი წმინდა გიორგის ხატობაში არის შენახული. მაგალითად, რაჭის მაზრაში, სოფ. სორს არის „ჯაჭვის მონასტერი“ მრავალ ძალის წმინდა გიორგის სახელობაზე.

1) „Грузинскія гадальщицы“, Кавказъ, 1853 წ. № 56 და 1847 წ. № 3.

სოფლის მატობლად ტყეში „გადამშის საყდარი“ სდგას. ამ საყდარში ერთი რკინის შვილდისარი ჯაჭვითურთ და რკინისავე რსარი ძეგს<sup>1)</sup> სოფ. სორში ერთი დიდი ხატობა იცის, „ნაციხურობა“ ჰქვიან. ნაციხურობა ნაიდგომევეს, მეოთხე კვირას, ორშაბათობით არის ხოლმე და სამი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათობით „ნაციხურობას“ უქმობენ. ამ გვარად თავი ნაციხურობის გარდა; კიდევ სამი სწორი იცის. ნაციხურობას მრავალი მლოცავი იყრის ხოლმე თავსა; ხატობა კვირას საღამოთი იწყობა, ვახშობის დროს; ხალხი მაშინ ნაციხურის გორაკისაკენ მიეშურება. ხალხში თქმულეებაა დარჩენილი, რომ იმ ალაგას ოდესღაც ცხე და ეკლესია იდგა, და ნაციხურობა სოფ. სორის „ვაჟების ბედზეა“ დაწესებულყო. ნაციხურის მცხოვრებნი ლოცულობენ წმინდა გიორგის ხატის წინ, რომელსაც მღვდელი ეხლანდელ ეკლესიიდან გამოასვენებს ხოლმე, და ფულებს სწორავენ. პარაკლისის გადახდის შემდეგ, ქალები და კაცები ფერხულს ჩააბაზენ ხოლმე და გათენებამდის სიმღერითა და ცეკვით შეეკცვიან. მხოლოდ რიჟრავის დროს იშლება ხალხი. ნაციხურობასაც თეთრი გიორგის ხატობასავით დამით უქმობენ, იმიტომ რომ მთვარის მსახურება და თავიანისცემა მხოლოდ ღამით შეიძლებაა. სამი სწორისა და თავი ნაციხურობის უქმობის ჩვეულება აგრედვე მთვარის მეოთხედების თავიანისცემა და მთვარეუფი გერისთობას მხოლოდ ორი სწორი იცის, ნაციხურობას სამივეა შენახული, მაშასადამე თავი ნაციხურობა—ახალ მთვარის თავიანისცემის ნაშთი იქნება, პირველი, მეორე და მესამე სწორი კიდევ—პირველ, მეორე და უკანასკნელ მეოთხედის უქმეს უდრის. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ნაციხურობა, თავი-ცა და სამივე სწორიც მხოლოდ კვირა დამესა და ორშაბათობით იცის ხოლმე. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ მრავალძალის წმინდა გიორგის ხატობა, „ნაციხურობა“, მთვარის ძეგლი თავიანისცემისა და მსახურების ნაშთია, იმი-

1) Свяш. Н. Мишени. Селение Сори (Сборн. мат. для опис. мѣст. и пл. Кавказа, წიგნი XIX, გვ. 116—117, 121 და 125—127).

ტომ რომ წარმართობის დროს ორშაბათს ქართულად მთავრის დღე ერქვა, მაშასადამე მთვარის თაყვანისცემისათვის იყო განკუთვნილი; ეხლაც კი ორშაბათს მეგრულად—თუთაშხა, სვანურად-დოშდულ ჰქვიან და ორივე სიტყვა „მთვარის დღესა“ ნიშნავს; მხოლოდ ქრისტიანობის გავლენის გამო ძველი სახელის მაგიერ ქართულ მწერლობაში „ორშაბათი“ შემოიხიზნა. ამგვარად სწორედ ის გარემოება, რომ თავი ნაციხურობა და სამი სწორი კვირა ღამიდან დაწყებული ორშაბათობით იცის, საუცხოვოდ ამტკიცებს, რომ ეს მრავალწინა გიორგობა მთვარის მსახურების ნაშთს წარმოადგენს. ამის გარდა ხალხში დარჩენილი თქმულებაც, რომ ნაციხურობა „ვაჟების ბედზეა“—ო, ძველი მთვარის ხატობისავე კვალს გვიჩვენებს. ხალხს ეხლა აღარ ესმის ამ დღესასწაულის მნიშვნელობა, მაგრამ „ვაჟების ბედი“ ამტკიცებს, რომ იმ დღეს სოფ. სორის მცხოვრებნი ბედს ანუ მომავალს იგებდნენ ხოლმე; ჩვენ ვიცით, რომ მთვარის ხატობის დროს, მსხვერპლის შეწირვის დროსა და ქადაგად დაცემულ ხატის მონების დაღვრიდან ხალხი მომავალ ბედ-იღბალს იტყობდა ხოლმე, ჩვენ ვიცით, რომ ამ ჩვეულების, ხატის მსახურების კვალი ეხლანდელ დრომდისაც თეთრ გიორგობაში შერჩენილია; „ნაციხურობის“ „ვაჟების ბედი“—ც ამ გვარავე მთვარის თაყვანისცემის ნაშთი უნდა იყოს. იქნებ ის რკინის ჯაჭვიცა და შვილდასარიც მთვარის ღვთაებისადამი შესაწირავი მსხვერპლის საკლავი იარაღი იყოს; ზემოთ გამოკვეულია, რომ სტრაბონის დროს სამლოს შესაწირავად ჯაჭვისა და ლახვარსა ხმარობდნენ ხოლმე, რომ წმინდა გიორგობის დღეობაში შერჩენილ მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ ჩვეულებაში სწორედ ჯაჭვისა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა.

მოვიყვანო კიდევ ერთ წმინდა გიორგის დღეობის დროს შენახულ ჩვეულებას. ქ. ახალსენაკის მახლობლად სოფ. სუნჯას ძველი განთქმული წმინდა გიორგის საყდარი დგას. 23 აპრილს აქ მთელ სამეგრელოდან მრავალზე უმრავლესი მლოცავი ხალხი მოიყრის ხოლმე თავსა. დღესასწაულის წინა დღეს ერთს სათნოებით და სიწმინდით განთქმულს მღვდუკეპულს ამოირჩევდნენ ხოლმე, მთელ ღამეს ეკლესიაში დასტოვებდნენ; ის

ლამე მას ლოცვაში და ოცნებაში უნდა გაეთენებინა. დილით, ვიდრე წირვა დაიწყებოდა, საყდარში ნამყოფ მოხუცებულს გამოიყვანდნენ. ერთ მაღალ ადგილას დააყენებდნენ ხოლმე და იქიდან იგი შიკრ ბილს ერს, სამეგრელოს ბატონსა და მცხოვრებლებს მომავალ წლის თავგადასავალს უწინასწარმეტყველებდა ხოლმე <sup>1)</sup>. ამ ჩვეულებაში ყუბადლების ღირსი ის გარემოებაა, რომ სათნოებით და სიწმინდით განთქმულმა მოხუცმა ლამე ეკლესიაში უნდა გაათენოს, რომ **შხოდოდ წმინდა გიორგისაგან** და **ღაშით**, მამასაღამე, შეუძლიან კაცს ადამიანის მომავალი შეიტყოს. ეს ჩვეულება მთვარის თავყანის ცემის ნაშთია; მომავალის წინასწარმეტყველი მოხუცი ფშავ-ხევსურების ხვეისბერისა და დეკანოზის მოწაღვობას ასრულებს.

რომ ხალხი წინასარმეტყველებას, ბოდვას, ქადაგად დაცემას მთვარის გავლენითა ხსნის, იქიდან სჩანს, რომ მეგრელები ისეთ აუთომყოფობას, როცა ყმაწვილს საშინელ სიციხეს მისცემს და ბოდვას დააწყებინებს ხოლმე, „თუთაშის“ <sup>2)</sup> უძახიან; ხოლო თუთაში მეგრულად ნიშნავს „მთვარის“ ავადმყოფობას.

დასასრულ სვანურ წმინდა გიორგობაზე <sup>3)</sup>. მეკერძისა და ფარისეველის კვირას, წირვის დროს რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი დილით პატარამდინ წმინდა გიორგის საყდარში მიდიან. ყველა ხელში ანთებული არყის ხის ტოტები უჭირავს. ეკლესიასთან რომ მიიღენ, ანთებულ ხეებს ერთიერთმანეთაზე დასდებენ და დიდ ცეცხლს გააჩენენ ხოლმე. შერე ხალხი „დიდებ“-ის ლოცვას და გალობას დაიწყობს. დიდებას მორჩება თუ არა ხალხი სიმღერით შინ ბრუნდება, ორშაბათამდის ღამეს სიმღერათამაშობაში გაათენებს

---

<sup>1)</sup> А Цагарели (Журн. Мин. Народ. прос. 1877 წ. დეკემბრის № 33. 217).

<sup>2)</sup> Гагуа. Селеніе Носири (Сбор. мат. для опис. мѣст. и пл. Кавказа, წიგნი X, გვ. III—II2)

<sup>3)</sup> Д. Маргіани. Сванеты (Сбор. мат. д. оп. мѣст. и плем. Кавказа, წიგნი X. გვ. 86).

ხოლმე. ამ დღეობას სვანები „ლიმზარი“-ს უძახიან და ქართულს ლამპრობას უდრის. სვანებშიაც წმინდა გიორგობა კვირას უშადღეს იწყობა, მთელ ღამეს გასტანს და საღამო ხანს თავდება; სვანურ წმინდა გიორგობაში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი „ლიმზარი“-ს ჩვეულებაა. ასეთივე ჩვეულება გურიაშიაც სცოდნიათ. „ქართლის ცხოვრებ“-იდანა სჩანს, რომ ლამპრობა ძველი ქართული ჩვეულება ყოფილა; კვირიკე ქორიკოზის შესახებ იქ ნათქვამია: „კვირიკემ ესე პირი ითხოვა, რათა მას ზამთარსა არ: აღიღონ ციხე ბოქორმისა და შემოდგომად აღვსებისა წარვიღეს და ნება სცეს; ამისთვის აღიღეს მისგან ციხე ნახქევანისა და შული ერთი უმრწემესი სახელით დავით მძევლად და განუტევეს **ღღესა ღამპრობასა**... და კვირიკე შევიდა ბოქორმის, ეკაზმოდა და ღამოდა შემოდგომად აღვსებისა წარსვლასა“<sup>1</sup>). როგორც ამ ნაწყვეტიდანა სჩანს, მაშინაც ლამპრობა დაახლოვებით იმავე დროსა სცოდნიათ, როლისაც ესლა სვანები დღესასწაულობენ.

ზემოდ „ნაციხურობი“-სა და „ლიმზარი“-ს აღწერის დროს გამორკვეული იყო, რომ წმინდა გიორგობას თავსაც და სწორებსაც ორშაბათობით იმიტომ უქმობენ, რომ ორშაბათი ქართველების სარწმუნოებრივ შეხედულობის თანახმად მთვარის დღე (თუთაშხა, დოშდილ) იყო. ესლა როცა დამტკიცებულია, რომ მთვარე ქართველების უმთავრესს და ძლიერ ღვთაებად ითვლებოდა, ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რომელი დღე უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის საზოგადო უქმე დღედ. რასაკვირველია, კვირა არ იქნებოდა; იმიტომ-კი არა რომ ამ დღის უქმობა ქრისტიანობას შემოჰყვა, რადგან როგორც ქართველების მზის დღე (ჟაზა, მიჟუადედ) შესაძლებელი იყო ქართველებს მზე უმთავრეს ღვთაებად აღეარებინათ ქრისტიანობის წინადაც და წარმართობის დროსაც ეუქმათ. კვირა იმიტომ ვერ იქნებოდა უქმე დღედ, რომ მზე ქართველებს ისე არ სწამდით, როგორც მთვარე; მაშასადამე ქართველების ჩვეულებრივ უქმე დღედ ორშაბათი უნდა

<sup>1</sup>) ქართ. ცხოვრება, წ. ჰიჭინაძის გამოც. გვ. 294.

ყოფილიყო: ამისი კვალი ეხლაც ცხადად ეტყობა ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებას. ხევსურები, მაგალითად, პარასკევსა და შაბათ-კვირას გარდა ორშაბათობითაც უქმობენ<sup>1)</sup>. ქართლშიაც ნააღდგომევის პირველ კვირიდან მოყოლებული ვიდრე მკა არ გათავდება ორშაბათობით არ შეიძლება ოღამუშაობა<sup>2)</sup>.

ეხლა, როცა გამოირკვა, რა დიდი წინაშეობა ჰქონდა ძველ ქართველების სარწმუნოებაში მთვარეს და მის მდგომარეობას, მცხრალისა სრულისა და მთვარის აღდგების გამოცნობას, რასაკვირველია, ხატის მსახურებს უნდა კარგად სცოდნოდნათ მთვარის ანგარიში. სწორედ ასე იყო კიდევ. ფშველსა და ხევსურს ხვეის ბერსა და დეკანოზს, რომ ჰკითხოთ, ამბობდა ამ ორმოცდა ათი წლის წინად რ. ერისთავი, მთვარე რამდენი დღისაა, ერთ წამსვე მიიღებთ სწორე პასუხს<sup>3)</sup>. ვინ არ იცის, რომ საქართველოში ამ ოცი წლის წინად ყველამ, ზოგმა ეხლაც-კი, ჩინებულად იცოდა მთვარის როდენობის გამოანგარიშება.

ჩვენი დასკვნა, რომ წმინდა გიორგის საქართველოში მთვარის ღვთაების ადგილი უკავია არაფერი უშლის რა, რადგან ქართულ ხალხურ შეხედულობით მთვარე სქესით მამაკაცია; ეს ცხადაა სჩანს შექმდე საერო ლექსიდან:

„ნათელმა მთვარემა ბრძანა:  
ბევრით მე ვჯობივარ მზესს.“  
დაჯდა, დასწერა წიგნები,  
ზენა ქარი მიათრევსა.  
მზეს რომ კაცი მიუვიდა,  
მზე ძალიან გაჯავრდესა:  
**„მე და ვარ და ის მშა არის“**

<sup>1)</sup> Р. Эрстовъ. О Тушино-пшаво-хевсур. округѣ (Записки Кавказ. отд. географ. Общ. წიგნი III გვ. 96). Радле. Хевсурія и Хевсуры (Записки Кавк. от. Геогр. Общ. X, 47.) ნ. ურბნელი, ეტნოგრ. წერილები („ივერია“ 1887 წ. № 158).

<sup>2)</sup> Н. Бєрзеновъ. Очерки деревн. нравовъ Грузіи („Кавказъ“ 1858 წ. №№ 55, 56).

<sup>3)</sup> Р. Эрстовъ. О Тушино-пшаво-хевсур. Округѣ (Запис. Кавк. Отд. Геогр. Общ. წიგნი III, გვ. 18).



რად ვძულდებით ერთმანეთსა“.

ამ ლექსზე დამყარებულ დასკვნას, რომელიც ქართველ ხალხის საზოგადო რწმენას წარმოადგენს, ვერ დაარღვევს სტრაბონის აღწერილობის ის ადგილიც, სადაც იგი ამბობს, რომ საწირავს მოუტანდნენ ხოლმე ღვთაებას და ღვთაება მდედრობითი სქესის სიტყვით არის აღნიშნული; არ არღვევს იმი ტომ, რომ სტრაბონი ამ შემთხვევაში მდედრობითს სქესს და არა მამრობითს იმის გამო ხმარობს, რაკი *Σελήνη* მთვარე ბერძნულში მდედრობითი სქესის სიტყვაა. რომ ქართველების შეხედულებით მთვარე მამაკაცია, ხოლო მზე ქალია, იქიდანა მტკიცდება, რომ ყველა საკუთარი სახელები, რომელმეშიაც მზეა ჩართული, უქვევლად განსაკუთრებით ქალების სახელია, მაგალითად, ფშავებსა და ხევსურების ქალური სახლები: მზია, გულთამზე, მშვეინარი, მზექალა<sup>1)</sup>. ამავე აზრს ერთი ქართული იაენანაც ამტკიცებს: გამდელი ასე დამღერის ხოლმე ბავშვს:

„დაიძინე გენაცვალე, იავ, ნანინა,  
მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ, ნანინა!

რაკი მზეს ლოგინად დაწოლა და შობვა შესძლებია, უქვევლია იგი ქალი უნდა იყოს, ხოლო მთვარე მამასადამე ვაჟი.

ამასვე ამტკიცებს შემდეგი მეგრული სახალხო ლექსი<sup>2)</sup>:

„ბუა ღია ჩქიმი	მზე ღეღაა ჩემი,
თუთა მუმა ჩქიმი	მთვარე (თთუე) შამაა ჩემი,
ხეჩა ხეჩა მურიცხეფი	სხვა და სხვა ვარსკვლავები
და დო ჯიმი ჩქიმი“	და ღ ძმაა ჩემი“.

ყურადღების ღირსია, რომ პონტოში და ფრიგიასში, სადაც ერთ დროს ქართველი ტომები ბინადრობდნენ, სტრაბონის სიტყვით მთვარის თაყვანის-ცემა გავრცელებული ყო-

<sup>1)</sup> P. Эрнстовъ. Хевсурия и Хевсуры. (Зап. Кавк. Отд. Геогр. Общ., წიგნი III გვ. 114—115.).

<sup>2)</sup> ეს ლექსი გადმომცა ბ. კონდ. თათარაშვილმა, რისთვისაც ღიად მადლობას ვუძღვნი.

ფილა. მაგალითად იგი მოგვითხრობს, პონტოს ქალაქ კაბირას ფარნაკის საყდარია, სოფელ-ქალაქი ამერია ეკუთვნის, ბევრი მონები ჰყავს და სახატო მიწებიცა აქვს, რომელსაც ყოველთვის მთვარისთვის განკუთვნილ თევში ხნავენ ხოლმე (Geogr. XII). ამნაირივე მთვარის განთქმული ტაძრები ფრიგიასა, კარიასა, პიზიდის ანტიოქიაში იყო (ibid). მთვარე უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა და მეუფეს ეძახდნენ; საცა-კი გამოსახულია იგი, ყრველთვის ხელში ქვეყნის მპყრობელობის აღმნიშვნელი სფერო უჭირავს, ზეცისა და ქვეყნის ბატონია. იგი აძლევს დედამიწას უხვს მოსავალს, ხოლო ადამიანს მფარველობას უწევს და დაჩაგრულს ექომბავება ხოლმე: საკმარისია მიმძღავრებულმა კაცმა მთვარეს შესწივლოს, დაარისხოს თავისი შემავიწროვებელი და ამ ღვთაების ტაძარში თავის მტრის წინააღმდეგ ჯოხი დასტოვოსო, რომ მაშინვე მთვარის ღვთის რისხვა დასტყდომოდა თავზე; მხოლოდ თავის დროზე შეწირული სამღთო თუ იხსნიდა ამ სასჯელისაგან, თორემ სხვა ველარაფერი უშველიდა მას. თავის მონების პირით მთვარე თავის სურვილსა და ბრძანებას ადამიანსა ატყობინებდა ხოლმე; ამ გვარი რწმენა<sup>ა</sup> არსებობდა ზემოაღნიშნულ ქვეყნებში. მამალი ამ ღვთაების ფრინველად ითვლებოდა, იმიტომ რომ მამალმა ღამე ყვილი იცის. ხშირად, როცა მთვარე-ღმერთი ადამიანად გამოსახული არის ხოლმე, მხრებს უკან მკრალ მთვარის წვეტები რქების მსკავსად უჩანს; ამ ნიშნით მის ვინაობის გამოცნობა ადვილია. უეჭველია აგრედვე, რომ ბოგაზკოიში ნაპოვნი ერთ უცნობ ღვთაების ქანდაკება, რომელსაც შუბლზე რქები აქვს გაკეთებული, აგრედვე მთვარის ღვთაების ქანდაკებად უნდა ჩათვალოს; ხარის რქებიც ჩვეულებრივ მთვარის ნიშნად ითვლებოდა. **ყვედგან, მაშასადამე, ზადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის გვაღი შერჩენილია; ამის გამო მთვარის, ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველ ცომების უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს.**

**ღრუბეთი  
ბაცონი.**

ქართულ ხალხურ თქმულებების შესწავლამ დაგვანახვა, რომ წმინდა გიორგისა (მთვარეს ღვთაებასა) და ღმერთს ელია

მისდევს; იგი იმ ღვთაების მოადგილედ უნდა იყოს, რომელიც ღრუბლების სამფლობელოს, წვიმა-სეტყვის, ელვა-მების ბატონი იყო; უეჭველია აქაც ძველი წარმართობის დროინდელი სარწმუნოებრივი შეხედულებაა შერჩენილი. კახეთში და ქართლში ისეთი ჩვეულებებია შენახული, რომელნიც უთუოდ ამ ღრუბელთა ბატონის ღვთაებას თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. როცა ზაფხულში გვალვას დაიქერს ხოლმე, სოფლის გოგოები შეიყრებიან ერთად, „ლაზარეს“ გააკეთებენ ხოლმე, სოფელში დადიან და მღერაინ:

„ახ ლაზარე, ლაზარე!“  
ლაზარ მოდგა კარსა  
აბრიალებს თვალსა  
ცხავი აცხავებულა,  
წვიმა გაჩქარებულა.  
ღმერთო, მოგვე ცის ნამი  
აღარ გვინდა მზის თვალი  
„ღმერთო, მოგვე ტალახი,  
აღარ გვინდა გორახი“.

ხოლო, როცა დიდხანს წვიმს და აედარი ქირანახულს ალბობს, მაშინ შემდეგ დიდებას გალობენ ხოლმე:

„ახ ლაზარე, ლაზარე!“  
ლაზარ მოდგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა.  
ცხავი აცხავებულა,  
დარი აჩქარებულა.  
„ახ ლაზარე, ლაზარე!“  
ცას ღრუბელი აჰყარე!  
აღარ გვინდა ცის ნამი  
ღმერთო, მოგვე მზის თვალი!  
აღარ გვინდა ტალახი,  
ღმერთო, მოგვე გორახი!“

რომელს სახლთანაც-კი მივლენ გოგოები, იმ სახლიდან პატრონი გამოდის, კვერცხებს და ფქვილს აძლევს; ხოლო

„ლაზარესა“ და ზოგჯერ გოგოებსაც წყალს დაასხამს ხოლმე. შეგროვილ კვერცხებსა და ფქვილს ჰყიდინან და გამორჩენილ ფულით ბატკანსა და თხასა ყიდულობენ; ბატკანს ღმერთს შესწირავენ ხოლმე, თხას—ელიას. ქართლში, მაგ. სოფელ ახალქალაქში, ამნაირივე ჩვეულება იციან, მხოლოდ „ლაზარეს“ კი არ აკეთებენ, არამედ ერთ ქალს ამოირჩევენ ხოლმე სოფლელები და კარ-და-კარ რომ სიმღერით მოუვლიან სოფლელები ამ ამორჩეულ ქალს დაასხამენ ხოლმე წყალსა. უეჭველია ორივე ჩვეულება ძველ, წარმართობის-დროინდელ, ღრუბელთა ბატონის ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლური მოქმედებაა<sup>1)</sup>. თუმცა ერთი საყურადღებო ჩვეულება ჰქონდათ. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ მათ<sup>2)</sup> „აქჲსთ კლდე დიდი და მალალი და დღესა ილია წინასწარმეტყელისასა მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი“. ს. სორში ელიაობა ნააღდგომევეს სამ პირველ კვირიაკეს ხუთშაბათობით, აგრედვე 20 ივლისს და სექტემბერში იციან ხოლმე<sup>3)</sup>.

რასაკვირველია ქართველების უძველეს სარწმუნოებაში მთვარისა, მზისა (ღმერთი შემოქმედი ხალხის აწინდელ წარმოდგენით) და ღრუბელთა ბატონის გარდა სხვა ღმერთებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ვინაობისა და სახელების შესახებ გამოკვლევა არ დამიშთავრებია და იმიტომ აქ ჯერჯერობით ღვთისმშობლობას გარდა სხვას არაფერს შევცნებ. უეჭველია, რომ ღვთისმშობელსაც ერთ-ერთ ძლიერ უძველეს ქართულ ღვთაების ადგილი უკავია, ვგონებ დედამიწის ღვთაების ადგილი უნდა ეჭიროს. ქართული განთქმული დღესასწაული „ვარდობა ღმრთისმშობლისაჲ“, ანუ „ვარდობა“-ც, ძველის-ძველ, წარმართობას-დროინდელ დღესასწაულის ნაშთია. მაგრამ ამ საგნის გამორკვევისათვის უფრო დაწვრი-

1) ზეადარე А. Веселовскій. Разысканія II, გვ. 313—314.

2) ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 172.

3) Н. Миндели. Сел. Сори (Сборн. мат. для опис. мѣст. и плем. Кавказа, XIX, гв. 125).

ლებითი გამოკვლევა საჭირო. ყურადღების ღირსია, რომ ვარდობის დღესასწაული მთვარის თაყვანისცემასავეთ ყველგან გავრცელებული იყო, საცა ქართველი ტომები ბინადრობდნენ.

აქამდისინ ჩვენ მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე ვმოქმედობდით: შედარებისათვის არ მიგვიმართავს და მარტოდენ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა და თქმულებათა ისტორიულ შესწავლას ვაქცევდით ყურადღებას. მეთოდის მხრივ ჩვენ ამ გვარი გზა ერთად-ერთ სამეცნიერო გზაღ მიგვიჩნია. მკვლევარი მოვალეა ჯერ ადგილობრივი მასალები ისტორიულად შეისწავლოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს უცხო ერთა ზნე-ჩვეულებასა, თქმულებასა და სარწმუნოებასთან შედარებას.

სწორედ ამ ისტორიულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართველების საწარმართო სარწმუნოების მთავარ ღვთაებად მთვარე, ღმერთი მამა-კაცი, ითვლებოდა. ამ ღვთაების მსახურთა წესწყობილება, მისი თაყვანისცემისა და მსახურების ხასიათი, ერთი სიტყვით მთვარის მსახურების როგორც სარწმუნოებრივო, ისე სამღვდელმსახურო თვისებანი ზემოთ იყო გამოარკვეული. ესლა შედარებით შესწავლას უნდა შევუდგეთ.

თავადაპირველად ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მთავარ ღვთაებად მზე კი არ ითვლება, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე, არამედ მთვარე. ეს ცხადი, დამახასიათებელი თვისებაა სარწმუნოებისა. შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ მთვარე ქართველ ხალხის შეხედულობისამებრ მამა-კაცია და არა დედაკაცი, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული. ესეც საგულისნიერო დამახასიათებელი თვისებაა სარწმუნოებისა.

მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანელების ანუ საბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა. მას „სინ“-ს ეძახდნენ და ქვეყნიერობის მბრძანებელადა სთვლიდნენ. <sup>1)</sup> საყურადღებოა მეტადრე ის, რომ ამ ორსავე ხალხის შეხედულობითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა <sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> D. Chwolsohn. Die Ssabier I, 319—403, II, 158.

<sup>2)</sup> D. Chwolsohn. ibid. I, 399—403.

ეგვიპტელები, ებრაელები, ბერძნები, რომაელები, არაბები და ფინიკიელები 1) ჩვეულებრივ მთვარეს დედაკაცად სთვლობდნენ ხოლმე 2).

მაშასადამე მხოლოდ ასურელებს, ქარანელთ და ქართველებს მიაჩნდათ მთვარე მთავარ ღვთაებად და ამასთანავე მამაკაცად. შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქარანელების, ანუ საბიელთა და ქართველების უძველესს სარწმუნოებათა შორის სხვა მხრივაც დიდი მსკავესება არსებობს.

ავილოთ მაგალითად ჩვენი „ლამრობა“, (სევანური „ლიმპარი“). ზემოთ გამოჩვენებული იყო, რომ ეს ჩვეულება მთვარის დიდებისა და მსახურების ნაშთია, როცა ხალხი ანთებულ არყის ხეებით ხელში ამ ღვთაებას დიდებას უგალობდა ხოლმე. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს დღესასწაული ზამთარში იცის, უეჭველად რამდენიმე კვირით დიდმარხვის წინ. საბიელებსაც ჰქონდათ სწორედ ზამთარში, სახელდობრ იანვარში, დიდი უქმე, როდესაც ღვთაების სადიდებლად ნაძვის ტოტებს აანთებდნენ ხოლმე. საყურადღებო ისაა, რომ სწორედ ამ დროს, 24 იანვარს მთვარის დაბადების დღესასწაული იყო დაწესებული 3). რასაკვირველია ჩვენი „ლამრობა“ და ქარანელების მთვარის დაბადების დღესასწაული ერთი და იგივეა. საყურადღებოა, რომ თეთრი-გიორგობა ზამთარშიაც იცის, სახელდობრ 24—25 დეკემბერს, ესე იგი ქრისტეს შობის დღეს; მაშასადამე აქ მთვარის დაბადების დღე ქრისტეს დაბადების დღეს მიუზიდნია. ქარანელებსაც მთვარის დღესასწაული თვეში ოთხჯერა ჰქონდათ: ახალ მთვარეს, პირველ მეოთხედს, სრულისა და მცხრალ მთვარის დროს 4). ქართველებსავით ქარანელებსაც მაისშივე ერთი რაღაც დღესასწაული ჰქონდათ, როდესაც ვარდსა სუნავდნენ ხოლმე. 5)

1) D. Chwolsohn, *ibid.* II, 184.

2) უძველეს დროს არაბებსაც მთვარე მამაკაცად და უმთავრეს ღვთაებად მიაჩნდათ იხ. ჩინებული გამოკვლევა D. Nielsen. *Die altarpische Mondreligion.*

3) D. Chwolsohn, *ibid.* II, 35.

4) *ibid.* II, cap. I, § 5.

5) *ibid.* II cap. V, § 2.

დასსრულ ქარანელებსაც ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება სკოდნიათ და დიდ ყურადღების ღირსია, რომ სწორედ ის სიტყვა, რომელიც შესაწირავ მსხვერპლსა ნიშნავს— „sebarich“ არაბული სიტყვა არ არის, არამედ ქართულსა და სომხურს ჩვეულებრივ სახელ „ზვარაკს“ წარმოადგენს (Н. Марр, Зап. Вост. отд. руск. арх. общ. I. XVI, 1905 წ.) ვინ ვისგან შეითვისა მთვარისა თაყვანისცემა, ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერ შეუძლებელია: ზოგი მეცნიერები, როგორც მაგ. ჰომმელი და ნილსენი, არაბებისკენ იწვევენ, ზოგი ასურელებისაკენ, ზოგი სუმერისა და აკადისაკენ. ამიერიდან ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მეცნიერებას ქართველების მთვარის თაყვანისცემა უნდა გათვალისწინებული ჰქონდეთ.

#### უმთავრესი წყაროები:

ქართულ მთვარის თაყვანისცემის შესახებ ამ წიგნის ავტორის გარდა სხვას არავის დაუწერია.

მცირე აზიაში გავრცელებულ მთვარის ღვთაების თაყვანის შესახებ იხ. Я. И. Смирнов-ის წერილი პრ. სოკოლოვის პატივსაცემად გამოცემულ კრებულში (სტეფანოს).

ვარლობის შესახებ იხ. Н. Марр. Аркаунъ, Монгольское названіе христіанъ въ связи съ вопросомъ объ армянахъ халкедонитахъ (Визант. Временникъ. т. XII, ცალკე გამოცემის გვ. 54—57).

ქარანელების სარწმუნოების შესახებ:

D. Chwolsohn. Die Ssabier I და II ტ.

არაბების მთვარის თაყვანისცემის შესახებ:

D. Nielsen. Die altarabische Mondreligion.



## თავი მეოთხე.

ქართველების პოლიტიკური მდგომარეობა XI—I-ს ქრ. წ.

**ბრძოლა**  
**ქართვ. და**  
**ახურედებს**  
**შორის.**

რამდენადაც ასურულ წარწერებიდანა სჩანს ქართველები 1100 წლამდე ქრ. წ., ვიდრე მათ ასურეთის ბატონი ტიგლათ პილესარ I არ დაამარცხებდა, უსლეველ ერად ითვლებოდნენ. თვით ასურეთის მეფე ამბობს, მუსკები ჯერ არც ერთ მეფეს არას დროს არ დაემარცხებინაო (K. B. I, 19). მაშასადამე წინად ქართველები არამცთუ დამოუკიდებელნი უნდა ყოფილიყვნენ, ძლევამოსილ ერის სახელიცა ჰქონიათ მოხვეჭილი. ტიგლათ-პილესარ I ტახტზე რომ ავიდა, 1100 წლის ახლო ხანებში, 20000 მუსკი და მათი ხუთი მეფე, გათამამებული, აქაოდა 50 წლის წინად ასურეთის მოხარკე ქვეყნები ალძი და პურუკუცი დავიპყართო, ჩამოვიდნენ და კუმმუხიცი დაიჭირეს; ჯერ არც ერთ მეფეს არას დროს ისინი არ დაემორჩილებინათ. „შევკრიბე მაშინვე ჩემი საომარი ეტლები და ჯარი და კუმმუხში გავემგზავრეო, მოგვითხრობს ასურეთის ბატონი, ის 20000 მუსკი და მათი 5 მეფე საშინლად დაემარცხეო. მათი ჯარის კაცების გვამები გრიგალისავით მიეფანტ-მოფანტე, მათი სისხლი ხევებსა და კლდის ვიწროვებზე ვადინე, თავები მოვაქერ და მათ ქალაქების მახლობლად დავყარე. ნატყვენავი ქონება და ავლადიდებოც ბლომად წამოვიღე. მათ ლაშქრისაგან გადარჩენილი 6000 ჯარისკაცი, რომელიც ჩემს იარაღს გაექცა, მერე ფეხებზე მომეხვია და დამემორჩილა, ჩემთან წავიყვანე და ჩემ ქვეყნის მცხოვრებელ ჩავთვალეო“ (ib. 19). ასე კვეხულობს თავის გამარჯვებასა ასურეთის ბატონი. ამავე ტიგლათ-პილესარმა დაიმორჩილა კოლხებიც, ანუ კასკები, როგორც ასურელები ეძახიან; როცა 4000 კაცმა კასკებმა ჩემი ძლევამოსილების ამბავი შეიტყვესო, ჩემი მამაცობის შიშის ზარი დაეცათ, ბრძოლა ვედარ გაბედეს და მუხლებზე (ფეხებზე) მომეხვივნე.



ნო. მეც ყველა ისინი 120 საომარი ეტლითა და ქონებითურთ თან წაეხსი და ჩემ სამფლობელოს მცხოვრებელ ჩვეთვალეო“ (ib. 25). ასე დაიწყო ბრძოლა ქართველებსა და ასურელებს შორის. ერთ დროს უძლეველი მესხები ტიგლათ-პილესარ I-მა დაამარცხა და უკვე აშურ-ნასირ-აბალის დროს (885—860 წ. ქრ. წ.) ასურელების მოხარკედ იყვნენ (ib. გვ. 65). 837 წელს მეფე სალმანასარ II ტაბალის ანუ იბერების ქვეყანასაც მიადგა და 24 ტაბალელმა მეფემ ასურეთის ბატონი საჩუქრებით მოიშორა თავიდან. მეფემ ტაბალელების ვერცხლისა და ლითონის მალაროები ჩაიგდო ხელში (ib. 143). ამიერითგან ასურეთის ბატონის წინაშე მოიხარეს ამაყი ქედი და 883 წელს მათმა მეფეებმა სალამანსარის სიტყვით ასურეთის ბატონს ხარკი მოართვეს (ib. 143). ტიგლათ-პილესარ III-ის დროსაც (745—727) ტაბალები კვლავინდებურად ხარკს იხდიდნენ (ib. II, 19, 21, 31). მაგრამ როგორც ეტყობა ამის შემდეგ ასურელებისათვის ურჩობა გაუწევიათ, ყმობისაგან თავი დაუხსნიათ და როგორც ეს სარგონ მეფის (722—705) სიტყვებიდანა სჩანს, იგი იძულებული ყოფილა ტაბალისა და მუსკების წინაღმდეგ ამხედრებულიყო, რომ ხელმეორედ დაემორჩილებინა; მეფეს თავისი წადილი აღსრულებია კიდევ: კიაკი (თუ კაკი?) ტაბალის მეფე ტყვედ თან წაუყვანია, ხოლო მუსკების ქედზე მონობის მძიმე უღელი ზედ დაუდვია (ib. VI, 39); როგორც სხვა თავის მოხარკე ქვეყნებში, ისე კასკების ანუ კოლხების, ტაბალების და მუსკების სამეფოებში სარგონს საკუთარი მოხელეები და მოადგილეები დაუყენებია; ხარკი და გადასახადი დაუწესებია (ib. II, 41); მაშასადამე ცოტა-ღა აკლდა, რომ მათ შინაურ საქმეებშიაც ჩარეულიყო.

რამდენადაც სარგონ მეფის სიტყვებიდან სჩანს, იგი მაინც თავდაპირველად პატივისცემით და მეგობრულად ეპყრობოდა ტაბალებს. როცა ტაბალელ მეფის ჰვლლის შვილი ამბარისი ტახტზე ასულა, სარგონს მისთვის ცოლად თავისი ქალი მიუთხოვებია და მზითვად კილიკია გაუტანებია; ამგვარად ამბარისის სამფლობელო შესამჩნევად გადიდდებოდა. მაგრამ ტაბალელ მეფეს ასურეთის ბატონობა არაფრად მოს-

ასურელებს  
ბას გამარ-  
ჯეება.

წონდა. თუმცა სარგონი მისი სიმამრი იყო და დიდი მფარველობაც გაუწია, მაინც მან რუსა (ან ურსა) ურარტელ მეფესა და მუსკების მეფეს მიტას კაცები მიუგზავნა, ასურეთის ბატონის წინააღმდეგ პირი შეეკრათ და მიწები წავართვათო. ეს რომ სარგონმა შეიტყო 709 წელს ამბარისი თავისნათესავებითა და ტაბალელ დიდებულებითურთ ასურეთში წაასხა და მისი ასი ეტლი თან წაიყოლა. ასურეთის ბატონი ამბობს, იმათ ადგილას მე ჩემი მორჩილი ასურელები დავასახლეო, ხოლო ქვეყნის გამგედ ჩემი მოხელე დავნიშნე, თანაც ხარკი და გადასახადები დავადეო (Sargons Die Gros. Prunkinschrift, K. B. II, 57). ასე დასრულდა ტაბალებისა, მუსკებისა და ურარტელების შეთქმულება: განრისხებულმა სარგონმა სამეფოს დამოუკიდებლობა მოსპო და ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩაერია. ამის შემდეგ ტაბალისა და მუსკების მდგომარეობა თანდათან სულ უკან—უკან მიდიოდა. 1100 წლიდან მოყოლებული, მაშასადამე, ქართველ ტომებისა და ასურეთის შორის მუდმივი დაუცხრომელი ბრძოლა ყოფილა. ქართველ ტომებისა და მუსკების ძლევამოსილობის ხანა 1100 წლის წინა დროს ეკუთვნის. ამის შემდეგ ისინი თანდათან ძლიერებასა ჰკარგავენ.

**ბრძოლა ურარტელებსა და ასურელებს შორის.**

მაგრამ სწორედ ამ დროს ჩრდილოეთით ძლიერდება და ასრულებს ჯერ მეტოქეობას უწყევს, ხოლო მერე სიცოცხლეს უმწარებს ტაბალისა და მუსკის მოძმე ურარტელი ტომები. მათი ამაღლება და დაწინაურება სალმანასარ II (860—825) დროს იწყება. ურარტელებს მეთაურად მეფე არამე ანუ არამუ იღვა. სამჯერ ზედიზედ გაილაშქრა სალმანასარ მიემე მის წინააღმდეგ. ასურეთის ბატონმა პირველად 860 წ. ციხე სუგუნია აიღო. მეორედ 857 წ. დედაქალაქი არზაშკუ ანუ არზაშკუნუ დაიპყრო. მესამედ 844 წელს მარტო დაჰანების მეფე დაემორჩილა; იმის იქით წაწევა სალმანასარს, ეტყობა, ვეღარ მოუხერხებია. არამეს მოადგილემ მეფე ხარდურიმ თავის დედაქალაქი ვანის ტბის ნაპირზე გადიტანა, ქალაქ ტუსპაში (ეხლანდელი ქ. ვანი). აქედან უფრო ადგილი იყო ასურელების უკუქცევა და დამარცხება. ასურეთის მეფეები შამს-რამანისა (825—812) და რამან-ნირარის (812—783) დროს ურარ-

ტელეების წინააღმდეგ ლაშქრობას ველარ ბედავდენ. ურარტელების ძლიერებამ სარდურ I-ის შვილის მეფე იშპუინისა და მის ძის მენაუს დროს უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. იშპუინიმ ასურული ანბანი თავის დედა-ენის ბგერების გამო-სახვისათვის მოაგვარა და გამოიყენა და თავის წარწერების ეროვნულ ენაზე აწერინებდა. როცა მენაუს შვილმა არგიშტიმ ყველა თავის თანამოძმე ტომები გარშემო შემოიკრიბა, ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო; შეერთებულის ძლიერი ლაშქრით მიეჭრებოდა ხოლმე ასურეთის ბატონს და მოსვენე-ბას არ აძლევდა, სანამ ქედფიცხელ ასურეთს არა სძლია. ეს ხანა ურარტელების ძლიერების დრო იყო. მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა: ავიდა თუ არა 740 წ. ტიგლათ-პილესარ II სამეფო ტახტზე სამი წელიწადი არ გასულა, რომ 743 წელს ურარტელების წინააღმდეგ ამხედრდა. ამ დროს ურარტელების სამეფო ტახტი სარდური II ეპყრა. ასურეთის მეფის ურარტელ ტომების სამსედრო კავშირი და-უხვდა წინ, მაგრამ სძლია. მარტო 72950 კაცი ტიგლათ-პი-ლესარ II ტყვედ წაიყვანა; თვით სარდური მთებში შეიხიზ-ნა და ამით დაახწია თავი სამარცხინო ტყვეობას. 735 წელს ასურეთის ბატონი ხელმეორედ შეესია ურარტუს და ზედ დედაქალაქ ტუსპას მიადგა, ვითომც ადებას ლამობდა, მაგრამ ამაოდ. დანარჩენი ქვეყანა-კი დაიპყრა და თავის მო-ხელე დააყენა გამგედ. თხუთმეტი წლის შემდეგ ურარტელებ-მა ისევ ძალა მოიკრიბეს და თავის თანამოძმე ერებთან, ტაბა-ლსა და მუსკებთან, პირი შეჰკრეს, ასურეთის ბატონობა თა-ვიდან მოვიშორათო. ამ კავშირის მომგონი, როგორც ზე-მოდ ნათქვამი იყო, ტაბალელი მეფე ამბარისი იყო, ხოლო ურარტელებს ამ დროს მეფედ რუსა ანუ ურსა ჰყავდათ. რო-გორც ვიცით ასურეთის ძლიერმა ხელმწიფემ სარგონმა რომ კავშირის ამბავი გაიგო, მოკავშირენი ცალ-ცალკე დაამარც-ხა და განზრახული შეთქმულება გააქარწყლა. ასე დაბოლოვ-და ქართველ მოდგმის ტომებისა და არურელების მრავალ-საუკუნოების განუწყვეტელი ბრძოლა და მეტოქეობა: ბრძო-ლის ველი ასურელებს დარჩათ.

**ქართველი-  
ზის დაუძ-  
ღურება  
და დაქვეი-  
ობა.**

ქართველ ტომების არსებობას კაპადუკიასა და პონტოში ინდო-გერმანულ ველურ ხალხების შემოსევამ მოუღო ბოლო, განსაკუთრებით კიმერიელებმა. ჯერ ლიდიელებს დაეცნენ, მერე ჯერი ქართველ ტომებზე მიდგა და ყველაფერი მირგემორგევს. ეზეციელი ამ განადგურების სურათს ასე აგვიწერს: მოსოხი და თუბალი, რომელნიც მთელ ქვეყნიერებას შიშის ზარსა ჰგვრიდნენ, მახვილით დახოცილნი მთელ თავის სიმრავლითურთ მიწაშია დიფლული (XXXII, 26). ხოლო ვინც სიკვდილს გადაჩა, ის გოგის მონობას უნდა დამორჩილებოდა (ib. XXXVIII, 2, 3); ამ დროს ინდო-გერმანულ ტომის, სკვითების, ერთობლივი შემოსევა იწყობა მცირე აზიასა, შუამდინარისა და ერანის ქვეყნებში; სკვითები კვალდაკვალ მისდევნენ ადგილობრივ მცხოვრებთ და მათს მიწაწყალს იპყრობდნენ. ამ საერთო მოძრაობამ სხვათა შორის იმსხვერპლა მცირე აზიელი ქართველებიც.

ამ საშინელ წამლგველ ტალღას ქართველ ტომების მხოლოდ ის ნაწილი გადურჩა. რომელთაც ბინადრობა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებზე ჰქონდათ და რომელთაც თავი ამიერ-კავკასიაში შეაფარეს.

**ახემენელ  
სპარსეთის  
შაჰონების  
ხანა.**

ძლიერმა ასურეთმა ჯერ მიდიელებს, ხოლო მერე ერანს დაუთმო თავისი ადგილი. ახემენელთა ძლიევამოსილი სამეფო ბევრ იმ ქვეყნებს დაეპატრონა, რომელიც წინად ასურეთის სამფლობელოს ეკუთვნოდა; იგი შეუჩრებლივ მიდიოდა წინ და ახალ-ახალ სამეფოებს იმორჩილებდა. ბერძნების გამოჩენილ ისტორიკოსის ჰეროდოტეს თხზულებიდანა სჩანს, რომ მოსხები, ტიბარენნი, მაკრონები და მოსინიკებიც სპარსეთის ხელმწიფეს ემორჩილებოდნენ; მათი ქვეყანა მე-19-ე საგამეფო მაზრად ითვლებოდა სპარსეთში და წლიურად 300 ტალანტს ხარკს იხდიდა ხოლმე (ჰეროდოტე III, 94). თუმცა კოლხები დამოუკიდებელნი იყვნენ, მაგრამ სპარსელებს თავის ნებაყოფლობით აძლევდნენ ხარკსა; მაშასადამე ახემენელ ხელმწიფის მფარველობა და მეთაურობა შეუწყნარებიათ (ib. III, 97). ყველა ჩამოთვლილი ქართველი ტომები მოვალე იყვნენ სპარსეთს ჯარით მიჰშველდებოდნენ. თითოეული ტომი ცალცალკე გამოდიოდა ხოლმე, ხოლო ორ-ორ ტომს ერთი სარ-

დალი ჰყავდათ; მოსხებისა და ტიბარენების სპასალარად მაგ. დარიოზის შვილი არიომარდი იყო, მაკრონებსა და მ-სინიკეს-კი ხორასმის შვილი არტ-ნეკეს, ხოლო მარებისა და კოლხების ჯარის უფროსად თეასპის შვილი ფარანდატი იყო (ჰეროდოტეს ხალხების ატწერა VII, 78—79). ყველა სარდლები სპარსელები ყოფილან და რასაკვირველია ახემენელ ხელმწიფეების დანიშნულები იქნებოდნენ. მშვიდობიანობის დროს სპარსეთის მთავრობა იქნებ მაგრე რიგად არ ჩარეულიყო ქართველ ტომების შინაურ საქმეებში, მაგრამ მინც ქართველებზე ერანს დიდი გავლენა ექნებოდა.

ეს კია, მეოთხე საუკუნეში ყველა ქართველი ტომები— ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები და ტიბარენი—მეფისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ; ეტყობა ახემენელ მეფეებისაგან თავი დაუხსწევიათ. ამ დროს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირას მცხოვრები ქართველები პატარა-პატარა, ერთიერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამთავროებად იყვნენ დანაწილებული. ეროვნული შემეცნება ან მოჩლუნგებული ან არა და დაკარგული უნდა ჰქონოდათ: არამც თუ ისინი ერთობასა და კავშირზე აღარა ფიქრობდნენ, პირიქით ცდილობდნენ კიდევ, რომ ბერძნების დახმარებით თავიანთ თანამოძმეებისთვის როგორმე ევნოთ და რამე წაეგლიჯათ. დრილები მუდმივ კოლხებს სცარცვავდნენ, ბარის მოსინიკები და მთიელი მოსინიკებიც ერთი ერთმანეთის მოსისხლე მტრება იყვნენ. ქსენეფონტემ არც-კი იცოდა, რომ ყველა ეს ტომები ღვიძლი ძმები იყვნენ; იქნებ ეს თვით ამ ქართველ ტომებსაც დაეიწყებული ჰქონდათ? ჰეკატეს დროს, რომელიც დარიოზის (521—486) თანამედროვე იყო, როგორც ეტყობა, ეს ჯერ კიდევ ხსომებიანთ: იგი ამბობს, „მოსხები კოლხების ტომია“ (Πλάτωσηβ, Ιβν'εστία I, 3) ხოლო ეს იმასა ნიშნავს, რომ ჰეკატეს მოსხებრსა და კოლხების ნათესაობის ამბავი სცოდნია; ამის შემდეგ, როგორც სჩანს, ქართველი ტომები უფრო დაქვეითებულან და ეროვნული შემეცნება დაუკარგავთ, თუმცა-კი პოლიტიკურად ამ დროს სრულებით და-მოუკიდებელნი იყვნენ.

**ქართველი-  
ტომები მე-  
IV-ეს და-  
მოუკიდე-  
ბელნი უო-  
ფილან.**

**ქართველ** რა უნდა მომხდარიყო შემდეგ საუკუნოების განმავლო-  
**ცამების** ბაში ბერძნების მწერლების ცნობებიდან არა სჩანს. სტრაბო-  
**მდგომარე-**ნი მოგვითხრობს მხოლოდ, რომ მეორე საუკუნეში 191 წ.  
**თა II—I** შემდეგ მცირე სომხეთისა და სოფენის მფლობელებმა, ანტიო-  
**ხაუკ. ქ. წ.** ქობ დიდის ორმა სარდალმა არტაქსიმ და ზარიადრმა, თავიან-  
თი ქვეყნები გააძლიერეს და ქართველი ტომები ტიბარენნი  
და ხალდეები დაჩაგრეს: ორი მაზრა ჩამოართვეს და დაიმორ-  
ჩილეს (Geogr. VII, cap. 3, 28), ამის შესახებ პირველ თე-  
ში იყო ნათქვამი. ამ ვგარად ქართველი ტომების პოლიტი-  
კური მდგომარეობა შავი ზღვის სამხრეთ ნაპირას საბოლოოდ  
შერყეული იყო. მცირე სომხეთისა და სოფენის მფლობელე-  
ბის ბატონობას ტობარენებისა და ხალდეების ქვეყნებში მით-  
რიდატ ევბატორმა მოუღო ბოლო, ვგონებ 88—84 წლებს  
შორის; მაგრამ არც იმას უბატონია დიდხანს. ამ დროს რო-  
მის ძლევამოსილმა ლაშქარმა პომპეიუსის მეთაურობით ფეხი  
შემოსდგა მცირე აზიაში და მითრიდატის დიდებას ბოლო მო-  
უღო. 66 წელს ქრ. წ. პომპეიუსმა მეფე მითრიდატი საშინლად  
დაამარცხა. მეფე ბრძოლის ველიდან გაიქცა და კავკასიაში  
შეაფარა თავი. ამიერიდან იწყობა რომის ბატონობისა და გავ-  
ლენის ხანა მთელ მცირე აზიასა და კავკასიაშიაც. ბერძნების  
ახალშენებ, რომელიც მრავლად იყვნენ შავი ზღვის ნაპირებ-  
ზე გაფანტული, რომელებს ბატონობას ხელს უწყობდნენ და  
ნიადაგს უმტკიცებდნენ.

**უმთავრესი წყაროები:**

Keilinschriftliche Bibliothek I და II

V. Латышевъ. Извѣстія др. писателей, греч. и римскихъ, о Скиѣи и Кавказѣ, I და II წ.

M. В. Никольскій. Клинообразныя надписи ванскихъ царей, открытая въ предѣлахъ Россіи (Труды восточ. комисіи Москов. арх. общ. I, გვ. 385—414).

აღმოსავლეთის საზოგადო ისტორია მასპეროსი და პომპეოსი.



## თ ა ვ ი მ ე ს უ თ ე .

საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I—VII სსუკ.

პირველ ნახევარში.

პირველად რომაელებმა საქართველოში ფეხი შემოსდგეს **რომაელები-**  
65 წელს ქრ. წ.; თავის თანამომხეებს გზა გაუკვლია სახე- **ბ. ს. შემო-**  
ლოვანმა სარდალმა პომპეიუსმა, რომელიც ამ დროს მითრი- **ხევა საქარ-**  
დატ მეფეს ეომებოდა. მეფედ მაშინ იბერიაში არტაგი, ანუ, **თველოში**  
როგორც მას ბერძნული ისტორიკოსი დიონ კასიოსი ეძახის, **და გაზარ-**  
არტაკი ყოფილა; როცა რომაელების სარდალმა სომ- **ჩვევა 65 წ-**  
ხებზედაც გაიმარჯვა, არტაგმა იფიქრა, ვაი თუ ჩემ ქვეყანა- **მეფე არტა-**  
საც მოადგეს და დაიპყროსო, და თითონაც მის საწინაღ- **გის დროს.**  
მდეოდ მზადებას შეუდგა; პომპეიუსისათვის-კი რომ თვალგ-  
ბი აეხვია და შეეცდინა, დესპანები მიუჯახანა, დავმეგობრ-  
დეთო (*Historia romana, XXXVII, 1, Латышевъ I, 612*).  
რასაკვირველია, იბერიის მეფეს არ შეეძლო სხვანიირად მო-  
ქცეულიყო: იქნებ პომპეუსს მეგობრობასა და კავშირზე უა-  
რი ეთქვა და ქვეყნის დასაპყრობად წამოსულიყო; ამისათვის,  
მშვიდობიანობაზე მოლაპარაკების დროსაც, არტაგი ფრთხი-  
ლად უნდა ყოფილიყო და ჯარი შეკრებილი ჰყოლოდა,  
რომ, თუ ვინცობაა მოლაპარაკებას ფუჭად ჩაეარნა, მზა-  
მზარეულ მხედრობით მტერს სამეფოს სამზღვრებზე და-  
ჰხედროდა. თვით რომაელებსაც საყვარელი ანდაზაც ხომ  
ამასვე ურჩევდა მმართველს: „*Si vis pacem, parra bellum*“.  
მაგრამ, როცა რომაელების სარდალმა იბერიის მეფის მზადე-  
ბის ამბავს ყური მოჰკრა, ძალიან ეუტუხოვა და გადასწყვიტა:  
ისევ სჯობია იბერებს ეხლავე ანაზღვეულად თავს დავმცე-  
სანამ არტაგი მოემზადებოდეს და მიუვალ ვიწროვებში ჩამი-  
საფრდებოდესო. პომპეიუსიც მართლა დაიძრა თავის მხედრო-  
ბითურთ და იბერიას მოადგა. არტაგ მეფე სამხალისში იყო.  
გართული და ასე მალე მაინცა-და-მაინც რომაელების თავდა

სხმას არ მოელოდდა; პომპეიუსმა ისე მსწრაფად გაიარა მთელი მანძილი სამეფოს საზღვრიდან დედაქალაქამდის, რომელიც მტკვარზე იღო, რომ არტაგმა მხოლოდ მაშინ შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, როცა რომაელების ჯარი სატახტო ქალაქს მოუახლოვდა. თავზარდაცემულმა იბერიის მეფემ გაქცევა ირჩია; მტკვარს გაღმა გავიდა და ხიდი დასწვა, რომ მტერი ვერ დასდევნებოდა. დედა-ქალაქის ციხის მცველმა ჯარმა რომ მეფის გაქცევის ამბავი შეიტყო, მხნეობა დაჰკარგა; ბრძოლაში ძლეულმა პომპეიუსის წინაშე ქელი მოახარა და სატახტო ქალაქი გამარჯვებულს მტერს გადასცა. რაკი პომპეიუსმა ეს აღვილი, რომელიც მთელ ხეობის კარად ბოვლებოდა, ხელში ჩაიგდო, ციხეში თავისი დარაჯები ჩააყენა, თითონ-კი გასწია და მტკვრის მთელი აქეოი პირი დაიპყრო. ის-ის იყო რომაელების სარდალმაც მტკვარს გაღმა გასვლა დააპირა, რომ არტაგმა მოციქულები მოუგზავნა, ოღონდ ჩვენ შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, და ხიდსაც ისევ ავაშენებ და სურსათსაც მოგცემო; ორივე პირობა მეფემ მაშინვე აასრულა, მაგრამ პომპეიუსი მაინც ხიდზე გავიდა. არტაგს შეეშინდა, ჩემი დაჭერა არ უნდოდესო, და მდინარე პელორის პირას გაიხიზნა; რომაელების სარდალი უკან დაედევნა. დაეწია და დაამარცხა; მეფემ მაინც ტყვეობას თავი დაახწია, მდინარის იქითა ნაპირას გავიდა, ხოლო ხიდი აქაც დასწვა, და გაიქცა. იბერების ლაშქარის ერთი წილი ომში დაიხოცა, ერთი წილი კიდევ მდინარეში დაიხრჩო; ვინც გადაჩნა, ტყვეებში მიიმალა და იქიდან ისარს ესროდა რომაელებს, მაგრამ ესენიც დახოცეს რომაელებმა. მაშინ არტაგმა პომპეიუსს ასევე მოციქულები მიუგზავნა და საჩუქრებიც მიართვა. სარდალმა საჩუქრები-კი მიიღო, მაგრამ მეფეს პასუხად შეუთვალა: თუ მშვიდობიანობა გსურს, ჯერ მძევლებად შენი შვილები გამოვიგზავნეო. არტაგი ყოყმანობდა, ამაობაში ზაფხულმაც მოატანა და მდინარე პელორა დაპატარავდა; ამით ისარგებლა პომპეიუსმა და ერთ ალაგას, საცა ფონი იყო, გაღმა გავიდა; მაშინ-კი არტაგ მეფემ იკადრა და თავისი შვილები მძევლებად გამოიმეტა. ამის შემდეგ იბერიის მეფემ და რომაელების სარდალმა ხელშეკრულობა დასდეს (*ibid.* XXXVII, 1—3).



ძღვეამოსილი პომპეიუსი ეხლა-კი დაიძრა და კოლხი-  
დაში გადავიდა (*ibid.* XXXVII, 3) და იქ შეფედ არისტარ-  
ხი დააყენა \*). ასე შექმნა დღეს ფეხი რომაელებმა საქართვე-  
ლოში: რაკი ერთხელ გზა გაკვლეული ჰქონდათ, კავკასიას  
წშირად ეწვეოდნენ ხოლმე. ამიერიდან საქართველო რომაე-  
ლების მძლავრი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მართალია, თუშკა მითრიდატის შეიღმა, ფარნაკმა პომ-  
პეიუსის და ცეზარის შორის ატეხილ შუღლითა და მტრო-  
ბით ისარგებლა (48 წ. ქრ. წ.), თავის მამის სამფლობელოს  
აღდგენას შეუდგა, და კოლხიდა და სომხეთიც ადვილად  
დაიმორჩილა; მაგრამ ცეზარმა, თავის მეტოქე დაამარცხა თუ  
არა, მაშინვე მცირე აზიასა და კავკასიაში შეჴმოქრა და ფარ-  
ნაკი დაამარცხა, ხოლო პომპეიუსის დაპყრობილი ქვეყნები  
ისევ რომაელების სახელმწიფოს დაუბრუნა (*ibid.* XLII, 9,  
45, 47, 48; *Латышевъ I*, 618—620).

იბერებს მაინც-და მაინც ქელი დიდი ხნით არ მოუხ-  
რიათ და რომაელების მეგობრობაცა და ბატონობაც უარ-  
უყვიათ. 36 წ. (ქრ. წ.) პუბლიოს კანიდიოს კარსოსი იძუ-  
ლებული იყო ისევ იბერების წინააღმდეგ გაელაშქრნა; რომაე-  
ლების სარდალმა გაიმარჯვა და იმდროინდელი იბერიის  
მეფე ფარნავაზი (ფარაბაძოს) დაამარცხა და აიძულა მეგობ-  
რობა ეკისრნა (*Dio Cassius*, XLIX, 24—*Латышевъ I*,  
620); არც ეს გამარჯვება ყოფილა ხანგრძლივი: 15 წ.  
(ქრ. წ.) იბერიაში ისევ ამბოხება მოხდა (*ibid.* LIX, 20—  
*Латышевъ I*, 620); მაგრამ აღბად ეს აჯანყებაც ჩაუქვრი-  
ათ რომაელებს, და ქართველებს ისევ რომაელების მეგობრო-  
ბა და ზავი აურჩევიათ. იმპერატორი აუგუსტუსი (29 წ. ქრ.  
წ.—14 წ. ქრ. წ.) თავის „ანკვირის ძეგლში“ („*monumentum  
Ancyranum*“) მოგვითხრობს, რომ იბერებს რომის კეისრისა  
და ერის მეგობრობა ჰსურდათ და იხვეწებოდნენო (*Латы-  
шевъ II*, 41). ასე მაგრად ჩადგეს ფეხი რომაელებმა დასავ-  
ლეთისა და აღმოსავლეთს საქართველოში; ეს ის დრო იყო,  
როცა რომაელების განთქმული თავისუფლება და რესპუბ-

\* ) ამ არისტარხს ეკუთვნის ის ფული, რომელსაც შემდეგი ზედ წერი-  
ლი აქვს: კოლხიდის მეფის არისტარხისა.

ლიკური წეს-წყობილება გადაგვარდა და მკაცრი თვითმპყრობელობა აღმოცენდა.

იბერიის  
სახელმწიფო  
წეს-  
წყობილება  
პა I ს.

ამ წიგნის პირველ თავში დაწვრილებით გამოჩვენებულია, თუ რა სამზღვრები ჰქონდა იბერიასა და კოლხიდას სწორედ I საუკუნეში ქრ. შ., ამიტომ ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი მეტი იქნებოდა. აქ უადგილო არ იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი აგვეწერა. მხოლოდ ამ დროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებას შესახებ მოგვეპოვება ცნობები, დასაკლეთი საქართველო ამ მხრივ აწერილი არა ყოფილა. ვამოჩენილ ბერძენების გეოგრაფის აღწერილობა და ქართულ წყაროებისა და ტარმიენების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წეს-წყობილებაზე ყოფილა დამყარებული; იმ დროს, როცა რომაელებმა ჩვენს სამშობლოს თავისი მძლავრი კლანტები ჩაუქირეს, მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა თურმე და მთელი უძრავი ქონება მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა; ამ ქონებას თვითოეული გვარის შვილი ან სახლობაკი არ უვლიდა, არამედ მთელ უძრავ ქონების ერთადერთ გამგედა და მეურნედ გვარის უფროსი ითვლებოდა, და „მამასახლისად“ იწოდებოდა. გვარი და საგვარეულო წეს-წყობილება მაშინდელ ცხოვრების დედ-აბოძი იყო; დაბა-სოფლები და ქალაქებიც იმნაირადვე იყვნენ მოწყობილები, როგორც საგვარეულო, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში თვითოეული სოფელი მხოლოდ ერთს საგვარეულოს ეჭირა ხოლმე, როგორც ეს მე XVIII-ე საუკუნემდისაც საქართველოს მთა-აღვლებში, მაგ. არაგვისა და ქსნის ხეობებში, შერჩენილი იყო; ამიტომაც არის, რომ შემდეგშიაც-კი, მე-IX—XIII-ე საუკ. როცა ბატონ-ყმობამ სოფლის ერთეულობა დაარღვია და კუთვნილების მიხედვით ყმები სამ უმთავრეს (სამეფო, საბატონო და საეკლესიო) ჯგუფად დაანაწილა, ამ დროსაც მაინც თვითოეულ სოფელს თავისი მტკიცე „მზღვარი“ (სამზღვარი) ჰქონდა; ეს ძველი საგვარეულო წეს-წყობილების ნაშთია: როცა თვითოეული სოფელი ერთს საგვარეულო საკუთრებას

შეადგენდა, რასაკვირველია სოფლებს გარეშემო გარკვეული სამზღვრები ექნებოდა.

მაგრამ გვარიც არის და გვარიც: ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდეც პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენაც ჰქონდა თავის კუთხის დანარჩენ გვარებზე; დიდ-გვარიანი მამასახლისი მაზრის მეთაურადა და გამგედ იყო. ქვეყნის გამგეობის სათავეში მეუფე-მამასახლისი იდგა; იბერიის უზენაეს მართველობის უფლება ერთს საგვარეულოს ეკუთვნოდა; ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მამასახლამე, მამასახლისი იმავ დროს ქვეყნის მეუფედ ითვლებოდა; როდესაც მეფე გადაიცვლებოდა, ვინც განსვენებულის მომდევნო იყო წლოვანებით, ის აღიოდა სამეფო ტახტზე; ამგვარად, სამეფო უფლების მემკვიდრეობა იზავე საზოგადო წესს მისდევდა, რომელიც თვითთავად საგვარეულოში სუფევდა.

მეუფე-მამასახლისის მომდევნო საგვარეულოში ქვეყნის მთავარ-მსაჯულადა და მხედართმთავრად ითვლებოდა, ხოლო საერთაშორისო საქმეები ამ დროს ქურუმების ხელში ყოფილა. სამხედრო წოდება ამ დროს ჯერ არ არსებობდა; დღევანდელი მიწის-მოქმედებას მიმყოფი გვარი-შვილი, ხვალ, თუ ქვეყანას მტერი შემოესევდა, ჯარის კაცად გახდებოდა ხოლმე. სამეფო გვარეულობას გარდა ყმები სხვებს არაფის არა ჰყოლია; ყმები, თურმე, სამეფო გვარის მამულზე იხსდნენ და ქირნახულით განსაზღვრულს გადასახადსა და ბეგარას იხდიდნენ.

რასაკვირველი, მას შემდეგ, რაც რომაელებმა საქართველოს თავისი მეგობრობა ძალად დააკისრეს, აღილობრივი სახელმწიფო წეს-წყობილება დაუპატარებელ სტუმრებას ძლიერ გავლენის ქვეშ ხშირად იქნებოდა: ქვემოდ ბევრი მაგალითება მოყვანილი, როცა რომაელები სამეფო ტახტის მემკვიდრეობას საქმეებში ერეოდნენ და ტახტზე თავიანთ მომხრეს სვამდნენ, ზოგჯერ ქართველებს მემკვიდრეობის საქმეებში რევენდენ ხოლმე.

როცა შპ წ. ქრ. შ. პართელმა მეფემ არტავაზმა იშო-პართელ-დენა კადნიერება გამოიჩინა, რომ რომაელების უფლებას რომაელებ-

**ბის ბრძო-  
ლა სომხე-  
თის გაბო, იბერიის მე-  
ფეოდალთა-  
მა მიჯრ-  
დაფი მონა-  
წილობის  
ძეგენ.**

**ქართვე-  
ლებმა გაი-  
მართვეს.**

ქვეშე მყოფი სომხეთი მათ დაუკითხავად თავის შვილს არშაკს მისცა, კეისარმა ტიბერიუსმა ამით ისარგებლა და სპარსეთის საქმეებში ჩაერია. არტავანის ჰედიღურებით თავმოებურებული და გულზემოსული პართელების ერთი წილი მეფეს აუჯანყდა და რომის კეისარს სამეფო კაცის დანიშვნა სთხოვა, მაგრამ, რომ რომაელებისათვის არტავანის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო გაეადვილებოდა, კეისარმა იბერიის მაშინდელ მეფეს მისწერა და უბრძანა, რომ ის თავისი ჯარით სომხეთს შეესვოდა; ტიბერიუსი დარწმუნებული იყო, რომ მამა შვილს მიეშველებოდა და სწორედ ამ დროს რომაელებს სპარსეთის ტახტის დაპყრობა გაუადვილდებოდათ; კეისარმა სომხეთის ტახტის მეფედ წინდაწინვე იბერიის მეფის ფარსმანის ძმა მიჰრდატი დანიშნა და ნაჩუბარი ძმები შეარჩია. მიჰრდატმა სომხეთის მეფის არშაკის მსახურები ფულით მოისყიდა და ბოროტმოქმედება ჩაადენისა; ამავე დროს იბერნი დიდი ჯარითურთ სომხეთს შეესივნენ და ქალაქი არტაშატი (არტაქსატა) დაიპყრეს. არტავანმა რომ ეს ამბავი შეიტყო, თავის შვილის სისხლის ასაღებად მეორე შვილი ოროდი საჩქაროდ გამოგზავნა; იმავე დროს ნაქირავებ სპის მისაწვევად აქეთ-იქით მალე-მსობოლნი აფრინა. ქართველებმაც ალბანელები მოიშველიეს და სარმატებიც მოიხმეს, რომელთა ერთი წილი ქართველებს ეხმარებოდა, მეორე სპარსეთის ჯარში აპირებდა წასვლას; მაგრამ, რაკი კავკასიონის გზა ქართველების ხელში იყო, მათ სპარსელების მომხრე სარმატებმა აღარ გამოუშვეს. მეშველ და მოკავშირე ლაშქრით გამხნეებული ფარსმანი ოროდს მიადგა და ალყა შემოარტყა. პართელებს საქმე გაუჭირდათ იმიტომ, რომ მათ მხოლოდ ცხენოსანი ლაშქარი ჰყვანდათ, ფარსმანს კი ქვეითთაც სჯობნიდნენ; ამის გარდა, რაკი ქართველები და ალბანელები მთა-ადგილებში ბინადრობდნენ, იმათთვის სომხეთში მოძრაობა და მოქმედება უფრო ადვილი იყო, ქვეყნის მდებარეობაც კარგად იცოდნენ. ორსავე მხრივ ომის დროს გაცხარებული და მედგარი ბრძოლა იყო, მაგრამ თანდათან ქართველებმა და ალბანელებმა მტერს ძლევა დაუწყეს და ცხენებიდან ჰყრიდნენ. ფარსმანი და ოროდი თავ-თავიანთ ჯარს გატაცებით ამხნეებდნენ და

ვერც-კი შეამჩნიეს ერთმანეთს როგორ მიუახლოვდნენ. როცა მათ ერთი-ერთმანეთი იცნეს, ფარსმანმა ფიცხლავ ცხენით იერიში მიიტანა და ოროდს მახვილით ჩაფუჭტი და თავი გაუჩეხა, მაგრამ ცხენი ღროზე ვერ შეიმაგრა და მტერი ხელიდან გაუსხლტა; როცა სპარსელებმა თავიანთი სარდალის დაჭრადობის ამბავი შეიტყეს, ეგონათ მოკვდაო, შედრკენ და სრულებით დამარცხებულ იქმნენ.

მაშინ მეფე არტავანმა მთელი თავისი ჯარი შეჰკრიბა, რომ შური ეძია; მაგრამ ქართველები სჯობდნენ, თუმცა-კი სპარსეთის მეფე ბრძოლას მიიწევდა თავს არ დაანებებდა, რომის სარდალს ვიტალიუსს რომ თავისი ლეგიონები არ შეეყარა და ხმა არ დაეგლო, ვითომც მას შუა მდინარეში შესევა დაეპირებინოს; ამ ამბავმა არტავანი შეაფიქრინა და სომხეთს თავი დაანება, ხოლო რომაელებმა სომხეთში მიჰრდატი დანიშნეს მეფედ (Cornelius Tacitus, *Annales* VI, 31—36; Dio Cassius. *Historia romana* LVIII, 26; Платышевъ, *Извѣстiя* II, 233—236 და I, 621—622).

რალაც საქმისათვის ეს მიჰრდატი კეისარ გაიოზ კალიგულას (37—41 წ. ქრ. შემ.) რომში მიუბატეინა, იქ დაუჭერინებია და ბორკილები გაუყრია; სამწუხაროდ, ტაციტეს სწორედ ის წიგნი, სადაც ეს ამბავი მოთხრობილი ყოფილა, დაკარგულია; როცა კლავდიუსი 41 წ. იმპერატორად აღიარეს, მან მიჰრდატი (ვგონებ 47 წ.) გაანთავისუფლა და სამშობლოში გაისტუმრა; შინ რომ დაბრუნდა, იმისმა ძმამ, მეფე ფარსმანმა, მიჰრდატს შეატყობნა, რომ პარტელებს ერთმანეთში შულლი და ბრძოლა ჰქონდათ; მან იფიქრა, რომ ამაზე მოხერხებულ დროს სომხეთის დასაპყრობად ვეღარ მოესწრობოდა; რომაელების ჯარი ციხესიმაგრეების ასაღებად მიუჩინა, ხოლო იბერების მხედრობა ბარს მოეფინა; ქართველებმა სარდალი დიმონაკტი დამარცხეს თუ არა, სომხებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. თუმცა მცირე სომხეთის მეფე კოტუს (Cotys), რომელსაც დიდებულებმა მიჰმარათეს, ვითომც ქომაგობას აპირებდა, მაგრამ კეისარმა მას წერილი გაუგზავნა და მიჰრდატს ყველა

მირდატის  
გამეფება  
სომხეთში.

დაემორჩილა; მხოლოდ იგი მეტად მკაცრი მმართველი გამო-  
დგა (C. Tacitus, Annales, XI, 8—9).

ფარსმან მეფეს სხვათა შორის ერთი შვილი ჰყვანდა, რომელსაც სახელად რადამისტრს (უეჭველია როდამს) ეძახდნენ; თვალადი და ტანადი ჰაბუკი იყო იგი, სამშობლოში ღონითა და დახელოვნებულ მოასპარეზედ იყო განთქმული; მეზობლებშიაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი; მამა ჩემი მოხუცე, ბჭულია და იბერიას შესაფერისს მეთაურობას ვერ უწევს, ხალხს აძაბუნებსო, გაიძახოდა იგი და ტახტის განთავისუფლებას მოუთმენელად მოელოდებოდა. შვილის ნალაპარაკემა, რასაკვირველია, ფარსმანადისაც მიადწია და მან გადაწყვიტა თავმოყვარე რადამისტი როგორმე თავიდან მოეშორებანა და ამიტომ ჩააგონა მას: წადი, თუ გინდა, სომხეთი დიპყარო; მოხუცმა ფარსმანმა თავისი ღვიძლი ძმა არ დანდო და ბიძაშვილი ბიძის წინააღმდეგ აამხედრა; მას იმედი ჰქონდა, რომ ამგვარად თავის სამფლობელოს გააფართოვებდა და სომხეთს იბერიას შემოუერთებდა. რადამისტი წავიდა მიჰრდატთან ვითომცდა იმიტომ, რომ თავის მამასთან და დედინაცვალთან ვერა რიგდებოდა; მიჰრდატმა სიხარულით მიიღო ძმისწული: რას მოიფიქრებდა თუ რა ვერაგი განზრახვით ესტუმრა ჰაბუკი. თანდათან რადამისტი თავის საქმის მზადებას შეუდგა და სომეხ დიდებულებს აგონებდა, მიჰრდატს უღალატეთო. როცა ამგვარად ნიადაგი მოამზადა და დარწმუნდა, რომ თავის წადილს მიადწევდა, ისევ იბერიაში დაბრუნდა, ვითომცდა მამასთან შესარიგებლად; ისე არა, თურმე მამასათვის უნდა ეთხოვნა, რომ მისთვის ქართველი ჯარი მიეცა. მეფე ფარსმანმაც მოიმიზვნა: მ რომ აღბანელთა მეფეს ვეომებოდი, რომელებს მოხმობ მინდოდა და შენ, მიჰრდატმა, დამიშალეო, და ვითომც ამიტომ სომხეთს ომი გამოუცხადა.

იბერიის ჯარი თავის შვილს რადამისტს ჩააბარა. გაცივ ბჭულმა მიჰრდატმა, რასაკვირველია, ომისათვის მომზადებულ ვერ მოასწრო და თავი გარნის ციხეში შეაფარა, რომელსაც მდებარეობაც კარგი ჰქონდა და რომელების ჯარიც იცავდა. რადამისტმა და ქართველმა ჯარმა პირდაპირ იერიში

ფარსმან მეფე და მისი შვილი რადამისტი მიჰრდატს ებრძვიან და სომხეთის დაპყრობა სწავლიან.

ციხე ვერ აიღეს, იმიტომ რომ საქირო მანქანები არა ჰქონდათ, და ისევ ალყა შემოარტყეს; ამასთანავე, რადამისტმა რომაელების ერთი მოხელე მოისყიდა და იმის დახმარებით მიჰრდატს ურჩევდა ზავზე დათანხმებულიყო. ფარსმანი შენი უფროსი ძმა არისო, იმის ქალი გყავს ცოლად და რადამისტი შენი ცოლის ძმააო; თუმცა იბერნი ესლა შენზე ძლიერნი არიან, მაგრამ მაინც მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე უარს არ ამბობენ; სომხები სიზოგადოდ ვერაფერ ხაზხია, და ამ ციხის გარდასხვა თავშესაფარი არ გაბადია, ომს ისევ შეთანხმება სჯობიაო. მეორე მოხელე, ვარნის ციხის ჯარის ასისტავი, იბერიაში წაივინდა და ფარსმანს ძალას ატანდა, რომ ქართველი ჯარი სომხეთიდან გამოეყვანა; მეფე განგებ აჭიანურებდა მოლაპარაკებას და გადაჭრილ პასუხს არ აძლევდა. ჩუმად-კი თავის შვილს მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა, ციხე რაც შეიძლება მალე აიღეო. რაკი 'მოსყიდული რომაელების დარაჯები აჯანყდნენ და გამოაცხადეს, ციხის დაცვა აღარ შეგვიძლიანო, მიჰრდატი დათანხმდა და რადამისტთან მივიდა მოსლაპარაკებლად. თუმცა ძმისწულობა შეჭვითა, რომ ხელს არ ახლებდა, მაგრამ იმდენი სულმდაბლობა გამოიჩინა, რომ ვერაგულად დააჭერინა და ფეხებში ბორკილი გაუყარა. მაშინვე ხალხი, რომელიც მეფის მკაცრ მართველობით უკმაყოფილო იყო, შეგროვდა და დატყვევებულს მიჰრდატს შეურაცყოფა მიაყენა. მალე ფარსმან მეფის საიდუმლო ბრძანებაც მოვიდა, რომ მიჰრდატი მოეკლათ; რადამისტმა ეს საზარელი ბოროტმოქმედება თავის ბიძისა და სიძის წინაშე საჩქაროდ ასრულებინა. რომის კეისარის წარმომადგენელმა ფარსმანს მოციქულები მიუგზავნა, შენი ჯარი და შვილი სომხეთიდან გამოიყვანეო; მაგრამ ის, როგორცა სჩანს, ყურსაც არ იბერტყავდა.

ამ საქმეში სპარსეთის მეფე ვალარშიც ჩაერია; იფიქრა, ესლა-კი შეიძლება სომხეთში ჩემი ძმა ტირდატი გაეამეფო, და თავისი ჯარით სომხეთს შეესია; ქართველებმა ქვეყანა უომრად დაანებეს და ქალაქები არტაშატი და ტიგრანაკერტი პართელების ბატონობას დაჰმორჩილდნენ; მაგრამ სპარსელებს იქ დიდხანს არ უბოგინიათ: სურსათიც საკმარისი არა

რადამისტო  
იბარკვევს,

ჰქონიათ დამზადებული, თანაც შავმა ქირმა იჩინა თავი, და ვალარში იძულებული იყო. სომხეთიდან გამოსულიყო. გაიგო ეს ამბავი თუ არა რადამისტმა, მაშინვე ისევ სამეფო ტახტი დაიპყრო, მაგრამ ხალხზე გულმოსული იყო, და მეტად მკაცრად ექცეოდა ქვეშევრდომებს, თითქოს ყველანი მოღალატენი ყოფილიყვნენ. ასეთმა ქცევამ სომხები მოთმინებიდან გამოიყენა და გაშმაგებული შეიარაღებული ხალხი სასახლეს გარშემოერტყა; რადამისტმა სიკვდილს ძლივს დააღწია თავი და იბერიაში შეიხიზნა, ხოლო სომხეთს ისევ პართელები დაეპატრონენ (Tacitus, Annales, XI, 44—51, XIII, 6; Латышевъ, Извѣстія, II 241—246).

რა დანაშაული ჩაიდინა ამის შემდეგ რადამისტმა—არა სჩანს, მაგრამ ფარსმანმა მოაკვლევინა იგი, როგორც მოღალატე, რომ ამით რომაელებისათვის თავისი ერთგულება დემტკიცებინა; იქნებ რომაელები მის მოქმედებას სომხეთში რომის სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად სთვლიდნენ და დასჯას უპირებდნენ; მაგრამ ამის შემდეგ ფარსმანი უფრო მეტის მძულვარებით ეპყრობოდა სომხებს და მესხებმა სომხეთის მიყრუებულ ადგილებს რბევა და ტყვევნა დაუწყეს (ib. XIII, 37—ibid. II, 246). ფარსმან მეფეს რადამისტის

**რადამის-  
ტის ზიშტ-  
დრე და სო-  
მხეთიდან  
განდევნა.**

**მიჰრდატ  
ქართლის  
შეფიხა და  
რომის სა-  
ხელმწი-  
ფოს შეგო-  
ბრობა.**

გარდა კიდევ ერთი შვილი ჰყოლია, რომელსაც სახელად მიჰრდატი ერქვა; იბერიის სამეფო ტახტზე მემკვიდრედ მამის შემდეგ სწორედ ეს მიჰრდატი ყოფილა. ქართველებსა და რომაელებს იმის დროს დიდი მეგობრობა და ერთობა ჰქონიათ და ამ კეთილ განწყობილების ნიშნად რომის კეისარებს მცხეთაში გალაგანი გაუმაგრებიათ და შიგ ძველად წარწერა: ჩაუსვამთ, რომელიც 1867 წელს მცხეთას მახლობლად იპოვნეს და ეხლა თბილისის მუზეუმში ინახება: „თვითმპყრობელმა კეისარმა ბესპასიანემ სებასტოსმა, დიდმა მღვდელმთავარმა, მეშვიდედ ტრიბუნის უფლებით მოსილმა, მეთოთხმეტე თვითმპყრობელად (არჩეულმა), ჰუპატოსმა ექვსჯერ დ მეშვიდედ არჩეულმა, სამშობლოს მამად სახელდებულმა დ თვითმპყრობელმა ტიტემ კეისარმა, სებასტოსის ძემ, ტრიბუნის უფლებით მოსილმა მეხუთედ, ჰუპატოსმა ოთხჯერ და მეხუთედ არჩეულმა და დომიციანემ კეისარმა, სებასტოსის ძემ,

**მცხეთის  
წარწერა  
73 წ.ქრ.შ.**



ჰკპატიოსმა სამჯერ, არჩეულმა და დანიშნულმა მეოთხედ— იბერთა მეფეს მიჰრდატს (მითრიდატს) ფარსმანის ძეს და იამაზდ... კეისარის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს ეს კედლები გაუმაგრეს<sup>4</sup>—ო. ეს წარწერა ამოკრილია 73 წელს I ივლისის შემდგომ (И. Помяловскій. Сборникъ греческихъ и латинскихъ подписей Кавказа, 1881 წ. გვ. 68).

როგორ მიდიოდა ამის შემდეგ საქმეები საქართველოში, რომაელებისა და ბერძნების ისტორიკოსებს ტროიანეს (98—117 წ.) კეისრად არჩევამდე არავითარი ცნობები არ მოკპოვებათ; 114—117 წლების განმავლობაში მან პართელებს სომხეთი გამოჰგლიჯა და რომის სახელმწიფოს დაუმორჩილა; ამავე დროს მას მეგობრული განწყობილება ჰქონია ალბანელებთანა და იბერებთან, და უხვ საჩუკრებით მათ გულს იგებდა (Scriptores historiae Augustae, Aelii Spart. Hadrianus, 21—Латышевъ, Извѣстiя, II, 239 და Eusebii chronic.—Heronymos—Латышевъ, Извѣстiя, I, 675).

ტროიანეს მემკვიდრეს აღრიანე კეისარსაც (117—138) ჩინებული განწყობილება ჰქონია იბერებთანა და იმათ მეფე ფარსმანთან; აკც ერთ მეფეს იმდენს საჩუქარს არ უგზავნიდა ხოლმე კეისარი, რაოდენსაც ფარსმანსაო, მოგვიტხრობს ერთი რომაელი ისტორიკოსი; საუკეჟესო ძღვენის გარდა მან მისცა მეფეს სპილო და 500 მხედარი; თავის მხრივ ფარსმანსაც დიდძალი ძღვენი მიუერთმეჟია აღრიანესთვის, სხვათა შორის ოქროთ შემკული წაჟოსა<sup>5</sup>ხაშებიც (Scriptores historiae Augustae, Aelii spart. Hadrianus, 17—Латышевъ, Извѣстiя, II, 293). ხოლო როცა ფარსმან მეფე თავის ცოლათა და შვილითა ამალოთურთ რომში კეისარს ეწვია; მან დიდი პატივი სცა, კაპიტოლში სამღთოს შეწირვის ნება მისცა და იმის სამფლობელოს საშუღერები გააფართოვა. აღრიანე კეისარი ფარსმანსა, იმის შვილისა და სხვა დიდებულ ქართველების სამხეღრო ასპარეჟობას უყურებდა და შემდეგ ზარსის ველზე იბერიის მეფის ცხენიანი ჰანდაკება დაადგმევინა (Dio Cassius, Hist. Romana, epit. 3, LXIX—Латышевъ, Извѣстiя, I, 622). ანტონინე კეისართანაც

მეგობრული განწყობილება იბერიის მეფის ფარსმანსა და აღრიანე და ანტონინე კეისრებს შორის.

(138—161 წ.) ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია; იბერიის მეფე იმასაც სწვევია სტუჟრად რომში და ანტონინუსის უფრო მეტი ძლევნი მიუერთმეფია, ვიდრე მის წინაჰოადგილესთვის; ხოლო ლაზებისათვის კეისარს შეუვედ თურმე ბაკური (Pacorum) დაუნიშნავს (Script. hist. Augustae, Iulii Capitolini Antoninus Pius, —Платышевъ, Извѣстія, II, 294).

მესამე საოკუნის დასაწყისში სპარსეთში პართელ სამეფო გვარს ხელმწიფობა ხელიდან გამოსტაცა სასანელთა გვარმა და ამ გვარეულობიდან პირველ შაჰად, რომელმაც მთელი სპარსეთის სამფლობლო დაიპყრო, გულადი არტაშირი (არტახშატრ) იყო; 224 წელს მან არტაევან მეფეთმეფე სუზიანაში, ჰორმიზდაგანის ველზე, დაამარცხა და მოჰკლა; ორი წლის შემდეგ სატახტო ქალაქიც ხელში ჩაიგდო და სპარსეთის ბატონად გახდა; თავის ძლევამოსილებისა და გამარჯვების ძეგლად არტაშირმა ნაყური-რუსტამის კლდეზე ქანდაკება ამოაჭრევინა, სადაც მას, ცხენოსნად დახატულს, ცხენოსანივე ღმერთი აჭურამაზდა ხელმწიფების ნიშანს უწყალობებს, ხოლო მეფის ცხენის ფეხქვეშ ვალარში და მეფეთმეფე არტაევანი არის განრთხმული (Prof. Dr. Iusti, Herrschaft d. Sassaniden, გვ. 515—516). მეფე არტაშირი და საზოგადოდ მთელი სასანელთა სამეფო გვარი სპარსეთის ეროვნულ-სარწმუნოებრივ მიმართულებას განმაახლებელი და სულჩამდგმელი იყო; მათ გააძლიერეს ზრდაშტის, ანუ ზარატუშტრას მოძღვრება, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობაზე იყო დამყარებული და სპარსელებს მამაპაპეულ სარწმუნოებად ითვლებოდა; მათ გააძლიერეს სპარსეთი და რომაელებს შესაფერს მეტოქეობას უწყევდნენ; მათ დროს აყვავდა აგრედვე სპარსული ეროვნული მიმართულება.

როცა არტაშირმა სპარსეთში ფეხი მაგრად მოიკიდა, მაშინვე რომაელებს ომი აუტება (prof. Iusti. Herrschaft d. Sassaniden, 517); ამიერიდან რომის სახელმწიფოს ღირსეული მოპირდაპირე გაუჩნდა, საქართველოსკი ძლიერი და საშიშარი მესობელი.

მე-III-ე საუკუნეშივე, 225—260 წლების განმავლობაში, დასავლეთ საქართველოს, ლაზიკისა და მთელ შავი ზღვის ნაპირებს სკივთებმა ეწვივნენ; საცა-კი ისინი გაჩნდებოდნენ და შეესევოდნენ, ყველაფერს იკლებდნენ და ანადგურებდნენ. ყველაზე მეტად ამ დროს ფაზისი, ანუ ფოთი და პიტიუნი ანუ ბიჭვინთა დაზიანდა; ფოთში ადგილობრივი ლეთაების ტაძარი-კი ვერ ჩაიგდეს ხელში, დიდ კედლებით გარეზღუდვილი და კარგი ნავთსა ფურჩიანი პიტიუნი-კი მეორედ ადვილად აიღეს და მთელი იქ მყოფი რომაელების ჯარი ამოწყვიტეს; ადგილობრივი მცხოვრებნი მიუვალ ადგილებში იყვნენ შეხიზნული (Zosimi Historia nova, II, 28—33 Латышевъ, Извѣстiя, I, 790).

მე-IV-ე საუკუნეში იბერია ერთ ტყვე-დედაკაცის ქადაგების ზეგავლენით ქრისტიანობა ნებადართულ და სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა; ეს მოხდა მეოთხე საუკუნეს პირველ ნახევარში, ბიზანტიაში კონსტანტინე კეისრის დროს (323—337 წ.). ხოლო იბერიაში ბაკურის მეფობის დროს; ასე მოგვითხრობს პეტრე-მურვანოზ მაიუმელის ცხოვრების ავტორი (R. Raabe, Petrus der Iberer), ამასვე ეთანხმება ამ აზბის თანამედროვე ისტორიკოს რუფინის ცნობებიც (Tyrannius Rufinus, Historia ecclesiastica, lib. I. cap. X, ბოლო—Латышевъ, Извѣстiя, II, 364) რასაკვირველია ქრისტიანობა ამაზე წინადაც გავრცელებული იყო, მე-IV-ე საუკუნეში იგი მხოლოდ სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნა აღიარებული; მხოლოდ მთიულეებმა იქცხოვეს ახალი მოძღვრება. დასავლეთ საქართველოშიც დიდი ზანია ახალს მოძღვრებას ფეხი მოკიდებულა ჰქონდა. ქო-სტ-ანობამ ძირითადად შესცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და შემდეგ საუკუნოებში საქართველოს თავადასავალი ბევრჯერა ყოფილა ამ ახალ სარწმუნოებზე დამოკიდებული; იმიტომ რომ ქრისტიანობაზე უწინ მთელ საქართველოში მნათობთა-თაყვანისცემის შემდეგ სპარსეთის მეზობლობისა და გავლენის წყალობათ ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო გაბატონებული და ამხრივ მას უფრო მეტი მიდრეკილება ექნებოდა ერთ-მორწმუნე სპარსეთისაკენ. საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ-კი მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო.

იბერიის  
გ. ქრისტიანობა-  
ნება მე-  
IV-ე საუკ.

იბერიის სპარსეთის მეფეები თანდათან საქართველოსაც მოადგ-  
ორად გა- ნენ; ამ დროს ისინი უკვე თავისუფლად დათარეშობდნენ  
ყოფა 368 სომხეთში და იბერიაც უნდოდათ ამგვარადვე ხელში ჩაეგდოთ;  
წ. მეფე სა- მაშინ იბერიაში მევედ რომაელების დამტკიცებულ საურ  
ურმაგის მაგი (Sauromaces) იჯდა; 368 წელს სპარსეთის მეფე შა-  
დროს; თა- ბური (Sapor) შეესია აღმოსავლეთ საქართველოს და მეფე  
ვის წილ- საურმაგი ქვეყნიდან განდევნა ჰხლო მის მაგიერ მისივე ნათე-  
ში სპარსე- სავი ასპაგური აიყვანა საშეფო თახტზე და დაავიჯრავინა (Am-  
ლიმა მე- mianus Marcellinus. Res gestae lib.-XXVII, 21. Латы-  
ფედ ასპა- шевъ II, 332); რაკი იგი რომაელების მფარველობის ქვეშე  
გური და- მყოფ იბერიის მეფეს ასე უდიდურად მოექცა, რომაელებს რა-  
ნიშნეს. საკვირველია ეწყინათ; სპარსელების განდევნილი საურმაგი  
რომაელებთან მივიდა და იმათგან 12 ლეგიონი რომაელების  
მეშველი ჯარი ტერენტის (Terettio) მეთაურობით თანწა-  
მოიყვანა; მტკვარს რომ მოუახლოვდა ასპაგური შეეზღვეა  
საურმაგს: მაინც ნათესავები ვართ და მოდი ორივემ ერთად  
ვიმეფოთო; ასპაგური ვერა ბედავდა უფლება დაეთმო იმიტომ,  
რომ მისი შვილი სპარსეთის მეფეს მძევლად აჰყავდა წაყუ-  
ნილი და შიშობდა, ვაი თუ შაბურმა ჯავრი იმაზე ამოიყარო-  
სო. როცა რომაელების კეისარს ამ წინადადების შესახებ მო-  
ახსენეს, ომსა და მტრობას ისევე მშვიდობანი შეთანხმება  
ირჩია და ასპაგურის განზრახვა მოაწონა; იბერია ამის გამო  
ორ ნაწილად გაჰყვეს: ერთს იბერიის აღმოსავლეთი ნაწილი  
შეადგენდა, რომელსაც აღბანია ჰსაზღვრავდა, ხოლო მეორე  
რეს-დსავლეთი იბერია, რომელიც ლაზიკაზე და სომხეთზე  
იყო მიკრულ; ამჟინ მარცელინის სიტყვით ამ ორ სამეფოს  
შუა საზღვრად მტკვარი იყო (Res gestae, lib. XXVII.  
cap. 12 § 15—17), მაგრამ აღბად მდინ. არაგვიც უნდა  
ყოფილიყო; ასე გაჰყვეს იბერია ორ სამეფოდ \*). აღბად  
ეს ასპაგური იგულისხმება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრო-  
ნიკაში „გარაზ-ბაკურის“ სახელით, რომლის შესახებაც იქ ნათ-

\*) ეს შემთხვევა უნდა იყოს დამახინჯებულად და მრავალ გვარის  
შეცდომებით გამოხატული „მოქცევაჲ“-ს ქრონიკის „ორმეფობას“  
ისტორიაში (იხ. ე. თაყაიშვილის გამომც. სამ. ისტ. ხრ. გვ. 8).

ქვაშია: „...დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ... და მაშინ მოვიდა-  
ქრამ ხუარ-ბორ-ზარდ, სპარსთა მეფისა პიტიაში, ტფილი-  
სად ქალაქად ციხედ და ქართლი მისსა ჯარქსა შეუდგა და  
სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“-ო (ე. თაყაიშვილის  
გამოც. 23—24).

როცა სპარსეთის მეფემ შაბურმა იბერიის ორად გაყოფის ამბავი შეიტყო, წინაღმდეგობა გამოაცხადა, ჩემდა დაუკითხავად მოხდა ყველაფერი და თქვენს ვადაწყვეტილებას არ ვეთანხმებიო; ომისათვის მხადებასაც შეუდგა, რომ ყველაფერი თავის ნებაზე მოეწყო. (Ammianus Marcellinus, Res gestae, lib. XXVII, cap. 12, § 18—Латышевъ, II, — 336). ბოლოს 374 წელს შაბურ მეფემ დეპანების გაგზავნა იკადრა და კეისარს ვალენტს შეუოფლა, იბერიიდან თქვენი ჯარი გამოიყვანეთ, სამეფოს ორად გაყოფა ამოჰკვეთეთ და მთელ იბერიის მეფედ ისევ ჩემი დანიშნული ასპაგური იყოსო; მაგრამ კეისარმა ამაზე ცივი უარი შემოუთვალა (ib. lib. XXX, cap. 2—Латышевъ II, 336).

შაბურ მე-II ის შემდეგ სპარსეთში შინაური უწყსოება და მღელვარება ატყდა: არდაშირ მე II-ეც (379—383), შაბურ მე-III-ეც (383—388), ბაჰრამ მე-IV-ეც (388—389) ქვეშევრდომებმა დახოცეს (Iusti, Herrschaft d. Sassaniden, s. 525—26); იეზდიგერდ I (399—420) და მისი ერთი შვილი შაბურიც მოკლულ იქმნენ; უკანასკნელი გზაზევე გაათავეს, როცა იგი მამის მოკვლის ამბავის გაგონების უმალ ქალაქისაკენ გაეშურა (ibid. 526). მთელ ამ ხნის განმავლობაში თვით სპარსეთი დასუსტებული და შინაურ საქმეებით გართული იყო; ერეოდა მაშინ სპარსეთი იბერიის საქმეებში, თუ ამისთვის არა სცხელოდა, ამაზე არაუიჯარო ცნობები არ მოიპოვება.

იეზდიგერდ I-ის დროს სპარსეთში პირველად დაუწყეს ქრისტიანებს დევნა; რაკი სპარსეთის თავზარდაცემული ქრისტიანები ბიზანტიაში იხიზნებოდნენ და იქ ემალეობდნენ შაჰის მოხელეებსა და მოგვებს, ამიტომ სპარსეთის მთავრობამ შეუთვალა კეისარს, ჩემი ქვეშევრდომი ქრისტიანები თავიანთ ქვეყანაში გამორეკეო; კეისარმა ამაზე ცივი უარი შე-

უთვალა და ქრისტიანები არ გასცა; ამის გამო სპარსელებმა  
 ომი გამოუცხადეს, რომელიც იეზდიგერდის სიკვდილის შემ-  
 დგავც არ შეწყვეტილა, მაგრამ ამ ბრძოლაში ბიზანტიელებ-  
 მა გაიმარჯვეს და სპარსეთის ლაშქარი მრავალჯერ დაამარ-  
 ცხეს ისე, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ კიდევ 421 წ.  
 ომი შეეწყვიტათ და მშვიდობიანობა ჩამოეკლათ. ამავე დროს  
 სპარსეთში ქრისტიანობა-ს თავისუფლება ისევ აღდგენილ იქ-  
 მნა (Iusti, ibid, s. 527). როცა იეზდიგერდ მე-II-ე (438 —  
 457) ტახტზე ავიდა, მან კავკასიასა და ქრისტიანობას  
 ისევ ყურადღება მიაქცია. სპარსეთის გავლენასა და ბატონო-  
 ბას სომხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა უშლოდა ხელს და  
 ამ ორივე ქვეყნის გული და სული ბიზანტიისაკენ იყო. ამის  
 გამო სპარსეთის წინააღმდეგობა სულ იმის საგონებელში იყო, რომ  
 ქართველთა, სომხეთა და ალბანელთათვის სარწმუნოება შე-  
 ეცვალათ; წინააღმდეგობა, როცა ამ სამხრეთ ხალხში ცეცხლთაყვან-  
 ნისმცემლობა გავრცელებული იყო, სპარსეთთან მათ მჭიდრო  
 კავშირი ჰქონდათ და ეხლაც სპარსეთის შაჰან-შაჰი და მთავ-  
 რობა მოწადინებულა იყო, რომ კავკასიაში კვლავინდებურად  
 მახდენიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გაეხადნათ. ამ სურ-  
 პილის განსახორციელებლად მან შემდეგ ხერხს მიჰმართა:  
 სომხეთში, იბერიაში და ალბანიაში ბრძანების წერილები  
 დაგზავნა და სამივე ქვეყნიდან მოწინავე გვარების თავი-კა-  
 ცები დაიბარა; ეს ბრძანება რასაკვირველად სპარსეთის ქვე-  
 შევრომ იბერიის ნაწილს შეეცებოდა; აქედან წავიდნენ  
 დიდ-გვარიანი მამასახლისები და ქართლის პიტიაში არშუშა  
 (Istakur. Pharaq. ვენეციის 1891 წ. გამოც. გვ. 149). სა-  
 მივე ქვეყნის მისულ თავ-კაცებს იეზდიგერდმა გამოუცხადა, ან  
 ქრისტიანობაზე უარი სთქვით და მახდენიანობა აღიარეთო, ან  
 არა და თქვენცა და თქვენ სახლობასაც დაედუპავო; ცოტა ხნის  
 ყოყმანისა და ერთიერთმანეთში მოლაპარაკების შემდგომ წარ-  
 მომადგენლები ნებაუნებლიეთ იძულებულნი იყვნენ გააჩე-  
 ნობით მაინც შაჰან-შაჰის ზოტხოვნილება აესრულებინათ  
 (ibid. 157—8).

იეზდი-  
 გერდ II-ის  
 მოქმედება  
 იბერიაზე  
 და სომხეთ-  
 თმა.

რაკი სპარსეთის მეუვე თავისი გაიყვანა, სამივე ქვეყნის  
 თავი-კაცები დაითხოვა და თან მოკვები გააყოლა; მხოლოდ

მძევლები ჩამოართვა და ქართველთაგან არშუშა პატიაში დაანარჩუნა (ibid. 177). ამაზე უფრო წინად იეზდიგერდ მეფემ თავისი მოხელეები გამოგზავნა და მთელი სომხეთის აღწერა მოახდინა (სიქიქ, მოსკოვის გამოც. 1892 წ. გვ. 26) მცხოვრებთა რიცხვისა და მათ ქონების შესატყობად; მოხელეები განგებ ხმებს ავრცელებდნენ, ვითომც ეს აღწერა სპარსეთს იმიტომ სდომნოდეს, რომ ხარკი და მხედრობის რიცხვი შეემცირებინა; მაგრამ მერე-კი მოხდნენ მცხოვრებნი, რისთვისაც უნდოდა იეზდიგერდ მეფეს სომხეთის მცხოვრებთა რიცხვის შეტყობა. სპარსეთის მთავრობამ მიიღო თუ არა ამ აღწერის საშუალებით შეკრებილი ცნობები, მაშინვე სომხეთში ხარკი ერთი ორად მოუმატა, ეკლესიებსა და მონაზვნებსაც შეუფალომა წაართვა და ხარკი დაადვა; გარდასახადი ამოვარდნილ (ახრასკაყ) აღგიღებზეც-კი დააწესეს (სიქიქ, ib. 26—27).

სომეხი ისტორიკოსი, რომელსაც ეს საყურადღებო ცნობები აქვს შენახული, არას აზრობს. მოახდინეს თუ არა ხალხისა და ქონების აღწერა სპარსეთის ბატონობის ქვეშე მყოფ იბერიაშიაც, ან არა და ხარკი იბერიაშიაც გააძრკვეცეს თუ არა? ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ სომხეთზე ლაპარაკობს, ისე რომ დანამდვილებით საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება.

ამ დროს სპარსეთის მთავრობა სომხეთის შინაურ საქმეებშიც ერეოდა და მამასახლისების დამტკიცების დროს ჩვეულებრივ წესს, რომელიც უფროსობაზე იყო დამყარებული, არღვევდა და ქრისტიანობის უარყოფელ ერთგულ პირებს ნიშნავდა ხოლმე. ეკონომიჭრმა, უფლებრივმა და სარწმუნოებრივმა შევიწროებამ სომეხები მოთმინებიდან გამოიყვანა და ააჯანყა. თავდაპირველად სომხების საქმე-კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე მაინც სპარსელებმა გაიმარჯვეს; უკანასკნელ ბოლაში ბევრი დიდებული სომეხი დაიხოცა, სხვათა შორის ვარდან მაშიკონიანიც (ჯაყარ ფარაყსიხ, 236—238).

ამავე დროს დასავლეთი საქართველო ისევ ბიზანტიის დამოკიდებულების ქვეშ იყო. ეს დამოკიდებულება მხოლოდ გარეგნობაზე იყო დამყარებული და უფრო მფარველობას ვაძვდა: ლაზები; ანუ კოლხები არც ხარკს, არც განსაკუთ-

დასავლეთ-  
მდგომარე-  
ობა ბიზან-  
ტიის

**შარგე-  
ლობის  
ქვეშ.**

რებულს გადასახადს არ უგზავნიდნენ კე-სარს, არც სხვაფრივ რაშიმე ემორჩილებოდნენ ბიზანტიის მთავრობას, არც ჯარით უზღარებოდნენ მას ომიანობის დროს; ლაზიკის მკვიდრნი მოვალენი იყვნენ მხოლოდ, რომ თავ-ანთი ჩრდილოეთის სამზღვრები გაემაგრებინათ და იქიდან ჰუნები არ გადმოემართა და ბიზანტიელების სამფლობელოები ამით მტრის შემოსევისაგან დაეცვათ; გარეგნობით ლაზიკის მეფეების კეისრებისაგან დამოკიდებულება იმაში გაპოიტებოდა, რომ ლაზიკის სახელმწიფო ტახტზე ამავეს მეფეს სავფო უფლებების ნიშნებს (გვირგვინსა და სხვ.) ბიზანტიის ბატონი უგზავნიდა ხოლმე (პროკოპი კესარელა *De bello persico*, II, წიგ. 15-დესტუნისის, II, გვ. 106).

**ლაზიკის  
მეფის გუბ-  
ანიის აჯან-  
ფყა 456 წ.**

კოლოხიდის მეფემ გუბაზმა გადასწყვიტა ამგვარ გარეგნულ დამოკიდებულებისაგანაც გაენთავისუფლებინა თავისი სახელმწიფო; ეს გაუგეს ბიზანტიელებმა და გაუწყრნენ.

456 წელს მათ კოლხიდაში ანუ ლაზიკაში საომრად თავისი ჯარი გამოგზავნეს, მაგრამ მერე მალე უკანვე დაბრუნეს და ხელმეორედ ომის მზადებას შეუდგნენ: ეს რომ ლაზებმა შეიტყეს, მაშინვე სპარსეთის მეფესთან მოციქულები მიგზავნეს, ბიზანტიელების წინააღმდეგ მოგვეზარეო; ამ დროს ივზდიგერდი მკვდარი იყო († 459 წ.), ხოლო მისი შვილი პეროზი (459—484) თითონაც ჰუნებს ებრძოდა; ამიტომ ლაზებმა დახმარებაზე უარი უთხრა. რაკი სპარსეთის მოშველების იმედი გაუცრუვდათ, ლაზები იძულებული იყვნენ ისევ ბიზანტიელებს მშვიდობიანად მორიგებოდნენ. ლაზიკის მეფემ ამისათვის კეისარს დესპანები გაუგზავნა, მაგრამ იმან უპასუხა: ან გუბაზმა სთქვას მეფობაზე უარი, ან მისმა შვილმა, უამისოდ ჩვენ ომს არ შევწყვიტავთ: ძველ ჩვეულებისდა მიუხედავად მამა-შვილის ერთად მეფობა არ შეიძლებაო. გუბაზმა ისევ თითონ სთქვა უარი მეფობაზე და კეისარსა სთხოვა ჩემს შვილს ნულარ ემტერებო. იმან კიდევ კოლხიდის ნამეფარი თავისთან დაეხარა, ანგარიში ჩამაბარეო. გუბაზს კონსტანტინეპოლში წასვლაზე უარი არ უთქვამს; მხოლოდ შირობა მომეცით, რომ არაფერს არ შემამთხვევოო. კეისარმა თავისი მოხელე დიონისე გამოუგზავნა; შეთინხმების შემდეგ,



სპარსულად გამოწყობილი და მიდიელთა წესზე მკველების თანახმებით გუბაზი და დიონისე კონსტანტინეპოლში მივიდნენ, როცა ის-ის იყო საჯახტო ქალაქი გადამწვარიყო, ესე იგი 465 წლის შემდეგ; ლაზიკის მეფე გუბაზი ლეონ კეისარს (457—474) წარუდგა; თუმცა თავდაპირველად ლაზიკის მეფე საყვედურით აავსეს, მაგრამ მან თავის ლაპარაკით სრულებით მოხიბლა მთავრობა (პრისკოს პანიტეს, გოთური ისტორია IV, 25, 26, 34—Патшевъ, Извѣстiя, I, 840, 841, 842), და თავისი ქვეყანა განსაცდელს გადაარჩინა.

ამავე დროს იმიერ-კაკასიდიან ჰუნნების ერთი ტომი სარაკურები სპარსეთის წინააღმდეგ აშხედრდნენ; წამოვიდნენ და კასპის კარს მოადგნენ, მაგრამ ეს ადგილი მათ გაჰაგრებულნი დახვდათ; სპარსელებს აქ თავისი მკველები ეყვნათ. დაბრუნდნენ უკან და სხვა გზით, ივრის ხეობაზე, საქართველოსა და სომხეთს შემოესივნენ; ქართლი დაარბიეს და აიკლეს. ეს რომ სპარსელებმა შეიტყეს, შეწუხდნენ იმიტომ, რომ უამთოდაც ჰუნნებს-კიდარელებს ეომებოდნენ და ახლა ესენიც რომ სპარსეთსა სწვევოდნენ. საქმე ძალიან გაუჭირდებოდათ. რაკი თითონ ამისი თავი არა ჰქონდათ და არა სცალოდათ. ბიზანტიელებს კაცები მიუგზავნეს და სთხოვეს: მაინც ხომ ჰუნნები თქვენ სამფლობელოსათვისაც საშიშარი არიან და ქვეყანას თქვენც დაგიწიოკებნო ისევ ან ფულით, ან ჯარით დაგვეხმარეთ, რომ ივრის ხეობა გავამაგროთ და ჰუნნები შევიკავოთ. ამაზე ბიზანტიელებმა უპასუხეს: თვითოველმა სახელმწიფომ თავის სამფლობელო თითონვე უნდა დაიცვასო (პრისკოს პანიტეს, ის. IV, 37—Патшевъ, Извѣстiя, I, 843—844). ქართლში ამ დროს მეფედ ვატანგი იყო, ხოლო ქართლის პიტიაზად არსულშას მაგიერ მისი შვილი ვასქენი \*) დაუნიშნიათ; ამ

სარაკურ-  
ების შე-  
მოსება ამა-  
ინჯკბ  
ხიაში.

\*) „მოქცევა ქართლისაჲ“ (გვ. 33) ამ ვასქენს მე-VI-ესაუკუნეში, ბაკურ მეფის დროს ასახელებს, მაგრამ ეს ცხადი შეცდომაა: „შუშანიკის ცხოვრება“-ში (საქართველოს სამოთხე, გვ. 181—182) აღნიშნულია, რომ მას ვარდან მამიკონიანის ძალი ჰყავდა ცოლად; ვატანგის-ვე დროს აღნიშნავს მას სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი (გვ. 406).

ვასქენმა ქრისტიანობაზე უარი სთქვა და ამით სპარსეთის მეფის წყალობა დაიმსახურა. ეს ის ვასქენია, რომელმაც ქრისტიანობის გულისათვის თავის ცოლი ჯერ აწვალა, ხოლო მერე სიკვდილამდის ექვსი წელიწადი ციხეში ჰყავდა დამწყვდეული (იხ. შუშანიკის ცხოვრება).

ვახტანგ  
მეფის ამ-  
ბოხება  
სპარსეთის  
წინააღმდეგ  
484 წ.

რალაც მიზეზის გამო, იქნებ ვითარცა სპარსეთის მეფის ერთგული ყმა და თავის ქვეყნის მტერი, ვახტანგ მეფემ პიტიანში ვასქენი 484 წელს (პეროზის მეფობა ს მე-25 ე ინდლიკტიონს) მოაკვლინა (*Հագար Փարս 406.*); ეს სპარსეთის ბატონ-ბ-ს წინააღმდეგ ამბოხების წინამორბედი იყო. სწორედ ასეც ჩამოართვეს ეს ამბავი სომხებმაც, რომელთა შორის ჰირველ დამარცხების შემდგომაც სპარსეთისადმი უკმაყოფილება წინანდებურად ღვიოდა, და თითონაც აუჯანყდნენ სასანელ მეფეს. ვახტანგ მეფე რომ საომრად საქმადისს შეუდგა გაიძახოდა: სპარსელებს კი არ ეგონოთ, ვითომ მთ მარტო მე შევებრძოლებოდე, იმოდენა ჰუნნებს ვადმოვისხამ პირიქითიდან, რომ სპარსელები წინ ვერც კი დაუდგნენო (*ibid. 407*). ამ ამბავის გაგონებაზე სომხებს გაუხარდათ და იმედი მოეცათ: ქართველები და ჩვენ ერთად სპარსელებს როგორმე ვძლეეთო. მაგრამ ერთმა სომეხმა ნახარამა დააპყლა თავისი თანამოქმედები და სპარსეთის მარზპანს მათი მოქმედების გეგმა შეატყობინა (*ib. 414*); ამის შემდეგ სპარსელები მზადებას შეუდგნენ.

ვახტანგ მეფეს ჯერ ომის სამზადისი არ დაესრულებინა, რომ საქართველოს სპარსეთის დიდძალი ჯარი შეგოესია. ვახტანგმა დაინახა, რომ მტერს მარტოკა ვერ გაემკლავებოდა; მაშინვე თავისის ჯარითურთ ქართლისა და სომხეთის საზღვარზე გაიხიზნა და იქ მთებში შეეფარა; ამასთანავე ვახტანგ მეფემ სომხებს შეკრიკები გაუგზავნა და შეატყობინა: საქართველოში დიდძალი ჯარი შემოვიდა და რაკი დავინახე, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი სომხეთის საზღვრისაკენ გამოვიხიზნეო (*ib. 457*). ეს რომ სომხებმა შეიტყვეს, ვახტანგ მეფისაკენ გეშურნენ, რომ შეერთებულ ძალით სპარსეთის ჯარი დაემარცხებინათ (*ib. 458*). ვახტანგი ჰუნნების მოლოდინში იყო და შვიდი დღე უცადა; მაგრამ რო-

ცა დარწმუნდა, რომ აქაც იმედი გაუტრუვდა და ქართველები და სომხები სპარსელებს მარტოკა უნდა შებრძოლებოდნენ, მთებიდან ბარად ჩამოვიდნენ.

ამ დროს განმეკობაში მათ კვალს მიჰრანაანთ შაბურმა მიავნო და თავის ჯარით მტკვრის ნაპირას დაიბანაკა (ib. 460). ბრძოლის წინა ღამეს ბევრი წავიდნენ სომხეთის ჯარიდგან და სპარსეთის სარდალს ჩააგონეს: ჩვენ ჩვენის ნებაცოფლობით არ მოესულევართ სპარსელებთან საბძოლველად, სულ ვაჰან მამიკონიანის ბრალია, იმან წამოგვიყვანაო, და ბრძოლის დროს სპარსელების მხარეზე გადასვლა აღუთქვეს (ib. 461). თავისი დაპირება ასრულეს კიდევ. მეორე დღეს, ბძოლის დროს შეეზთებული ჯარი შედრკა და სომხებიცა და ქართველებიც ძლეულნი აქეთ იქით გაიფანტნენ; ვახტანგ მეფემაც თავი დააღწია (ib. 467—468). ამ გამარჯვების შემდგომ სომხეთში მდგომ სპარსელთა ჯარის მთავარ-სარდალს ჰაზარაეუხტს პეროზ შეფისაგან (458—484) ბრძანება მოუვიდა \*): საჩქაროდ გაემგზავრე მთელის ჩვენის ჯარით ქართლში, სომხეთში-კი იქაური ჯარით შაბური მიჰრანის გვარის შვილი დასტოვე, და ქართველთა მეფე ვახტანგი ან დაიქირე, ან მოჰკალ, ან ქვეყნიდან განდევნეო (*ღაყარ. ჭარყ. გვ. 506—507*). ჰაზარაეუხტმა მაშინვე ასრულა თავის ხელმწიფის ბრძანება. მივიდა თუ არ საქართველოში, ჰაზარაეუხტს მაშინვე სპარსეთის მთავრობის ერთგული ქართველები მიეშველნენ, მათ მიემბრნენ ბევრი ისეთნიც, რომელნიც თავდაპირველად ვახტანგ მეფის მხარეზე იყვნენ და სპარსეთის წინაღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ, მაგრამ ჰაზარაეუხტმა რომ შაჰის წყალობა და ჯილდო აღუთქვა, თავის ქვეყანასა და მეფეს განუდგნენ და უღალატეს (ib. 507). როცა ვახტანგ მეფემ დაინახა, რომ თავისიანებმაც უმტყუენეს და ბევრი ქართველი სპარსელების მხარეზე გადავიდა, ქართლიდან გაიქცა და სამეგრელოში გადაიხიზნა (ib. 508).

\*) ეს ბრძანება 483—4 წ. უნდა მოსულიყო იგი ჰეროზ შეფის გამოგზავნილი იყო, რომელიც 484 წ. მეფომდა, ხოლო ვახტანგმა ამბოხება 483 წელს დაიწყო, და სწორედ მის შემდეგ არის ეს ბრძანება გამოცემული.

მაზდაკი და  
მისი მოკ.  
ღვრება.

ამავე 484 წელს მოკვდა პეროზი და სპარსეთის დიდებულებმა ჰაზართუხტი ქართლიდან დაიბარეს სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლად (ib. 540). სამეფო ტახტზე აიყვანეს ვალარში, მაგრამ დიდხანს არ უმეფნია: 488 წელს იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგიერ კავადი (488—531) დასვეს. ამ დროს დაიწყო თავის შესანიშნავი ქადაგება მაზდაკმა; მას უნდოდა რომ ხალხში მშვიდობიანობა და სიყვარული დამყარებულიყო, ხოლო ამისათვის საჭიროა მოვსპოთ და ძირიანად აღმოვეხრათ ადამიანთა შორის სიძულვილისა და უთანხმოების მიზეზიო, ამბობდა მაზდაკი. ხოლო ყოველგვარ უსიამოვნობისა და ერთი-ერთმანეთის მტრობის დედა-ბუდე საკუთრებისა და ლხინისადმი ჰისწრაფებაო. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს, რომ ქვეყნიერობაზე მშვიდობიანობა დამყარდეს, ამისთვის მთელი საკუთრება უნდა გაიყოს და მთელ ხალხს თანასწორად მიეცეს; ცოლებიც-კა კერძო საკუთრებას არ უნდა შეაღვენდნენ; უნდა მოისპოს აგრედვე წოდებრივი უსწორმასწორობა და სულდგმულ ცხოველების დახოცვა და ქაშა აიკრძალოსო.

მეფე კავადი მაზდაკს მიეწირო ალბად იმ აზრით, რომ დიდებულები დაემხო, მაგრამ განრისხებულმა სპარსელმა დიდებულებმა 497 წელს მეფე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს (Iusti. Herrschaft der Sassaniden გვ. 531), ხოლო მის მაგიერ მისი ძმა ჯამასპი გაამეფეს; კავადის ცოლმა თავისი ქმარი მიინც ციხიდან გაანთავისუფლა და 499 წელს ჯამასპმა ისევ თავის ძმას დაუთმო სამეფო ტახტი (ib. 531—532).

გამეფების დროს კავადს ჰუნნები დაეხმარნენ და ამისათვის მათთვის სასყიდელი უნდა მიეცა. თითონ რომ საჭირო ფული არ ებადა, ბიზანტიელებს 503—504 წ. ომი აუტეხა, მაგრამ დიდი არაფერი არ შეუძენია. 517 წელს ახლო ხანებში კავადმა შერიგება ირჩია და ამისათვის ორივე მხარემ ერთი-ერთმანეთს დესპანები გაუგზავნეს მოსალაპარაკებლად. როცა ელჩები ერთ-ერთად შეიყარნენ და ურთი-ერთს გამოემცნაურნენ, სპარსეთის ერთმა წარმომადგენელმა სეოსმა (შიოშ, პაპლ.

სიაველს) სიტყვა ლაზიკაზე ჩამოაგდო და ბიზანტიის შოკი-ქულებს უმტკიცებდა, თქვენ კანონიერ უფლების ძალით-კი არა, ძალმომრეობით გიჭირავთ კოლხიდა: იმათავითვე სპარსელებს მფლობელობას შეადგენდაო. ბიზანტიელებს ეს არაფერად ექაზნიათ; მოლაპარაკება ერთ სხვა მიზეზის გამოც უსიამოვნობით გათავდა და ორივე მხარე თავის სახელმწიფოში დაბრუნდა (პროკოპი კესარიელი, De bello persico, I, წიგ. II—დესტუნისის გვ. 132—136).

მეფე კავადი ბიზანტიელებზე გულმოსული იყო და უნდოდა ჯავრი ამოეყარა, მაგრამ ამ დროს იბერიაში ამბოხება დაიწყო. პროკოპი კესარიელის სიტყვით ქართველები იმის გამო აჯანყებულან, რომ კავადმა მოიწადინა ცეცხლთაყვანისმცემლობა კვლავინდებურად იბერიაში გაეხატონებინა და ბრძანება გასცა, რომ იბერიაში ყველა მოგვობის წესება მტკიცედ დაეცვათ, სხვათა შორის მიცვალბულელები მიწაში არამცა და არამც არ დაეშარხნათ. ასეთმა მომეტებულმა ბრძანებლობამ ქართველები ისევე შოთმინებიდან გამოიყვანა. მეფე გურგენმა იუსტინე კეისარს (518—527) მოციქულები გაუგზავნა და შეუთვალა: მოგემზრობით და თქვენსკენ გადმოვდლო, თუ-კი პირობას მოგვცემ, რომ თქვენ ქართველებს არას დროს სპარსელებს აღარ გაგვცემთო. გახარებულმა კეისარმა თანხმობა გამოაცხადა და მაშინვე ბოსფორში ერთი პატრიკი, სახელად პრობა, გაგზავნა და თან ფულგბაც გაატანა, რომ ჰუნებმა ქართველებს მიჰშველებოდნენ (პროკოპი კესარიელი De bello persico, I, წიგნი 12, დესტუნისის გვ. 140—143); მაგრამ გაგზავნილმა პატრიკმა ვერა გაარიგარა: ამიტომ კეისარმა კოლხიდაში, ანუ ლაზიკაში პეტრე სარდალი გაგზავნა და თან რაოდენიმე ჰუნები გააყოლა, რომ გურგენ მეფეს მიჰშველებოდნენ; კავადმა ქართველების განდგომის ამბავი შეიტყო თუ არა, მაშინვე იბერიაში დიდი ჯარი გამოგზავნა; მაგრამ ბიზანტიელების მეშველი რაზმი იმდენად რიცხვმცირე იყო, რომ სპარსეთის ახალმოსულ ლაშქარს გურგენი ვერ გასცემდა პასუხს. ამის გამო მეფე გურგენი თავის ოჯახითა და შვილით პერანნით (უეჭველია „ფირანი“ იქნებოდა) და ქართველი დიდებულები ლაზი-

იბერიის  
ამბოხება  
სპარსეთის  
წინააღმდე  
მეფე გურ-  
გენის  
დროს.

კაში გაიქცნენ (ib. I, წიგ. 12— დესტუნისის გვ. 144—145); თუმცა სპარსეთის ჯარი უკან დაედევნა, მაგრამ ლაზიკაში ქართველ მეფეს და დიდებულებს ვერა დააკლეს რა, ვიწრო ხეობები დიდად აბრკოლებდნენ სპარსელებს.

ლაზიკიდან გურგენი თავის სახლობათა და ამალით ბიზანტიაში წავიდა; მალე სარდალი პეტრეც უკან დაიბარეს; რაკი ლაზიკის სამზღვარზე მდებარე ორი ციხე ცარიელი დარჩა, ხოლო ადგილობრივმა მკვიდრებმა უარი გამოაცხადეს, — ჩვენ ამის დამცველები აღარა ვართო, სპარსელები დაეპატრონნენ (პროკოპი კესარიელი *De bello persico*, I, წიგ. 12, დესტუნისის 148—150). ბიზანტიელებმა მხოლოდ იპით გადაუხადეს მაგიერი, რომ სპარსეთის ბატონობის ქვეშე მყოფ სოზხეთს შეესივნენ, ქვეყანა ააოხრეს და მრავალი ტყვე წამოასხეს (ib. I, წ. 12— დესტუნისის გვ. 151—152).

531 წელს გარდაიცვალა სპარსეთის მეფეთ მეფე კავადი; მისმა მემკვიდრემ ხოსრო I-მა (531—579) და ბიზანტიელებმა მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება დაიწყეს. ეს საქმე თვით ბიზანტიელებმა ითავეს და სპარსეთის ბატონს თავინათი წარმომადგენლები გაუგზავნეს. ხოსრომ ელჩებს გამოუცხადა, რომ იგი ბიზანტიელებთან საუკუნო ზავის ხელშეკრულობას დასდებდა, იუ კი მას 110 კენდინარს\*) დაუთვლიდნენ და სხვათა შორის ლაზიკის იმ ორ ციხის დაბრუნებაზე, რომელსაც სპარსელები დაეპატრონნენ, ამიერითგან ლაპარაკი აღარ იქნებოდა. ბიზანტიის კეისრის ელჩებმა ამ უკანასკნელ პირობაზე უპასუხეს, თუ რომ კეისარს არ შეეცკითხეთ, ამის გადაწყვეტას ჩვენდა თავად ვერ ვიკისრებთო (პროკოპი კესარიელი, *De bello persico*, I, წ. 22— დესტუნისის I, 290—292). თუმცა იუსტინიანე (527—565) კეისარმა რომ ხოსროს პირობები შეიტყო, თავდაპირველად ლაზიკის 2 ციხის დათმობის თანხმობაც გამოაცხადა, მაგრამ მერე გადიფიქრა და ინანა; მაშინვე სპარსეთში მიმავალს თა-

\*) კენდინარი ას (კენტ—centum) დინარსა ნიშნავს, ოქროს ფული იყო და ას ლიტრა ოქროს იწონიდა (იხ. პროკოპი კესარიელი *De bello persico*, I, წ. 22, დესტუნისის I, 291); დაახლოებით უხლანდელ ფურის კვლობაზე 110 კენდინარი 60665 მანეთს უდრის.

ვის დესპანს უკან წერილი დაადვენა, არამც დაარამც სპარსელებს ლაზიკის ციხეები არ დაუთმოთო (ib. I, წ. 22; დესტუნისის I, 292—293). ამის გამო სპარსელები და ბიზანტიელები ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკება ჩაიშალა. მაგრამ ცოტა ხნის შემდგომ ორივე მხარემ მოლაპარაკება ისევ დაიწყეს და 532 წელს „საუკუნო ზაის“ ხელშეკრულება დასდეს, რომელიც შემდეგ პირობებს შეიცავდა: ორივე მხარე დაპყრობილ ქვეყნებს ერთი-ერთმანეთს დაუბრუნებს და სპარსეთის წინაღმდეგ ბიზანტიელებს საშუალებაც სავან-გებო მხედართმთავარი დარაში აღარ ეყოლებოდათ; იბერიითგან გამოქცეულ ქართველებს სურვილისამებრ შეეძლოთ ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ან არა და ბიზანტიაში დარჩენილიყვნენ (პროკოპი კესარიელი De bello persico, I, წ. 22 — დესტუნისის I, 293—294). ხელშეკრულების თანახმად სპარსელებმა მართლაც ლაზიკის ორივე ციხე ბიზანტიელებს დაუბრუნეს. ბევრი ვაქცეული ქართველი დაბრუნდა ბიზანტიიდან სამშობლოში, მაგრამ ბევრი მაინც არ ენდო სპარსეთის მთავრობას და ისევ ბიზანტიის სახელმწიფოში ირჩიეს დარჩომა (ibid.); იბერიის სამეფო სახლობაც, რასაკვირველია, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. პერსიანი (ფირანი) ბიზანტიელების სამხედრო სამსახურში შევიდა და სარდლად იყო დანიშნული (პროკოპი კესარიელი De bello persico, II, წ. 28 და წ. 26; დესტუნისის II, გვ. 203 და 195, და I, გვ. 145—146, შენ. 9).

მის შემდეგ, რაც ქართველები გურჯენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ, ბიზანტიის მფარველობას მიჰპართეს, მაგრამ კესირის მხრივ პირობის აუსრულებლობის გამო ძლეულ იქმნენ, ხოლო სამეფო სახლობა და აშოხების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში ვაქცეულიყვნენ, ამის შემდგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მასცეს საკუთარი მეფე ქუდილოდათ, და მეფობა გააუქმეს (De bello persico, II, წ. 28—დესტუნისის II, გვ. 208). მართლაც წავესტათე მცხეთელის მარტილობაში († 544—545 წ.), რომელიც თანამედროვეთა მიერ არას დაწერილი, ქართველი მე-

32 წ. „სა-  
უკუნო ზა-  
ი“ ბიზან-  
ტიელებსა  
და სპარ-  
სელებს  
შორის.

მეფობის  
მოხპობა  
იბერიისში  
532 წელს.

ფე მოხსენებული არ არის და ქვეყნის მთელი უზენაესი გამგეობა სპარსეთის მთავრობის მოხელეებს აბარია: ამ დროს მეფობა, როგორც, ეტყობა, მოსპობილი ყოფილა. სცდება მასასადაძე „ქართლის შოქცევაჲ“-ის ქრონიკის ავტორი, როცა სწერს: „ამის ბაკურის ზე დაესრულა მეფობა ქართლისა“-ო (ე. თაყაიშვილი, სამ. ისტ. ქრ. 33), იმიტომ რომ გუგურგენისზე დაესრულა მეფობა. **ქართლში მეფობის უფლება გაუქმდა** მაშინვე, როცა გურგენი თავის შვილითა და სახლობით ბიზანტიაში გაიხიზნა, ესე იგი 527 წ—ზე უწინ. მაგრამ **ზაბოლოვად ეს გაუქმება 532 წლის „საუგუნო ზავის“ ხელშეკრულობაში დააკანონა**, იმიტომ რომ ქართველების ვითომცდა მფარველმა ბიზანტიელებმა სპარსელებთან მოლაპარაკების დროს თავი არ შე-წუხეს და იბერიის მეფობას არ სებობის შესახებ არავითარი განსაკუთრებული პარობა არ დაუდგიათ, არამედ მხოლოდ გაქცეულ ქართველებასათვის სამშობლოში დაბრუნებ ს ნებართვა ითხოვეს; მასასადაძე მეფობის გაუქმების წინააღმდეგ არაფერი უღონნიათ და ამით, რასაკვირველია, თითქოს თანხმობაც გამოუცხადებიათ. ასე საქწუხაროდ დაბოლოვდა იბერიისთვის ბიზანტიელებს მფარველობა.

**ბიზანტი-  
ელებს  
შოქმედება  
და ზეცხა.**

საუკუნო ზავის შემდეგ, შეშინებულმა ბიზანტიელებმა, ვაი თუ სპარსელებმა იბერიის ლაზიკაც ზედ მიაყოლონ და ხელიდან გამოგეტაცონო, ლიზიკაში ჯარი გაგზავნეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ბიზანტიელებმა ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს, წინად ამისთანა მაგალითი არა ყოფილა (პროკოპი კესარიელი *De bello persico II*, გვ. 107, 109—10). რასაკვირველია, ლაზებს ეს არაფრად მოეწონათ, მაგრამ ამას კიდევ როგორც იქნებოდა აიტანდნენ. განსაკუთრებით კეისრის მიერ ამ ჯარის უფროსად დანიშნულს პეტრეს ემდურებოდნენ ყველანი: მეტედ ბრევიკაცი იყო და სხვის შეურაცხყოფა არაფრად მიაჩნდა (*ib. II*, თ. 15; დე<sup>1</sup>ტუნისის II, გვ. 107—108). პეტრეზე უარესი გამოდგა ის ჯარის უფროსი, რომელიც იუსტინიანე კეისარმა დასავლეთ საქართველოში პეტრეს მაგიერ გამოგზავნა. სახელად მას იოანეს, მეტისახელად კიდევ „ცივ“-ს ეძახდ-



ნენ. მისი თანამედროვე ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ამბობს, რომ ივანე ცივმა მხოლოდ გაიძვერაობით მიიღო ეს თანამდებობა: საძაგელი კაცი იყო და ყოველგვარ უწყსო საშუალების გამოძებნა და მოხერხება იცოდა—ოღონდ თითონ გამორჩენა—სარგებლობა ჰქონოდაო (ib. II, თ. 15, დესტუნისის II, გვ. 108--109). მან ურჩია კვისარს, რომ შავი ზღვის ნაპირას მდებარე პატარა ციხე—დაბა ქალაქად ექცია (ib. II, თ. 17 დათ. 15; დესტუნისის II, გვ. 119 და გვ. 108); იუსტინიანე კვისარმა თავის ჯარის უფროსს დაუჯგრა გარშემო კედლით შემოზღუდა, გაამაგრა და შიგნით გაამშვენებრა (ib. II თ. 17; დესტუნისის II, გვ. 119); ამ ციხე-ქალაქს სახელად პეტრა დაარქვეს; ბიზანტიელების ჯარი და თვით სარდალი იოანე ცივიც იქ დაბინავდნენ.

ბრიყვი და თავხედი ბიზანტიელების მხედართმთავარი იმდენად გათამამდა, რომ სამეფოს ყველა საქმეებში ერეოდა; მეფე გუბაზი ისე შეაწუხა, რომ მას მარტოდენ მეფის სახელი და შეჩჩა, თორემ ნამდვილად საქმეების გამგეობას თითონ ჩემულობდა (ib. II, 15; დესტუნისის II, გვ. 112). მაგრამ მთელი თავისი ძალმომრეობა და ანგაარება იოანე ცივმა შემდეგ სამარცხენო საქციელში გამოიჩინა. დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს აღებმციემობას ამ დროს ორი მთავარი სავაქრო გზა ჰქონდა: ერთი იყო სამხრეთისა და სომხეთის ქალაქს დეინში მიდიოდა; აქ თავს იყრიდნენ მრავალი ვაქრები და თავიანთი საქონელი ინდოეთიდან, სპარსეთიდან, ქართლ-კახეთიდან და დასავლეთ საქართველოდან მოჰქონდათ ხოლმე გასაყიდავად (ib. II, თ. 25—დესტუნისის II, გვ. 181—182), მეორე, და მთელ საქართველოსათვის უმთავრესი, სავაქრო გზა დასავლეთისა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ნავთსადგურებისაკენ მიდიოდა და იქ მოჰქონდათ უცხოეთიდან, განსაკუთრებით ბიზანტიიდან, სავაქრო საქონელი და იქვე ყიდულობდნენ ბიზანტიელი ვაქრები ადგილობრივ ნაწარმოებსა და საქონელს. იოანე ცივმა მთელი შავი ზღვის ნავთსადგურების აღებმციემობა ძალმომრეობით თავის ხელში შეიგდო: არც ბიზანტიელ ვაქრებს, არც ადგილობრივ მყიდრთ იგი

დაწიკაზ  
სავაქრო  
გზები.

მონაპო-  
ვია.

ერთიერთმანერთისაგან საქონლის ყიდვა-გაყიდვის ნებას არ აძლევდა და მხოლოდ თითონ ყიდულობდა ყველაფერს; შემდეგ-კი, როგორც იმისი ნება იყო, იმ ფასად ჰყიდდა; ამ გვარად იგი მთელ აღებ-მიცემობის სრულ ბატონად გადაიქცა, მთელი ქვეყანა ქონებრივ-ეკონომიურად თავის კლანქებში ჩაიგდო, და მხოლოდ თავის ჯიბეებს ისქელებდა (პროკოპი კესარიელი, De bello persico II, თ. 15 = დესტუნის II, გვ. 109 და 112).

**ლაზების  
აჯანყება  
ბიზანტიე-  
ლების წი-  
ნალმდღე  
და სპარ-  
სელების  
მოწვევა.**

ასეთი უსვინიდი სო საქციელი და ხალხის ყვლეფა სწო-რედ უმაგალითო იყო; მეფე გუბაზი და მისი ქვეშევრდო-მები მოთმინებიდან გამოვიდნენ და ბიზანტიელების წინააღ-მდეგ ამბოხების მზადებას შეუდგნენ: სპარსეთის მეფეს ხოსროს მოსალაპარაკებლად საიდუმლოდ კაცები მიუგზავნეს. ხოსრო მეფემ ლაზების მოციქულები მიიღო და მათი სიტყვა შოის-მინა. კოლხები და სპარსელები იმ თავითვე მოკავშირენი იყ-ენენ და ერთიერთმანეთს ეხმარებოდნენ ხოლმე, სთქვეს ელ-ჩებმა, ამას მოწმობენ მრავალი ნაწერი საბუთები, რომელიც ჩვენცა გვაქვს და თქვენ სასახლეშიც ინახებაო. მაგრამ შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა, — იმიტომ, რომ თქვენ ყურს არ უღებ-დით, ან, სხვა რაინე მიზების გამო, ჩვენ ნამდილად არაფრის თქმა არ შეგვიძლიან, — რომაელებს შეეკვრენ კავშირით. ესლა ჩვენ და ლაზიკის მეფე ქვეყანითურთ გეყმობითო. შემდეგ, მოციქულებმა აუწერეს სპარსეთის მეფეს, რანაირად შეავიწ-როეს, შეაწუხეს ლაზიკის მეფე და ხალხი ბიზანტიის კეისრის სარდლებმა, და არწმუნებდნენ, რაკი ჩვენი ერი ბიზანტიე-ლებზე ასე გულმოსულია, შეგიძლიანთ მიენდოთ მას და დარ-წმუნებული იყვნეთ, რომ ისინი თქვენი ერთკული მოყმები იქნებიანო. თითონ თქვენ დიდ სარგებლობას ნახავთ, თუ ლა-ზების თხოვნას აასრულებთ, იმიტომ რომ ამგვარად სპარსეთს უფიქველეს სამეფოს შეუერთებთ და ამით თქვენ უფლებას მე-ტი ფასი დაეძება. ამასთანავე ჩვენი ქვეყნის საშუალებით თქვენ შეგძლებათ რომაელების ზღვამდე მიადწიოთ და თუ რომ ზღვაზე ხომალდებს ააგებთ, მაშინ თუ გინდ თვით ბი-ზანტიის კეისრის სასახლემდისაც მიხვალთო; მაშინ თქვენ ნე-ბაზე იქნება დამოკიდებული და, როცა მოინდომებთ, იმიერ-

კავკასიიდან ველურ ხალხებს ბიზანტიის სამფლობელოს მიუვსევთო, სთქვეს მიგზავნილმა კაცებმა (პროკოპი კესარიელი, *De bello persico*, II, თ. 15=დესტუნის II, გვ. 110—113).

სპარსეთის მეფეს ეს, რასაკვირველია, ძალიან მოეწონა და ქუაში მოუვიდა; დაჰპირდა მოციქულებს, მფარველობას გაგიწევთო. დესპანებმა აღუთქვეს, გზების ფიქრი ნუ გაქვს, შენ ჯარს გზებს ჩვენ გავუკეთებთ და გავუკლევთო. მეფემ სთხოვა ელჩებს, რომ სპარსელების დახმარების ამბავი ჯერ არ გამოემჟღავენებინათ; თითონაც რომ ლაშქრის შეგროვებას შეუდგა, განგებ ხმებს აერცელებდა, იბერიაში მივიდივარ, იქაური საქმეები უნდა განვაგოო (ib. II, თ. 15=დესტუნის II, გვ. 114).

512 წელს, როცა ხოსრო მეფე ომისათვის უკვე მზად იყო, დიდძალის ლაშქრით ჯერ იბერიაში შევიდა და მერე იქიდან ლაზიკაში გადავიდა. ლაზების მოციქულები წინ მიუძლოდნენ. სპარსელები ჰკავფადნენ დიდრონ ხეებსა და ამგვარად გზას იკეტებდნენ. ქვეყნის შუაგულს რომ მიალწია ლაშქარმა, ხოსრო მეფეს მოეგება ლაზიკის მეფე გუბაზი, მისელმა თავის მხრივ და მთელი თავისი სამეფოს მაგიერადაც ყმობა აღუთქვა (ib. II, თ. 17=დესტუნ. II, გვ. 117—119).

თუმცა ქალაქ პეტრას გარემოცვაზე ხოსრო მეფემ დიდი ზარალი ნახა და ბევრი შეომარი დაესოცა, მაგრამ ქალაქი მაინც აიღო. მას შემდეგ, რაც ბიზანტიელების სარდალი იოანე ცივი ქრილობისაგან გარდაიცვალა, ციხის მცველები სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ, გათამამებულმა სპარსელებმა კი ციხის ზღუდეს ქვეშ თხრილი გაუკეთეს. მაშინ ბიზანტიელებმა შიშით ციხის დათმობაზე მოლაპარაკება ჩამოაგდეს, და როცა სპარსეთის მეფე დაჰპირდა, თქვენა და თქვენს ქონებას ხელს არ ვახლებო, ქალაქი დაუყოვნებლივ ხოსროს გადასცეს. სპარსეთის მეფემ მართლაც მხოლოდ იოანე ცივის დიდძალი ქონება ჩაიგდო ხელში, სხვას-კი არც თითონ შეჭებია რასმეს, არც თავის ლაშქრისათვის მიუცია ნება (ib. II, თ. 17—დესტუნის II, გვ. 119—122).

სპარსე-  
ლებისა  
და ბიზან-  
ტიელების  
ბრძოლა  
ლაზიკის  
გამო.

სპარსე-  
ლების გა-  
მარჯვება

ხოსრო მეფე გახარებული იყო, რომ ლაზიკა ხელში ჩაიგდო; იმ სარგებლობისა და უპირატესობის გარდა, რომელსაც მას ლაზების მოციქულები უქადდნენ, მას კარგად ესმოდა, რომ ამიერითგან იბერიას ამბოხების ატეხა გაუძნელდებოდა, დასავლეთისაკენ ზურგი გამაგრებული აღარ ექნებოდა და ლაზიკა ქართველ მემბოხეთ თავშესაფარად ველარ გამოადგებოდათ. ამ გარემოებას კი სპარსელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ ქართველები სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ უკმაყოფილებას არც-კი მალავდნენ, და ცხადად ეტყობოდათ, რომ ოღონდ კი მოხერხებული შემთხვევა ყოფილიყო და აჯანყებით მაშინვე აჯანყდებოდნენ (ib. II, თ. 28—დესტუნის II, 208—209).

ხოსრო  
მეფის ვე-  
რაგული  
განზრ-  
ახვა.

მაგრამ მეფე ხოსრო არც დასავლეთ საქართველოს უყურებდა ნდობის თვალთ: ლაზების ერთგულებისა მას არა სწამდა-რა; მალე ლაზებმაც გული აიყარეს სპარსელებზე: მათ ეგონათ, რომ სპარსელების ბატონობა ლაზიკისათვის უკეთესი იქნებოდა; მაგრამ სპარსელების მიერ ქრისტიანობის დევნამ და ლაზიკის ბიზანტიაზე მოწყვეტამ, რომელთანაც იგი მჭიდროდ ეკონომიურად დაკავშირებული იყო, ხალხს თვალი აუხილა და დაანახვა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ მას აღებ-მიცემობის უმთავრესი წყარო დაუწყვიტა და სარგებლობის მაგიერ ზიანს უქადდა. ცოტა ხნის შემდეგ ლაზები დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკურადაც სპარსელების მთავრობა ბიზანტიის მთავრობაზე გაცილებით უფრო მკაცრი და მდგარი იყო. რაკი ხოსრო მეფე ლაზებს არ ენდობოდა, მან გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოს საქმეები ამთავითვე ისე მოეწყო, რომ ხალხს აჯანყება ველარც-კი მოეხერხებინა: ამიტომ მან, პროკოპი კესარიელის სიტყვით, გადასწყვიტა ლაზიკის მეფე გუბაზი მოეკვლინებინა, ლაზიკიდან ყველა მცხოვრებლები სპარსეთში გადაესახლებინა, ხოლო მათ მაგიერ ლაზიკაში სპარსელები და სხვა ტომის ხალხი დაებინავებინა (ib. II, თ. 28—დესტუნის II, გვ. 209—210).

ჯერ, რასაკვირველია, მეფითგან უნდა დაეწყო. ამ ვერაგ განზრახვის განხორციელება ხოსრომ ვილაც ფავრიუს მიანდო და თან 300 გულადი მეომარი გააყოლა; გუბაზი მას ისე

უნდა მოეკლა, რომ მკვლელის ვინაობა არავის გაეგო\*) (ib. II, თ. 29=დესტ. II, გვ. 215—217).

როცა ფავრიზი ლაზიკაში მოვიდა, მოიხმო ვიღაც ფარსანსი (ფარსმანი?), რომელზედაც გუბაზი გაჯავრებული იყო და სასახლეში არ უშვებდა; მას ეგონა, რომ ამ შეთქმულების აღსრულებას ეს გუბაზის უმადური კაცი დაეხმარებოდა და ამიტომ დაეკითხა, მონდობილ საქმის განხორციელება როგორ უფრო ემჯობინებაო. ამ კაცმა ურჩია, პეტრაში წადი და იქ მიიწვიე მეფე გუბაზი, ვითომცდა საქმეებზე მოსალაპარაკებლად; მაგრამ გუბაზსაც მაშინვე შეატყობინა, გაფრთხილდი, სპარსეთის მეფის მოგზავნილ კაცს შენი მოკვლა სწადიანო. აღშფოთებული მეფე გუბაზი ამიტომ არამც თუ პეტრაში არ მივიდა, პირიქით გადასწყვიტა სპარსეთის ბატონობა უარყო და ისევ ბიზანტიელებს მიჰმხრობდა. ამისათვის მან იუსტინიანე კეისარს მოციქულები მიუგზავნა, ჩვენი დანაშაული დაივიწყე და ისევ თქვენ მხარეზე გადმოვალთ, ოღონდ სპარსების განდევნაში მოგვეხმარეთო. ეს რომ კეისარმა გაიგო, ძალიან იამა და მაშინვე დაგისტეს მეთაურობით 7000 ჯარისკაცი და 1000 ქანი ლაზებს მეშველად გაუგზავნა. როცა ფავრიზმა დაინახა, რომ ვერც მონდობილი საქმე ასრულა და ქ. პეტრასაც უექველია ლაზები გარშემოერთყმოდნენ, აიყარა თავის 300 კაცით და სპარსეთში დაბრუნდა (ib. II, თ. 29=დესტუნის II, გვ. 218—220).

მოუვიდათ თუ არა ლაზებს ბიზანტიელებისა და ქანების მეშველი ჯარი, მაშინვე ქ. პეტრას გარშემოერთყნენ. სპარსელი ციხისმცველები გულადად დაუხდნენ შეერთებულს მტრის ძალას და, რაკი სურსათი ბლომადა ჰქონდათ, კარგა ხანს მაგრად იყვნენ.

ხოხრო მეფემ რომ დასავლეთ საქართველოს აჯანყების ამბავი შეიტყო ძალიან შეწუხდა და მერმეოცს მეთაურობით საჩქაროდ ძლიერი მხედარი და ქვეითი ჯარი გაგზავნა (ib. II,

ვერაგობის გამო-  
აშკარავე-  
ბა და მე-  
ფე გუბა-  
ზის განდ-  
გომა სპა-  
რსელები-  
საგან.

ბიზანტი-  
ელების  
მეშველი  
ჯარი.

\*) რომელ სპარსულ სახელს უდრის ფავრიზი, გამორკვეული არ არის (იხ. Th. Nöldeke, Geschichte der Perser und Araber... 1879, გვ. 223 და 473).

თ. 29=დესტ. II, გვ. 220). გაიგო თუ არა მეფე გუბაზმა, რომ სპარსელების დიდი ლაშქარი მოდიოდა, ბიზანტიელების სარდალს დაგისტეს ურჩია: მდ. რიონის სამხრეთისაკენ სამზღვარზე ვიწროების დასაცავად და გზების შესაკრავად ჯარი გაგზავნე და ქ. პეტრასაც, სანამ არ აიღო, თავი არ დაანებო, თითონ-კი მთელი თავისი ჯართურთ ლაზიკის აღმოსავლეთს სამზღვარზე წავიდა ვიწროების დასაცავად და გზების შესაკრავად (ib. II, თ. 29=დესტუნის II, გვ. 230.) ამასთანავე მან ალანები და სავირები თავისკენ მოიძრო და იმათ 3 კენდინარად (ე. ი. 300 დინარად) არამცთუ ლაზიკის მტრისაგან დაცვა იკისრეს, არამედ დაპირდნენ, იბერიასაც ისე ავაოხრებთ, რომ სპარსელებს იქ აღარ შეესვლებოდეთო (ib. II, თ. 29=დესტ. II, გვ. 230—231); გუბაზს ავიწყდებოდა, რომ იბერიის აოხრებით თუ სპარსელებს ზიანი მოუვიდოდათ, მთელი ეს უბედურება მაინც მის თანამომქმე ქართლებს დაატყდებოდა თავზე.

სპარსე-  
ბის თავ-  
გამოდ-  
ბული  
ბრძოლა  
ბიზანტი-  
ელების  
წინააღ-  
მდეგ.

ბიზანტიელების ჯარის უფროსი დაგისტე უხეირო სარდალი გამოდგა; იმის მივივრად რომ ვიწროების სადარაჯოდ დიდი ჯარი გაეგზავნა, მან მარტო ასი კაცი გაგზავნა და ვერც ქ. პეტრას აღება მოახერხა, თუმცა-კი კეისარს შეუთვალა, დღე დღეზე ქალაქს ხელში ჩავიგდებთ და თქვენ წყალობას ვეღობო (ib. II, თ. 29=დესტ. II, გვ. 232—233). ამობაში მერმეროემ სპარსეთის ლაშქრითურთ იბერიის საზღვარზე გამოიარა, მაგრამ იმ ადგილას—კი არა, საცა მეფე გუბაზი იდგა, არამედ სამხრეთით, და სულ ლაზიკის სამხრეთის სამზღვრის გასწვრივ მიდიოდა, ისე რომ მდ. რიონი მარჯვენაგან რჩებოდა; აქეთკენ ნაშენობა უფრო თხლად იყო, და ჯარისათვის არავითარი შიში არ არსებობდა (ib. II, თ. 30=დესტ. II, გვ. 233—234).

სპარსელთა სარდალმა მთელი ლაზიკა ისე განვლო, რომ არსად მეტოქე არ უნახავს. მხოლოდ როცა ვიწროებთან მივიდა, სპარსელებს ბიზანტიელების რაზმი დაუხვდა და მტერს გზას შედგრად უკრავდა. მაგრამ არც იმათ დაუხვევიათ უკან. ერთს ბიზანტიელების მიერ ამოხოცილ მეომართა რაზმს მეორე მისდევდა, მეორეს მესამე, სანამდის ვიწროების მცველი

ბიზანტიელი 100 მეომარი არ მოიქანცა; მაშინ ისინი მახლობელ მთის წვერზე ავიდნენ და იქ შეეფარნენ (ib. II, თ. 30=დესტ. II, 235). ეს ამბავი რომ დაგისტემ გაიგო, მაშინვე ქ. პეტრას ჯარის ალყა ახსნა, და საჩქაროდ რიონისაკენ გაემგზავრა; მას თავის ჯარისათვის არაფერი უბრძანებია და უპატრონო ჯარის კაცებმაც თავის სარდლის მაგალითს მიჰბაძეს და გაიქნენ. მაშინ ქ. პეტრაში დამწყვედული სპარსელები გამოვიდნენ ციხიდან და ბიზანტიელების ბანაკს ცარცვა დაუწყეს; მაგრამ ამ დროს მათ უცბათ ქანები დაეცნენ; ეს ის ქანები იყვნენ, რომელნიც ბიზანტიელებს გაქცევის დროს არ გაჰყვნენ; ქანებმა მრავალი ამოწყვიტეს, და მთელ ბანაკს თითონ დაეპატრონნენ; ამის შემდეგ ქანებიც აიყარნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ (ib. II, თ. 50=დესტ. II, გვ. 236). სწორედ ამის შემდგომ მოასწრო მერმეროემაც სპარსეთის ჯარითურთ; ცხრა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც დაგისტე გაქცეულიყო. ქ. პეტრას ჯარი უკიდურეს გაჭირვებაში დახვდა, 150 მეომარის გარდა სუყველანი დახოცილიყვნენ; ციხის კედლებიც სრულებით დაზიანებული აღმოჩნდა; მხოლოდ დაგისტესავით მხდალ სარდალს შეეძლო ალყა აეხსნა ასეთ ციხიდგან. როგორც იყო მერმეროემ ზღუდე დროებით გაამარტებინა, ჩააყენა იქ 3000 გულადი მეომარი, სურსათიც ბლომად დაუტოვა, თითფნ-კი უკან დაბრუნდა. ეხლა სხვა გზით წავიდა, საცა ბევრი ნაშენობა და სოფლები ეგულებოდა, რომ ჯარს ცარცვა-გლეჯით თავი ერჩინა (ib. II, თ. 30=დესტ. II, გვ. 236—237). ამ დროს ერთმა დიდებულმა ლაზმა დაგისტე აიძულა და 2000 მემორით სპარსელებს უკან დაედევნა, მტერს ჩაესაფრა და როცა ისინი ისვენებდნენ უცბად თავს დაესხა, რამდენიმე კაცი დახოცა, ხოლო სპარსელების ყველა ცხენები წამოასხა. მერმეროე უკან არ მობრუნებულა და ისევ გზას გაუდგა (ib. II, თ. 30=დესტ. II, გვ. 238). თუმცა გუბაზმა შეიტყო როგორც შეირცხენეს თავი ბიზანტიელებმა ქ. პეტრას წინაღმდეგ ბრძოლით, მაგრამ მაინც გული არ გაიტეხა, და ვიწროებს მხნედ იცავდა. ამ დროს იუსტინიანე კეისარმაც გუბაზს და ლაზებს ფული მოაშველა და ლაზების მოკავშირეებსაც სასყიდელი გაუგზავნა, ჯარითაც დახმარებას დაჰპირ-

სპარსე-  
ლების  
დამარც-  
ხება.

და. რაკი სპარსელთა სარდალმა ნახა, რომ ლაშქრისათვის საკმაო სურსათი არ იშოვებოდა, დასტრავა ლაზიკაში ფავროზის მეთაურობით 5000 მეომარი, თითონ კი სომხეთში გადავიდა და ქ. დენის მიდამოებში დაიბანაქა (იხ. II, ფ. 30=დესტ. II, გვ. 240). ეს 5000 სპარსელი მეომარი აიყარა და რიონის პირას დადგა ბანაკა და აქედან პატარ-პატარა რაზმებად ახლო-მახლო სოფლებში დანაწივდებოდა და სცარცვავდა ხოლმე. ეს ამბავი შეიტყო თუ არა, მეფე გუბაზმა ბიზანტიელ სარდალს დაგისტეს შეუთვალა, საჩქაროდ მოდი და მომეშველეო. დაგისტეც მთელი თავისი ჯარით აიყარა და რიონის სამხეთის ნაპირ-ნაპირ გასწია დასაფლეთისაკენ და იმ ადგილას მივიდა, სადაც რიონს გაღმა ლაზები დაბანაკებულები იყვნენ. სწორედ აქ იყო კარგი ფონი, მაგრამ არც ბიზანტიელებმა, არც სპარსებმა ეს არ იცოდნენ; ლაზები ერთბაშათ ფონს გავიდნენ და ბიზანტიელებს შეუერთდნენ. სპარსელებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ რიონზე ამ ადგილას ლაზები გადმოსვლას გაბედავდნენ, და არხინად იყვნენ. მხოლოდ სიფრთხილის გულისათვის 1000 საუკეთესო მეომარი ბანაკის მცველად დასტოვეს. ორი ამ მცველთაგანი დასაზვერავად გამოსული ბიზანტიელებს ხელში ჩაუვარდათ და მათგან მოკავშირეებმა სპარსელების მდგომარეობის ამბავი შეიტყეს. მაშინ გაემგზავრნენ საჩქაროდ ლაზები და ბიზანტიელები, და 1000 სპარსელს მოულოდნელად თავს დაესხნენ; ვერც ერთმა ვერ დაახწია თავი და ვერ მოასწრო გაქცევა; უმეტესი ნაწილი დაიხოცა, დანარჩენი მოკავშირეებს ტყვედ ჩაუვარდათ; ამ ტყვეებისაგან მეფე გუბაზმა და დაგისტემ დანარჩენ სპარსელ ლაშქრის ბინადრობისა და რაოდენობის ამბავი გაიგეს. ადგნენ ისევ და შეერთებულის 14000 ჯარით მაშინვე გაემგზავრნენ, რომ შეუღამეს უგრძნეულად თავს დასცემოდნენ. სპარსელებმა არაფერი იცოდნენ და იმ დროს არხინად ეძინათ. ჯერ კიდევ ბინდი იყო, როცა ბიზანტიელები და ლაზები სპარსელების ბანაკს თავზე დაადგნენ: უმეტეს ნაწილს ტკბილად ეძინა, ვისაც გაეღვიძნა ჯერ ჩაუცმელი იყო და უიარაღოდ მტრის მოგერება არ შეეძლო. ბევრი სპარსელი დახოცეს მაშინ ლაზებმა და ბიზანტიელებმა, და ვინც სიბნელეში გაქცევა ვერ მოასწრო, ისი-



ნი ტყვედ წაიყვანეს; დიდძალი სურსათი, რომელიც იბერი-  
იდან იყო გადმოტანილი, ფული და დროშები, სულ მოკავ-  
შირეებს დარჩათ. მეორე დღეს გაქცეულებს დაედევნენ და  
იბერიის სამზღვრამდე სდიეს; აქ მათ ლაზების ერთი რაზმი  
მონაპირედ დააყენეს, რომ სამზღვარი დაეცვათ და სპარსები  
ლაზიკაში არ გადმოეშვათ, თითონ-კი ძღვევამოსილი შინ  
დაბრუნდნენ. ასე განდევნეს სპარსელები ლაზიკიდან. ეს ამ-  
ბავი მოხდა 549 წელს (იხ. II, თ. 30 = დესტ. II, გვ. 240 — 242).

როცა სპარსეთის მეფემ ეს ამბავი შეიტყო, ძალიან შე-  
წუხდა, მაგრამ მაშინ რაღა გაეწყობოდა. 550 წელს მისმა სა-  
უკეთესო სარდალმა ხურიანემ დიდძალი სპარსეთის ჯარი შე-  
იყვანა ლაზიკაში და მუხირისის (მუხეირესი) ხეობაში, ცხე-  
ნის წყალის ნაპირას, დაიბანაკა. მეფე გუზაზი და დაგისტე  
შეერთდნენ, რომ მტერს ერთად დაჰხვედროდნენ.

წინა წლის გამარჯვებამ ლაზები ისე გაითამამა, რომ  
ბიზანტიელებს არაფრად აგდებდნენ: ჩვენი ქვეყნისათვის გუ-  
ლი არ ეწვიოთ და გულადად არა იმობენო. ამიტომ ლაზებმა  
გადასწყვიტეს თავიანთი ჯარი ცალკე გაემწყრივებინათ;  
ასეც მოიქცნენ და ამით კინალამ საქმე არ გააფუჭეს. როდე-  
საც სპარსეთის ჯარი ლაზებს მოაწყდა, ისინი შედრკნენ და  
ბიზანტიელებს რომ გასაოცარი მხნეობა არ გამოეჩინათ ბრძო-  
ლა წაგებულნი იქნებოდა. საშინელის სისხლის ღვრის შემ-  
დგომ სპარსელები დამარცხდნენ და თავის ბანაკისაკენ გაიქც-  
ნენ; მაგრამ მოკავშირეები დაეწივნენ და თუმცა სპარსელებმა  
ხანგრძლივი და მელგარი წინაღმდეგობა გაუწიეს, მაინც მთე-  
ლი ბანაკი ხელში ჩაიგდეს. ვინც თავი დაახწია და გაქცევა  
მოასწრო მხოლოდ ის გადარჩა (Procop. De bello Goth. I. 4,  
cap. I. 8).

დამთავრდა თუ არა ეს ომი, მთავრობამ დაგისტე კონ-  
სტანტინეპოლში დაიბარა და რაკი ლაზებმა დაასმინეს—  
სპარსების მოსყიდულიაო, — ციხეში ჩაავლო, ხოლო მის მაგი-  
რად ლაზიკაში ბესსა გამოგზავნეს, რომელსაც სომხეთში  
მდგომ ჯარის უფროსობაც მიანიდეს.

აფხაზე-  
ბის აჯან-  
ყება ბი-  
ზანტიე-  
ლების წი-  
ნააღმდეგ.

ბესსა რომ ლაზიკაში მოვიდა, იქ უკვე სპარსეთის სარ-  
დალი ნაბედი დაჰხვდა. ბიზანტიელების მოხელეების ურცხვ  
ბატონობას თურმე ისე მოგებზრებინათ აფხაზები, რომ ისევ  
აჯანყება ირჩიეს და თავიანთი მეფეებად აღმოსავლეთ აფხა-  
ზეთში ოფსიდე, დასავლეთ აფხაზეთში-კი სკეპარანა აირჩიეს.  
ხოლო რომ ბიზანტიელებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ  
სპარსელებთან მოლაპარაკება დაიწყეს და დახმარება სთხოვეს.  
სპარსეთის მთავრობამ თავისი სარდალი ნაბედი გამოგზავნა,  
რომ აფხაზებისათვის მძევლები გამოერთვა. რასაკვირველია,  
ბიზანტიის კეისარმა აფხაზების ამბოხების ამბავი შეიტყო თუ  
არა, თავის სარდალს ბესსას უბრძანა აფხაზები დაემორჩილე-  
ბინა.

ამბოხე-  
ბის ჩაქ-  
რობა.

ამ დროს სკეპარანა ჯერ სპარსეთში იყო, ოფსიტემ-კი  
მთელი ხალხი შეაიარაღა და ბიზანტიელებს დაუხვდა, მაგრამ  
დამარცხდა. გაქცეულ აფხაზებს ბიზანტიელები კვალ-და-კვალ  
მისდევდნენ კავკასიონის უღელტეხილის ქედზე აშენებულ ცი-  
ხემდე. შეჭყენენ გაქცეულებს ციხეშიაც, ცეცხლი მოსდეს და  
გადასწვეს. ოფსიტემ მოასწრო და ჰუნებთან გაიქცა, იმისი  
და სკეპარანას სახლობა-კი ბიზანტიელებს ჩაუვარდა ხელში  
(Proc. De bello Goth. I, 4, cap. 9).

აფსუების  
აჯანყება.

ამავე დროს ლაზების ჯარის უფროსი ტერდეტე აუჯანყ-  
და თავის ბატონს; აფსუას ტომს, რომელიც რიონის ჩრდი-  
ლოეთით აფხაზებსა და ლაზებს შორის ბინადრობდა და იმ-  
თავითვე ლაზებს ემორჩილებოდა, ერთი ძლიერი ციხე წიბელ-  
თა ჰქონდა. ტერდეტემ მეფე გუზაზს როგორღაც შესცოდა და  
რაკი სასჯელს მოელოდა, აიღო და ეს ციხე საიდუმლოდ სპარ-  
სელებს გადასცა; თითონაც რასაკვირველია იმით მხარეზე გა-  
დავიდა, მაგრამ შერე ინანა. ბიზანტიელი ჯარი იოანე გუზის  
მეთაურობით შევიდა აფსუების ქვეყანაში (აფსილია) და მშვი-  
დობიან მოლაპარაკებით იგი ისევ გუზაზს დაუმორჩილა (Proc.  
De bello Goth. I, 4 cap. 10).

ბრძოლა  
ბიზანტიე-  
ლებსა და  
სპარსე-

ამის შემდეგ ნბ1 წელს ბესსა თავის ჯარითურთ ქ. პე-  
ტრასაკენ გაემურა და გარშემოიკვა. დიდი მხნეობა და გუ-  
ლადობა გამოიჩინა ქ. პეტრაში დაბინავებულმა სპარსელმა  
ჯარმა. როცა ციხის ბედ იღბალი გადაწყვეტილი და მისი არ-

სეობის დღენი მიწურული იყო, ბესსამ სპარსელებს შეუთვალა, თქვენის ნებით დაშნებდითო, მაგრამ სპარსელმა მეომრებმა ცივი უარი შემოუთვალეს, თუმცა-კი იკოდნენ რომ ბიზანტიელები ქალაქს გადაწვას უპირებდნენ. ბესსამ აიღო თუ არა პეტრა, მაშინვე ციხის კედლები დაანგრევინა. უეჭველია, სიფრთხილე მოითხოვდა, რომ იგი თავის ლაშქრითურთ ლაზიკის და იბერიის სამზღვარზე დამდგარიყო, რომ იქ მდებარე ციხეები სკანდა და შორაპანი დაეჭირა და სპარსელებისათვის გზა შეეკრა, მაგრამ ბესსა იმდენად ხარბი აღმოიანი იყო, რომ ლაშქარი თავის ხელქვეით ჯარისუფროსებისამარა გაისტუმრა, თითონ კი პონტოსა და სომხეთში წავიდა, და იქ ხარკის აკრეფასა და ხალხის ყვლეფას შეუდგა. ამ დროს კი ლაზიკისაკენ, სპარსეთის ჯარითურთ, მერმეროე მიეშურებოდა, თავის აზრით ვითომც ქ. პეტრას უნდა მიჰყვებოდა; მას ჯერ გაგებული არა ჰქონდა, რომ ბიზანტიელებმა ეს ქალაქი აიღეს და ზღუდეს კედლები მოუნგრის კიდევ. გზაზე მერმეროემ ეს ამბავი შეიტყო და რომაელების ბანაკისკენ გაემგზავრა (Proc. De bello Goth. I, 4, cap. 13); ლაზიკის დედაქალაქს „ქველქალაქს“ (არხააპოლის—ნაქალაქევი?) მიაღდა და ალყის შემორტყმას შეუდგა. უცბად ციხიდან ბიზანტიელების ჯარი გამოიჭრა და სპარსეთის ლაშქარს თავს დაეცა. ისინი ასეთს გაბედულობას სრულებით არ მოელოდნენ და ქალაქის გარშემო უიარაღო ხვრელის გაკეთებაზე მუშაობდნენ; ბიზანტიელები მეხივით თავს დაეცნენ სპარსელებს; მათ არაეითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ და, რომელმაც კი მოასწრო, გაქცევით სიკვდილს თავი დააღწია; დანარჩენი ან თვით ბერძნების მსხვერპლად გახდა, ან არეულობის დროს სპილოების ფეხებ ქვეშ გაისრისა. სპარსელებს ამ ბრძოლაში 4000 ჯარისკაცი და 3 სარდალი დაეხოცათ, და 4 დროშა დაეკარგათ (Proc. De bello Goth. I, 4, cap. 14; Agath. I, 3, p. 77—78, Lebeau, IX, 215—217).

მერმეროემ თავის გადარჩენილ ჯარითურთ უკან დაიხია და ერთი დღის მანძილზე დაიბანაკა; ეს ადგილი მჭედროდ დასახლებულ და ნაყოფიერ მუხეირისის მარაში იყო და ქუ-

ლებს მო-  
რის ლა-  
ზიკაში  
551 წ.

თაისი ერქვა (Agath. I, 3, p. 78); აქ სპარსელმა სარდალმა ზამთრისათვის თავშესაფარი ააშენებინა; სპარსელები რომ აქ გამაგრდნენ, მერმეროემ ის გზა, რომელიც მთელ ლაზიკას ბიზანტიელების ხელში მყოფი ციხე უხიმერთან (უხეიმერიონ), სკვმნიეთსა და სვანეთთან (სკვმნია, სუანია) აერთებდა (ib.), ჩაიგლო და შეუკრა (ibid.).

ამავ დროს სპარსელები ვითომც დაეზავნენ ბიზანტიელებს, ფულიც ბლომად გამოსცინცლეს, მაგრამ მიინც თავიანთი პირობები არ აუსრულებიათ და ლაზიკაში ბრძოლა არ შეუწყვეტნიათ. თუმცა მეფე გუბაზი კეისრის ერთგული იყო, მაგრამ რაკი ბერძნების ჯარი მეტად უსირცხვოდ სცარცვავდა ქვეყანას, მისმა ქვეშევრდომებმა ბიზანტიელებზე გული აიყარეს და ჩუმაღ სპარსელებს ეხმარებოდნენ. მათის დახმარებით მერმეროემ ციხე უხიმერი და მისი მიმდგომი ქვეყანა ხელში ჩაიგლო; მერე რიონის შესართავისკენ გაემგზავრა და გზაზე შეიტყო, რომ ბიზანტიელები გაჟანტულიყვნენ, გუბაზი კიდევ თავის ცოლშვილითა და ერთგულ ლაზებით მთებში გახიზნულაყო. მთელი ზამთარი იქ მეფემ და გახიზნულებმა დიდი სიცივე და ვაჭირვება გამოიარეს, მაგრამ იმდენად სძულდა მას სპარსები, რომ კეისრისათვის არ უღალატნია და ხოსროს არ მიჰხრობია (Proc. De bello Goth. I, 4, c. 16; Lebeau IX, 219—221).

551 წელს გაზაფხულდა თუ არა მერმეროე ხოსრო მეფის ბრძანებისამებრ მეშველ ჰუნების ჯარითურთ ხელმეორედ რიონის შესართავისაკენ გაემართა, სადაც ბიზანტიელები და გუბაზი გამაგრებულიყვნენ; ბევრი ეცადა და დიდი მხნეობა გამოიჩინა სპარსელმა სარდალმა, მაგრამ ამაოდ, თავის მოწინააღმდეგეებს ვერა დაკლო რა და ხელცარიელი უკან მობრუნდა აფხაზეთის გზით, მაგრამ აქაც გზები შეკრული დახვდა; მაშინ პირი „ძველქალაქისაკენ“ იბრუნა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუვნა და ვერა გააწყო რა. ამის შემდეგ მან მუხირისისაკენ დაიხია, მაგრამ აქაც, როცა ხეობაში შევიდა უეცრად ბიზანტიელები დაეცნენ და ბევრი ჯარის კაცი, მათ შორის ჰუნების ბელადიც, დაუხოცეს (Proc. De bello Goth. I, 4, cap. 16—17; Lebeau IX, გვ. 220).

როგორც იყო მერმეორე 551 წლის დამლევს მუხირისსა და ქუთაისში მივიდა. აქედან გაემგზავრა ციხე ტელეფისისაყენ, რომელიც ლაზიკის მისაფალში იღო ფრიალო კლდეებს შუა; გარეშემო ადგილი ღრმა ტბებითა, და ხშირი ტყეებით იყო მოფენილი, ამისგამო მისაფალი გზა მეტად ნელი და სახიფათო ჰქონდა. ბიზანტიელი სარდალი მარტინე, რომელსაც კარგად ესმოდა ამ მიუვალ ციხის მნიშვნელობა, შევიდა თავის რაზმითურთ და უფრო მეტად გამაგრებას შეუდგა. როცა მერმეორემ შეატყო, რომ ძალით ვერას გააწყობდა, ისევ ხერხი იხმარა: თავი მოიადამყოფა და განგებ ხმა გაავრცელა, მერმეორე უკანასკნელ დღეშია და კვდებაო. შემდეგ სიკვდილის ხმაც დაჰყარეს. ბიზანტიელებმა რომ ამ ამბებს ყური მოჰკრეს, გაუხარდათ და სიფრთხილით თავი აღარ შეუწუხებიათ, და აქეთ-იქით გაიფანტნენ. მაშინ-კი დაიძრა თავის ლაშქრითურთ და უჩუმრივ ტელეფისის ციხეს მიადგა. ბიზანტიელი ჯარი თავზარდაცემული გაიქცა და იმ კუნძულზე თავი შეაფარა, რომელიც რიონისა და ნოკონის შემაერთებელ არხისაგან იყო წარმომდგარი (Agathias, I, 2 p. 55—59). მერმეორემ ციხის გარდა ბიზანტიელების მთელი ბანაკი ჩაიგდო ხელში, მაგრამ მაინც ველარ გაბედა და ჯარს არ დასდევნებია, არამედ რიონს გაღმა გავიდა და ციხე ონოგურის მცველები გაამრავლა და გაამაგრა; მერე ისევ მუხირისში დაბრუნდა; აქ ავად გახდა; თავისი ჯარი ლაზიკაში დასტოვა, რომ დაპყრობილი ქვეყანა მტრისათვის არ დაენებებინათ, თითონ-კი იბერიაში გადავიდა; ქ. მცხეთაში რომ მიიყვანეს მძიმედ ავადმოფს მერმეორეს დიდ ხანს აღარ უტოცხლია და 554 წელს გარდაიცვალა. მის მოადგილედ სპარსეთის მეფემ ნახორაგანი გამოგზავნა.

სპარსელების გამარჯვებას მეფე გუბაზი სულ ბიზანტიელ სარდლების მარტინეს, ბესსას და რუსტიკის უნიკობასა და ანგაარებას აბრალებდა; საფუძველიც ჰქონდა; სამივესი უკმაყოფილო იყო, არც ერთს არ ენდობოდა და კეისარს შესჩივლა, შენი მოხელეები საქმეს მიფუჭებენო. კეისარმა ბესსა დასაჯა, დანარჩენებსაც უმანდურობა გამოუტხადა. ეს არაფრად მოეწონათ თავგასულ სარდლებს და გადასწყვიტეს გა-

გუბაზის  
მოკვლა  
554 წ.

ვლენიანი მეფე გუბაზი თავიდან მოეშორებინათ და მოეკლათ; განზრახული ბოროტმოქმედება რომ სასახელო საქმედ ეჩვენებინათ, კეისარს კაცი მიუგზავნეს და გუბაზი დაასმინეს, იდუმალ სპარსელებს ელაპარაკება და შენი ღლატი სწავლიანო. იუსტინიანე კეისარმა ექვის თვალით შეჰხედა ამ დასმენას და გუბაზთან პირადად მოლაპარაკება მოისურვა; იმან რომ უარი განაცხადოს წამოსვლაზე, როგორ მოვიქცეო? შეეკითხა ვერაგი მოხელე. — მაშ ძალათ წამოიყვანეთ, მაგრამ ისე, ვითომც ამაღა ახლდესო, უპასუხა კეისარმა. — „წინააღმდეგობა რომ გავვიწიოს, მაშინ რაღა ვქნათო?“ — „მაშინ შეგიძლიანთ მას ისე მოეპყრათ, როგორც აჯანყებულს“-ო. „შეგიძლიან მოვკლათ კიდევ?“ შეეკითხა უკანასკნელად მოხელე. „შეგიძლიანთ მხოლოდ მაშინ, თუ ცხადად აჯანყდა“-ო, უპასუხა იუსტინიანემ. ამგვარივე შინაარსის წერილი გამოართვა კეისარს ამ მოხელემ და გახარებული იყო: საქმე კანონიერად მოწყობილი მიაჩნდა. ლაზიკაში დაბრუნდა თუ არა თავის ამხანაგებს წერილიც გადასცა და სიტყვიერადაც უამბო; სამივემ გადასწყვიტეს რომ ამიერითგან გუბაზის სიკვდილ-სიცოცხლე მათ ხელში იყო. ეხლა იმათის აზრით საქირო იყო მხოლოდ რამე მოემიზებებინათ. ამისათვის გუბაზს შეუთვალეს, ციხე ონოგურის აღება გვინდა და ჯარით მოგვეშველეო. როცა მეფე მოვიდა, რუსტიკმა გაუმეორა ონოგურის ციხე გვწადიან ავიღოთო. ამაზე გუბაზმა მიუღო: „ეს ციხე თქვენ დასთმეთ სპარსელებს, როგორც დაპყარვეთ ისე დაიბრუნეთ, მაგ საქმეში არ გავერევიო“. ეს პასუხი მოიმიზნეს, გუბაზი კეისარს ჰღალატობსო და იქვე ხანჯლით მოჰკლა სწორედ იმ სარდალმა, რომელიც იუსტინიანესთან იყო ამ საქმის თაობაზე. ეს სამარცხენო მკვლელობა მოხდა 554 წელს Agathias I, შ, გვ. 74—76; Lebeau IX გვ. 318—321). ამის შემდგომ ბიზანტიელი სარდლები ჯარითურთ ონოგურის ასაღებად გაემგზავრნენ, მაგრამ საშინლად დამარცხდნენ.

ალშფო-  
თებულ  
ლაზების

მეფე გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი ლაზიკა ააშფოთა. ხალხი განრისხებული იყო ბიზანტიელ სარდლებზე. დიდებულები შეიყარნენ ამ საქვეყნო საქმეზე მოსა-

ლაპარაკებლად. კრებაზე ორგვარი აზრი ტრიალებდა: ერთი, ბიზანტიელების მოძულე და სპარსელების მომხრე, დასი, რომლის მეთაურადაც მთელ სამეფოში განთქმული კაცო აეტო იყო, მეფის მკვლელობის ბრალს იუსტინიანე კეისარსაც სდებდა: სულ იმისი საქმეა, ბერძნები საზოგადოდ ვერაფერ ხალხია, ამიტომ ისევე სჯობია სპარსებს მივემხროთო; მეორე, ბერძნების მომხრე, დასი ამტკიცებდა, რომ უეჭველია კეისარი ამ სპარსევიწი მკვლელობის მონაწილე არ იქნება და საკმაოა იუსტინიანეს ავუხსნათ საქმის ვითარება და ბოროტმოქმედთა დასჯა მოვსთხოვოთ, რომ ყველაფერი აგვისრულოსო. ამ დასის მეთაურად დიდებული კაცი ფარტაქე ითვლებოდა. ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ ამ უკანასკნელმა აზრმა გაიმარჯვა; განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეშინოდათ სპარსელები ქრისტიანობის აღსარებას დაგვიშლიან და დევნას დაგვიწყებენო. კრებამ საუკეთესო დიდებულები აირჩია და კონსტანტინეპოლში გაგზავნა, რომელთაც იუსტინიანე კეისარისათვის უნდა ეამბნათ, რანაირად იქცეოდნენ ლაზიკაში მისი მოხელეები და რა ვერაგულად მოატყუეს კეისარი მეფე გუზაზის ვითომც და ღალატის შესახებ, უნდა მოეთხოვათ, რომ დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ დაესაჯნათ, ხოლო ლაზიკის მეფედ გუზაზის უმცროსი ძმა წათე დაემტკიცებინა. ამ დროს წათე თავის სახლობითურთ სწორედ კონსტანტინეპოლში იყო; განსვენებულმა მეფემ თავის მამობრივ სიყვარულითა და მზრუნველობით ისედაც პატივცემული სამეფო გვარეულობა უფრო მეტად შეაყვარა (Agathis, I, 3, p. 81—89; Lebeau, IX, გვ. 324—325).

თათბირი  
ქვეყნის  
ბელ-ილ-  
ბალზე.

ლაზების ამორჩეულმა კაცებმა საქმე სასურველად დაატრიალეს: კეისარმა წათე ლაზიკის მეფედ დაამტკიცა და სამეფო ნიშნები მისცა; მიუდგომელობით განთქმული ანასტასი სენატორი ახალ მეფეს თან გაატანა და უბრძანა ბოროტმოქმედება სასტიკად გამოეძია და დამნაშავენი მკაცრად დაესაჯა. წათე საჩქაროდ გაემგზავრა ლაზიკაში, მას თანახლდა ანასტასიც. მობრძანებულ მეფეს ერი აღტაცებით მიეგება; ბიზანტიის მთელი მხედრობაც თავის სარდლებითურთ სამეფო ტანისამოსში გამოწყობილს წათეს დახვდა და მიესალმა; ნათ-

წათეს გა-  
მეფება  
ლაზი-  
კაში.

სადღვრიდან მოყოლებული სამეფო ქალაქამდე ეს ჯარი მეფეს წინ უძღოდა. მიბძანდა თუ არა წათე სასახლეში, ანასტასი სენატორმა რუსტიკი დაატუსაღებინა და აფსართა ციხეში გაგზავნა; იოანე გაიქცა, მაგრამ დაედევნენ და დაჭერილი ციხეში მიიყვანეს (Agathias, I, 3, p. 89—90; Lebeau IX, 325—326).

მისიმიელების აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ.

მაგრამ საქმის გარჩევა გადაიდო; ნახორაგანი სპარსელების დიდის ჯარითურთ მუხირისისაკენ გაემგზავრა და ბიზანტიელები ბრძოლისათვის უნდა მომზადებულიყვნენ. იმის მაგივრად, რომ ასეთს გარემოებაში ყველას გული მოეგოთ, კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი სოტერიხი, რომელსაც უტივურებისა, აღანებისა და სხვა ლაზიკის მეზობელ ტომებისათვის ფული უნდა დაერიგებინა, რაკი ისინი სპარსელებს არ მიუდგნენ, თავის მედიდურ ქცევით მისიმიელთა ტომი ააჯანყა. მისიმიელნი აფსილეთის ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ ბინადრობდნენ და ლაზიკის მეფის მოყმენი იყვნენ, მაგრამ საკუთარი ენა და ადათი ჰქონდათ. როცა სოტერიხი მოვიდა, მათ ეგონათ, რომ ბიზანტიელები იმათ ქვეყანაში ბინის გაჩენას აპირებენ, მივიდნენ და წინააღმდეგობა გამოუცხადეს. ეს იწყინა მოხელემ და მოგზავნილი კაცები დააჭერინა, აცემინა და ცოცხალ-მკვდარი შინ გაისტუმრა. ამ ამბავმა ხალხი იმდენად ააღელვა. რომ მაშინვე იგრიალეს და ღამე მძინარე სოტერიხს მიადგნენ და თავის ოთხი შვილითურთ ამოხოცეს, გაცარცვეს მოკლულნი, გაიტაცეს მათი ბარგი და მოტანილი ფული. შინ რომ დაბრუნდნენ და დაშვიდდნენ, მაშინ-კი შეფიქრიანდნენ და შეშინდნენ, კეისარი ხომ ამას არ შეგვარჩენს და ისევ სჯობია სპარსელებს მივემხროთ და დახმარება ეთხოვოთო (Agathias, I, 3, p. 90—92, Lebeau, IX, გვ. 325 — 328).

ბიზანტიელებმა სპარსელები ლაზიკაში საშინლად დაამარცხეს 554 წ.

ამ დროს ნახორაგანი მრავალრიცხოვან სპარსელთა ლაშქრითურთ რიონის კუნძულისაკენ მიეშურებოდა; სარდალს იქ ბიზანტიელების ჯარი ეგულებოდა და იმათი დამარცხება სწადა. მაგრამ ძალიან შესცდა. ბიზანტიელებმა ორჯერ საშინლად დაამარცხეს სპარსელები: ერთხელ ძველქალაქის (არხეპოლის) მახლობლად, მეორედ ქ. ფოთთან (ფაზისი). ამ ქალაქს ხის ვალაგანი ერტყა და აქა-იქ დანგრეული იყო,



მაგრამ დიდი თხრილი გარშემოავლეს, ტბის წყლით გაავსეს და დიდის მეცადინეობით ყოველნაირად გაამაგრეს. გამწვავებულ და თავგამოდებულ ბრძოლის შემდეგ 54 წელს სპარსელები საშინლად დამარცხდნენ. სარდალიცა და ლაშქარიც ქუდმოვლევჩილი და თავზარდაცემული გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. ნახორაგანმა მთელი თავისი მხედრობა მუხირისში ჩააყენა, თითონ-კი იბერიაში გადავიდა (Agathias, I, 3, p. 95—106; Lebeau, IX, 328—342).

სპარსელები დაამარცხეს თუ არა, ბიზანტიელები მაშინვე მეფე გუბაზის მკვლელობის საქმის გარჩევას შეუდგნენ. ანასტასი სენატორმა ძველ ქალაქში (არხეოპოლში) მაღალი საყდარი ააგებინა, მოასხმინა რუსტიკი და იოანე, და საჯაროდ გაასამართლა. დიდძალი ხალხი და ჯარი დაესწრო ამ საქმის გარჩევას. ბრალდებულად ლაზების მოწინავე კაცები იყვნენ. ორივე ბრალდებულნი ანასტასი სენატორმა დამნაშავედ სცნო და სიკვდილი გადაუწყვიტა (Agathias, I, 4, p. 107—120; Lebeau, IX, გვ. 340—342).

ამის შემდეგ ბიზანტიელებმა 55 წელს მისიძელების დასასჯელად გაილაშქრეს; მათი მხედრობა დაბანაკდა აფსილენისა და მისიმიელთა ქვეყნის სამზღვარზე მდებარე წიბელთა ტიხეში (წიბელეოს). აფსილენს უნდოდათ თავიანთი მეზობლები განადურებისაგან გადაერჩინათ და ამიტომ მათ თავის მხრივ მოციქულები მიუგზავნეს, ბიზანტიელებთან შეგარიგებთო. მისიმიელნი-კი იმდენად გამხეცდნენ, რომ ეს მოციქულებიც დახოცეს. ამაზე გულმოსულმა ბიზანტიელებმა მისიმიელთა ქვეყანა გაანადგურეს და გადაბუჯეს, ხალხს პირუტყვისავით ხოცდნენ. ღონეშიხდილმა და შეშინებულმა მისიმიელებმა მაშინ-კი იკადრეს და თითონ შემოეხვეწნენ ბიზანტიელებს, გვაპატიეთ, კმარა რაც გადაგვხდა, ქრისტიანები ვართ, ნუ გავწყვიტავთო. იმათაც შეისმინეს და სოტირიხის მკვლელობისა და გატაცებულ ფულის სანაზღაურო გადაახდინეს, და ისევ ლაზიკაში დაბრუნდნენ.

ლაზიკაშიაც ბიზანტიელებმა სპარსელებს ვარდციხე (როდოპოლის) წაართვეს (Agathias I, 4, p. 120—130; Lebeau, IX, გვ. 342—348).

მეფე გუბაზის მკვლელების გასამართლება.

მისიმიელთა დასჯა.

ქანების  
დამორჩი-  
ლება 556  
წელს.

556 წელს ლაზიკაში მყოფი ბიზანტიელების ჯარი ქანეთში გაგზავნეს ქანების ერთი ნაწილი კეისარს ემორჩილებოდა, ერთი წილი კიდევ, მთებში მოზინადრე, კეისარისაგან ყოველწლივ საჩუქარს იღებდა, მაგრამ მაინც ცარცვა-გლეჯას არ იშლიდა. სწორედ ამათ დასასჯელად გაგზავნეს ჯარი. მედგარ და გამწვავებულ ბრძოლის შემდგომ ქანები დაამარცხეს და დამორჩილეს, ამის შემდეგ არამც თუ ყოველწლიური შესაწევარი ოქრო მოუსპეს, პირიქით მათ გადასახადი დაადეს კიდევ (Agathias, I, 5, p. 143—145; Lebeau. IX, გვ. 351—352).

563 წ.  
ზავი ბი-  
ზანტიასა  
და სპარსეთს შო-  
რის.

მეფე ხოსრო დარწმუნდა, რომ ლაზიკაში სპარსელების საქმე წაგებული იყო, და ისევ ზავის შეკვრა ირჩია. ორივე სახელმწიფოს ელჩებმა ხანგრძლივ მოლაპარაკებების შემდეგ ხელშეკრულება დასდეს (563 წ.), სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ ზავი 50 წლით უნდა ყოფილიყო შეკრული და სპარსელები ლაზიკას სრულებით თავს დაანებებდნენ, რომ არც ერთ მხარეს სამზღვრებზე ციხე-სიმაგრეები არ უნდა აეგო; სპარსეთს არ შეეძლო პირიქითველ კავკასიელ ტომებისათვის კასპიის ზღვის გზა მიეცა და გადმოეშვა; ორივე მხრის ვაჭრებს ორსავე სახელმწიფოში აღებშიცემობის უფლება თანასწორად ექნებოდა; სპარსელები თავიანთ სამფლობელოში ქრისტიანების დევნას დაიშლიდნენ, ამ სარწმუნოების აღსაჩებას აღარ აღკრძალავდნენ და ქრისტიანებს ნებას მისცემდნენ მიცვალებულნი მიწისთვის მიებარებინათ (Menand. Exc. leg. გვ. 133—137, 140—142; Theoph., p. 202—203).

სვანეთის  
მდგომარეობა.

ზავის ჩამოგდების შემდეგ საცილობელ საგნად საქართველოში მხოლოდ სვანეთი-ღა იყო. სვანეთი ლაზიკის მეფის სამფლობელოს ეკუთვნოდა; თუმცა მას თავის საკუთარი მთავარი ჰყავდა, მაგრამ თვითოეულს ახალ მთავარს ლაზიკის მეფე ჰნიშნავდა და ამტკიცებდა ხოლმე. თეოდოსი კეისარისა და უარანეს დროიდან მოყოლებული სვანეთის, ყველა მთავრები ლაზების მეფეების დანიშნულები იყვნენ. გარდასახადის მაგიერ სვანები ყოველ წლივ ხილეთულობას, თავლსა და ნადირის ტყავებს უგზავნიდნენ ხოლმე ლაზიკის ბატონს. ლაზები თავის მხრივ სვანებს სურსათს უგზავნიდნენ. გუბაზ მეფე რომ ბიზანტიელ სარდალს მარტინეს წაეჩხუბა, ბიზანტიელების ჯი-

ბრით სვანებს სურსათი აღარ მიაშველებინა. სვანებმა კიდევ ბიზანტიელებზე იყარეს ჯავრი და სპარსელებს მიემხრნენ. ბიზანტიელების პატარა რაზმს სპარსელებისა შეეშინდა და სვანეთი დასტოვა. როცა სპარსელებმა და ბიზანტიელებმა ზავი დასდეს, ბიზანტიელები გაიძახოდნენ, სვანეთიც, ვითარცა ლაზიკის ქვეშევრდომი ქვეყანა, ხელშეკრულობის ძალით ლაზიკისავე იტყუებოდნენ უნდა დაგვრჩეს, სპარსელები-კი ამტკიცებდნენ, სვანები სხვა ხალხია და, ვითარცა ჩვენსკენ ნებაყოფლობით გადმოსული, ჩვენვე უნდა დაგვრჩესო. ამ საცილობელ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად კეისარმა საგანგებო დესპანი მიუგზავნა სპარსეთის ბატონს; მაგრამ შაჰანშაჰი დათმობას არ აპირებდა, ისევ სვანეთის მთავარს მივანდოთ ამ საქმის გადაწყვეტა, ვისკენაც უნდა იმას მიემხროსო (Menand. Exc. leg. p. 138—140, 143—147; Lebeau, IX, 436—441).

ამგვარად ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს გამო მიინც-და-მიინც ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა: სპარსეთმა თუმცა ყოველი ღონისძიება იხმარა, მაგრამ ლაზიკა მიინც ხელში ვერ ჩაიგდო; ლაზიკა ისევ ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ დარჩა და საკუთარი მეფობა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა; ივერია კვლავინდებურად სპარსეთს ეპყრა და მეფობა გაუქმებული იყო. მაგრამ ამის შემდგომ დიდხანს არც სპარსეთსა უცოცხლია: მე-VII-ე საუკუნის მეორმოცე წლებში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს და მეფობა გააუქმეს.

---

### უმთავრესი წყაროები.

В. Латышевъ. Извѣстiя древн. писателей, греческихъ и римскихъ, о Скиѣи и Кавказѣ.

პროკოპი კესარიელისა და აგათიას ისტორიები.

Lebeau. Histoire du Bas. Empire, nouvelle édition, t. VI—IX,

ივ. ჯავახიშვილი. წა ნინოსი და ანდრია მოციქულის მოღვაწეობა საქართველოში („მოამბე“ 1900 წ. № V და VI).

Th. Nöldeke. Geschichte d. Perser u. Araber. 1879 ѳ.

F. Justi. Geschichte Irans von den ältesten Zeiten bis zum Ausgang d. Sassaniden; V. Herrschaft d. Sassaniden (Grundriss d. iranischen Philologie, II. B. Lieferung).

M. Brosset. Additions et éclaircissements.

И. Джаваховъ. Государственный строй др. Грузин и др. Арменін 1905 ѳ., т. I.

---

## თავი ქექვსე.

საქართველოს კულტურა I—VII კრ. შ.

საქართველოს ისტორიის მთელი ის ხანა, რომლის შესახებაც მეხუთე თავშია საუბარი, უმეტეს ნაწილად სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გამწვავებულ ბრძოლასა და ქიშპობაში დაილია. ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ერთიერთმანეთს საქართველოზე ეცილებოდნენ და სურდათ მის ერთადერთ ბატონად გამხდარიყვნენ. ეს მედგარი მტრობა და სისხლის ღვრა მხოლოდ გარეშე შემოჭრილმა ძალამ, გამაჰმადიანებულმა არაბებმა, მოსპო.

ბრძოლა  
ორ ძალის  
შორის  
საქართვე-  
ლოში.

ამ ხანის განმავლობაში საქართველო ორ სამეფოდ იყო გაყოფილი: ლაზიკადა და იბერიადა, რომელმაც ნჰმ წელს თავისუფლება დაჰკარგა და სპარსეთს შერჩა. სასანელთა გვარის შაჰები სულ იმის საგონებელსა და ცდაში იყვნენ, რომ ლაზიკაც იმათ რგებოდათ და მთელ საქართველოსა და კავკასიის მბრძანებელად გამხდარიყვნენ.

ხანგრძლივ ბრძოლის შემდგომ ლაზიკა მაინც ბიზანტიელებმა შეინარჩუნეს. ამგვარად დასაყვლეთი საქართველო განსაკუთრებით ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, აღმოსავლეთი საქართველო კიდევ სპარსეთის გავლენას ექვემდებარებოდა, მაგრამ ამასთანავე როგორც იბერიაში ბიზანტიელების კულტურა ძლიერი იყო, ისე ლაზიკაში სპარსეთის კულტურასაც გზა გაკვლეული ჰქონდა.

თვით ქართველების ნატვრისა და მისწრაფების ერთადერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო, არც ბიზანტიისა, არც სპარსეთის ბატონობის მოტრფილღე ლაზიკა და იბერია არას დროს არა ყოფილა: როდესაც ქვეყანა ბიზანტიის ხელში იყო, და მის მოხელეების ბოროტებისაგან სამეფო ილაჯგაწყვეტილი იყო, ხალხი სასანელთა შაჰებს ემხრობოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბერ-

ქართვე-  
ლების  
მისწრა-  
ფება.

ძნები განედევნათ, და თავისუფლება მოეპოვათ; ამგვარადვე ბიზანტიელებს სთხოვდნენ ხოლმე შველას, როცა ქვეყანას სპარსეთი აწუხებდა. ორ წყალ შუა მყოფი ქართველობა ცდილობდა მოცილე სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლნა და თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

თუმცა ბიზანტიას მეტად საზიზღარი და ანგაარი მოხელეები ჰყავდა, მაგრამ მაინც-და-მაინც თვით კეისრების მთავრობა სასანელთა გვარის მეფეებს სჯობდა და იმდენად სასტიკი და გულქვაფი არ იყო; ამიტომ ქართველობისათვის ბიზანტიელების მფარველობა იმდენად დამღუპველი არა ყოფილა; როგორც სპარსელების მფარველობა. აკი აღმოსავლეთ საქართველომ დაჰკარგა თავისუფლებაცა და მეფობაც; ხოლო დასავლეთ საქართველომ საკუთარ სამეფოს არსებობა შეინარჩუნა და კვლავინდებურად ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ლაზიკის  
სახელმ-  
წიფო  
წეს-წყო-  
ბილება.

ლაზიკის სათავეში იდგა მეფე; მას ლაზიკას გარდა ემორჩილებოდნენ: აფხაზები, აფსილები, მისიმიელნი და სვანები, მაგრამ მათ თავიანთ საკუთარი მთავრები ჰყავდათ; ლაზიკის მეფე მხოლოდ ამტკიცებდა თვითელს ახალს მთავარს; ყველა ამ ტომებს ყოველწლიური გადასახადი და ბევრა ეღოთ ლაზიკის მეფის სასარგებლოდ; მეფეც თავის მხრივ ეზმარებოდა ხოლმე. მეფის უფლება ლაზიკაში სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა და ამ უფლების შემკვიდრება, როგორცა სჩანს, იმაზე გადადიოდა, ვინც განსვენებულ მეფის მომდევნო და წლოვანობით უფროსი ძყო საგვარეულოში; მაგალითად, ლაზიკის მეფეს წათეს I შემდგომ, რომელიც იუსტინ კეისრის დროს ცხოვრობდა, ტახტზე ავიდა იმისი შვილი გუბაზი კი არა, არამედ მისი ძმა ოფსითე; ოფსითეს შემკვიდრედ კიდევ სამეფო ტახტზე წათეს პირველი შვილი გუბაზი იყო, ხოლო მის მოკვლის შემდგომ გამეფდა წათე პირველის მეორე შვილი და გუბაზის უმცროსი ძმა წათე II; მაშასადამე ლაზიკაშიც იგივე შემკვიდრების წესი სუფევდა, როგორც იბერიაში იყო I ს. ქრ. შ., პირდაპირი შემკვიდრების უფლება კი არა, არამედ საგვარეულოში უფროსობის მიხედვით.

ბიზანტიის კეისრისაგან დამოკიდებულება მხოლოდ იმაში

გამოსახებოდა, რომ ახლად ტახტზე ამავალს მეფეს კეისარი სამეფო ნიშნებს და სამკაულს უგზავნიდა; არავითარ ხარკს ხალხი და ლაზიკის ბატონი ბიზანტიის მთავრობას არ აღეგდა; ნიშნულად ლაზიკაში ბიზანტიელებს მუდმივი ჯარი არა ჰყოლიათ, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთმა იბერიის სამეფო მოსპო და ლაზიკის დაპყრობას ცდილობდა, კეისარმა ლაზიკის ზოგიერთ ციხეებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის სამხრეთარზე და ზღვის პირას, საგანგებო ჯარი ჩააყენა.

ლაზიკაში ამ დროს წოდებრივი განსხვავება არსებობდა და მოწინავე წოდება როგორც ეტყობა სამეფოს საქმეებში მონაწილეობას იღებდა.

ხალხში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ; სხვათა შორის, ლაზების დესპანების სიტყვით, მათ შენახული ჰქონიათ ზავის წიგნები და ხელშეკრულობათა პირობის წერილები, რომლებითაც ლაზები ოდესმე სპარსელებს შეჰკვირიან.

ლაზიკა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, განსაკუთრებით მდ. რიონის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი; სამხრეთით მოსახლეობა განუწყვეტლივ ომიანობის გამო თხლად იყო; მთელ ლაზიკაში მეტად ხშირ მოსახლეობითა, მიწის ნაყოფიერებითა და სიმდიდრით მუხირისის მაზრა იყო განთქმული, ის მაზრა, სადაც ქუთაისის ციხე იდო. ციხე-ქალაქებიც ბლომად არსებობდა ლაზიკაში; სხვებზე უფრო თვალსაჩინოდ ძველი ქალაქი (არხეოპოლი), ფაზისი (ფოთი), ვარდციხე, ონოგური, სკანდა და შორაპანი ითვლებოდნენ. სამი სავაჭრო გზა, ერთი იბერიისაკენ მიმავალი, მეორე სომხეთისაკენ — ქ. დვინს, მესამე დასავლეთისაკენ, შავი ზღვის ნავთსადგურამდე, მეზობლებთან აღებშიცემობასა და მიმოსვლას უადვილებდნენ. ქ. ტელეფისის მახლობლად ერთი ადგილი იყო, რომელიც თიხის სხვა-და-სხვა გვარ ჭურჭლეულობით იყო განთქმული (Agathias, I, 2, p. 58; Lebeau, IX, 313).

იბერიის სამეფო საკუთრივ ქართლს გარდა ჰერეთსაც შეიცავდა: ჰერეთის პიტიანში ვახტანგის დროს, მაგალითად,

მწერლობა.

ლაზიკის მოსახლეობა.

სავაჭრო გზები.

იბერიის სივრცე.

ქართლის მეფეს ემორჩილებოდა (შუშანიკის ცა, საქართველოს სამოთხე, 182). თუ ჰერეთი იბერიის მეფის ხელში ყოფილა, უეჭველია კახეთიც იმავე უნდა სჭეროდა; ამგვარად იბერიის მეფეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო ჰკუთნებია. არამცთუ პირაქეთელი მთიელნი, კავკასიის პირიქითელი მთიელებიც იბერიის მეფის მოკავშირენი და მეშველნი იყვნენ; რაკი კავკასიონისა და არაგვის ხეობის გზა იმის ხელში იყო, იმის ნებაყოფლობაზე იყო დამოკიდებული, გადმოუშვებდა პირიქითელ ველურ ხალხებს თუ არა.

**ჰერეთის  
ჰავა.**

მთელი იბერია ისე საუცხოვოდ, ნიშანდობლივ და დავწრილებითა აქვს აწერილი სტრაბონს, რომ იმაზე უკეთესად ძნელია. ეს აწერილობა მოყვანილია ამ თხზულებების წინა თავებში და აქ ამ სავანს აღარ შევხვებით, მით უმეტეს, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობა აწერილი ჯერ არსად არ აღმოჩენილა. მოვიყვან მხოლოდ ერთად-ერთს ამგვარს ცნობას, რომელიც შეეხება ჰერეთის ერთს კუთხეს და შუშანიკის მარტილობაშია შენახული (საქართვე. სამოთხე, გვ. 189): „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალეა მზისა, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომელისა მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი; და მოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა“. აი ციებ-ცხელებიან, დამცდელ ქვეყნისა და ეხლა მაღარიად წოდებულ ციებ-ცხელების იმდროინდელი საუცხოვო აღწერილობა და სურათი.

მოქმედობდა იბერიაში ძველი, უფროსობაზე დამყარებული, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგი, თუ არა, საბუთებიდან არა სჩანს. მას შემდეგ, რაც სპარსელებმა ჯერ აღმოსავლეთი იბერია ჩაიგდეს ხელში, მერე დასავლეთიც კისარს გამოჰგლიჯეს, იბერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგში შეეძლოთ ჩარეულიყვნენ. სამწუხაროდ არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა იბერიის მეფის დამოკიდებულება სასაწინააღმდეგო გვარის შაჰებისაგან: საჭირო იყო ტახტზე ამავალ მეფისათვის მათი დამტკიცება, თუ არა, ან თუ სამეფო ნიშნებსა და სამკაულს



უვზენიდა ხოლმე? არც ისა სჩანს, აძლევდა იბერია მაშინაც, როცა მეფობა ჯერ მოსპობილი არ იყო, სპარსეთის მთავრობას რაიმე ხარკს, თუ არა?

სამეფოს განაგებდნენ უმაღლესი მოხელეები, რომლებიც „მთავრებად“ („მთავართავანი“ შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე, 188; „მთავარი ქართლისანი“ ევსტათე მცხეთელის ცა, იხ. გვ. 315) იწოდებოდნენ; ჰერეთის მმართველს სპარსული სამოხელეო სახელი „პიტიახში“ ერქვა (შუშანიკის ცა, *ibid.* 182); პიტიახში ქართლშიც ყოფილა: სომეხ ისტორიკოს ლაზარე ფარპელის თხზულებაში იეზიდევრდ II (439—457) დროს არშუშა, ქართველთა პიტიახში არის მოხსენებული (იხ. ვენეტ. გამოც. გვ. 146). ვასქენ პიტიახში, არშუშა პიტიახშის ძე, შუშანიკის ქმარი (შუშანიკის ცა, საქართვე. სამოთხე 181 და *Մոქიբე ჯაყ. IX, 11*), რომელიც ვახტანგ მეფემ 483 წელს მოაკვლევინა (ლაზარე ფარპელის ისტორ. ვენეტ. გამოც. გვ. 406), და ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში 541 წელს აღნიშნულია „არშუშა ქართლისა პიტიახში“ (საქ. სამოთხე. გვ. 315). რით განსხვავდებოდა და რა დამოკიდებულება ჰქონდა პიტიახშისა და მთავარის მოხელეობას, მასალებიდან არა სჩანს. ამ ორ თანამდებობის გარდა არსებობდა აგრედვე „მამასახლისობა“-ც; ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენებულია 541 წელს „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი“ (*ibid.* გვ. 315).

მამასახლისობა უძველეს დროიდან შერჩენილი სამოხელეო სახელწოდება არის; მაგრამ რა თანამდებობა ჰქონდა ქართლის მამასახლისს ამ დროს და რით განირჩევიდა მისი უფლება ქართლის ერისმთავრისა და ქართლის პიტიახშის უფლებისაგან—ამის გამოკვლევა, ცნობების უქონლობის გამო, შეუძლებელია.

პიტიახში მოწინავე წოდებიდან ყოფილან და დიდად პატივისა სცემდნენ: პიტიახში რომ მაგალითად თავის ქვეყანაში მობძანდა, „თანამიეგებნენ მას აზნაურნი და ძენი, და მსახურნი თვისნი“ (შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე, 182). პიტიახშსა ჰქონდა აგრეთვე კვერთხი (*ibid.* 186). მას ჰყავდა ხელქვეითი მოხელეები „მსახურნი“ (*ibid.* 182, 184, 185).

მოხელე-  
ნი.

ზემოდასახელებულ მოხელეებს გარდა იბერიაში უეჭველია მრავალი სხვა თანამდებობაც არსებობდა, მათ შორის, რასაკერაველია, მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობაც; მაგრამ საისტორიო საბუთებში იმათ შესახებ, სამწუხაროდ, ჯერ არავითარი ცნობები არ აღმოჩენილა.

საგამგეო  
ოლქები  
და ერთე-  
ულნი.

იმ დროს საგამგეო ოლქებისა და ერთეულების სახელები აწინდელებისაგან თვალსაჩინოდ განირჩეოდა: იმას, რასაც ჩვენ ეხლა ქვეყანას ვუძახით, მაშინ „სოფელი“ ერქვა, მაგალითად, შუშანიკის ცხოვრებაში ნათქვამია: „აზნაურნი დიდ-დიდნი, სეფეკალნი, დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ (საქართვე. სამოთხე, 191); ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაშიაც მარზპანი ჰკითხავს მარტვილს: „რომლისა სოფლისა ხარ, ანუ რომლისა ქალაქისა... ხოლო წმიდამან ევსტათე ჰრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ (ევეისა) არბუყეთისა ქალაქისა განძაკისა“-ო (ib. 314).

იმას, რასაც ჩვენ ეხლა სოფელს ვუძახით, მაშინ „დაბა“ ერქვა. სიტყვა „ქუეყანა“-კი იმ დროს მარტოოდენ დედამიწას ნიშნავდა. მე-VIII-ე საუკუნემდე ყველა ზემომოყვანილ ტერმინებს ამ მნიშვნელობით ხმარობდნენ. ჩვეულებრივ საგამგეო ერთეულად მაშინაც „კევი“ იყო.

იბერიის  
გამგეობა  
სპარსე-  
თის ბა-  
ტონობის  
დროს.

სპარსელებმა რომ აღმოსავლეთს საქართველოში მეფობა გააუქმეს, ქვეყნის უზენაეს გამგედა და თავის წარმომადგენელად მარზპანი დანიშნეს. მარზპანი სპარსული სიტყვაა და „მარზ“-ის (სამზღვარსა ნიშნავს, აქედან არის წარმომდგარი ქართული „მზრა“) მცველს („პან“) აღნიშნავს და ქართულს საგამგეო თანამდებობას „მონაპირე“-ს უდრის. თუმცა სპარსელი მარზპანი იბერიაში სამეფოს არსებობის დროსაც ჰყავდათ, მაგ. 439—457 წლების განმავლობაში ქართველთა მარზპანად ვასაკ სივნიელი ყოფილა (ლაზარე ფარპელის ისტ. გვ. 277), მაგრამ მაშინ ეს მოხელე სასანელთა გვარის წარმომადგენელად ითვლებოდა ქართველთა. მეფის წინაშე, მეფობის მოსპობის შემდგომ-კი მას ქვეყნის უზენაესი მართვა-გამგეობაც ებარა. 540/1 წ. ქართლისა მარზპანად ყოფილა არვანდ გუშნასპ (ევსტათე მცხეთელის ცნ., საქ. სამოთხე 313), ხოლო მის მოადგილედ 544/5 წ. გამოუგზავნიათ ვეჟან ბუზმილ (ibid. 315).

მარზპანის ხელში იყო ხარკი და სხვაგვარი გარდასახადი; მას ემორჩილებოდა ადგილობრივ ჩაყენებული სპარსეთა-ჯარი და დაბალ წოდებათა უზენაესი გასამართლების, სიკვდილ-სიცოცხლის, უფლება ჰქონდა (ვესტათე მცხეთელის ცა, ibid 314); მოწინავე წოდების გასამართლება მას არ შეეძლო. შუ-დმივი ბინა მარზპანს ქ. ტფილისსა ჰქონდა (ibid. 314).

მარზპანს ემორჩილებოდნენ სამეფოს სხვა და სხვა ციხე-ქალაქების ციხის თავები, მაგ. მცხეთისა ციხისთავი (ibid. 313), რომელსაც სპარსელი მხედრები ჰყავდა ხელქვეითი (ibid. 314); ციხისთავს სასამართლო საქმეების გამოძიების უფლე-ბაცა ჰქონდა და მსუბუქ დანაშაულობის შესახებ მსჯავრის დადებაც შეეძლო; ხოლო როცა ბოროტმოქმედება სიკვდი-ლით უნდა დასჯილიყო, მაშინ ციხის თავს დამნაშავე გა-მოძიებულ ცნობებითურთ მარზპანისათვის უნდა გაესტუმრე-ბინა (ibid. 314). სპარსეთის მოხელეები—მარზპანი და ციხის თავები, ქვეყნის ბატონებად იყვნენ, ქვეყნის პატრონებად, მის შინაურ საქმეების გამგედ აზნაურთა წოდება გახდა; ჩვენი ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამბობს: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შეილთა გორგასლისათა, მი თ ქამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ (სამი ისტ. ხრ. გვ. 44).

პირველ საუკუნის დამდეგს (ქრ. შ.), როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, იბერიაში წოდებრივი უსწორ-მასწორება თითქმის არ არსებობდა: ყმები სამეფო გვარეულობის გარდა სხვას არავისა ჰყავდა, მე-V-ე საუკუნეში-კი იბერიის მკვიდრნი რამდენადმე გარკვეულ წოდებრივ ჯგუფად იყვნენ დანაწი-ლებულნი. შუმანიკის მარტვილობაში ჩამოთვლილია „აზნა-ურნი დიდ-დიდნი... აზნაურნი და უაზნონი სო-ფლისა ქართლისანი“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 191). მა-შასადამე იმის გარდა რომ მცხოვრებნი იყოფებოდნენ ორ მთავარ ჯგუფად—აზნაურად და უაზნოდ, ანუ თავისუფალ და უთავისუფლებოდ, —წოდებრივი განსხვავება და დანაწი-ლება საკუთრივ აზნაურთაც დასტუობიათ, მეტ-ნაკლებობას იქაც უჩინია თავი: ერთი წილი დიდდიდ აზნაურად, მეორე, ალბად უმრავლესი, წილი კიდევ უბრალო აზნაურად ირიც-

წოდებანი

ხებოდა. სწორედ ამ დიდ-დიდ აზნაურთ ხელში უნდა ყოფილიყო ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა უმეფობის დროს. დიდ-დიდ აზნაურთა გვარიშვილებს სახელად აგრედვე სეფე-წული და სეფე-ქალი ეწოდებოდა (შუშანიკის ცა.)

უაზნოთა ანუ უთავისუფლოთა წოდებაშიაც მეტ-ნაკლებობა არსებობდა: ერთს ჯგუფს შეადგენდნენ. „მსახურნი“ (შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე, 182, 184, 185), მეორეს „ყრმები“ (ib. 186), მესამეს „მონა“ — „მკეველნი“ (ib. 182, 190, ევსტათე მცხეთელის ცა, ib. 315). მონა-მკეველების ყოლა როგორც სჩანს ჩვეულებრივ მოვლენა ყოფილა; არამც თუ დიდ აზნაურს (ib. 190), არამედ უბრალო ხელოსანსაც მონა-მკეველები ჰყოლია (ევსტათე მცხეთელის ცა, ib. 315). რასაკვირველია იბერიაში ვაჭრები და ხელოსნებიც იქნებოდნენ და იყვნენ კიდევ, მაგრამ მათ შესახებ ცნობები აო მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ მცხეთაში სპარსელ და ასურელ ხელოსნების, მებაღეებისა და მეჯადაგეთა, ახალშენი არსებობდა (ib. 313). შუშანიკის ცხოვრებიდანა სჩანს, რომ აღმოსავლეთს საქართველოში ტანისამოსისათვის ძვირფასი ქსოვილი, „პალეკარტად“ წოდებული, ანტიოქიით შემოჰქონდათ (საქ. სამოთხე, 190).

**მაშინდელი ოჯახობა.**

მაშინდელი სახლობა ორ მეუღლისა (შუშანიკის ცა, საქ. სამოთხე 190). ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან შესდგებოდა; სახლობის წევრს, „სახლეულნი“ ერქვა (ibid. 185, 316); შუშანიკის ცხოვრებიდანა სჩანს, რომ ამ დროს ცოლ-შვილიან ძმებს უკვე ერთ სახლად-კი არა, არამედ ცალ-ცალკე უცხოვრნიათ (მაგ. ვასქენი და მისი ძმა). როგორც ეტყობა მაშინაც ჩვეულებადა ჰქონიათ შვილების გაბარება გასაზრდელად; დედ-მამის გარდა არსებობდა „მამა-მძუძე“ (ibid. 191) და რასაკვირველია „დედა-მძუძე“-ც; იყვნენ „ძუძუს-მტენნი“ (ibid. 184) ესე იგი ისინი, რომელნიც თუმცა ძმები არ არიან, მაგრამ ერთ დედის ძუძუ უწოვიათ. სამანირი მახლობელთა ჯგუფი ჰყავდა თვითოეულს: „სახლეულნი, ნათესავნი და თჳსნი“ (ევსტათე მცხეთელის ცა, ibid. 316).

ცოლი ქმრის უკითხავად სხვაგან ვერ წავიდოდა; თუ ამ საქმეს ჩაიდენდა, ეს „სახლის აზრებად“ ითვლებოდა (შუ- შან. ცა, ibid. 189), სირცხვილი იყო, და ქმარს შეეძლო ეთქვა: „შენ ჩემიცა ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნა- ცარი გადაახს, შენი ადგილი დაგიტოვებიეს და სხუად წარ- სულხარ“ (ibid. 184)\*).

წესი იყო რომ ქალს „თავი დაბურული“ უნდა ჰქო- ნოდა (ib. 187); დიდებულ მოხელის ცოლს, მაგალითად პი- ტიახშის მეუღლეს თავზე „კუბასტი“ ჰხურებია (ib. 185, 186); ამას გარდა მალალ წოდების ქალს „თმა-გატევებუ- ლი, ვითარცა ერთი შეურაცხთაგანს“ (ib. 187) არ უნდა ეარნა, მაშასადამე მხოლოდ მდაბიო დედაკაცებს უვლიათ თმა- დაუწნელი. კაბად დიდებულ მოხელის ცოლს „ანტიოქიი- სა პალეკარტი“ ემოსა (ib. 190) და სხვა და სხვა გვარი სამკაული ეკიდა (ib. 186). ფეხებზე ხამლები სცმიათ; შეძლე- ბულის „უხამური“ სიარული (ib. 187) დიდი მწუხარების ნი- შანი იყო.

დიდი-დიდი აზნაურების სახლობას ჰქონდა „ეხო და პა- ლატი“ (ib. 191), დიდებული აზნაური მოხელე კიდევ, რო- გორც მაგალითად პიტიაში, სასახლეში, „ტაძარში“ ცხოვ- რობდა ხოლმე (ib. 183, 185); ამ ტაძარს ერქვა აგრეთვე „სახლი სამეფო“ (ib. 184). ტაძარში იყო „გაპიკე- ბი“ და „სენაკები“ დიდი და „მცირე“ (ib. 185); დიდე- ბულ აზნაურ-მოხელეს ცოლს, რომელსაც მაშინ ჩვეულებრივ „დედოფალ“-ი ეწოდებოდა (ib. 182, 183, 190) ტაძარში საკუთარი „სენაკი“ ჰქონდა; ამ სენაკს განსაკუთრებული მო- სამსახურე მიყენებული ჰყავდა და „სენაკპანი“ ერქვა (ib. 186).

უბრალო მკვიდრი-კი „სახლებში“ „სახლაკებში“

ქალის  
უფლებ-  
რივი  
მდგომარეობა.

ქალის ჩა-  
ცმა და-  
ხურვა.

სახლი და  
შინა

\*) შედარებით მინც ქართველი ქალი სხვა ერის ქალებზე უკეთეს მდგომარეობაში იყო; ბიზანტიაშიც-კი მაგ. ქალი უჩაროდ რაც უნდა შემ- თხვევა ყოფილიყო გარედ ვერ გამოვიდოდა (Н. А. Скобалапувичъ. О нравахъ Византійскаго общества въ средніе вѣка, Годиный актъ въ С. Петербургской духовной Академіи въ 1886 г., გვ. 38 — 39).

(ib. 183, 187), და „ვან“-ში (ib. 183, 187) იღვას; სახლს „ყუ-  
რე“ (ib. 183) ჰქონდა.

საწოლი  
იარაღი.

საწოლად ხმარობდნენ: „სასთუნალ“-სა (ib. 189), რო-  
მელზედაც თავს მისდებდნენ ხოლმე, და „ქუ ესაგებელ“-ს  
(ib. 189); საბნად „სასთაული“ (ib. 189) ჰქონდათ. დი-  
დებულ აზნაურებს, როგორც მაგალითად, ვასქენის მეუღლეს  
„სასთაული ხალენისა“ (ib. 189) ჰქონია. „უზმოებაზე (ib.  
185) ქამის გარდა „პურის ქამა“ (ib. 185) სცოდნიათ; ეს  
„პურის ქამა“ სადილის მაგიერი ყოფილა, მაგრამ საყურად-  
ღებო ის არის, რომ „ქამი პურისა“ (ib. 185) იმ დროს-  
კი არა სცოდნიათ, როდესაც ჩვეულებრივ არის მიღებული,  
შუადლისას, ან შუადლის შემდეგ, არამედ **სადამოთი**, „რა-  
ქამს შემწუხრდებოდა“ (ib. 185): „პურის ქამა“ სხვა და  
სხვა „ქამადისაგან“ (ib. 186) შესდგებოდა, ხოლო სას-  
მელად მოერთმეოდათ „ღვნოე ქიქითა“ (ib. 185).

პურის ქა,  
მის წეს-  
რიგო.

ყურადღების ღირსია, რომ სტუმრებთან და **წვეულობის**  
**დროს, თურმე, დედაკაცები და მამაკაცები ცალ-ცალკე**  
**სჭამდნენ პურსა, თუნდაც რომ სტუმრად მახლობელი ნა-**  
**თესავი ყოფილიყო;** როცა, მაგალითად, ვასქენს ძმა და რძა-  
ლი ეწვივნენ, და ვასქენსა სურდა საერთოდ გაემართა სადი-  
ლი, მისმა ცოლმა შუშანიკმა აღშფოთებით უპასუხა: „ოდეს  
ყოფილარს აქამომდე; თუმცა მამათა და დედათა ერთად  
ეჭამათ პური“-ო (ib. 185).

სარწმუ-  
ნობა: 1) ცეცხლ-  
ყვანის-  
ცემლო-  
ბა.

ამ დროს საქართველოში ორი სარწმუნოება იბრძოდა:  
ქრისტიანობა და მაზდეიანობა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლო-  
ბა. ცეცხლთაყვანისმცემლობა მზისა, დედა-მზისა, ცეცხლისა  
და წყლის გაღმერთებაზე იყო დამყარებული; ამ ოთხს სტიქი-  
ქიონს იგი წმინდადა სთვლიდა; ამიტომ მათი შეხება არ შეი-  
ძლებოდა და ადამიანი დიდის კრძალულებით უნდა მოპყრო-  
ბოდა. ქვეყნიერობის სფერო ორ უზენაეს ღვთაებას სამელო-  
ბელოს შეადგენდა: ერთი იყო კეთილი ღვთაება, რომელსაც  
აჭურამაზ და (არმაზი) ერქვა, მეორე, მისი მეტოქე, ბო-  
როტების ღვთაება და დედა-ბუდე ან ჰრამაინეუ (აჭრი-  
მანი). მთელი მსოფლიოც უზენაეს ღვთაებათაგან ბოროტ და  
კეთილ არსებათა და ბუნებისაგან შესდგებოდა. ადამიანის სუ-

ლი მაგ. წმინდა ძალად ითვლებოდა, ადამიანის სხეული-კი ბოროტ ბუნების ნაშენობა იყო; ამიტომ ადამიანის თმა, ფრჩხილები, გვაძი და მისი განავალი უწმინდურია და არც ერთს წმინდა სტევიკონს არ უნდა შევხებოდა; ამის გამო ცეცხლთაყვანისმცემლნი მიცვალებულებს მიწაში-კი არ ასაფლავებდნენ, არამედ განსაკუთრებული ქვითკირის შენობები ჰქონდათ და იქა სდებდნენ ხოლმე გასახრწნელად.

რაკი ცეცხლი წმინდა სტევიკონად მიაჩნდათ, ამიტომ თვითოეულს კეთილმოაწმუნეს თავის სახლში ცეცხლი გაუქრობელი უნდა ნთებოდა და მისი დაშრეტა დიდ ცოდვადა და ბოროტმოქმედებად ითვლებოდა. მაზღეიანებს მღვდელმსახურნი ჰყავდათ, რომელთაც „მოგვებს“ ეძახდნენ, ხოლო მოგვების მღვდელმთავარს „მოგვეტი“ და „მოგვედაწმობედ“-ი ერქვა.

ცეცხლთაყვანისმცემლობა სპარსელების ეროვნულ სარწმუნოებად ითვლებოდა და უზენაესი პატივისცემა და სახელმწიფოში ძლიერი გავლენა სასანელთა გვარეულობის შაჰანშაჰების დროსა ჰქონდა. სპარსეთიდან ეს სარწმუნოება მეზობლობაშიაც გავრცელდა, სხვათა შორის საქართველოშიაც. მას შემდეგ, რაც საქართველოში ხალხმა ქრისტიანობა მიიღო, სპარსეთის მთავრობა თავის მოვალეობადა სთვლიდა, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობისათვის საქართველოში ყოველგვარი მფარველობა გაეწია; ხოლო როცა იგი იბერიაში გაბატონდა, ქრისტიანებს რამდენჯერმე დევნა დაუწყუო და მაზღეიანობას ძალათი ავრცელებდა. ცეცხლთაყვანისმცემლობა არამტუხ საქართველოს აღმოსავლეთს ნაწილში იყო გავრცელებული, არამედ დასავლეთშიაც, კოლხიდაშიც. აპოლონი როდოსელი მოგვითხრობს, რომ კოლხები დიდ დანაშაულადა სთვლიან თუ ვინმემ მამაკაცის გვაძი ან დააწვეინა, ან მიწაში დაასაფლავა, ან ზედ ყორღანი დააყრვეინა; ასეთს გვამებს ისინი ხარის ტყავში ჩასდებენ და ქალაქს გარედ ხეებზე ჩამოჰკიდებენ ხოლმეო. მაგრამ დედამიწასაც თავისას აძლევენ და დედაკაცებს მიწაში ჰმარხავენო. უეჭველია ეს ცნობა იმას ამტკიცებს, რომ კოლხები მაზღეიანობის მოძღვრების აღმსარებელნი ყოფილან; იმიტომ რომ მხოლოდ ამ სარწმუნოებაშია აღ-

კრძალული ადამიანის გვამის მიწაში დასაფლავება; მხოლოდ იქ არის აღკრძალული ადამიანის გვამის ცეცხლით დაწვა იმიტომ, რომ ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა და არა-რა უწმინდური მას არ უნდა შეჭხებოდა.

იბერიაში რომ მაზღეიანობა გავრცელებული იყო, ამის შესახებ ჰირდაპირი ცნობებიც მოგვეპოვება. ცეცხლთაყვანისმცემლებს მცხეთაში საკუთარი სამლოცველო და ცალკე უბანი ჰქონდათ, რომელსაც „მოგვთაჲ“ ერქვა; იქვე იჯდა მოგვების ეპისკოპოს „მობედან-მობედ“-ი, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს შეცდომით ქრისტიანების „მობიდან ეპისკოპოსად“ გაუხდია (დ. კარიჭაშვილი. ვინ იყო მობიდან ეპისკოპოსი? „მოამბე“ 1901 წ., № III). მე-V-ე საუკუნეში იბერიაში ისეთი გამწვავებული ბრძოლა იყო ქრისტიანობის და ცეცხლთაყვანისმცემლობის შორის, რომ ოჯახებში განხეთქილება სუფევდა და ერთი წილი მაზღეიანობას ემხრობოდა, მეორე ქრისტიანობას იცავდა. (შუშ. ც., 182).

ცეცხლ-  
თაყვანის-  
მცემლო-  
ბის ავა-  
ლის ჩვენი  
ერის თა-  
ნამედრო-  
ვე ზნე-  
ჩვეულებ-  
ებში.

რამდენად ძლიერი და ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მაზღეიანობას ქართველ ხალხზე იქიდანა სჩანს, რომ ჩვენ დრომდისაც-კი მისი კვალი ჩვენი ერის რწმენასა და ზნე-ჩვეულებებს ნათლად ატყვია; მაგ. ხევისურეთში მოშაკვდავს „ნარევების“ მეტი არავინ არ ეკარება; იმათ მიაქვთ მიცვალებული სასაფლაოზე-კი არა, არამედ ერთს ქვითკირის შენობაში, რომელიც სოფლის მოშორებით არის; იქ დაასვენებენ, სანამ გვამი არ გაიხრწნება. ამ „ნარევებს“ არავინ არ ეკარება, ვიდრე თავს არ განიწმენდენ, იმიტომ რომ მიცვალებულიცა და ყველა, ვინც მას ხელს შეახებს, უწმინდურად ითვლება. მშობიარობისა და თვიურ დედათა-წესის დროს ჩვენი მთიელები დედაკაცს სოფელში არ აყენებდნენ, არამედ დაწესებული ვადა სოფლის გარედ „ქოხში“ და „ბოსელში“ უნდა გაეტარებინათ; ამ დროს განმავლობაში მათ, ვითარცა უწმინდურებს, არავინ ეკარებოდა და ამ შენობებს გზას უქცევდნენ. ეს წესიც რასაკვირველია მაზღეიანობის ნაშთია. ამავე რწმენის ნაშთად უნდა ჩაითვალოს ის ჩვეულება, როდესაც ჩვენებული პურის მცობელი პურის ჩაკერის დროს პირს იკრავს; რად-გან ადამიანის სუნთქვა უწმინდურად, ხოლო ცეცხლი წმინდა



სტეიქიონად ითვლებოდა, ამიტომ მაზღეიანობის მოძღვრები კეთილმორწმუნეებს აგონებდა, რომ ჰური პირ-აკრული ეცხოთ. მრავალი სხვა ამგვარი ჩვეულებაა შერჩენილი ჩვენ ხალხში, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობის ნაშთად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ყველას ვერ გამოვეკიდებით. რასაკვირველია რაკი ქართველების ეროვნულ სარწმუნოებად მნათობთა თაყვანისცემა იყო, უეჭველია საქართველოში შემდეგ შემოხიზნულს მაზღეიანობას სპარსულ მაზღეიანობასთან შედარებით თავისებური ელფერი ექნებოდა; ამის გარდა მაზღეიანობას იბერიაში რასაკვირველია უფრო მეტად ექნებოდა ფეხი მოკიდებული, ვიდრე ლაზიკაში.

ქრისტიანობა საქართველოში **ორის მხრით** ვრცელდებოდა: ასურეთიდანა და სომხეთიდან მომდინარე ქადაგებას ფესვები თვით პალესტინაში ედგა და ქრისტიანობის პირვანდელ ხასიათსა და თვისებებს გულმოდგინედ იცავდა. ამ ქადაგების ასპარეზად აღმოსავლეთი საქართველო იყო; კაპადუკიადანა და მცირე აზიიდან მომავალი ქადაგება ელლინური იყო და ბერძნულ ქრისტიანობის ელფერა ელო. ამის ასპარეზად დასავლეთი საქართველო იყო. რასაკვირველია სარწმუნოებრივი და ყოველგვარი მოძღვრება ისეთი რამე არ არის, რომ მის გავრცელებისა და მოქმედების ასპარეზის მკაფიოდ შემოფარგვლა და განსაზღვრა შეიძლებოდეს. კაპადუკიურ ქადაგებას იბერიაშიც ჰქონდა გზა გაკვლეული, სამხრეთით მომდინარე ქრისტიანობასაც ლაზიკაშიც ეყოლებოდა მომხრე, მაგრამ ზემოაღნიშნული ასპარეზების განსაზღვრა იმაზეა დამყარებული, თუ საქართველოს რომელ კუთხეში რომელ მოძღვრებასა ჰქონდა განსაკუთრებული გავლენა.

ქრისტიანობას საქართველოშიაც სხვა ქვეყნებსავე დიდი ბრძოლა და დიდი რყევა უნდა გამოეარნა, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი საეკლესიო მწერლობა ჯერ შესწავლილი არ არის, ხოლო გამოქვეყნებულ იმდროინდელ თხზულებებში მხოლოდ მკრთალი აჩრდილია შერჩენილი. რომ იბერიაშიაც ერთ დროს ნესტორიანობას ბევრი მომხრე ჰყავდა, ამის შესახებ ცნობები მოიპოვება ქართველ კათალიკოზის კირიონის წერილშიცა და პაპი გრიგოლ I-ის საპასუხო ეპისტოლეშიც; თვით ეპისკო-

**2). ქრისტიანობა.**

**ნესტორიანობა.**

პოზთა შორისაც თურმე ნესტორიანები ყოფილან. რასაკვირ-  
ველია ამ მოძღვრების მიმდევართ თავიანთ მოწინააღმდეგებ  
თან გამწვავებული ბრძოლა და პაექრობა ექნებოდათ და მო-  
მავალში, როცა ჩვენი ძველი მწერლობა შესაფერისად შეს-  
წავლილი იქნება, ამ ბრძოლის შესახებ იმედია ბევრი საყუ-  
რადლებო მასალები აღმოჩნდება. მონოთეიზიტობასაც ერთს  
დროს რიცხვ-მრავალი მომხრეები ჰყავდა, მაგრამ ამის შესა-  
ხებ დაწვრილებით ქვემოდ იქნება ლაპარაკი, ესლა-კი ქარ-  
თულ ეკლესიის წესწყობილება უნდა ავწეროთ მოკლედ.

**ქართულ  
ეკლესიის  
წეს-წყო-  
ბილება**

ქართული ეკლესია მე-VI-ე საუკუნეში ჰნ ეპისკოპოსო  
სამწყსოსაგან შესდგებოდა. ყველგან, ცურტავის სამწყსოს გარ-  
და, წირვა-ლოცვა ქართულად სწარმოებდა; ცურტაე-  
ში-კი მე-VII-ე საუკ. დამდევამდე სომხურად უწირიათ; ამ  
ეპარქიაში მცხოვრებთა ერთი წილი სომხობა ყოფილა, მეო-  
რე, ვგონებ, უმრავლესი წილი ქართველობა. ქართულ ეკლე-  
სიის თავად კათალიკოზი ითვლებოდა; **კათალიკოზობა პირ-  
ველად ვახტანგ მეფის დროს დაწესდა, დაახლოვებით  
460—484 წ. შუა**—„თავი იგი ეპისკოპოსთა სამოელ პირ-  
ველი კათალიკოზი“ მოხსენებულია შუშანიკის მარტვილობა-  
ში. კათალიკოზობის დაწესების შემდგომ ქართული ეკლესია  
დამოუკიდებელი იყო. მას ჰნ ეპისკოპოსი ემორჩილებოდა;  
იმათ გარდა მღვდელმსახურთა დასს ქორეპისკოპოსები, ხუ-  
ცესნი, დიაკონნი და სჯულის მეცნიერნი შეადგენდნენ. ქარ-  
თლისა კათალიკოსი მუდმივ მცხეთაში ბინადრობდა, მაგრამ  
სასახლე ტფილისშიაცა ჰქონია.

**ღვთის  
მსახურე-  
ბა.**

სხვებზე მეტად სამი სალოცავი იყო მთელ საკათალიკო-  
კოზოში ვანთქმული: „მცხეთის ჯვარი“, „მანგლისის ჯვარი“  
და „ბოლნისის ჯვარი“. დიდ-დიდ აზნაურებს საკუთარი კა-  
რის ეკლესიაცა ჰქონიათ, მაგალითად, ქართლის პიტიახშმა  
არშუშამ რომ ქრისტიანობა მიიღო და ცეცხლთაყვანისმცემ-  
ლობას თავი დაანება, „აღმართნა სამარტვილენი და  
ეკლესიანი აღაშენა“ (შუშანიკის ცა, 184); საკუთარი  
მოდღვარი, ხუცესიცა ჰყოლიათ (ib. 183). წმინდათა თაყვა-  
ნისცემა და მსახურებაც უკვე მე V-ე საუკ. ძალიან გავრცე-  
ლებული ყოფილა და კერძო პირებსაც-კი დიდ-დიდ აზ-

ნაურთა წრეებში „წმიდანი ნაწილნი მოწამეთანი“ სახლში ჰქონიათ (ib. 184). ალექსის დადება (ib. 188), იერუსალიმში გამგზავრება და წმიდა ადგილთა მოხილვა—მოლოცვა იკოდნენ თურმე (ib. 188). ლოცვის დროს „ქუეწარსაგებელად კილიკი“ უხმარიათ (ib. 189). დიდმარხვა სწამლათ და ზოგერთნი ისე ბეჯითად ინახავდნენ თურმე, რომ მთელ დიდმარხვის განმავლობაში თურმე პურს არ ეკარებოდნენ (ib. 189). ცისკრისა და მწუხრის ჟამობის გარდა, თუ სხვაგვარი რამ წირვა კიდევ იკოდნენ საბუთებიდან არა სჩანს.

როგორც ეტყობა მიცვალებულზე წირვა და ანდერძის აგება ჯერ არა სცოდნიათ: მიცვალებულის გვამის განბანისა და სუდარით შეფარავნის შემდგომ სამღვდლოების წინწაძლოლით „ფსალმუნითა სულიერითა და კეროვებითა აღნთებულითა და საკმეველითა სულწელებითა“ (ib. 192) დასაფლავებდნენ ხოლმე; მხოლოდ წა მარტვილის დასაფლავების შემდეგ ღამისთევას ასრულებდნენ (ib. 192). შენახულია აგრედვე ცნობა მაშინდელ გლოცვის წესის შესახებ და როგორც ეტყობა აწინდელს, დასავლეთ საქართველოში ჩვენ დრომდე შერჩენილს, წესს მიაგავდა: მაშინაც თურმე „ტიროდეს და იცემდეს მკერდსა და იბძარვიდეს ღაწვთა“ (ib. 187).

რამდენად საინტერესო უნდა იყოს ამდროინდელი ქართული საეკლესიო მწერლობა, ვესტათე მცხეთელის ცხოვრებაც საუცხოვოდ ამტკიცებს. ამ თხზულებაში სხვათა შორის მოთხრობილია სახარების შინაარსი, მაგრამ ჩვეულებრივდენისაგან ბევრში განირჩევა და განსხვავდება. იმის შესახებ დაწერილია კიდევ გერმანულად ცალკე გამოკვლევა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორსა და ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ად. ჰარნაკს ეკუთვნით: ამიტომ ამ საკითხს აქ დაწვრილებით აღარ შევხები, მოვიყვან მხოლოდ ორიოდ მაგალითს: ჩვეულებრივ სახარებაში იესო ქრისტე თავის მოღვაწეობას გალილიაში იწყობს და მხოლოდ შემდეგ გადადის იერუსალიმშიც, ვესტათე მცხეთელის ცხოვრებაში-კი იესო ქრისტე იმთავითვე იერუსალიმში იწყობს მოქმედებას;

შემდეგ ამ ცხოვრებაში ქრისტეს ზღვაზე ვითარცა კმე-

მიცვალებული დასაფლავების წესი.

იმდროინდელი ქართული საეკლესიო მწერლობა.

ლად სიარულის სასწაული ისეა მოთხრობილი, რომ „ქრისტე და მოწაფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას ვითარცა კმელად და ფერხნი მათნი არა დაივლტნეს“ო; ეშმაკულის განკურნების შემდგომ ჩვეულებრივ სახარების დედანში იესო ქრისტე ეშმაკებს ზღვაში უშვებს, ამ თხზულებაში-კი ნათქვამია: „ქრისტე უბრძანაჲ **ქვეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკიგო და შთაქდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად**“-ო; ამალღების შესახებ მოთხრობილია, რომ იგი „მთასა თაბორსა“ მოხდაო, ჩვეულებრივ სახარებისამებრ-კი ამ მთაზე ფერისცვალება მომხდარა; „შემდეგ სულის წმინდის მოფენის ამბავი ისე-კი არ არის მოთხრობილი. როგორც „საქმე მოციქულთაჲ“-შია, არამედ სულ სხვანაირად: ამალღების ორიოდ წუთის წინ იესომ დაარიგა მოწაფენი და დალოცა, ხოლო შემდეგ „მოციქულთა მათ **შთაბერა სული ცხოველი და რქუაჲ მათ „მიიღეთ სული ცხორებისა და წარვედით თქვენ... და ნათელს სცემდით სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაითა“**ო.

საზოგადოდ სახარების დედნებში, რა ენაზედაც უნდა იყოს იგი ნათარგმნი, მკირეოდენს განსხვავებასაც-კი იშვიათად ნახავს მეცნიერი, ამგვარი მსხვილი გარჩევა ხომ არსად მოიპოვება. მით უფრო ძვირფასია და საყურადღებო ევსტათე მცხეთელისა ცხოვრებაში მოყვანილი სახარების დედანი; შინაარსით ეს სახარება იმდენად განირჩევა ჩვეულებრივ დედნი-საგან, რომ **უეჭველია ჩვენში რაღაც ჯერედ უცნობი ტატიანეს „ღიატესსარონ“-ის მაგვარი სახარება უნდა ყოფილიყო გავრცელებული.** თუ რომ შემდეგში ამავე დროის ქართული საეკლესიო მწერლობა, მეტადრე რაჟედენისა და 13 ასურელ მამათა თავდაპირველი ცხოვრებანი აღმიჩნდება, მაშინ უეჭველია მეცნიერება ბევრს ახალსა და საყურადღებო ცნობებს შეიძენს ჩვენის ეკლესიისა და ქრისტიანობის იმ დროინდელ მდგომარეობისა და ცხოვრების შესახებ.

**მონოფი-  
ზიტობა.**

ნესტორიანობის შემდგომ ქრისტიანობა ორ მებრძოლ ბანაკად ეგრედ წოდებულმა მონიფიზიტომ განხეთქა,—კამათმა იესოს ბუნების შესახებ: ორი, თუ ერთი ბუნება ჰქონდა იესო ქრისტეს. ქალკედონის 451 წლის მსოფლიო კრებამ ორი ბუ-

ნება აღიარა. აღმოსავლეთის ქრისტიანობის უმეტესობამ უარჰყო ამ კრების დადგენილება. საქართველოსა და სომხეთში გაბრიელ ქართლისა კათალიკოზისა და ბაბგენ სომხეთის კათალიკოზის დროს (488—531 წ.) ამ საგნის თაობაზე ადგილობრივი საეკლესიო კრება იყო მოწვეული და ორივე ეკლესიის წარმომადგენლებმაც ქალკედონის დადგენილება მწვალებლობად იცნეს და იესო ქრისტეში ერთი ბუნება აღიარეს, მონოფიზიტობას მიემხრნენ. მაგრამ ამის შემდგომ ასი წლის განმავლობაში ქართველ სამღვდელოებასა და ხალხს თანდათან აზრი შეუცვლია და ქალკედონის კრების დადგენილებას მიჰმხრობია. ამ დროს ეს სადავო საკითხი სხვა ქვეყნებშიაც უკვე გადაწყვეტილი იყო; მთელი იტალია და რომის ეკლესია, ბერძნების ეკლესიებიც მართმადიდებელ რწმენად მარტოოდენ ქალკედონის აღსარება აღიარეს და მონოფიზიტობა მწვალებლობად იცნეს.

ამაზე მოუვიდა უთანხმოება ქართველ და სომეხ სამღვდელოებას. ეს უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ სამუდამო განხეთქილებით დამთავრდა. უსიამოვნობა ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ ჩამოავდო. იგი გვარტომობით სომეხი იყო, აღზრდა ცურტოვში მიეღო და ქართულიც იქ შეუსწავლია. ქართველ ეპისკოპოსთა შორის მე-VI-ე საუკუნის დასასრულს მხოლოდ ეს მოსეა მდგარა მტკიცედ მონოფიზიტობაზე. ქართლის კათალიკოზმა კირიონმა მოსე დაიბარა და მისი დასჯა მოიწადინა. კათალიკოზი მას რალაც დანაშაულობას აბრალებდა. ტფილისში ჩამოსული მოსე ეპისკოპოსი კირიონმა გაჯავრებულ გულზე არ მიიღო და მცხეთაში გაემგზავრა. ცურტაველმა ეპისკოპოსმა რომ შეატყო, ჩემი საქმე ცუდად არისო, თავის სამწყსოს თავი მიანება და სომხეთში გაიქვა და იქაურ სამღვდელოებას დახმარება სთხოვა; ქართველები ქალკედონის მოძღვრებას მიემხრნენ, მონოფიზიტობისათვის განმდგენეს და მომეშველეთო. ჯერ სომეხთა კათალიკოზის მოადგილემ, მერე თვით კათალიკოზმა აბრაამმაც მხარი მისცეს ცურტაველ ეპისკოპოსს და ქართველ სამღვდელოებასა და დიდებულებს წერილი გაუგზავნეს. ამის გამო სომეხთა კათალიკოზის აბრაამისა და ქართველთა კათალიკოზის შორის ცხარემიწერ-მოწერა

**ქართულ  
და სომ-  
ხურ ეკ-  
ლესიათა  
განხეთ-  
ქილება.**

ასტყდა. აბრაამი ურჩევდა ქართველებს, ბერძნებს ნუ მიემხრობით და მოსწყდებით სპარსეთის ქრისტიანობასაო; ჩვენ ყოველთვის ერთიერთმანეთში ძმურად გვიცხოვრია, რად აგდებთ სამუდამო მტრობასაო? კირიონმა უპასუხა, ჩვენ არ შეგვიძლიან მთელ ქრისტიანობას, რომისა, კოსტანტინეპოლისა ანტიოქიისა, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიებს ზურგი შევქატიოთ და მარტო თქვენა და აღმოსავლეთის ქრისტიანებს მივემხროთ, მარტო თქვენ გიცნათ უცდომელი და მართალიო; ამიერიტგან ამ საგანზე წერას თავი დაანებე, თორემ არავითარს პასუხს არ მიიღებო. ამის შემდეგ 607 წელს სომეხთა კათალიკოზმა აბრაამმა თავის სამწყსოს ეპისკოპოსს მისწერა და გამოუცხადა: ქართველები და ალბანელები ბერძნებსავით მწვალებლები არიან, მათთან არაფერი საზიარო არა გქონდეთ,—არც ლოცვაში, არც საქმელ-სამელში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, არც ცოდ-ქმრობაში; შეგიძლიანთ მხოლოდ ივაჭროთ იმათთან როგორც ურჩებთანაო.—ამგვარად **უთანხმოება-განხეთქილებით დამთავრდა**. ქართველები საბერძნეთსა და დასავლეთს მიემხრო, სომხების ერთი უფრო გავლენიანი წილი-კი აღმოსავლეთის, ასურეთისა და სპარსეთის, ქრისტიანებს; სომხების მეორე წილი-კი, განსაკუთრებით დასავლეთით მოზინადრე, ქართველებსავით ქალკედონის კრების დადგენილებაზე იდგა. თუმცა ამ დროს იბერია სპარსეთის ხელში იყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც სპარსელებმა მეფობა მოსპეს, ქართველები არც-კი მალავდნენ, რომ მათ სპარსელები სძულთ და სულ განთავისუფლებასა ნატრულობდნენ. ასეთს მდგომარეობაში ქართველები სპარსელებს რას მიემხრობოდნენ... კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსად მოსეს მაგიერ ვილაც ასური დანიშნა და **იქაურ ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვაც** შემოაღებინა. ამიერიტგან ქართულ ეკლესიაში ეროვნული მიმოთულება ფეხს იკიდებს და მტკიცდება, მაგრამ რაკი ეს არაბების ბატონობის დროს მოხდა, ამის შესახებ ამ თხზულების მეორე ტომში იქნება ლაპარაკი.

